სახელმწიფო მმართველობის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი

English- Georgian

DICTIONARY OF PUBLIC ADMINISTRATION

თბილისი
2000

ავტორები

ელენე დოლაქიძე სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, ინგლისური ენა და ლიტერატურა, (თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ადმინისტრატორის თანაშემწე)

რუსუდან კაჭარავა სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, ინგლისური ენა და ლიტერატურა, (მსოფლიო ბანკი, პროექტის ასისტენტი)

ქეთევან მამინეიშვილი სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, ინგლისური ენა და ლიტერატურა, (მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ასისტენტი)

მზია მიქელაძე სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, (სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტის დეკანი)

ინგა ფალიანი სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, ინგლისური ენა და ლიტერატურა, (საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო-პოლიტნიკური დეპარტამენტი, დიპლომატი)

სარედაქციო კოლეგია

თენგიზ გოგელია ტრანსპორტის საკონსულტაციო სასწავლო ცენტრის დირექტორი, ტრანსპორტის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის ტექნიკური დახმარების მენეჯერი

ნინო დათეშიძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ლევან კობალაძე სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის საერთაშორისო პროგრამების კოორდინაციის სამსახურის უფროსი

ბესიკ ლუხუტაშვილი ლექსიკოგრაფი

ბექა მიქაუტაძე სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი (საქართველოს პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეკომიტეტი, ექსპერტი)

ნათელა მუზაშვილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

კეროლ ნევისი სახელმწიფო მმართველობის დოქტორი (ამერიკის სახელმწიფო მმართველობის ეროვნული აკადემიის საერთაშორისო პროგრამების დირექტორი)

მარინა ოსაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ინგა ჯიბუტი ა.ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგე

ჯონ ჰიკი ფულბრაითის პროფესორი

კომპიუტერული დიზაინი

ლევან მაჯაშვილი

This dictionary proceeds well beyond a word-list in order to represent the conceptual nuances which are central to an understanding of the fields it covers. The content areas included in the dictionary are: 1. Public Administration, Public Policy and Policy evaluation; 2. Public Management; 3. Political Science (General concepts, International Relations); 4. Public Finance; 5. Political Economy; 6. Political and Social Markets. 7. Law; 8. Health Administration.

Since many concepts currently in use in these areas defy a single definition, multiple definitions have been provided where necessary. The definitional narrative is also more extensive than is normally the case in a dictionary. This feature is grounded on two factors: 1) the need to illustrate concepts in relation to other concepts; 2) the potential benefit to those who will use the dictionary in another language (Georgian) and to those who must accomplish the translation.

This dictionary is a product of the combined expertise and dedication of eight graduate students of the Georgian Institute of Public Administration who examined the relevant literature in their respective content areas and selected the entries which now make up the dictionary.

The publication of this book was made possible by a grant of American Agency of International Development via the Eurasia Foundation.

სახელმწიფო მმართველობის ინგლისურ–ქართული ლექსიკონი მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა: სახელმწიფო მმართველობა, საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკის ანალიზი, პოლიტიკური მეცნიერებანი, ფინანსები, მენეჯმენტი, პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკური და სოციალური ბაზარი, სამართალი, ბიზნესი, ეკონომიკა, დაზღვევა, ჯანდაცვის ადმინისტრირება და სხვა.

ეს ლექსიკონი არის საქართველოს სახელმწიფო მართვის მოხელეთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შრომისა და მონდომების ნაყოფი.

ლექსიკონის გამოცემა შესაძლებელი გახდა აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გამოყოფილი სახსრებით ევრაზიის ფონდის საშუალებითა და დახმარებით, რისთვისაც ავტორთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის მას.

სახელმწიფო მმართველობის ინგლისურ–ქართული ლექსიკონი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს სახელმწიფო მოხელეებს, ამ დარგის სტუდენტებსა და ინგლისური ენის შემსწავლელთ. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი ლექსიკონი პრაქტიკოსებისათვის, რადგან დღემდე არ მოგვეპოვება სახელმწიფო მმართველობის ტერმინთა ინგლისურ–ქართული ლექსიკონი. მოცემული ლექსიკონი შეიცავს 11 000 ინგლისურ და 30 000 ქართულ სიტყვას, სათანადო ფრაზეოლოგიასა და იდიომატიკას. ლექსიკონი აგებულია ანბანურ რიგზე და ყოველი ახალი სიტყვა გამოტანილია ცალკე მომხმარებლისათვის სიტყვის მონახვის გაადვილების მიზნით.

ინგლისურენოვანი (ძირითადად ბრიტანული და ამერიკული ვარიანტებით) ტერმინთა ეკვივალენტების სასწარმოებლად და დასადგენად ხელმძღვანელობდით არნოლდ ჩიქობავას მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე მიღებული სალიტერატურო ქართული ენის ნორმებით.

წინამდებარე ნაშრომი არის პირველი მცდელობა სახელმწიფო მმართველობის ინგლისურ–ქართული ლექსიკონის შექმნისა. ამასთან დაკავშირებით, დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს სრულყოფილი ლექსიკონი, ლექსიკონი ყოველთვის ახლდება, იხვეწება და ივსება. ავტორთა ჯგუფი დიდი სიამოვნებით მიიღებს და გამოიყენებს შენიშვნებსა და რეკომენდაციებს დაინტერესებულ სპეციალისტებისაგან.

ლექსიკონის გამოყენების წესები

1. ტერმინები დალაგებულია ინგლისური ანბანის მიხედვით. დეფისით გაერთიანებული ორი ან მეტი სიტყვა ჩათვლილია ერთ სიტყვანაერთად.
2. ინგლისური ტერმინის შემდეგ მოცემული ქართული ეკვივალენტი ეხება სახელმწიფო მმართველობის დარგში გავრცელებულ ტერმინს და მის ასპექტებს, შემდეგ კი მოცემულია მომიჯნავე დარგების ტერმინები (პოლიტოლოგია, პოლიტიკა, კანონმდებლობა, მენეჯმენტი, კონფლიქტოლოგია, ჯანდაცვა, ეკონომიკა, საგადასახადო, სადაზღვევო საქმიანობა, დემოგრაფია, სტატისტიკა, და ა.შ.)
3. მიღებულია სასვენი ნიშნების შემდეგი სისტემა: ერთმანეთთან შინაარსით ახლოს მდგომი მნიშვნელობები გამოყოფილია მძიმით, უფრო განსხვავებული კი, წერტილმძიმით. ტერმინის მნიშვნელობა სხვა დარგისათვის გამოყოფილია არაბული რიცხვით.
4. ძირითადი ტერმინი სატერმინო ბუდეში შეცვლილია ტილდით (~).
5. შედგენილი ტერმინები და ტერმინოლოგიური წყვილები ანბანურ-ბუდობრივი სისტემითაა წარმოდგენილი. ამ სისტემის მიხედვით შედგენილი ტერმინი იწყება ძირითადი ტერმინის მიხედვით. მაგ. government office უნდა ვეძებოთ ბუდეში office.
6. ტერმინის ან ტერმინოლოგიური წყვილის განმარტებითი ნაწილი უშუალოდ მოსდევს ტერმინს.
7. ფრჩხილებში ( ) მოთავსებულია სიტყვები, რომლებიც უშუალო კავშირშია და ავსებს ტერმინის ან სიტყვის განმარტებას.
8. ვინაიდან ლექსიკონი მიეკუთვნება სპეციალურ ლექსიკონთა ჯგუფს, მთავარი ინგლისური სიტყვის განმსაზღვრელ სიტყვას არა აქვს მითითებული გრამატიკული კატეგორია

შემოკლებანი

AE - American English
ამერ. — ამერიკული
BE - British English
ბულ — ბუღალტერია
დაზღ. — დაზღვევა
დემ. — დემოგრაფია
იურ. — იურიდიული
ლათ. — ლათინური
ფინ. — ფინანსები
pl. — მრავლობითი
პოლიტ. — პოლიტიკა

BIBLIOGRAPHY

1. Donald J. Brecon " Managing Health Promotion Programs", 1997. An Aspen Publication
2. Lawrence F. Wolper "Health Care Administration" II edition. 1995. An Aspen Publication
3. William o. Cleverley "Essential of Health Care Finance" IV edition. 1997. An Aspen Publication
4. Oxford Dictionary of Politics. Ed. by Iain McLean, Oxford University Press, 1996
5. Oxford Dictionary of Business. Oxford University Press, 1996
6. Oxford Dictionary of Law. Ed. Elizabeth A. Martin, Oxford University Press, 1997
7. Oxford Dictionary of Idioms. Oxford University Press, 1997
8. Oxford Dictionary of Russian. Ed. by Marcus Wheeler and Boris Unbegaun, Oxford University Press, 1998
9. English Russian Dictionary. Ed. by Galperin I. R. Moscow, 1987
10. Webster Collegiate Dictionary
11. Longman Dictionary of English Language and Culture. Ed. director Della Summers, Longman Group. UK Limited, 1992
12. MacMillan Dictionary of Marketing and Advertising London,1987
13. English-Georgian Economic Dictionary. Ed. D. Basiashvili, Tbilisi, 1994
14. English-Georgian Universal Business Dictionary. Ed. Berulava R.G. and Berulava T.R. Tbilisi, 1997
15. Frederik, William C Business and Society: corporate strategy, public policy, ethics. McGrow, 1992
16. Richard T. Stillman "Public Administration, Concepts and Cases", Houghton Mifflen Company, 1996
17. James Q. Wilson "Bureaucracy. What Government Agencies Do and Why They Do It" A Division of Harper Collins Publishers Basic Books, 1989
18. Robert B. Denhardts "Public Administration. An Action Orientation", Wadsworth Publishing Company, 1995

19. Nicholas Henry "Public Administration and Public Affairs" Prentice Hall, Englewood Cliffs, 1995
20. Ferrel Heady " Public Administration. A Comparative Perspective", Marcel Dekker, 1991
21. R. Kent Weaver, Bert A. Rockman (editors) "Do Institutions Matter? Government Capabilities in the United States and Abroad.", The Brookongs Institution, 1993
22. James W. Fesler and Donald F. Fettl :The Politics of the Administration Processes", Chatham House Publishers, 1991
23. Dwight Waldo "The Administrative State: A Study of Political Theory of American Public Administration", NY Ronald Press, 1984
24. Frederic C. Mosher " Basic Literature of American Public Administration", NY St.Martin's Press, 1990
25. Brian R. Fry "Mastering Public Administration", NJ, Chatham House, 1989
26. Naomi Lynn and Aaron Wildavsky "Public Administration: The state of the discipline, Chatham NJ, Chatham House, 1990
27. E. Pendleton "Public Administration and the Public Interest", NY, Russel and Russel, 1936
28. David Truman "The Governmental Process", NY, Alfred A. Knopf, 1951
29. Herbert Simon "Public Administration" NY,Alfred A. Knopf, 1950

A

ab origine ლათ. სათავეებთან; დასაწყისიდან; წყაროდან

abandonment 1. დატოვება; უარყოფა; 2. დახურვა; დაკონსერვება; ~ of action სარჩელის უარყოფა; ~ of indemnity ანაზღაურების უარყოფა; ~ of property ქონების უარყოფა; ~ of suit სარჩელის უარყოფა

abandonment შეწყვეტა; უარის თქმა; ~ stage უარის სტადია; პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დამამთავრებელი სტადია, როცა მოგების პოტენციალი აღწევს დონეს, რომლის დროსაც მენეჯმენტი იღებს გადაწყვეტილებას შეწყვიტოს პროდუქტის მარკეტინგი

abate 1. ფასდაკლება; დაკლება; დათმობა; 2. ანულირება

abatement ანულირება, შეწყვეტა; შემცირება; ~ of a nuisance არასანქციონირებული ქმედებების შეწყვეტა; სასამართლოს გადაწყვეტილება ისეთ ქმედებათა შეწყვეტის თაობაზე, რომლებიც არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს ან ზარალს აყენებენ საზოგადოებას

abatement დათმობა; შემცირება; to make ~ დათმობა; შემცირება (ფასის); price ~ ფასის შემცირება; tax ~ გადასახადის განაკვეთის შემცირება

abbreviation შემოკლება, აბრევიატურა

ability 1. ნიჭი, ნიჭიერება; 2. უნარი, უნარიანობა; competitive ~ კონკურენტუნარიანობა; inventive ~ies გამოგონების (შემოქმედების) უნარი; managerial ~ies მართვის უნარი; organizing ~ies ორგანიზაციული უნარი; payment ~ გადახდისუნარიანობა; ~ to finance ფინანსირების უზრუნველყოფის უნარი; ~ to pay გადახდისუნარიანობა; ~ to pay basis გადახდისუნარიანობის შეფასების ბაზისი; ~ to pay principle გადასახადების ამოღება გადახდისუნარიანობის მიხედვით: მდიდრებისაგან მეტი, ღარიბებისაგან ნაკლები

abolish 1. მოსპობა; გაუქმება; მოშლა; 2. გაბათილება

abolition 1. შეცვლა; გაბათილება; ანულირება; 2. გაუქმება, მოშლა (კანონისა, ხელშეკრულებისა, საბუთისა)

aborigenes აბორიგენები, ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა

above par ფასი, ნომინალის ზევით, აქციის ან ობლიგაციის კოტირება, რომელიც აღემატება მის ნომინალურ ღირებულებას

above the line სარეკლამო ხარჯები

above-normal loss (ANL) დანახარჯები, რომლებიც აღემატება ნორმას

abreaction channels ნეგატიური რეაქციის შერბილების გზები

abridge 1. შემოკლება; დამოკლება; შემცირება; 2. შეზღუდვა; ჩამოჭრა; 3. უფლების ან პრივილეგიის ჩამორთმევა

abrogation 1. გაუქმება, მოშლა; 2. დარღვევა; გაწყვეტა

abrogation of agreement შეთანხმების გაუქმება

absence 1. გაცდენა, არდასწრება, არყოფნა; 2. არქონა; ნაკლებობა, უქმარობა უქონლობა, არარსებობა;; 3. გასვლა, წასვლა; ~ of demand მოთხოვნის არარსებობა; ~ of guilt ბრალეულობის არქონა; ~ of jurisdiction იურისდიქციის არ ქონა; თანამდებობის პირის მიერ იმ ძალაუფლების განხორციელება, რომელიც არ არის გათვალისწინე-

ბული მისი სტატუსით; ~ of liability პასუხისმგებლობის არარსებობა; ~ rate არყოფნის ხარისხი; დასწრების მაჩვენებელი, საერთო რაოდენობის გაცდენილი კაცდღის ფარდობა დროის გარკვეულ პერიოდში საერთო რაოდენობის გამომუშავებულ კაცდღესთან; in one's ~ დაუსწრებლად; premeditated ~ წინასწარგანზრახული არყოფნა

absentee 1. პირი, რომელიც არ ცხოვრობს მოცემულ ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, მაგრამ იღებს შემოსავალს საკუთრებიდან, რომელიც მას გააჩნია იმ ქვეყენაში; 2. პირი, რომელიც არ მონაწილეობდა აღწერაში ან გამოკითხვაში; 3. გამცდენი; არდამსწრე; არმყოფი

absenteeism სამუშაოზე არგამოცხადება, სამუშაოს გაცდენა

absolute აბსოლუტური; ~ advantage აბსოლუტური უპირატესობა; ერთი ქვეყნის ან სფეროს მეორის მიმართ უპირატესობა, რაც გამოიხატება ეკონომიკური მოღვაწეობის უფრო მაღალ ეფექტურობაში; ~ cost barriers აბსოლუტური ღირებულების ბარიერები; ~ frequency აბსოლუტური სიხშირე; მარკეტინგულ გამოკვლევებში განსაზღვრული კატეგორიის მონაცემთა კომპონენტების რაოდენობა; ~ poverty აბსოლუტური სიღატაკე; ~ sale უპირობო გაყიდვა

absoluteness of responsibility უპირობო პასუხისმგებლობა; კონცეფცია, რომლის თანახმადაც მენეჯერმა შეიძლება მოახდინოს უფლებამოსილებათა დელეგირება, მაგრამ იგი მაინც აგებს პასუხს თავისი ქვეშევრდომების ქმედებებზე

absolutism აბსოლუტიზმი, მკაცრი სამთავრობო წესი, რომლის მიხედვითაც ძალაუფლების განხორციელება ხდება ზევიდან ქვევით, ცენტრალური ავტორიტეტიდან მთავრობის ყველაზე დაბალი რგოლისაკენ (დიქტატურა)

absorb 1. აბსორბირება, შთანთქმა; 2. (საბუღალტრო აღრიცხვაში) ტრანსფერის საშუალებით ანგარიშის ან მისი ნაწილის შერწყმა სხვა ანგარიშთან, რის შედეგადაც პირველი ანგარიშის ინდივიდუალური მახასიათებლები იკარგება; 3. (ფინანსებში) ფინანსური ბროკერის მიერ შესაბამისი ნამდვილი ხარჯების გათვალისწინება ფასის ან სტანდარტული ღირებულების განსაზღვრის დროს

absorption აბსორბირება, შთანთქმა; costing აბსორბირებული ხარჯები; ~ point აბსორბციის წერტილი; როდესაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი უარყოფს შემდგომ შემოთავაზებას, რომელსაც არ ახლავს დათმობები ფასებში

abstinence concept კომპენსაციის პრინციპი

abstinent 1. ზომიერი; 1. თავშეკავებული

abstract 1. რეფერატი; 2. ამონაწერი; 3. აბსტრაქტული; ~ demand აბსტრაქტული მოთხოვნილება, როდესაც სოციალური საბაზრო კამპანია მიმართულია მხოლოდ იდეის გამარჯვებისაკენ; ~ from the registry ამონაწერი რეესტრიდან; ~ system აბსტრაქტული სისტემა, რომელსაც არ გააჩნია ფიზიკური მახასიათებლები და იდეებითა და კონცეფციებითაა შედგენილი

abstract რეზიუმე, კონსპექტი; ~ of title უძრავი ქონების ფლობის ისტორია

abundance სიუხვე, სიმრავლე, სიჭარბე

(მაგ. მუშახელისა, კაპიტალისა)

abuse 1. ბოროტად გამოყენება; 2. ბოროტმოქმედება; ~ of authority ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; ~ of an invention გამოგონების ბოროტად გამოყენება; ~ of credit კრედიტის არამიზნობრივი გამოყენება; ~ of environment გარემოს დაბინძურება; ~ of monopoly მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ~ of office სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება; ~ of privileges პრივილეგიების ბოროტად გამოყენება; ~ of a right უფლების ბოროტად გამოყენება; ~ of taxation საგადასახადო დაბეგვრის ბოროტად გამოყენება

abusive შეურაცხმყოფელი

academics წმინდად აკადემიური სახის არგუმენტები, მსჯელობანი, კამათი

accelerating premium pay ფულადი პრემიის პროგრესული გადახდა

accelerator (model) აქსელერატორი (მოდელი); განსაზღვრავს კაპიტალდაბანდებების მოცულობის დამოკიდებულებას წარმოების მოცულობის ცვლილებაზე

accelerator აქსელერატორი; დამაჩქარებელი, მასტიმულირებელი ფაქტორი

acceptability მისაღებობა

acceptable მისაღები; ~ agreement მისაღები შეთანხმება

acceptance 1. აქცეპტი; 2. მიღება; 3. თანხმობა ფულადი და სატრანსპორტო დოკუმენტების გადახდაზე; act of ~ აქტი მიღების შესახებ; bank ~ საბანკო აქცეპტი; conditional ~ პირობითი აქცეპტი; partial ~ ნაწილობრივი აქცეპტი; positive ~ დადებითი აქცეპტი; preliminary ~ წინასწარი აქცეპტი; qualified ~ შეზღუდული აქცეპტი; silent ~ მდუმარე აქცეპტი; subsequent ~ მომდევნო აქცეპტი; unconditional ~ უპირობო აქცეპტი, უსიტყვო მიღება; ~ certificate მიღების აქტი; ~ for safe deposit მიღება შენახვისათვის; ~ into the UN გაერო-ში მიღება; ~ of a bill of exchange თამასუქის აქცეპტი; ~ of a bribe ქრთამის აღება; ~ of risk რისკზე წასვლა; ~ sampling ამორჩევითი კონტროლი მიღების დროს; ხარისხის შემოწმების კონტროლი, რომლის დროსაც მსხვილი პარტიის მიღება განპირობებულია პარტიის მცირე რაოდენობის ნიმუშების შემოწმების შედეგებით; ~ under condition მიღება პირობით

accepted 1. მიღებული; 2. აღიარებული

acceptive მისაღებად ვარგისი, მისაღები

access 1. დაშვება; 2. შესვლა, შეღწევა; 3. ამორჩევა, ამოკრება (მონაცემებისა); 4. მისაწვდომობა; ~ to farmland მიწის მიღების შესაძლებლობა; ~ to information ხელმისაწვდომობა ადმინისტრაციული ხელის-უფლების ინფორმაციაზე, დოკუმენტებსა და ჩანაწერებზე; ~ to markets გასაღების ბაზრებში შეღწევადობა; complete ~ სრული დაშვება; economic ~ გამოყენებისთვის ეკონომიურად ხელსაყრელი; free ~ თავისუფალი დაშვება; market ~ ბაზარზე დაშვება

accessibility ხელმისაწვდომობა (ფიზიკური); პაციენტის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე; იგულისხმება ინფრასტრუქტურის არსებობა, გზა, ტრანსპორტი, თვით სამედიცინო მომსახურების ამა თუ იმ სახეობის არსებობა; ~ of information ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ინფორმაციის მოპოვების ხარისხი

ლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის აღწერა, ს-მ. ფ. ინვენტარიზაცია; ~ loan სესხის ანგარიში; ~ management შეკვეთების შესრულების სამსახური; ~ number ანგარიშის ნომერი; ~ of disbursement ასიგნების ანგარიში; ~ outstanding 1. აუნაზღაურებელი ანგარიში; 2. დაუმთავრებელი ანგარისწორება; ~ payable კრედიტორთა ანგარიში (ბალანსში), კრედიტორული დავალიანების თანხა; ~ profit-and-loss მოგება-ზარალის ანგარიში; ~ property 1. უძრავი ქონების ანგარიში; 2. ძირითადი კაპიტალის ანგარიში; ~ reserve სარეზერვო ანგარიში; ~ resident რეზიდენტის ანგარიში; ~ rest-of-world სხვა ქვეყნების ანგარიში (ეროვნული სტატისტიკის სისტემაში); ~ simulated ფიქტიური ანგარიში; ~ subsidiary დამხმარე ანგარიში; ~s integrated national economics საერთო ეროვნული ეკონომიკური მაჩვენებლების ინტეგრირებული სისტემა; ~s social საზოგადოებრივი ანგარიში; appropriation ~ კაპიტალის ანგარიში; assets ~ აქტივის ანგარიში; balance sheet ~ ბალანსის მუხლი; bank ~ საბანკო ანგარიში; bilateral ~ ორმხრივი ანგარიში; bills ~ თამასუქის ანგარიში; blocked ~ შეჩერებული ანგარიში, ბლოკირებული ა., გაყინული ა.; bond ~ ობლიგაციის ანგარიში; budget ~ 1. საბიუჯეტო ანგარიში; 2. სამომხმარებლო კრედიტის ანგარიში; capital ~ კაპიტალის მოძრაობის ანგარიში (საგადასახადო ბალანსში); check ~ საკონტროლო ანგარიში; convertible ~ კონსოლიდირებული ანგარიში; current ~ მიმდინარე ანგარიში; domestic ~ შიგა ანგარიში; external ~ გარე ანგარიში; foreign ~ საგარეო ანგარიში; foreign exchange ~ სავალუტო ანგარიში; governmental ~ სახელმწიფო ანგარიში; investment ~ საინვესტიციო ანგარიში; public ~ სახელმწიფო დაწესებულების ანგარიში; securities ~ ფასიანი ქაღალდების ანგარიში; to balance an ~ ანგარიშთა დაბალანსება; to clean out an ~ ანგარიშიდან მთელი თანხის მოხსნა; to close an ~ ანგარიშის დახურვა; to credit an ~ ანგარიშის დაკრედიტება; to draw up an ~ ანგარიშის გამოწერა; to keep an ~ ბუღალტერიის წარმოება; to pay an ~ ანაზღაურება ანგარიშების მიხედვით; to set up an ~ ანგარიშის შემოწმება; to settle an ~ ანგარიშის გახსნა; to verify ~s ხარჯვის ანგარიში; to withdraw from an ~ ანგარიშიდან მოხსნა

accountability 1. პასუხისმგებლობა;. 2. ანგარიშვალდებულება; 3. აღრიცხვიანობა; ~ means ანგარიშვალდებულების საშუალებანი; ~ measures ანგარიშვალდებულების ზომები; instill ~ to the public ადამიანებისთვის პასუხისმგებლობის ჩანერგვა

accountable პასუხისმგებელი

accountant 1. ბალანსების ანალიზის ექსპერტი; 2. ბუხჰალტერი; certified public ~ აუდიტორი; chief ~ მთავარი ბუხჰალტერი

accounting 1. საბუღალტრო აღრიცხვა; 2. ანგარიშწარმოება; 3. შედეგების შეჯამება; ~ controls საბუღალტრო აღრიცხვის მართვა; ~ conventions საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები; ~ costs კალკულაცია; ~ cycle საანგარიშო პერიოდი; ~ information system საბუღალტრო საინფორმაციო სისტემა; ~ Principles Board (APB) საბუღალტრო აღრიც-

accession 1. მიღება (სამუშაოზე); 2. დაკავება (თანამდებობისა); 3. დაწინაურება

accessions დასაქმებულთა რიცხვის ზრდა (წარმოებაში)

accessory equipment დამატებითი მოწყობილობა, დამხმარე მ.

accident უბედური შემთხვევა; **compensable** ~ უბედური შემთხვევა ანაზღაურებით; ~ **insurance** უბედური შემთხვევის დაზღვევა; ~ **severity** უბედური შემთხვევის ხარისხი

accidental war შემთხვევითი ომი, შეიარაღებული კონფლიქტი წინასწარი განზრახვის გარეშე, რაიმე შეცდომის ან არასწორი ნაბიჯის გამო

acclamation ერთსულოვანი მოწონება (მაგ. პროექტისა)

accommodate 1. შეწყობა; შეგუება, მორგება; 2. კრედიტის გაცემა; 3. საცხოვრებლით უზრუნველყოფა

accommodating policy აკომოდაციური პოლიტიკა; ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ეკონომიკაში შოკის შედეგებისა და მისი გამანადგურებელი ძალის შესასუსტებლად

accommodation 1. თამასუქი; სესხის გაცემა; 2. შეგუება; 3. თავშესაფარი; 4. შეთანხმება; 5. მომსახურება; მომსახურების გაწევა; ~ **desk** მომსახურების განყოფილება; ~ **line** დაზღვევა შესწორებით; ~ **paper** საგარანტიო თამასუქი; ~ **party** გარანტიის მიმცემი მხარე

accomplishment მიღწევა; განხორციელება

accordance შესაბამისობა, შესატყვისობა; **in** ~ **with legislation** კანონმდებლობის შესაბამისად; **in** ~ **with your request** თქვენი თხოვნის შესაბამისად

account 1. ანგარიში (საბუღალტრო); 2. ანგარიშგება; 3. გაანგარიშება, გამოთვლა; ანგარიშსწორება; 4. ანგარიში, მოხსენება, შეტყობინება; 5. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში; 6. *pl.* საქმის წიგნები; 7. ფინანსური ანგარიში; 8. საეურნალო ჩანაწერი; ~ **balance** ანგარიშის ბალანსი; ~ **classification** კლიენტთა ანგარიშების კლასიფიკაცია; ~ **current** მიმდინარე ანგარიში; ~ **debit** ანგარიში დებიტორული სალდოთი, აქტივის ანგარიში (ბალანსის); ~ **debtor** დებიტორის ანგარიში; ~ **depreciation adjustment** ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის ანარიცხების ფონდის მარეგულირებელი ანგარიში; საამორტიზაციო რეზერვის მარეგულირებელი ანგარიში; ~ **depreciation reserve** ცვეთის ანარიცხების ანგარიში; ამორტიზაციის რეზერვის ანგარიში; ~ **due from customers** კლიენტთა დებიტორული დავალიანება ღია ანგარიშზე; ~ **exchange equalization** ვალუტის სტაბილიზაციის ფონდი; ~ **executive** საქმის მწარმოებელი; ~ **external** საგადასახადო ბალანსი; საგარეო ანგარიშსწორების ანგარიში; ~ **fancy** გაბერილი ანგარიში; ~ **final** 1. საბოლოო ანგარიში; 2. საბოლოო ანგარიშგება; ~ **fixed assets** ძირითადი (რეალური) კაპიტალის ანგარიში; ~ **government receipts and expenditure** სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების ანგარიში (საზოგადოებრივი სტატისტიკის ანგარიშებში); ~ **impersonal** ანგარიში, რომელიც არ ეკუთვნის რომელიმე კონკრეტულ პირს; ~ **interim** შუალედური ანგარიში; ~ **inventory reserve** მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ფასის გადახრის ანგარიში; ~ **inventory** სასაქონ-

ხვის პრინციპების საბჭო; ~ principles საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები; ~ procedure საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდები; ~ process საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების პროცესი; ~ profit გათვალისწინებული მოგება; ~ system პროცედურები, რომლებიც აფიქსირებენ, ახარისხებენ და წარმოადგენენ ინფორმაციას ორგანიზაციის, ინდივიდების ან მთავრობის ფინანსებსა და ოპერაციებზე

accounts payable საკრედიტორო დავალიანება; ~ receivable დებიტორული დავალიანება; ~ receivable financing დაფინანსება საკრედიტორო დავალიანების ხარჯზე

accredit 1. აკრედიტება; აკრედიტივის გაცემა; 2. უფლებამოსილების მინიჭება; 3. ნდობა; მინდობა; 4. ხარისხის უზრუნველყოფა

accreditation აკრედიტება, რწმუნებით აღჭურვა

accredited აკრედიტებული; ოფიციალურად უფლებემინიჭებული; საზოგადოდ აღიარებული; ~ list აკრედიტებულ პირთა ჩამონათვალი

accretion account ანგარიში ზრდის შესახებ

accrual ნამატი ფულის რაოდენობა, რომელიც გადადებულია ხარჯების დასაფარავად, ხარჯების შეფასების საუკეთესო საშუალება

accruals დარიცხვა, ზრდა

accrue მომატება; ~d interest პროცენტების მომატება, გაზრდა; to ~ a right უფლების მოპოვება

accrued assets აქტივები გადახდაზე; ~ charges მოსაკრებლები გადახდაზე; ~ depreciation დაგროვილი ამორტიზაცია; ~ dividend დაგროვილი დივიდენდი; ~ expenses დარიცხული ხარჯები; ~ interest payable გადახდაზე დარიცხული პროცენტები; ~ interest receivable მიღებაზე დარიცხული პროცენტები; ~ liabilities შესრულების ვალდებულება

acculturation აკულტურაცია, პროცესი, როდესაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა მთელი ჯგუფი იღებს სხვა ჯგუფის კულტურულ ღირებულებებს (ასიმილაცია)

accumulated აკუმულირებული; ~ depreciation ცვეთის რეზერვი; ~ dividend აკუმულირებული დივიდენდი; ~ profit tax აკუმულირებული მოგების გადასახადი

accumulation 1. დაგროვება; აკუმულაცია; 2. გროვა, მასა; 3. ერთსა და იმავე ქონებაზე იურიდიული უფლებების დამთხვევა; 4. კაპიტალის დაგროვება გადაუხდელი დივიდენდების მიერთების გზით

accuracy სიზუსტე, სისწორე; უტყუარობა; maximum ~ მაქსიმალური სიზუსტე; possible ~ შესაძლო სიზუსტე; required ~ აუცილებელი სიზუსტე

accused განსასჯელი

achievement მიღწევა; economic ~s ეკონომიკური მიღწევები; latest ~s უახლესი მიღწევები; level of ~s მიღწევების დონე; ~ motive მიღწევათა მოტივი, სრულყოფილების მოცემული სტანდარტის მიღწევის სურვილი

acid-test ratio კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი (ლიკვიდურობის კოეფიციენტი)

acknowledg(e)ment აღიარება; დადასტურება; დადასტურებული ხელმოწერა; შეტყობინება მიღების შესახებ; direct ~ პირდაპირი დადასტურება; mutual ~ ურთიერთაღიარება; ~ of annexation ანექსიის აღიარება; ~ of

independence დამოუკიდებლობის აღიარება; ~ **with reserve** აღიარება პირობით

acme კულმინაციური წერტილი

acquiesce ჩუმად ან უხალისოდ დათანხმება (მაგ. ხელშეკრულებაზე)

acquirable მიღწევადი

acquire 1. ყიდვა; შეძენა; მიღება; 2. მიღწევა; 3. ფლობა

acquirement 1. შეძენა; (მაგ. ჩვევისა, გამოცდილებისა); დაუფლება (მაგ. ხელობისა); 2. ცოდნა; გამოცდილება; ჩვევა

acquisition ყიდვა, მიღება, შეძენა, მოპოვება; საერთო ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ერთი კომპანიის მეორეს მფლობელობაში გადასვლას; ~ **cost** შეძენის ხარჯები

acquit (of, from) განთავისუფლება (მაგ. გადასახადისაგან); მოხსნა (მაგ. ვალდებულებისა)

acquittance განთავისუფლება გადასახადისაგან

acre 1. აკრი; 2. *pl* მიწები

acronym აკრონიმი, აბრევიატურა

across the board ის, რაც ეხება ყველას ერთდროულად

across-the-board cuts ბიუჯეტის შეკვეცა, რომელიც ყველა პროგრამასა და დეპარტამენტს აკლებს ფონდების ფიქსირებულ რაოდენობას

act 1. საქმე; საქციელი; 2. აქტი, ქმედება; პროცესი; 3. კანონი; დადგენილება; გადაწყვეტილება; 4. აქტი, დოკუმენტი; **action in** ~ სარჩელი ხელშეკრულებიდან; **arbitral** ~ საარბიტრაჟო აქტი; **as per** ~ ხელშეკრულების თანახმად; **breach of** ~ ხელშეკრულების დარღვევა; **civil law** ~ სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება; **collective** ~ კოლექტიური აქტი; **constitutional** ~ საკონსტიტუციო აქტი; **diplomatic** ~ დიპლომატიური აქტი; **evidentiary** ~ დამამტკიცებელი აქტი; **extra-judicial** ~ სასამართლოს გარეშე აქტი; **formal** ~ ფორმალური აქტი; **government** ~ მთავრობის დადგენილება; **illegal** ~ უკანონო აქტი, უკანონო ხელშეკრულება; **individual** ~ ინდივიდუალური აქტი; **internal government** ~ შიგასახელმწიფოებრივი აქტი; **juridical** ~ იურიდიული ქმედება; **lawful** ~ მართლზომიერი ქმედება; **legal** ~ სამართლებრივი აქტი; **legislative** ~ საკანონმდებლო აქტი; **multilateral** ~ მრავალმხრივი აქტი; **normative** ~ ნორმატიული აქტი; **obligatory** ~ სავალდებულლო აქტი; **official** ~ ოფიციალური აქტი; **optional** ~ ფაკულტატიური აქტი; **preliminary** ~**s** წინასწარი ქმედებები; **procedural** ~ პროცესუალური აქტი; **separate** ~ ცალკეული კანონი; **supplementary** ~ დამატებითი აქტი; **to** ~ მოქმედება; **to be bound by** ~ ხელშეკრულებით დაკავშირებული; **to breach an** ~ ხელშეკრულების დარღვევა; **to draw up an** ~ ხელშეკრულების გაფორმება; **to extend an** ~ ხელშეკრულების გაგრძელება; **to perform under an** ~ ხელშეკრულების შესრულება; **to sign an** ~ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა; **uncompleted executory** ~ დაუმთავრებელი ხელშეკრულება; **under** ~ ხელშეკრულებით; **unilateral** ~ ცალმხრივი აქტი, ცალმხრივი ქმედება; ~ **in the line of duty** სამსახურებრივი აქტი; ~ **of a civil nature** სამოქალაქო მდგომარეობის აქტი; ~ **of jurisdiction** იურისდიქციის აქტი; ~ **of parliament** საპარლამენტო აქტი; ~ **of state** სახელმწიფოებრივი

აქტი

acting under dictation კარნახით მოქმედება, როდესაც სტატუსით გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილი პირი ან ადამიანთა ჯგუფი მოქმედებს სხვა ჯგუფის მითითებებითა და კარნახით

action 1. ოპერაცია; მოქმედება; 2. გადაწყვეტილება; დასკვნა; 4. ქმედება, სახელმწიფოს მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი მოცემულ სიტუაციაში; 3. მენეჯმენტი: ქმედება; ~ in act სარჩელი ხელშეკრულებიდან; ~-centered leadership მოქმედებაზე დაფუძნებული ლიდერობა

active 1. აქტიური; 2. ეფექტური; 3. ენერგიული; გაცხოველებული; 4. ზეგავლენა; ზემოქმედება; ქმედება, სახელმწიფოს მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯი მოცემულ სიტუაციაში; 5. ეკონომიურად აქტიური (მოსახლეობის შესახებ); ~ account აქტიური ანგარიში; ~ investor აქტიური ინვესტორი; კაპიტალის ინვესტირების გარდა ამუშავებს, წარმართავს ან ხელმძღვანელობს პროექტს; ~ learning თრენინგის ტექნიკა, რომლის მიხედვითაც მსმენელებს სამთავრობო ორგანიზაციებსა და დეპარტამენტებში სრული დატვირთვით მუშაობის უფლება ეძლევათ; ~ market აქტიური ბაზარი; მრავალრიცხოვანი სავაჭრო ოპერაცია ფასიანი ქაღალდებით; ~ money აქტიური ფულადი საშუალებები; ~ plan მოქმედების გეგმა; მიზნების მისაღწევად საჭირო სპეციფიკური საფეხურების ჩამონათვალი, სადაც მოქმედების გეგმას თან ახლავს განრიგი თითოეული საფეხურისათვის; ~ trade balance აქტიური სავაჭრო ბალანსი

activism აგიტაცია

activity 1. მოქმედება, ქმედება; 2. მოღვაწეობა; ~ charge საბანკო ოპერაციების წარმოების მოსაკრებელი; creative ~ შემოქმედებითი მოღვაწეობა; diversified ~ მრავალმხრივი მოღვაწეობა; econmic ~ ეკონომიკური მოღვაწეობა; external economic ~ გარეეკონომიკური მოღვაწეობა; financial ~ ფინანსური მოღვაწეობა; practical ~ პრაქტიკული მოღვაწეობა; primary ~ ძირითადი საქმიანობა; resumption of ~ ქმედების განახლება; to coordinate ~ ქმედების კოორდინირება; to direct ~s ქმედებათა წარმართვა; to discuss ~ მოღვაწეობის განხილვა; to expand ~ მოღვაწეობის გაფართოება; to increase ~ მოღვაწეობის გააქტიურება; to suspend ~ მოღვაწეობის შეჩერება; trade ~ სავაჭრო მოღვაწეობა; vigorous ~ აქტიური მოღვაწეობა

actor აქტიორი, მოქმედი პირი

actual 1. ფაქტობრივი; ნამდვილი; მოქმედი; 2. თანამედროვე; აქტუალური; ~ cash value რეალური ნაღდი ღირებულება; ~ costing რეალური ხარჯები; ~ investment რეალური ინვესტიციები; ~ normal system რეალურ დანახარჯებზე დაფუძნებული ნორმირების სისტემა; ~ total loss რეალური ზარალის საერთო ჯამი; ~ valuation რეალური შეფასება

actuals არსებული საქონელი; შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს შეძენილი და შემდგომ გაყიდული

actuarial აქტუარიალი; დაზღვევის მეთოდების შესწავლა, ალბათობის ჩათვლით, გამოიყენება იმ პროცესების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მოიცავენ რისკის შეფასებას,

ამ რისკთან დაკავშირებულ ადექვატური დახმარების გაცემასა და დახმარების გაცემის უზრუნველყოფას მომავალში; ~ actuarial equivalent სააღრიცხვო ეკვივალენტი; ~ assumptions 1. აქტუარიალური დაშვება, გამოიყენება აქტუარი გეგმის მოსალოდნელი ხარჯებისა და მოგების დასაანგარიშებლად; 2. სტატისტიკური დაშვებები, რომლებსაც სტატისტიკოსი იყენებს გეგმის მოსალოდნელი ფასებისა და შემოსავლების გამოთვლისას; ~ reserve retirement system სტატიკურად დასაბუთებულ რეზერვზე დაფუძნებული საპენსიო სისტემა

actuary აქტუარი; დაზღვევის სფეროში სპეციალიზირებული პიროვნება, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკის ხარისხს, რეზერვებსა და დივიდენდებს, აწარმოებს სტატისტიკურ კვლევას

acute care 1. სამედიცინო დახმარება მწვავე შემთხვევაში; 2. ხანმოკლე ინტენსიური მკურნალობა, რომელიც საზოგადოდ დაკავშირებულია ჰოსპიტალიზაციასთან; 3. ხანმოკლე დახმარება და მკურნალობა საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში

acyclical აციკლური; თავისუფლად ცვალებადი, რომელიც არ შეესაბამება ეკონომიკურ ცვლილებებს

ad hoc *ლათ.* მხოლოდ ამ შემთხვევაში, ამ მიზნით, სპეციალური; ~committee სპეციალური კომიტეტი; სამუშაო ჯგუფი, შექმნილი სპეციფიური დავალების შესასრულებლად

ad idem იმავე შედეგით

ad litem *ლათ.* სასამართლო პროცესისათვის, სასამართლო პროცესის მსვლელობის დროით

ad referendum *ლათ.* გადაწყვეტილებით

ad valorem *ლათ.* შეფასების თანახმად

adaptable 1. ადვილად შემგუებელი; 2. ცვლილებას შემგუებელი

adaptation 1. ადაპტაცია; შეგუება; შეწყობა; 2. დანერგვა (ახალი ტექნიკისა); 3. გაუმჯობესება, სრულყოფა (ნაწარმისა); ~model ადაპტაციის მოდელი, გარემოს გავლენა ორგანიზაციებზე; ~ of product პროდუქტის ადაპტაცია; ~ supply to demand მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობაში მოყვანა

adapted ადაპტირებული, შეგუებული; ვარგისი

adaptive ადაპტიური; შემგუებლური; ~ management ადაპტიური მენეჯმენტი; ~ model შემგუებლური მოდელი, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პასუხი საერთაშორისო გარემოს მოთხოვნებსა და გავლენაზე

adaptiveness ადაპტაციის უნარი; შემგუებლობა,

addback method უკუდაჯამების მეთოდი

added value დამატებული ღირებულება; ~value tax იხ. value-added tax

addendum „რაღაც დამატებული" (ლათ.); დამატება, დანართი შეთანხმებაზე, კონტრაქტზე ან წერილობით განცხადებაზე; in the form of ~ დამატების სახით

addiction 1. მიდრეკილება; ცუდი თვისება; 2. ნარკომანია

addition 1. დამატება; 2. შემოერთება, შეერთება, მიერთება

additional insured დამატებითი დამზღვევი

address 1. მისამართი; 2. მიმართვა

addressee ადრესატი

addressing company სამისამართო

სიების მიმწოდებელი ფირმა

addressor ადრესატი, გამგზავნი

adequacy 1. შესაბამისობა, ადეკვატურობა; 2. კომპეტენტურობა; ~ of consumer choice სამომხმარებლო შერჩევის ადეკვატურობა

adequate 1. ადეკვატური; ტოლი; 2. სრულიად შესაბამისი; 3. კომპეტენტური

adherence ზედმიწევნითი სიზუსტით შესრულება (მაგ. წესების, კანონების)

adherent მომხრე; ~ of neutrality ნეიტრალიტეტის მომხრე

adhocracy დროებითი ორგანიზაცია, რომელიც არსებობს გარკვეული მიზნის ან მიზანთა ჯგუფის მისაღწევად და იშლება მიზნის მიღწევის შემთხვევაში

adjacent მომიჯნავე, მოსაზღვრე

adjournment დათხოვნა; გადადება; პარლამენტის სხდომათა დროებით შეწყვეტა-შეჩერება განსაზღვრული დროით

adjudication 1. სასამართლოს ან სამედიატორო სასამართლოს გზით კამათის გადაწყვეტა; 2. სასამართლო გადაწყვეტილება; სასჯელი; 3. მისჯა

adjunct account მიერთებული ანგარიში

adjust 1. შეგუება; შეთანხმება; შესაბამისობაში მოყვანა; 2. გასწორება; 3. რეგულირება, წესრიგში მოყვანა; 4. მორგება; to ~ ფასის შემცირება; ~ supply to a current demand მიწოდების მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანა; ~ to a common basis ერთიან ბაზისზე დაყვანა; ~ to common prices გასწორება მიმდინარე ფასების შესაბამისად; ~ upwards გაზრდა, მომატება (ფასისა)

adjustable მორგებადი; რეგულირებადი; თვითრეგულირბადი; ~ peg რეგულირებადი ფიქსაცია; ~ gross income კორექტირებული მთლიანი შემოსავალი; ~ entries მაკორექტირებელი ანგარიშები

adjusted კორექტირებული, რეგულირებული; ~ average per capita cost (AAPPCC) დაგენილი საშუალო; ~ community rate (ACR) დადგენილი საზოგადოებრივი ტარიფი, ფასი, ნორმა; per capita (კაპიტაციური) ფასი; ჯანდაცვის ფინანსური ადმინისტრაციის მიერ Medicare-ს რეციპიენტების ჯანდაცვის ღირებულების გამოთვლის საუკეთესო მახასიათებელი (მომსახურეობისთვის გადახდის (fee-for-service) საფუძველზე) მოცემულ არეალში

adjuster 1. მარეგულირებელი პირი; შემგუებელი; 2. ხელშემწყობი; შესაბამისობაში მომყვანი

adjustment 1. შეგუება (ეკონომიკური); შეგუებადი რეაქცია; თანაფარდობის დადგენა; შესაბამისობაში მოყვანა; გამოსწორება; დადგენა; კორექტირება; კომპენსაცია; 2. რეგულირება, გათანაბრება; 3. მორგება (ანგარიშისა); ~ between demand and supply მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის დადგენა; ~ board შრომითი კამათის გადაწრის კომისია; ~ bond მაკორექტირებელი ობლიგაციები; ~ in labor skills პროფესიული სტრუქტურის რეგულირება; ~ of wage rates მუშათა კვალიფიციური შემადგენლობის ცვლა მოთხოვნის შესაბამისად; ~ of account ანგარიშის შესწორება; ~ of flows of savings and investment თანაფარდობის დადგენა დაგროვებასა და ინვესტიციებს შორის; ~ preferred securities მაკომპენსირებელი პრიორიტეტული ფასიანი ქაღალდები; cost of

living ~ ხელფასის განაკვეთის ცვლილება; cost-prices-output ~ შესწორება (ხელფასზე) სასიცოცხლო მინიმუმის თანახმად; exchange-rate ~ ვალუტის კურსის რეგულირება; interest rate ~ პროცენტის ნორმის რეგულირება; inventory valuation ~ სასაქონლო-მატერიალური ღირებულების გადაფასების შესწორება; par value ~ სავალუტო პარიტეტის გარდაქმნა; price ~ ფასების კორექტირება

admass მას მედიის სისტემატური გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის.

administered price მართვადი ფასი

administrate 1. მართვა (სახელმწიფო დონეზე); ხელმძღვანელობა; 2. სამეურნეო საქმიანობის გაძღოლა

administrated ადმინისტრაციული

administration 1. საქმეთა მართვა; 2. მართვა სახელმწიფო დონეზე; 3. ადმინისტრაცია; 4. სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა 5. *ამერ.* მთავრობა; 6. სამინისტრო; უწყება; 7. ადმინისტრირება; ორგანიზაციული მიზნების მისაღწევი მოქმედებანი. 8. დახმარების აღმოჩენა; მომარაგება; განაწილება; ~ of international development საერთაშორისო განვითარების ადმინისტრირება; ~ pro tempore დროებითი ადმინისტრაცია; bureaucratic ~ ბიუროკრატიული ადმინისტრირება; business ~ სამმართველო, რომელიც დასაქმებულია კერძო საწარმოების და კომპანიების მართვით; central ~ ცენტრალური ადმინისტრაცია; civil ~ სამოქალაქო ადმინისტრაცია; Civil Aeronautics ~ სამოქალაქო ავიაციის სამმართველო (აშშ); Defense Transformation ~ სამხედრო გადაზიდვების სამმართველო; Economic Cooperation ~ რეგიონული ეკონომიკის განვითარების სამმართველო (აშშ); Energy Research and Development ~ ენერგეტიკული კვლევისა და განვითარების სამმართველო (აშშ); fiscal ~ საგადასახადო უწყება, საგადასახადო სამმართველო; Foreign Operations ~ საზღვარგარეთის ოპერაციების სამმართველო; international ~ საერთაშორისო ადმინისტრაცია; local ~ ადგილობრივი მმართველობა; military ~ სამხედრო მმართველობა; minicipal ~ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები; National Aeronautics and Space ~ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო; patent ~ საპატენტო უწყება; penal ~ საპატიმროს ადმინისტრაცია; personnel ~ კადრების სამმართველო; ports ~ პორტების ადმინისტრაცია; postal ~ საფოსტო ადმინისტრაცია; price ~ ფასების რეგულირება; public ~ 1. სახელმწიფო დონის სამმართველო; 2. სახელმწიფო სექტორისა და სახელმწიფო ორგანოების მართვის სფერო; railway ~ სარკინიგზო უწყება; Small Business ~ წვრილ მეწარმეთა ინტერესების დაცვის სამმართველო; tax ~ საგადასახადო უწყება; სამთავრობო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს გადასახადების ამოღებას

administrative ადმინისტრაციული, მმართველი, ხელმძღვანელი; ~ accounting ადმინისტრაციული საბუღალტრო აღრიცხვა; ~ action ადმინისტრაციული ქმედება; ~ by contract მმართვა კონტრაქტით მენეჯმენტის სტილი და კონტროლის ტექნიკა, რომელიც ადგენს შედეგიანობის მინიმალურ დონეს; ~ component ადმინისტრაციული კომ-

პონენტი, ორგანიზაციის პერსონალი, რომელიც ჩართულია ადმინისტრაციის მხარდამჭერ ქმედებებში; ~ control ადმინისტრაციული მართვა; ~ cost ადმინისტრაციული ხარჯები დაკავშირებული დაზღვევის მარკეტინგთან, სამედიცინო განთავსებასთან, აგენტების კომისიებთან, პრემიების შეგროვებასთან, მოთხოვნათა დაზღვევის სარგებელთან, ხარისხის დამტკიცების პროგრამებთან და რისკის მართვასთან; ~ courts ადმინისტრაციული სასამართლოები; ~ dacentralization ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია; ~ discretion ადმინისტრაციული თვალთახედვა, მართვის ძირითადი პრინციპი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული კანონის სხვადასხვა მუხლს; ~ due process ტერმინი, ეხება იმ ადმინისტრაციული კანონის გარკვეულ მუხლებს, რომელთა თანახმად ხელისუფლების ორგანოების ადმინისტრაციული პროცედურები, კერძო პირებთან მიმართებაში უნდა დაეფუძნოს წერილობით მითითებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური უფლებების დაცვას და ხელს უშლის ბიუროკრატიული ძალაუფლების არაადეკვატურ გამოყენებას; ~ ethics ადმინისტრაციული ეთიკა, საჯარო ორგანიზაციების მოქმედების პრინციპები და სტანდრტები; ~ expenses ადმინისტრაციული ხარჯები; ~ institutions ადმინისტრაციული ინსტიტუტები; ხელისუფლების ინსტიტუტები, რომლებიც ზოგადი, პროგნოზირებადი და რაციონალურია და გააჩნიათ ძალაუფლება ადმინისტრაციული მიზნების მისაღწევად; ~ law ადმინისტრაციული კანონი; ~ man ადმინისტრაციული ადამიანი, ~ morality ადმინისტრაციული მორალი, რელიგიური, პოლიტიკური ან სოციალური შეხედულებების გამოყენება იმ კრიტერიუმების შესაქმნელად, რომელთა მიხედვით შეიძლება სახელმწიფო მართვის ხარისხის შეფასება. ჩვეულებრივ, კრიტერიუმებად იყენებენ გულახდილობას, პასუხისმგებლობას, ეფექტურობას, შედეგიანობას, კომპეტენტურობას, სოციალურ თანასწორობასა და დემოკრატიული პროცედურებისადმი ერთგულებას; ~ officer ადმინისტრაციული მუშაკი; ~ Platonism ადმინისტრაციული პლატონიზმი; მიმდინარეობა, რომელიც თვლის, რომ სახელმწიფო მოხელეებმა მაღალი ეთიკური ფასეულობები უნდა გამოიყენონ ბიუროკრატიულ ძალაუფლებაზე კონტროლის საზომად; ~ process ადმინისტრაციული პროცესი, გზა, რომლითაც ხელისუფლება ასრულებს ამოცანებს, იღებს გადაწყვეტილებებს და ასრულებს მათ; ~ reorganization მმართველობის რეორგანიზება; ~ responsiveness ადმინისტრაციული გულისხმიერება, საჯარო მოხელეთა უნარი გაგებით მოეკიდონ როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების ისე საზოგადოების მოთხოვნებს; ~ services ადმინისტრაციული მომსახურება; კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც კომპანია უზრუნველყოფს დამქირავებელთა ადმინისტრაციულ მომსახურებას; ~ Services Only (ASO) მხოლოდ ადმინისტრაციული მომსახურებანი; კონტრაქტი სადაზღვევო კომპანიასა და საკუთარი ფონდის მქონე გეგმას შორის, სადაც სადაზღვევო კომპანია

წარმოადგენს მხოლოდ ადმინისტრაციულ მომსახურებებს და თავზე არ იღებს რისკს. მომსახურებები მოიცავს ისეთ ჩვეულებრივ მოთხოვნათა წარმართვას, როგორიცაა სტატისტიკური ანალიზი, უტილიზაციის განხილვა და ა. შ; ~ Services Organization (ASO) ადმინისტაციული მომსახურების ორგანიზაცია; თვითჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელიც მართავს პენსიების კომპლექსს დაქირავებულთა ჯგუფისათვის. ორგანიზაციაში წარმოდგენილი დიდი მასშტაბის დამქირავებელი ურთიერთობაშია მესამე მხარესთან, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის მომსახურებას, როგორიცაა საჩივრების დამუშავება და ურთიერთობა დაქირავებულებთან. ეს მესამე მხარე შეიძლება იყოს სპეციფიურობის კომპანია ჩამოყალიბებული (ASO) საქმიანობის საწარმოებლად; ~ state ადმინისტრაციული სახელმწიფო, პოლიტიკური სისტემა, სადაც მთავრობა დომინირებს პოლიტიკურ პროცესებზე ბიუროკრატიული სტრუქტურების საშუალებით; ~ unit ადმინისტრაციული ერთეული; ~ task ადმინისტრაციული დავალება, პიროვნების ქმედება, რომელიც მიმართულია საკუთარი პასუხისმგებლობის საკონტროლოდ; ~ technology ადმინისტრაციული ტექნოლოგია, გამოყენებული მენეჯერთა მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების აღსრულების დროს; ~ theory ადმინისტრაციული თეორია; მცდელობა კონცეპტუალურად ჩამოყალიბდეს სახელმწიფო მმართველობის რაობა, მისი გაუმჯობესებისა და ხელისუფლების მიზნების მისაღწევი გზები; ~ responsiveness ადმინისტრაციული გულისხმიერება; by ~ means ადმინისტრაციული წესით; ecological approach to ~ theory ადმინისტრაციული თეორიისადმი ეკოლოგიური მიდგომა; Herbert Simon-ის მიერ შემოთავაზებული ტერმინი, რომელიც აღწერს ოპტიმალურის ნაცვლად დამაკმაყოფილებელ დონეზე მოქმედ მენეჯერს

administrator 1. ადმინისტრატორი, მმართველი ხელმძღვანელი, უფროსი, დირექტორ-განმკარგულებელი; 2. მეურნეობის მმართველი; ზედამხედველობა

admissibility მისაღებობა

admissible დასაშვები, მისაღები

admission 1. დაშვება, შესვლა; 2. აღიარება; 3. დაშვება, ვარაუდი; ~ certification დაშვების სერტიფიკატი; უტილიზაციის სარევიზიო პროგრამა, რომელიც განიხილავს საავადმყოფოში მიღების აუცილებლობას. სერტიფიკატის მიღება შეიძლება საავადმყოფოში მოთავსებამდე ან ძალიან მოკლე პერიოდში საავადმყოფოში მოთავსების შემდეგ. პაციენტის საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობა გარკვეული დიაგნოსტირებული პრობლემის საფუძველზე ჩვეულებრივ დგინდება მიღების დროს სერტიფიკატის განსაზღვრული პროგრამით, სერტიფიცირება ხდება საავადმყოფოში მოთავსებამდე; ~ of guilt ბრალეულობის აღიარება; ~ of liability პასუხისმგებლობის აღიარება; ~s review საავადმყოფოში მოთავსების განხილვა; პაციენტის საავადმყოფოში მოთავსების სამედიცინო აუცილებლობის განხილვა, რომლის შედეგნაც ხდება ავადმყოფის მიღების მომენტში ან ძალიან მოკლე პერიოდში მისი

საავადმყოფოში მოთავსებიდან; ~ temporaire დროებითი იმპორტი; act of ~ აღიარების აქტი; extralegal ~ სასამართლოსგარეშე აღიარება; qualified ~ საკვალიფიკაციო აღიარება; voluntary ~ ნებაყოფლობითი აღიარება

admittance დაშვება; ~ to membership წევრად მიღება

admonition ხელმძღვანელის დისციპლინარული შეგონება, შენიშ-ვნა, რჩევა, გაფრთხილება ან საყვედური თანამშრომლის მიმართ რასაც შეიძლება მოჰყვეს დასჯა ან სანქციები

adopt 1. მიღება; ათვისება; 2. გადაღება (გამოცდილებისა); გადმოღება (მეთოდისა); 3. სესხება (მაგ. სიტყვისა)

adulterate გაყალბება; ფალსიფიცირება; to ~ coinage ყალბი ფულის კეთება

advance 1. (საბანკო საქმე) სესხი; 2. ავანსი, ავანსირება; 3. (ეკონომიკა) ფასნამატი; ფასის ან ღირებულების ზრდა; 4. (ფინანსები) გადახდა ვადაზე ადრე; 5. წინსვლა; წინგასწრება; 6. პროგრესი; წარმატება; გაუმჯობესება სრულყოფა; ~ bill საავანსო ანგარიში; ~ commitment საავანსო ვალდებულება; ~ dating ავანსის გადახდის ვადის გაგრძელება; ~ in guarantee საგარანტიო ავანსი; ~ of funds ფონდების ავანსი; ~ on expenses ავანსი ხარჯებზე; ~ on wages ავანსი; ~ refunding ავანსის ხელმეორე ფინანსირება; ~ subject to refund დასაბრუნებელი ავანსი; bank ~ საბანკო სესხი; cash ~ ფულადი ავანსი; import ~ საიმპორტო ავანსი; in ~ წინასწარ, გადაზე ადრე; monthly ~s on account ყოველთვიური ნაწილობრივი ანაზღაურებები; reimbursable ~ ანაზღაურებადი ავანსი; to grant an ~ ავანსის მიცემა; to transfer an ~ ავანსის გადარიცხვა

advantage 1. უპირატესობა; 2. სარგებელი, ხეირი, გამორჩენა; 3. ხელსაყრელი მდგომარეობა ან გარემოება; equal ~ თანაბარი სარგებელი; financial ~ ფინანსური სარგებელი; general ~ საერთო სარგებელი; on the basis of mutual ~ ურთიერთსარგებლიანობის საფუძ-ველზე; personal ~ პირადი სარგებელი; principle of equal ~ თანაბარი გამორჩენის პრინციპი; to recognize the ~ სარგებლის აღიარება; to take ~ of სარგებლით გამოყენება; ~s-disadvantages outline მიზნის ან თეზისის მთავარი მომენტების გამორჩევა მისი უპირატესობებისა და ნაკლოვანი მხარეების მიხედვით

adventure ავანტიურა; რისკი

adversarial წინააღმდეგობრივი; ~ nature წინააღმდეგობრივი ხასიათი, ბუნება; ~ relationship მეტოქეობრივი ურთიერთდამო-კიდებულება

adverse action სანქცია; თანამდებობიდან დროებითი გადაყენება, დროებითი დაქვეითება ან სამუშაოდან გათავისუფლება, რომლებიც შტატების შემცირებასთან არ არის დაკავშირებული; ~ selection არასასურველი შერჩევა

adverse selection დისპროპორციული შერჩევა; ჯგუფურ ან ინდივიდუალურ პროგრამებში შერყეული ჯანმრთელობის მქონე პირთა მიღება დისპროპორციული წესით, მცირე დაქვითვიან პროექტებში

advertise რეკლამირება; განცხადების მოთავსება

advertisement (ad) სარეკლამო განცხადება

advertising 1. რეკლამა; რეკლამირება;

~ allowance რეკლამაზე ფასდაკლება; ~ campaign სარეკლამო კამპანია; ~ leverage საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლა; ~ media რეკლამის განთავსებისათვის გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; consumer ~ სამომხმარებლო რეკლამა; follow-up ~ განმეორებითი რეკლამა;

advice 1. რჩევა; 2. კონსულტაცია; 3. შეტყობინება; ინფორმაცია; 4. აზრი; განსჯა

advisability მიზანშეწონილობა

advise 1. შეტყობინება; უწყება; 2. რჩევის მიცემა; რ. მიღება; კონსულტაცია

advisor მრჩეველი, კონსულტანტი, რეფერენტი; economic ~ ეკონომიკური მრჩეველი; financial ~ ფინანსური მრჩეველი; general ~ გენერალური მრჩეველი; legal ~ იურიდიული მრჩეველი; military ~ სამხედრო მრჩეველი; technical ~ ტექნიკური მრჩეველი; trade ~ სავაჭრო მრჩეველი

advocacy პროპაგანდა; დაცვა (იდეისა)

advocate 1. ადვოკატი, დამცველი; 2. ქომაგი, მოსარჩლე; მომხრე (შეხედულებებისა, აზრებისა)

affair საქმე, საქმიანობა; current ~s მიმდინარე საქმეები; domestic ~s შინაგანი საქმეები; financial ~s ფინანსური საქმეები; state of ~s საქმეთა ვითარება; to look into the ~ საქმის განხილვა; to put ~s in order საქმეების მოწესრიგება; to settle an ~ საქმის მოგვარება

affiant მოწმე, რომელიც ფიცით ადასტურებს საკუთარ წერილობით ჩვენებებს

affidavit წერილობითი ჩვენებები, წ. მოწმობა

affiliate 1. კოლეგა; კომპანიონი; მონაწილე; 2. ფილიალი; 3. გამოვლენა; 4. წარმომავლობისა და კავშირების დადგენა

affiliation 1. მიერთება; წევრად ან ქვედანაყოფად მიღება; კომპანიის კონტროლქვეშ გადასვლა; 2. წევრობა; 3. შვილად აყვანა; 4. კვალდაკვალ მიყოლა სათავეებთან; კავშირის დადგენა; ~ motive მიკუთვნების მოტივი; McClelland-ის მიერ შემოტანილი ტერმინი, რომელიც აღწერს ადამიანებში არსებულ სოციალური კავშირების, სოციალუ-რი ურთიერთქმედებისა და მეგობრო-ბის მოთხოვნას; ~ needs გაერთიანების მოთხოვნილება; ადამიანის სურვილი, მიეკუთვნოს ჯგუფს და აღიარებული იყოს მისი წევრების მიერ

affirmation 1. განცხადება; რწმუნება, მტკიცება; 2. დადასტურება

affirmative action 1. დადებთი ქმედება; დამსაქმებლის მიერ დანერგილი პროგრამა, რომელიც მოიცავს სპეციფიურ საფეხურებს უმცირესობათა წარმომადგენლობის გასაზრდელად სამუშაო ადგილზე; პოზიტიური ქმედებანი სამსახურეობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ დასაქმების ყველა სფეროში; 2. დადებითი ქმედება, ხელმძღვანელის ღონისძიებანი თანამშრომლის დაქირავების, სამუშაოს შეცვლისა და სერვისზე ორიენტირებული სხვა ქმედებისას, რომელიც მიმართულია სამუშაოზე დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თითოეული თანამშრომლის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად; 3. პოლიტიკა, რომელიც ტარდება წარსულში დაშვებული იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომლებიც გამომდინარეობდა რასობრივი, სქესობრივი ან ნებისმიერი სხვა სახის დისკრი-

მინაციის შემთხვევებიდან

affordability ხელმისაწვდომობა (ფინანსური); პაციენტის მატერია-ლურ-ფინანსური ხელმისაწვდომობა მიიღოს (იყიდოს) სამედიცინო მომსახურება

aftereffect შედეგი (გარკვეული პერიოდის შემდეგ)

after-hours დამატებითი სამუშაო საათები

afterpayment შემდგომი გადახდა, დამატებითი გადახდა

against medical advice სამედიცინო რჩევის წინააღმდეგ; პაციენტთა გაწერის სტატუსი, რომლებიც ტოვებენ საავადმყოფოს პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების შესახებ ცნობაზე ხელის მოწერის შემდეგ, ან ის პაციენტები, რომლებიც ტოვებენ საავადმყოფოს პერსონალის თანხმობის გარეშე

ageing დაბერება; მოძველება; ცვეთა; **natural** ~ ბუნებრივი დაბერება; ~ **of the population** მისახლეობის დაბერება

agency 1. სააგენტო; ორგანიზაცია; ბიურო; წარმომადგენლობა; სამმართველო; საშუამავლო ორგანიზაცია; 2. მოქმედება; საქმიანობა; საშუალება; 3. შუამავლობა, შუაკაცობა; 3. ფაქტორი; საშუალება (შესრულებისა); ~ **debt** სახელმწიფო ვალის ის ნაწილი, რომელიც კანონის მიხედვით შეიძლება ორგანიზაციამ ისესხოს უშუალოდ საზოგადოებრივი ან სხვა ფონდიდან ან ანგარიშიდან. კერძო საწარმოებისა და კომპანიების ვალი არ შედის სახელმწიფო ვალში; ~ **executives** სამთავრობო სააგენტოების დირექტორები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მთავარი აღმასრულებელი დირექტორისა და საკანონმდებლო კომიტეტების მიმართ; ~ **for health care policy and research** ჯანდაცვის პოლიტიკის და კვლევის სააგენტო, რომელიც პასუხს აგებს ჯანდაცვის მომსახურებათა ხარისხის გაუმჯობესებაზე, მართებულობასა და ეფექტურობაზე; ~ **missions** ორგანიზაციის მისია, პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება გარკვეულ ორგანიზაციას ეროვნული მოთხოვნების შესასრულებლად; ~ **policies** სააგენტოს პოლიტიკა, კურსი; **advertising** ~ სარეკლამო სააგენტო; **central** ~ ცენტრალური სააგენტო; **commercial** ~ სავაჭრო სააგენტო; **clearing** ~ საკლირინგო დაწესებულება, ანგარიშსწორების პალატა; **collecting** ~ საინკასო დაწესებულება; **consular** ~ საკონსულო სააგენტო; **credit** ~ საკრედიტო ინფორმაციის სააგენტო; **customs** ~ საბაჟო სააგენტო; **developing** ~ საპროექტო-საკონს-ტრუქტორო ორგანიზაცია; **employment** ~ დაქირავების (შრომითი მოწყობის) ბიურო; **estate** ~ ქონების სააგენტო; **exclusive** ~ განსაკუთრებული უფლებების მქონე სააგენტო, წარმომადგენლობა; **exclusive** ~ განსაკუთრებული უფლებების მქონე; **executive** ~ აღმასრულებელი ორგანო; **government** ~ სახელმწიფო ორგანო; სამთავრობო ორგანიზაცია; **insurance** ~ სადაზღვევო სააგენტო; **international** ~ საერთაშორისო ორგა-ნო, საერთაშორისო სააგენტო; **investigative** ~ გამოძიების ორგანო; **law enforcement** ~ სამართალდამცავი ორგანო; **official press** ~ ბეჭდვის ოფიციალური ორგანო; **oversight** ~ საკონტროლო ორგანო; **patent** ~ საპატენტო ფირმა; **press** ~ ბეჭდვის სააგენტო; **travel** ~ სამოგზა-

ურო ბიურო, ტურისტული ბიურო

agenda 1. დღის წესრიგი; დღის განაწესი; 2. ღონისძიებათა დასახელება; ~ setting განაწესის ჩამოყალიბება, ხელოვნება ან მეცნიერება დღის წესრიგის კონტროლისა მაქსიმალურად ხელსაყრელი შედეგების მისაღწევად; preliminary ~ დღის წინასწარი განაწესი

agent 1. აგენტი, წარმომადგენელი; შუამავალი; ნდობით აღჭურვილი პირი; 2. მოქმედი ძალა; ფაქტორი; გარემო; 3. აგენტი, მზვერავი; ~ de change პარიზის საფონდო ბირჟის აგენტი; ~ direct პირდაპირი აგენტი; ~ exclusive ექსკლუზიური აგენტი; ~ independent დამოუკიდებელი აგენტი; accredited ~ აკრედიტებული აგენტი; administrative ~ ადმინისტრაციული აგენტი; commercial ~ სავაჭრო აგენტი; communications ~ კავშირის აგენტი; consular ~ საკონსულო აგენტი; diplomatic ~ დიპლომატიური აგენტი; exclusive ~ განსაკუთრებული აგენტი; export ~ ექსპორტის აგენტი; general ~ გენერალური წარმომადგენელი; government ~ სახელმწიფო აგენტი; import ~ იმპორტის აგენტი; marine ~ საზღვაო აგენტი; postal ~ საფოსტო აგენტი; secret ~ საიდუმლო აგენტი; sole ~ ერთადერთი აგენტი; to act as an ~ შუამავლობა

agglomeration diseconomies აგლომერაციის ნეგატიური ეფექტი; მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსი, რომელიც წარმოიშობა ადამიანთა დიდი რაოდენობის კომპაქტური განსახლების შედეგად. იხ. აგრეთვე diseconomies of scale; ~ economies აგლომერაციის პოზიტიური ეფექტი; დადებითი ეფექტი, რომელიც წარმოიშობა ადამიანთა დიდი რაოდენობის კომპაქტური განსახლების შედეგად. იხ. აგრეთვე economies of scale

agglomeration გამსხვილება; ინტეგრაცია

aggregate 1. ერთობლიობა; მთელი; 2. საერთო; გაერთიანება; 3. მოგროვება, შეგროვება, თავმოყრა, მასა; ~ data გაერთიანებული მონაცემი, კოლექტიური მონაცემი; ~ demand curve ერთობლივი მოთხოვნის მრუდი; ფასების დონესა და წარმოებულ პროდუქციაზე ერთობლივ მოთხოვნას შორის დამოკიდებულება, განპირობებული სასაქონლო და ფულად ბაზარზე პროცესების ურთიერთკავშირით; ~ demand externality ერთობლივი მოთხოვნის ექსტერნალია; ერთი საწარმოს მიერ ფასების შეცვლით გამოწვეული ზემოქმედება ერთობლივ მოთხოვნაზე; ~ demand მოთხოვნის აგრეგაცია, მოთხოვნის დონე ახლად შექმნილი პროდუქციისა და მომსახურებაზე მთლიანად; ~ economics იხ. სინონიმი macroeconomics; ~ real demand ერთობლივი რეალური მოთხოვნა; ~ supply curve ერთობლივი მიწოდების მრუდი; დამოკიდებულება ფასების დონესა და ყველა საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის საერთო რაოდენობას შორის; ~ supply ერთობლივი მიწოდება; მომარაგების აგრეგაცია, ფირმებისთვის საჭირო შემოსავალი წარმოების არსებული დონის გასაგრძელებლად; economic(al) ~s გაერთიანებული (აგრეგირებული) ეკონომიკური მაჩვენებელი; monetary ~ ფულადი მასის ელემენტთა ერთობლიობა; output ~ ერთობლივი პროდუქტი;

population ~ დასახლებული პუნქტი

aggregation 1. აგრეგაცია; გამსხვილება; 2. დასახლებული პუნქტი; 3. პოლიტიკურ მოთხოვნათა კონვერტაცია ქმედებათა ალტერნატიულ კურსზე; ~ of capital კაპიტალის კონცენტრაცია

aggression 1. აგრესია; 2. აგრესიულობა; 3. უფლებებისა და პრივილეგიების შელახვა; act of ~ აგრესიის აქტი; armed ~ შეიარაღებული აგრესია; flagrant ~ აშკარა აგრესია; ideological ~ იდეოლოგიური აგრესია; indirect ~ ირიბი აგრესია; military ~ საომარი აგრესია

aggressive portfolio აქციებისა და ობლიგაციების ერთობლიობა, რომელიც ჩვეულებრივ ინახება კოტირების გაზრდის შემთხვევისათვის

aggressor 1. აგრესორი; 2. თავდამსხმელი მხარე

agrarian reform აგრარული რეფორმა

agreement შეთანხმება, თანხმობა, ხელშეკრულება; ~ with an option to extend ხელშეკრულება გაგრძელების უფლებით; administrative ~ ადმინისტრაციული შეთანხმება; agency ~ დავალების ხელშეკრულება; appropriate ~ შესაბამისი შეთანხმება; arbitration ~ საარბიტრაჟო შეთანხმება; article of an ~ შეთანხმების მუხლი; auxiliary ~ დამხმარე შეთანხმება; basic ~ ძირითადი შეთანხმება; bilateral ~ ორმხრივი შეთანხმება; binding ~ დავალდებულების ხელშეკრულება; by ~ შეთანხმებისამებრ; collective ~ კოლექტიური ხელშეკრულება; complete ~ სრული შეთანხმება; concessionary ~ კონცესიური შეთანხმება; concluded ~ დადებული ხელშეკრულება; direct ~ პირდაპირი შეთანხმება; draft ~ ხელშეკრულების პროექტი; economic ~ ეკონომიკური შეთანხმება; employment ~ დაქირავების ხელშეკრულება; executive ~ აღმასრულებელი შეთანხმება; financial ~ ფინანსური შეთანხმება; foreign economic ~ გარეეკონომიკური ხელშეკრულება; formal ~ ფორმალური შეთანხმება; general ~ გენერალური შეთანხმება, საერთო შეთანხმება; global ~ მსოფლიო შეთანხმება; implicit ~ ნაგულისხმევი შეთანხმება; industrial ~ სამრეწველო შეთანხმება; interbank ~ ბანკთაშორისო შეთანხმება; interdepartmental ~ უწყებათაშორისო შეთანხმება; intergovernmental ~ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმება; international ~ საერთაშორისო შეთანხმება; invalid ~ ფუჭი შეთანხმება; judicial ~ სასამართლო შეთანხმება; labor ~ შრომითი ხელშეკრულება; leasing ~ ხელშეკრულება არენდაში ჩაბარების შესახებ; licensing ~ სალიცენზიო ხელშეკრულება; local ~ ადგილობრივი შეთანხმება; long-term ~ გრძელვადიანი ხელშეკრულება; long-term trade ~ გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულება; memorandum of ~ მემორანდუმი ხელშეკრულებაზე; military ~ სამხედრო შეთანხმება; monetary ~ სავალუტო შეთანხმება; multilateral ~ მრავალმხრივი შეთანხმება; object of an ~ ხელშეკრულების ობიექტი; one-time ~ ერთჯერადი ხელშეკრულება; oral ~ სიტყვიერი შეთანხმება; package ~ კომპლექსური შეთანხმება; partial ~ ნაწილობრივი შეთანხმება; party to an ~ ხელშეკრულების მხარე; patent ~ საპატენტო ხელშეკრულება; payment ~ საგადამხდელო შეთანხმება; performance of an ~ ხელშეკრულების

რეალიზაცია; preliminary ~ წინასწარი შეთანხმება; provisional ~ წინასწარი შეთანხმება; regional ~ რეგიონალური შეთანხმება; rental ~ ხელშეკრულება არენდაზე; rescission of an ~ ხელშეკრულების ანულირება; salvage ~ გადარჩენის ხელშეკრულება; secret ~ საიდუმლო შეთანხმება; sloppy ~ ჭუჭყიანი, საეჭვო შეთანხმება; special ~ სპეციალური შეთანხმება; standard ~ სტანდარტული შეთანხმება; supplementary ~ დამატებითი შეთანხმება; tacit ~ უსიტყვოდ შეთანხმება; tentative ~ წინასწარი მოლაპარაკება; termination of an ~ ხელშეკრულების გაუქმება; terms and conditions of an ~ ხელშეკრულების პირობები; to come to an ~ მოლაპარაკება; შეთანხმება; to conclude an ~ ხელშეკრულების დადება; to enter into an ~ ხელშეკრულებაში შესვლა; to finalize an ~ საბოლოოდ მოლაპარა-კება; to observe an ~ ხელშეკრულების დაცვა; to ratify an ~ ხელშეკრულების რატიფიცირება; to reach an ~ შეთანხმების მიღწევა; to renew an ~, act or treaty ხელშეკრულების განახლება; to sign an ~ ხელშეკრულების ხელმოწერა; to stipulate by ~ ხელშეკრულებით განპირობება; to terminate an ~ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; to work out ~ თანხმობის შემუშავება; trade ~ სავაჭრო შეთანხმება; trademark ~ ხელშეკრულება სავაჭრო ნიშნებზე; transfer ~ ხელშეკრულება გადაცემაზე; unilateral ~ ცალმხრივი ხელშეკრულება; verbal ~ სიტყვიერი შეთანხმება; wise ~ ბრძნული შეთანხმება; working ~ მუშა შეთანხმება

agribusiness სასოფლო-სამეურნეო ორიენტაცია

agricultural economics სოფლის მეურნეობის ეკონომიკა; ~ parity სასოფლო-სამეურნეო პარიტეტი

agriculture სოფლის მეურნეობა

ahead 1. წინ; 2. წინმსწრები, პროგრესირებადი; ~ of schedule ვადაზე ადრე

aid 1. დახმარება; 2. დამხმარე; თანაშემწე; 3. *pl.* დამხმარე ძალები; დამხმარე საშუალებანი; 4. ინსტრუქცია; 5. დახმარება ფულის, საწარმოო იარაღის, წამლების, სახელმძღვანელოებისა და ა.შ სახით; conditional ~ პირობითი დახმარება; economic ~ ეკონომიკური დახმარება; financial ~ ფინანსური დახმარება; first ~ სასწრაფო დახმარება; ~ for infants and mothers (AIM) დედათა და ჩვილ ბავშვთა დახმარება; სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პროგრამა, დაბალშემოსავლიანი დედებისა და მათი ბავშვების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველ-საყოფად foreign ~ გარეშე დახმარება; government ~ სახელმწიფო დახმარე-ბა; legal ~ სამართლებრივი დახმარე-ბა; ~ to single mothers მარტოხელა დედების დახმარება; ~ to the elderly დახმარება მოხუცთათვის; ~ to underdeveloped countries დახმარება დაბალგანვითარებული ქვეყნებისადმი

air cargo საჰაერო ტვირთი; ~ freight საჰაერო სატვირთო გადაზიდვები

alderman 1. ოლდერმენი; მუნიციპალიტეტის წევრი; 2. *ინგლ.* საგრაფოს საბჭოს წევრი

alien უცხო; უცხოელი, პირი, რომელიც არ არის იმ ქვეყნის მოქალაქე სადაც ცხოვრობს; სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი; ~ company უცხოური კომპანია

alienate გაუცხოება, ზიზღი

alienation 1. გაუცხოება; 2. შემოსავლის ან საკუთრების უფლების გადაცემა სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის; 3. გაუცხოება საზოგადოების ან პოლიტიკის მიმართ

aliquot მთელის ნაწილი; ორგანიზაციის ქვედანაყოფი ან განყოფილება

all-commodity distribution საქონლის გავრცელების მოცულობის გაზომვის მეთოდი მისი ღირებულების ჯამის მიხედვით; ~ rate საერთო ტარიფი

allies მოკავშირენი

allocation 1. დანიშვნა; ასიგნება; 2. განაწილება; გაშლა; 3. ლოკალიზება, ადგილის განსაზღვრა; 4. დეფიციტური რესურსების გამოყოფა; 5. კლასიფიკაცია; budget ~ გადარიცხვები ბიუჯეტში; convertible currency ~ სავალუტო ასიგნებანი; cost ~ პირდაპირი ხარჯების განაწილება; foreign exchange ~ უცხოური ვალუტის განაწილება; materials ~ მასალების სახელმწიფო განაწილება; multistage ~ მრავალსაფეხურიანი განაწილება; optimal resources ~ რესურსების ოპტიმალური განაწი-ლება; proportional ~ პროპორციული განაწილება; resources ~ რესურსების განაწილება; supplementary ~ დამატებითი ასიგნება; undrawn ~s გამოყენებული ასიგნებანი; ~ of the budget ბიუჯეტის ასიგნება; ~ of expenses ხარჯების განაწილება; ~ of funds ასიგნებათა გამოყოფა; ~ of labor სამუშაო ძალის განაწილება; ~ of priorities პრიორიტეტების განაწილება; ~ of space ფართობის გამოყოფა

allocation 1. განაწილება, ალოკაცია; განთავსება; 2. ასიგნება; გადარიცხვა; 3. რესურსების გამოყოფა; 4. განლაგება, კლასიფიკაცია; ~ of charges ხარჯების განაწილება; ~ of labor სამუშაო ძალის განაწილება; ~ of profits მოგების განაწილება; cost ~ პირდაპირი ხარჯების განაწილება

allophian *დემ.* სხვა რასის წარმომადგენელი; უცხოელი

allotment 1. გამოყოფა; განაწილება; დანიშნულება; 2. წილი, ნაწილი; 3. მიწის ნაკვეთი, რომელიც იჯარით გადაეცემა 4. ასიგნება (ბიუჯეტიდან); actual ~ აშშ კონგრესის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებანი

allow უფლების მიცემა, ნების დართვა.

allowable depreciation ნებადართული ამორტიზაცია

allowance 1. დაშვება; გათვალისწინება, მხედველობაში მიღება; შესწორება; 2. ფასჩამოკლება; 3. ფულადი დახმარება; დანამატი (ხელფასზე); 4. დარიცხვა (ზედნადები ხარჯების თანხისა); 5. (ფინანსები) რეზერვი ან სპეციალურად გამოყოფილი თანხები გადაუხდელი სესხების ან ამორტიზაციის უზრუნველსაყოფად; 6. გადასახადით დაუბეგრავი დახმარება, შემწეობა; 7. ფულადი დახმარება; თანხა, რომელიც ვინმეს შენახვას ხმარდება; 8. პორცია; რაციონი, ნორმა; 9. განსხვავება ბრუტო და ნეტო წონებს შორის; 10. (სატრანსპორტო გადაზიდვებში) საქონლის წონის ან ღირებულების შემცირება; 11. დასაშვები გადახრა; ~ method განვლილი ვადების დანაკარგების აღრიცხვა; ~ of credit კრედიტის მიცემა; children's ~ დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს; daily ~ 1. სადღეღამისო რაციონი (ცოცხალი საქონლის); 2. სადღეღამისო დახმარება; installation ~ დახმარება პირ-

ველად მოწყობაზე; investment ~ საგადასახადო შეღავათები კაპიტალის ინვესტირებაზე; living ~ სტიპენდია; provisional ~ დროებითი ანაზღაურება; ration ~ სურსათის ნორმა; standard ~ დროის ნორმატიული დანამატი; standard expense ~ ნორმატიული ხარჯი; subsistence ~ სასიცოცხლო მინიმუმის უზრუნველმყოფი დანამატი; tax ~ შეღავათი გადასახადზე

all-purpose system უნივერსალური სისტემა

all-risks insurance დაზღვევა ყველა რისკის საწინააღმდეგოდ

almoner ქველმოქმედი

alpha ალფა; საერთო ფონდის შერჩევითი რისკის (იგივე, ნარჩენი რისკის) საზომი ბაზართან მიმართებაში; ~ equation ალფა ტოლობა; ფონდის ალფა განისაზღვრება შემდეგნაირად [(ჯამი y)-((b)(ჯამი x))] / n; სადაც n არის დაკვირვებათა რიცხვი (36 თვ.); b არის ფონდის ბეთა; x არის S &P 500-ზე უკუგების ხარისხი; y არის ფონდზე უკუგების ხარისხი

alteration 1. ცვლილება, შესწორება; 2. გადაკეთება, გადაწყობა; 3. დეფორმაცია; territorial ~ ტერიტორიული ცვლილება; ~ of border საზღვრის ცვლილება; ~ of judicial practice სასამართლო პრაქტიკის ცვლილება

altered check შეცვლილი ჩეკი, შესწორებული ჩ.

alternate sponsorship დუბლირებული დაფინანსება

alternative 1. ვარიანტი; ალტერნატივა; 2. ალტერნატიული; ~ budget ალტერნატიული ბიუჯეტი; ~ vote (AV) პროცედურა ისეთი კანდიდატურის ამოსარჩევად, რომელიც უმრავლესობის მართვას შესძლებს; ~ systems ალტერნატიული სისტემები

amalgamate შერწყმა; გაერთიანება (მაგ. საწარმოებისა)

amalgamation 1. გაერთიანება, შერწყმა, გამსხვილება; 2. შერევა; ~ of capital კაპიტალის შერწყმა; intersectoral ~ დარგთაშორისი გაერთიანება;

ambassador 1. ელჩი; 2. შუამავალი, წარმომადგენელი; extraordinary ~ განსაკუთრებული ელჩი; extraordinary and plenipotentiary ~ განსაკუთრებული და სრულუფლებიანი ელჩი; permanent ~ მუდმივი ელჩი; ~ plenipotentiary სრულუფლებიანი წარმომადგენელი

ambition 1. პატივმოყვარეობა; ძალაუფლების სიყვარული; 2. სწრაფვა; 3. უფლების გაცხადება, მოთხოვნა 4. მიზანი; სურვილი; ოცნება; territorial ~s ტერიტორიული მოთხოვნა

ambulatory ამბულატორიული; ~ diagnostic group (ADG) ამბულატორიული დიაგნოსტიკური ჯგუფი; ამბულატორიული ავადმყოფთა კატეგორიზაციის მეთოდი, არსებობს 34 შესაძლო ADG; ~ patient group (APG) ამბულატორიული პაციენტთა ჯგუფი; ანაზღაურების მეთოდოლოგია; ~ care ამბულატორიული დახმარება; სამედიცინო მომსახურება იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ესაჭიროებათ სტაციონარში მოთავსება; ~ care ამბულატორიული დახმარება; სამედიცინო მომსახურება გაწეული ინ პირებისათვის, რომლებ-საც არ ესაჭიროებათ მოთავსება სტაციონარში. პოლიკლინიკურ დაწესებულებაში ჩატარებული ქირურ-

გიული მკურნალობა წარმოადგენს ამბულატორიული დახმარების ერთერთ სახეს. ამ სათაურის ქვეშ ერთიანდება ამბულატორიული მომსახურების ცენტრები, საავადმყოფოებთან არსებული ამბულატორიული განყოფილებები, საექიმო ოფისები და ოჯახის ექიმის სამსახური; ~ care group (ACG) ამბულატორიული დახმარების ჯგუფი; ამბულატორიულ შემთხვევა-ათა კატეგორიებად დაყოფის მეთოდი. არსებობს 51 ორმხრივ ექსკლუზიური ამბულატორიული დახმარების ჯგუფი

amending formula დამატებების ფორმულა, ზოგადი მეთოდი ამა თუ იმ ქვეყნისათვის კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად

amendment 1. გაუმჯობესება, შესწორება; 2. გათავისუფლება (ნაკლოვანებებისაგან); გამოსწორება 3. დამატება; ცვლილება (კანონში, კანონპროექტში); constitutional ~ საკონსტიტუციო ცვლილება; filing of ~s დამატებების მიწოდება; legislative ~ საკანონმდებლო ცვლილება; proposed ~ შეთავაზებული დამატება; to sign an ~ დამატების ხელმოწერა; ~ to an act დამატება კონტრაქტზე; ~ to an agreement ხელშეკრულების შეცვლა; ~ to articles წესდების ცვლილება; ~ to a charter წესდების შეცვლა, წესდების შესწორება; ~ to a constitution კონსტიტუციის ცვლილება; ~ to a decision გადაწყვეტილების ცვლილება; ~ to a law კანონის ცვლილება, კანონის შესწორება; ~ to a protocol დამატება პროტოკოლზე; ~ to a suit სარჩელის ცვლილება

amends დაჯილდოება, ანაზღაურება, კომპენსაცია (მიყენებული ზარალისა)

amenity მოხერხებულობა; მიმზიდველობა; საზოგადო-საჯარო კეთილდღეობა საერთო პირობებიდან გამომდინარე

American Accounting Association (AAA) ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საბუღალტრო აღრიცხვის სფეროში მომუშავე პირებს. წარმოადგენს ამ დარგში არსებულ იდეებს და ხელს უწყობს კვლევით სამუშაოებს

American Bankers Association (ABA) ამერიკელ ბანკირთა ასოციაცია; დაფუძნდა 1875 წელს. ამჟამად შედგება 35 მუშა ჯგუფის, 4 განყოფილების, 7 კომისიის, საბჭოებისა და კომიტეტების დიდი რაოდენობისაგან

American depositary receipts ამერიკული დეპოზიტური ქვითარი; ამერიკის დეპოზიტური ბანკის მიერ გაცემული სერთიფიკატი, რომელიც წარმოადგენს ბანკის მფლობელობაში არსებულ უცხოურ წილს

American Society for Personnel Administration (ASPA) სპეციალისტთა ამერიკული ასოციაცია კადრების მართვის სფეროში

American Stock Exchange (Amex) ამერიკის საფონდო ბირჟა

Americans with Disabilities Act (ADA) აქტი ამერიკელ უუნაროთა შესახებ; ფედერალური კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს, რომ საშუალებები და მომსახურეობანი მისაწვდომი იყოს დროებით და მუდმივად უუნარო პირთათვის; აგრეთვე ადგენს, რომ ფიზიკურად უმწეო პირები არ იყვნენ დისკრიმინირებულნი დასაქმების პრაქტიკაში

American-style option ამერიკული სტილის ოფციონი; ოფციონური

კონტრაქტი, რომელიც შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს შესყიდვისა და მოქმედების ვადის თარიღებს შორის

amicable 1. მეგობრული; 2. მშვიდობიანი; to reach an ~ agreement მეგობრული შეთანხმების მიღწევა; ~ settlement საკითხის გადაჭრა მშვიდობიანი გზით; to settle difficulties in an ~ way სირთულეების დარეგულირება მშვიდობიანი გზით

amnesty ამნისტია; general ~ საერთო ამნისტია; grant of ~ აქტი ამნისტიის შესახებ; to grant ~ ამნისტირება

amortization 1. ცვეთა; ამორტიზაცია; 2. ამორტიზაციური ჩამოწერა

amortize ამორტიზება; ჩამოწერა; დაფარვა (ვალის), განვადებით გამოსყიდვა

amortized loan სესხი, რომელიც იფარება განვადებით

amount 1. რაოდენობა; ოდენობა; 2. ჯამი; თანხა

analysis 1. ანალიზი; გამოკვლევა; დაწვრილებითი განხილვა 2. ბუღალტრული გათვლის მეთოდი; ~ driven ანალიზით მართული; ~ of accounts ანგარიშთა შემოწმება (ანალიზი); break-even ~ უდანაკარგობის ანალიზი; მეთოდი, გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების დროს, რომლიც განსაზღვრავს მდგომარეობას, როცა საერთო შემოსავალი უტოლდება საერთო დანახარჯებს; cohort ~ *დემოგრ.* გრძივი ანალიზი, კოჰორტის მეთოდი; cost-benefit ~ ხარჯებისა და შედეგების ანალიზი; დარგთაშორისი ბალანსის მეთოდით წარმოებული ანალიზი; დარგთაშორისი ანალიზი ხარჯების და შედეგების ანალიზი; cost-effectiveness ~ ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი; demand ~ მოთხოვნის ანალიზი; environmental ~ გარემოს ანალიზი; financial ~ ფინანსური ანალიზი; income-expenditure ~ შემოსავლებისა და გასავლების ანალიზი; long-run ~ ხანგრძლივი პროცესების ანალიზი; short-run ~ მოკლევადიანი პროცე-სების ანალიზი; time-series ~ 1. ანალიზი წარმოებული დინამიკური მწკრივების საფუძველზე; 2. დროე-ბითი მწკრივების ანალიზი; wholesale market ~ კონიუნქტურის ანალიზი

analyst 1. ანალიტიკოსი; ეკონომისტ-ანალიტიკოსი; 2. მკვლევარი-ანალიტიკოსი; საბროკერო ან ფონდის მართვის სამსახურის თანამშრომელი, რომელიც შეისწავლის კომპანიებს და იძლევა რეკომენდაციებს მათი აქციების ყიდვა-გაყიდვის შესახებ

analytical forecasting ანალიტიკური პროგნოზი

anarchism ანარქიზმი, მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს ძალაუფლების ცენტრალიზებულ ფორმას

anarchy ანარქია, პოლიტიკური ძალაუფლების არ არსებობა

ancestor წინაპარი

animal spirits ბრბოს სინდრომი; ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას მასების შემთხვევით წარმოშობილი ოპტიმიზმი ან პესი-მიზმი

annex 1. მიშენება; 2. დანართი, დამატება; to ~ ანექსირება, მიერთება; ~ of minutes of a meeting პროტოკოლის დანართი; ~ to a contract ხელშეკრულების დანართი; ~ to a visa ვიზის დანართი

annexation ანექსიის აქტი, ანექსია, მიერთება; compulsory ~ აუცილებელი მიერთება; territorial ~ ტერიტორიის ანექსია; ~ of territory ტერიტორიის

მიერთება
announcement განცხადება, შეტყობინება, ცნობა; preliminary ~ წინასწარი განცხადება
annual წლიური; ყოველწლიური; ~ capital cost კაპიტალის წლიური ხარჯი; ~ earnings წლიური შემოსავალი; ~ enrollment ყოველწლიური კონტიგენტი; წლიური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაქირავებულს შესაძლებლობა ეძლევა ორმხრივი არჩევანის ან მრავალჯერადი დაზღვევის პროგრამიდან შეარჩიოს ორი ან მეტი გეგმა. ასევე, ეს ტერმინი გამოიყენება იმ პერიოდის დასახასიათებლად, რომლის განმავლობაშიც ჯანმრთელობის შენარჩუნების ფედერალური მთავრობის მიერ განსაზღვრულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ გეგმები, რომლებიც იქნება ხელმისაწვდომი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე იმ ინდივიდებისათვის, რომლებიც არ შედიან ჯგუფის შემადგენლობაში; ~ percentage rate (APR) წლიური საპროცენტო განაკვეთი; ~ report წლიური ანგარიში; სააქციო კომპანიის ფინანსური პირობების წლიური ანგარიში. იგი შეიცავს ფირმის ოპერაციების აღწერას, საბალანსო ფურცელს და დებულებას შემოსავლების შესახებ; ~ statement წლიური დეკლარაცია
annuity 1. ყოველწლიური რენტა; ყოველწლიური შემოსავალი; 2. პენსია; ~ commencement date პენსიის გადახდის დაწყების თარიღი; government ~ სახელმწიფო რენტა; lifetime ~ სამუდამო რენტა; patent ~ საპატენტო შენატანი; temporary ~ დროებითი რენტა; terminable ~ სასწრაფო რენტა; to pay an ~ რენტის გადახდა
annul ანულირება; მოსპობა; to ~ a law კანონის შეცვლა
annulment ანულირება, გაუქმება; განადგურება
answerable პასუხისმგებელი, პასუხისმგებლობის მატარებელი; to make ~ სასამართლო პასუხისგებაში მიცემა
antedate ადრეული რიცხვით დათარიღება
anthropology ანტროპოლოგია
anthropometry ანტროპომეტრია
antibureaucratism ანტიბიუროკრატიზმი, უარყოფითი დამოკიდებულება ბიუროკრატიისადმი
anticipate 1. განჭვრეტა; გათვლა; 2. ლოდინი
anticipated balance ხარჯთაღრიცხვის ბალანსი; ~ interest ხარჯთაღრიცხვის პროგნოზირებადი პროცენტი
anticipation 1. განჭვრეტა; ანტიციპაცია, წინათგრძნობა; პროგნოზი; წინასწარმეტყველება; მოლოდინი; 2 დასწრება, მოსწრება; consumer ~ მომხმარებელთა გეგმები
anticompetitive კონკურენტსაწინააღმდეგო
anti-constitutional ანტიკონსტიტუციური
anti-dumping დემპინგის საწინააღმდეგო, ანტიდემპინგური; ~ legislation დემპინგთან ბრძოლის კანონები
anti-economic ანტიეკონომიკური
anti-governmental მთავრობის საწინააღმდეგო
anti-inflationary ანტიინფლაციური; ~ measures ანტიინფლაციური ღონისძიებები
anti-parliamentary ანტისაპარლამენტო
anti-party ანტიპარტიული
anti-semitism ანტისემიტიზმი

antitrust ანტიმონოპოლური
apartheid აპარტეიდი, მოსახლეობის დაყოფა რასობრივი ნიშნით
apolitical აპოლიტიკური
apology ბოდიში, ბოდიშის მოხდა; პატიება, მიტევება; public ~ საჯარო მობოდიშება
apparatus აპარატი; administrative ~ ადმინისტრაციული აპარატი; bureaucratic ~ ბიუროკრატიული აპარატი; central ~ ცენტრალური აპარატი; government ~ სამთავრობო აპარატი; investigative ~ საძიებო აპარატი; judicial ~ სასამართლო აპარატი; taxation ~ საგადასახადო აპარატი
appeal აპელაცია, ჩივილი; ~s department საჩივრების განყოფილება; ~ to arbitration კასაცია არბიტრაჟში; ~ to the court of cassation საკასაციო გაპროტესტება; კასაცია საკასაციო სასამართლოში; applicant's ~ against განმცხადებლის საჩივარი; court of ~ სააპელაციო სასამართლო; grounds for an ~ საჩივრის დასაბუთება; nature of the ~ საჩივრის არსი; notice of ~ გაფრთხილება გასაჩივრების თაობაზე; order of ~ გასაჩივრების რიგი; right of ~ გასაჩივრების უფლება; subject to ~ გასაჩივრებას დაქვემდებარებული; to ~ აპელირება, გასაჩივრება, გაპროტესტება; to file an ~ აპელაციაზე წარდგენა; without ~ გასაჩივრებას დაუქვემდებარებული
appearance 1. გარეგნული სახე, გარეგნობა; 2. ალბათურობა, დამაჯერებლობა; 3. გამოჩენა, გამოცხადება, გამოსვლა; court ~ სასამართლოში გამოცხადება
appeasement მშვიდობის მიპოვების მიზნით არახელსაყრელ პირობებზე დათანხმება
appendix დანართი
applicable laws ვარგისი კანონები
applicant 1. განმცხადებელი; 2. მთხოვნელი; ~ pool პრეტენდენტთა რეზერვი; იმ პირთაგან შექმნილი ჯგუფი, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად; არამოსარგებლე ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია პაციენტის ჯანდაცვის ხარისხის გასაუმჯობესებლად
application 1. განცხადება განაცხადი; 2. თხოვნა, მიმართვა; 3. გამოყენება; 4. მოთხოვნა; შუამდგომლობა; 5. დადება, დაფარვა; commercial ~ კომერციული გამოყენება; credit ~ საკრედიტო განაცხადი; economic ~ გამოყენება ეკონომიკაში; elaboration of an ~ განაცხადის მომზადება; import ~ საიმპორტო განაცხადი; joint ~ ერთობლივი განაცხადი; legal ~ კანონიერი გამოყენება; object of ~ განაცხადის ობიექტი; on the job ~ სამუშაო ადგილზე გამოყენება; original ~ საწყისი განაცხადი; parent ~ პირველადი განაცხადი; separate ~ ცალკეული განაცხადი; territorial ~ ტერიტორიული გამოყენება; to deny an ~ შუამდგომლობაზე უარის თქმა; to put in an ~ განაცხადის წარდგენა; to renew an ~ მონაწილეობის თაობაზე განაცხადის განახლება; valid ~ ვარგისი განაცხადი; written ~ წერილობითი განაცხადი; ~ for cancellation შუამდგომლობა ანულირების შესახებ; ~ for compensation შუამდგომლობა ზარალის ანაზღაურების შესახებ; ~ for registration შუამდგომლობა რეგისტრაცის შესახებ; ~ of amendments შესწორების შეტანა; ~ of an invention გამოგონების დანერგვა; ~ of legislation კანონ-

მდებლობის გამოყენება; ~ of sanctions სანქციების გამოყენება

applied გამოყენებითი; ~ economics გამოყენებითი ეკონომიკა; ~ psychology გამოყენებითი ფსიქოლოგია; ~ research გამოყენებითი კვლევები

apply incentives მაიძულებელი მოტივების გამოყენება; ხელფასის პროგრესული სისტემის გამოყენება

appoint 1. დანიშვნა; დამტკიცება; 2. მორიგება, შეთანხმება; 3. განკუთვნება; დანიშვნა, დაწესება

appointed დანიშნული, დამტკიცებული, განსაზღვრული; newly ~ ახლად დანიშნული

appointment 1. დანიშვნა (თანამდებობაზე); 2. თანამდებობა, პოსტი, ადგილი; 3. შეხვედრა, პაემანი; ~ to a post პოსტზე დანიშვნა; regular ~ საშტატო თანამდებობა; to receive an ~ დანიშვნის მიღება

apportionment შესაბამისი, პროპორციული განაწილება

appraisal 1. ექსპერტიზა; შეფასება; 2. ქონების ღირებულების შეფასება; 3. შეფასების უწყისი, შეფასებითი დოკუმენტი; 4 ატესტაცია, საქმიანი შეფასება (მუშაკის); 5. აპრობაცია; acceptability ~ ვარგისიანობის შეფასება; economic ~ ეკონომიკური შეფასება; ~ interview შეფასებითი ინტერვიუ, რომლის დროსაც ხელმძღვანელი და თანამშრომელი განიხილავენ ამ უკანასკნელის შედეგებს

appraise შეფასება

appraisement 1. შეფასება; 2. ფასი, ღირებულება, დადგენილი ფასი

appraiser შემფასებელი

appreciation ფასების ზრდა; კოტირების ზრდა

approach 1. მიდგომა; 2. მეთოდი; განხილვა; თეორია; ~-approach conflict კონფლიქტი ორ მიდგომას შორის ad hoc ~ სპეციალური მეთოდი; functions ~ ფუნქციონალური განხილვა; systems ~ სისტემური მიდგომა; effective ~ ეფექტური მიდგომა; creative ~ შემოქმედებითი მიდგომა

appropriate 1. მითვისება, შეძენა; 2. ასიგნება; გამოყოფა (სახსრებისა), ასიგნება; ~ level სათანადო დონე; to ~ money ფულის ასიგნება

appropriation 1. მითვისება; შეძენა; 2. ასიგნება, გამოყოფა; 3. ფულადი სახსრების დაგროვება სახელმწიფო მოხელეთა მიერ სპეციალური, გარკვეული მიზნებისათვის; 4. ასიგნებული თანხები, საშუალებანი; ფონდი; ~ act კანონი, მიღებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინსტიტუტების უფლებას გამოიყენონ სახსრები ხაზინიდან სპეციფიკური მიზნებისათვის; ~ bills ფინანსური კანონპროექტი; ~ from the budget ასიგნებანი ბიუჯეტიდან; ~ of funds ფულადი სახსრების გამოყოფა (ბიუჯეტის მიხედვით); ~ of labor power სამუშაო ძალის მითვისება; ~ of labor time სამუშაო დროის მითვისება; ~ of payments გადახდის მიკუთვნება რომელიმე ვალზე; ~ of surplus value ზედმეტი ღირებულების მითვისება; ~s for capital expenditures ასიგნებანი კაპიტალდაბანდებაზე; ~s for public education ასიგნებანი განათლებაზე; ~s-in-aid ფინანსური სუბსიდიები; advertising ~ სარეკლამო ასიგნება; budgetary ~s საბიუჯეტო ასიგნებანი; capital ~s ასიგნებანი კაპიტალდაბანდებაზე; deferred ~s მომავალ წლებში

გადატანილი ასიგნებანი; **financial ~s** საბიუჯეტო ასიგნებანი; ფინანსური სუბსიდიები; **no-year ~s** ასიგნებანი, რომელთა გამოყენება არ არის წლების მიხედვით შეზღუდული; **original ~s** პირველადი ასიგნება; **personal ~** საზოგადოებრივი მითვისება; **procurement ~** ასიგნებანი შესყიდვებსა და მომსახურებაზე; **procurement ~s** ასიგნებანი შესყიდვებსა და მომსახურებაზე (უმთავრესად სამხედრო დანიშნულების); **special ~s** სპეციალური ასიგნებანი; **supplementary ~s** დამატებითი ასიგნება

approval მოწონება; დამტკიცება; სანქცია; **~ of a government** მთავრობის მოწონება; **~ of a law** კანონის მოწონება; **~ of a letter of intent** განზრახულობის წერილი; **~ of minutes of a meeting** პროტოკოლის მოწონება; **~ of a statute** კანონის მოწონება; **certificate of ~** აქტი მოწონების თაობაზე; **import ~** თანხმობა შემოტანაზე; **practical ~** აპრობაცია; **preliminary ~** წინასწარი მოწონება; **unanimous ~** ერთსულოვანი მოწონება

arbitrage 1. არბიტრაჟი სამედიატორო სასამართლო; 2. საარბიტრაჟო ოპერაცია; 3. არბიტრაჟი, სარგებლობა სხვადასხვა ბაზარზე ნავაჭრი ერთჯერადი ფასიანი ქაღალდების ფასთა სხვაობიდან; **action in ~** არბიტრირება; **bill of exchange ~** სათამასუქო არბიტრაჟი; **note ~** სათამასუქო არბიტრაჟი

arbitrageur ფასიანი ქაღალდებითა და სხვა საქონლით მოვაჭრე დილერი

arbitrary actions თვითნებური ქმედებები

arbitration არბიტრაჟი; **ad hoc ~** შემთხვევითი არბიტრაჟი; **administrative ~** საუწყებო არბიტრაჟი; **chairperson of ~ tribunal** – არბიტრი, თავმჯდომარე; **commercial ~** კომერციული არბიტრაჟი; **compound ~** მრავალმხრივი არბიტრაჟი; **compulsory ~** აუცილებელი არბიტრაჟი; **formal ~** ფორმალური არბიტრაჟი; **international ~** საერთაშორისო არბიტრაჟი; **international trade ~** საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი; **obligatory ~** იძულებითი არბიტრაჟი; **optional ~** ფაკულტატური არბიტრაჟი; **pre-contract ~** წინასახელშეკრულებო არბიტრაჟი; **trade ~** სავაჭრო არბიტრაჟი

arbitrator არბიტრი; **individual ~** ერთპიროვნული არბიტრი; **third party ~** მესამე არბიტრი

archive 1. არქივი; 2. არქივის შექმნა, დაარქივება

arenda 1. არენდა; 2. საერთაშორისო ურთიერთობაში არენდა სამი სახისაა: ჰაირინგი, ლიზინგი, რენტინგი; 3. საარენდო გადასახადი

arguable 1. სადავო; 2. დასამტკიცებელი

argue 1. დავა; 2. მტკიცება

arguendo (*ლათ.*) საქმესთან დაკავშირებული არგუმენტი ან არგუმენტის ნაწილი

argument 1. დამტკიცება; განსჯა; არგუმენტაცია; 2. მოსაზრება; მტკიცება; არგუმენტი; 2. არგუმენტაცია; 3. დისკუსია, კამათი, დავა; 4. მოკლე შინაარსი (წიგნისა); **convincing ~** სარწმუნო მოსაზრება; **irrefutable ~** უდავო საბუთი; **legal ~** სამართლებრივი არგუმენტი; **poor ~** ნაკლებსარწმუნო მოსაზრება; **rebuttal ~s** უარმყოფელი საბუთები; **strong ~** ძლიერი საბუთი; **to make an ~** არგუმენტირება; **to set forth ~s** არგუმენტების წამოყენება; **unconvincing ~**

არადამჯერებელი საბუთი; ~ by the prosecution პროკურორის სიტყვა

armistice ზავი; დროებითი დაზავება; general ~ საერთო დაზავება; local ~ ადგილობრივი დაზავება; short ~ ხანმოკლე დაზავება

arms control კონტროლი შეიარაღებაზე, განიარაღების ერთერთი ალტერნატივა

arrangement 1. მოწესრიგება; განლაგება; კლასიფიკაცია; სისტემატიზაცია; 2. მორიგება, შეთანხმება; 3. გადაწყვეტა (საკამათო საკითხისა); დარეგულირება; 4. საშუალებები, ღონისძიებები; მზადება; 5. გადაკეთება, მორგება; 6. განლაგება, დაგეგმვა; actual ~ შეთანხმება კონტრაქტით; administrative ~s ადმინისტრაციული სტრუქტურა; contract ~s ღონისძიებები კონტრაქტის მიხედვით; final ~ საბოლოო მორიგება; financial ~ ფინანსური შეთანხმება; reciprocal ~ ურთიერთშეთანხმება; temporary ~ დროებითი ღონისძიება; transitional ~s გარდამავალი ხასიათის ღონისძიებები; verbal ~ სიტყვიერი შეთანხმება; working ~s სამუშაო მექანიზმი

array 1. წესი; სტატისტიკური რიგი; 2. განლაგება; მოწესრიგებული თანმიმდევრობა; ~ of financial variables ფინანსურ ცვლადთა ერთიანობა, სიმრავლე; ~ of observations დაკვირვების რიგითობის მოწესრიგება; payoff ~ საგადასახადო მოტივაცია;

arrears გადავადება; ჩამორჩენა; დავალიანება; ვალი; გადაუხდელი თანხა ანგარიშების მიხედვით; to be in ~ დავალიანება; to collect ~ გადავადებული თანხის ინკასირება; ~ to housing ჩამორჩენა საბინაო მშენებლობაში

arrest 1. დაკავება, დატუსაღება, დაპატიმრება; 2. შეჩერება; დაყოვნება; disciplinary ~ დისციპლინარული დაპატიმრება; false ~ უკანონო დაპატიმრება; house ~ შინაპატიმრობა; preliminary ~ წინასწარი პატიმრობა; simple ~ უბრალო პატიმრობა; strict ~ მკაცრი პატიმრობა; to ~ დაპატიმრება; to place under ~ ყადაღის დადება; ~ and custody in detention პატიმრობა ჰაუპთვახტში მოთავსებით; ~ of property ქონების დაკავება

arrogance 1. ამპარტავნობა, მედიდურობა, ქედმაღლობა, ყოყოჩობა; 2. თავდაჯერება

article 1. პუნქტი, პარაგრაფი, სტატია მუხლი; 2. *pl.* ხელშეკრულება, შეთანხმება, თანხმობა; 3. სტატია; 4. საგანი; საქონელი; 5. *pl* წესდება; ~ of export ექსპორტის საგანი; model ~ ტიპიური სტატია; newspaper ~ საგაზეთო სტატია; patented ~ დაპატენტებული ნაკეთობა

articles of agreement ხელშეკრულების, შეთანხმების მუხლები/პუნქტები; ~ of association ასოციაციის ან გაერთიანების წესდება

articulation არტიკულაცია

artocrat არტოკრატი (ხელოვნების ადმინისტრატორი ან მაღალი რანგის მენეჯერი)

as per act ხელშეკრულების თანახმად

assemble აწყობა; დამონტაჟება

assembling მონტაჟი; აწყობა

assembly 1. შეკრება, საზოგადოება; 2. ასამბლეა; 3. *ამერ.* საკანონმდებლო ორგანო; 4. კომპლექტი, ჯგუფი; advisory ~ სათათბირო შეკრება; annual ~ წლიური შეკრება; constituent ~ დამფუძნებელი კრება; consultative ~ საკონსულტაციო ასამბლეა; electoral ~ საარჩევნო შეკრება;

extraordinary ~ რიგგარეშე კრება; Federal ~ ფედერალური ასამბლეა; legislative ~ საკანონმდებლო შეკრება; national ~ ეროვნული კრება; people's ~ სახალხო კრება; plenary ~ პლენარული სხდომა; public ~ საჯარო კრება; regular ~ მორიგი შეკრება; representative ~ წარმომადგენლობითი შეკრება

assembly-line production კონვეირული წარმოება

assented securities შეთანხმებული ფასიანი ქაღალდები

assess 1. შეფასება; განსაზღვრა; 2. დაბეგვრა, დასაბეგრი ქონების შეფასება

assessment 1. ქონების შეფასება დასაბეგრად; 2. დაბეგვრა; 3. გადასახადის სიდიდე; 4. შეფასება, აზრი, განჯა; data ~ მონაცემების შეფასება; final ~ საბოლოო შეფასება; insurance loss ~ სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრა; job ~ სამუშაოს შეფასება; joint ~ ერთობლივი შეფასება; judicial ~ სასამართლოს შეფასება; loss ~ სადაზღვევო ანაზღაურების შეფასება; qualitative ~ ხარისხობრივი შეფასება; quantitative ~ რაოდენობრივი შეფასება; state ~ სახელმწიფო ატესტაცია; tax ~ გადასახადის შეფასება, საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა

assessor 1. *იურ.* მოსამართლის იურიდიული მრჩეველი; 2. ექსპერტი, სასამართლოს კონსულტანტი, კომისიის კონსულტანტი; public ~ სახალხო მსაჯული

assets 1. აქტივები; 2. ქონება; თანხები; კაპიტალი; ფონდები; სახსრები; ~ and liabilities აქტივი და პასივი; ~ turnover აქტივების ბრუნვა; active ~ ბრუნვაში მყოფი სახსრები; admissible ~ ნებადართული აქტივები (რომლებიც ინვესტიციად განიხილება და გამოირიცხება მოგებიდან დაბეგრილი თანხიდან); augmentable ~ ზრდის უნარიანი აქტივები; available ~ თავისუფალი აქტივები; capital ~ იხ. fixed assets; cash ~ ფულადი აქტივები; common property ~ საერთო სარგებლობაში მყოფი რესურსები (მაგ. წყალი, ჰაერი); composite reserve ~ უნივერსალური რეზერვების აქტივები; current ~ 1. საბრუნავი კაპიტალი; საბრუნავი ფონდები; 2. მიმდინარე აქტივები; dead ~ მკვდარი აქტივები (ქონება, საკუთრება, ფასიანი ქაღალდები, რომელთა რეალიზება არ შეიძლება); deffered ~ 1. ანაზღაურებული ხარჯები; 2. მომავალი წლის აქტივები; deflated ~ აქტივების ღირებულება მუდმივი ფასების მიხედვით; depletable ~ ამოწურვადი აქტივები (უმთავრესად ბუნებრივი რესურსები); depreciable ~ ცვეთადი (ექსპლუატაციაში მყოფი) ქონება; doubtful ~ საეჭვო აქტივები; earmarked ~ დაჯავშნული (სარეზერვო) აქტივები; earning ~ საშემოსავლო აქტივები; fictitious ~ არამატერიალური აქტივები (პატენტები, სავაჭრო მარკა); fixed ~ 1. ძირითადი კაპიტალი, ძირითადი ფონდები; 2. ძნელად რეალიზებადი აქტივები 3. რეალური (ძირითადი) კაპიტალი; 4. უძრავი ქონება; floating ~ იხ. current assets; foreign ~ უცხოური აქტივები; frozen ~ გაყინული აქტივები; government ~ სამთავრობო აქტივები; hidden ~ დამალული ძირითადი კაპიტალი; intangible ~ არამატერიალური აქტი-ვები; limited-life ~ საექსპლუატაციო ვადით შეზღ-

უდული საკუთრება; liquid ~ იხ. current assets; long-term ~ ხანგრძლივი აქტივები; miscellaneous ~ სხვა აქტივები; net ~ ნეტო აქტივები; net fixed ~ ძირითადი კაპიტალის ნარჩენი (საბალანსო) ღირებულება; nondistributable ~ განუყოფელი ფონდები; nonreproducible ~ არაკვლავწარმოებადი ქონება; official reserve ~ ოფიციალური სარეზერვო კაპიტალი; overvalued ~ აქტივები გაზრდილი შეფასებითი ღირებულებით; owned ~ საკუთარი აქტივები; permanent ~ იხ. fixed assets; personal ~ მოძრავი ქონება; physical ~ იხ. fixed assets; pledged ~ ბანკში ჩადებული უძრავი ქონება; prepaid ~ ავანსირებული სახსრები, გადახდა ავანსით; property ~ 1.საკუთარი კაპიტალი; 2. იხ. fixed assets; public ~ საზოგადოებრივი აქტივები; real ~ უძრავი ქონება; reproducible ~ აღწარმოებადი აქტივები; risk ~ არალიკვიდირებული აქტივები (გრძელვადიანი ინვესტიციები და გრძელვადიანი სესხები; ცვალებადი კურსის მქონე ფასიანი ქაღალდები); short-term ~ მოკლევადიანი აქტივები; slow ~ იხ. fixed assets; sticky ~ იხ. fixed assets; tangible ~ მატერიალური აქტივები (რეალური ძირითადი კაპიტალი); total ~ ქონების მთლიანი ღირებულება; ბალანსის აქტივის თანხა; transferable (financial) ~ ტრანსფერული (ფინანსური) აქტივები; working ~ იხ. current assets

assign 1. დანიშვნა; 2. ქონებაზე უფლების გადაცემა; 3. ასიგნება; 4. განაწილება

assignability ერთი პირის ან საწარმოს მიერ მეორე პირის ან საწარმოსათვის ქონების გადაცემის შესაძლებლობა

assigned risk რისკი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაზღვეუ-ლი

assignee წარმომადგენელი, უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი

assignment 1. დანიშვნა; 2. ასიგნება; 3. დავალება; მივლინება; 4. მიწერა; 5. გადაცემა, დათმობა (უფლებების); 6. დანიშნულება; საბუთი, რომელიც მოითხოვს ოფციონის გამყიდველისაგან გაყიდოს ან იყიდოს ძირითადი ფასიანი ქაღალდები ოფციონში მოცემული ფასით; ~ of a case საქმის გადაცემა; ~ of a contract ხელშეკრულების გადაცემა; ~ of a logo ლოგოს გადაცემა; ~ of a matter for judicial reconsideration საქმის გადაცემა ახალი სასამართლო განხილვისათვის; ~ of a patent პატენტის გადაცემა; ~ of benefits 1. დახ-მარებების დანიშვნა; პროცედურა, რომლის დროსაც დაზღვეული ავალებს უშუალოდ ჯანდაცვის უზრუნველმყოფელს გადაიხადოს ნებისმიერი დაშვებული დახმარება; 2. სარგებელთა გადანაწილება (დანიშვნა); სამედიცინო სარგებლის გადახდა პირდაპირ ჯანდაცვის მომწოდებლისათვის და არა წევრისათვის. მოითხოვს კონტრაქტს ჯანმრთელობის გეგმასა და მომწოდე-ბელს შორის, ან ხელისმომწერის ხელწერილს მომწოდებლისადმი, რომელიც უფლებას აძლევს ჯანდაცვის მომწოდებელს, წარუდგინოს ანგარიში; ~ of copyright საავტორო უფლებების გადაცემა; ~ of lease არენდაში გადაცემა; ~ of property საკუთრების გადაცემა; ~ of rights უფლებების გადაცემა; import ~ საიმპორტო დავალება; priority ~ პრიორიტეტის მინიჭება; production ~s საწარმოო მიწერილობა; მიწერილობა პრო-

დუქციის მოცულობისა და ასორტიმენტის შესახებ; special ~ სპეციალური დავალება; social ~ სოციალური შეკვეთა, დაკვეთა; unconditional ~ უპირობო გადაცემა

assignment 1. დანიშვნა; 2. ასიგნება; 3. გამოყოფა, განაწილება; 4. დავალება; მიწერა; 5. გადაცემა; დათმობა; 6. დოკუმენტი ქონების ან უფლებების გადაცემის თაობაზე

assignor რწმუნებული, პირი, რომელიც გარკვეულ უფლებას სხვას გადასცემს

assimilation ასიმილაცია, ერთი კულტურის შთანთქმა მეორის მიერ; ~ of minority cultures უმცირესობათა კულტურის ასიმილაცია

assistance დახმარება, შუამდგომლობა; ~ and subsidies ფინანსური დახმარება და სუბსიდიები; ~ to senior citizens ხანდაზმულთა დახმარება; additional ~ დამატებითი დახმარება; administrative ~ ადმინისტრაციული დახმარება; development ~ დახმარება განვითარებისათვის; food ~ სასურსათო დახმარება; legal ~ იურიდიული დახმარება; lifetime ~ მუდმივი დახმარება; military ~ სამხარი დახმარება; monetary ~ ფულადი დახმარება; mutual ~ ურთიერთდახმარება; one-time ~ ერთდროული დახმარება; preliminary ~ წინასწარი დახმარება; social ~ საზოგადოებრივი დახმარება; technical ~ ტექნიკური დახმარება; temporary ~ დროებითი დახმარება; unemployment ~ უმუშევრობის დახმარება;

assistant თანაშემწე, დამხმარე; ~ to the general secretary გენერალური მდივნის თანაშემწე; ~ to the mayor მერის თანაშემწე; ~ to the prosecutor პროკურორის თანაშემწე; ~ to the secretary of state სახელმწიფო მდივნის თანაშემწე

assistant-to თანაშემწე, დამხმარე, მდივან-რეფერენტი

associate 1. საზოგადოების წევრი; 2. თანამონაწილე

association ასოციაცია, საზოგადოება, გაერთიანება; administrative ~ ადმინისტრაციული გაერთიანება; agricultural ~ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება; bankers' ~ საბანკო ასოციაცია; customs ~ საბაჟო გაერთიანება; export ~ საექსპორტო გაერთიანება; foreign trade ~ საგარეო სავაჭრო გაერთიანება; industrial ~ სამრეწველო გაერთიანება; international ~ საერთაშორისო გაერთიანება; joint ~ ერთობლივი გაერთიანება; joint stock ~ საპაიე გაერთიანება; legislative ~ საკანონმდებლო გაერთიანება; national ~ ეროვნული გაერთიანება; open for ~ ღია მიერთებისათვის; ~ plan ასოციაციის გეგმა; გეგმა ჩამოყალიბებული პროფესიული ან სავაჭრო ასოციაციის წევრებისათვის, რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა მიაწოდოს წევრებს ჯგუფური კოეფიციენტები და ჯგუფური მოცვა, რომლის მიღებაც მათ არ შეუძლიათ საკუთარი ძალებით; producers' ~ მრეწველთა ასოციაცია; professional ~ პროფესიული გაერთიანება; regional ~ რეგიონალური ასოციაცია; secret ~ საიდუმლო ასოციაცია; specialized ~ სპეციალიზებული გაერთიანება; trade ~ სავაჭრო ასოციაცია; trade union ~ პროფკავშირული გაერთიანება; trading ~ სავაჭრო გაერთიანება

assortment ასორტიმენტი; დახარისხება

assume პასუხისმგებლობის აღება, კისრება; ~ responsibility საქმის გაძღოლის თავის თავზე აღება; ~ charge of a business პასუხისმგებლობა ბიზ-

ნესში; ~ measures ზომების მიღება

assumed liability მიღებული ვალდებულება

assumption დაშვება

asymetric information ასიმეტრიული ინფორმაცია, ახასიათებს ბაზართა უმეტესობას და გულისხმობს, რომ ბაზრის ერთი ნაწილი მეტად ინფორმირებულია, ვიდრე მეორე, რაც იწვევს რესურსების არათანაბარ დაგროვებას

asymetrical federalism ასიმეტრიული ფედერალიზმი, ფედარაციული მოწყობა, სადაც პროვინციები განსხვავებული პრივილეგიებით სარგებლობენ

atomistic economy ეკონომიკა, რომელიც ხასიათდება წვრილი, დამოუკიდებელი მწარმოებლების კონკურენციით მრეწველობის ყველა დარგში

atomization ატომიზაცია, საზოგადოებაში არსებული დაჯგუფებების დაშლა ინდივიდთა უსაფრთხოებისათვის

attache ატაშე; commercial ~ კომერციული ატაშე; maritime ~ საზღვაო ატაშე; military ~ სამხედრო ატაშე; press ~ პრეს-ატაშე; ~ for cultural affairs კულტურის ატაშე; ~ for financial affairs ფინანსური საკითხების ატაშე .

attachment დატყვევება

attainable standard მისაღწევი სტანდარტი

attendance 1. დასწრება, ყოფნა; 2. აუდიტორია; მაყურებელი, მსმენელი, საზოგადოება; 3. მომსახურება; მოვლა; ~ to customs formalities საბაჟო ფორმალობების შესრულება

attention ყურადღება; ~ factors კომუნიკაციის ელემენტები, რომელნიც უნებლიედ იწვევენ ყურადღებას

attestation დადასტურება, დამოწმება; ~ of authenticity უტყუარობის დადასტურება; ~ of signature ხელმოწერის დადასტურება

attitude 1. პოზიცია, დამოკიდებულება, აზრი; 2. მდგომარეობა, პოზა; 3. მიმართება; ~ of worker მუშათა დამოკიდებულება; ~ survey აზრთა მიმოხილვა; employee ~ მუშათა დამოკიდებულება

attorney ადვოკატი, რწმუნებული; ~ at law სასამართლოს რწმუნებული; იურისტი; —in-fact ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც აქვს სხვა პირის წერილობითი მინდობილობა მისი ინტერესების სასამართლოში წარმოდგენის თაობაზე; —in-record ადვოკატი

attribute 1. ატრიბუტი; ნიშანი; 2. (დამახასიათებელი) თვისება; ~s of empowerment უფლებით აღჭურვილობის ატრიბუტები

attrition 1. ხახუნი; გაცვეთა; 2. გამოფიტვა, დაუძლურება; 3. *დემ.* გადაშენების წესი; ~ of assets აქტივის ღირებულების შემცირება; ~ of capital კაპიტალის ღირებულების შემცირება

auction აუქციონი; ~ of goods სასაქონლო აუქციონი; ~ room სააუქციონო დარბაზი; international ~ საერთაშორისო აუქციონი; public ~ sale საჯარო ვაჭრობა; to buy at ~ აუქციონზე ყიდვა; to sell at ~ აუქციონიდან გაყიდვა;

audience აუდიენცია; public ~ საჯარო აუდიენცია

audit 1. აუდიტი, შემოწმება, რევიზია; 2. ანგარიშების რეგულირება; 3. საბუღალტრო დოკუმენტების შემოწმება; 4. შიგასამეურნეო საქმიანობის ანალიზი; 4. შემოწმე-ბისათვის გამზადებული ბალანსი; ~ of the books

საბუღალტრო რევიზია; ~ trail აუდიტის ჩანაწერი; annual ~ წლიური სამეურნეო საქმიანობის ანალიზი; attitude ~ მომხმარებელთა დამოკიდებულების გამოკითხვა; balance-sheet ~ ბალანსის რევიზია; bank ~ ბანკის ანგარიშის რევიზია; cash ~ სალაროს ნაშთების შემოწმება; design ~ კონსტრუქციის შემოწმება (ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის მიზნით); detailed ~ ანგარიშების, წიგნების, ჟურნალებისა და ჩანაწერების მთლიანი რევიზია; external ~ იხ. independent audit; field ~ გამსვლელი რევიზია; financial ~ ფინანსური რევიზია; general ~ საერთო რევიზია; independent ~ რევიზია გარედან; interim ~ შუალედური ანალიზი; internal ~ შიგა რევიზია; management ~ ხელმძღვანელთა საქმიანობის შემოწმება; preliminary ~ წინასწარი რევიზია; tax ~ გადასახადის დარიცხვის სისწორის შემოწმება; test ~ საცდელი შემოწმება; to ~ შემოწმება; to ~ accounts ბალანსის რევიზია; unscheduled ~ ნაწილობრივი შემოწმება

auditing რევიზიის ჩატარება, რევიზირება

auditor აუდიტორი, რევიზორი, კონტროლერი, ბუღალტერ-რევიზო-რი; general ~ გენერალური აუდიტორი

auditorium აუდიტორია

austerity 1. მკაცრი ეკონომია; 2. *pl.* მკაცრი ზომები (მაგ. სახელმწიფო კანონების გავლენისათვის ეკონომიკაზე)

autarchy ერთპიროვნული მმართველობა; თვითმმართველობა

authentic 1. ნამდვილი, ჭეშმარიტი, დოკუმენტურად დადასტურებული; 2. უტყუარი, სარწმუნო

authentication დოკუმენტის უტყუარობის დადასტურება ან დამოწმება

authenticity აუთენტიურობა; უტყუარობა; ნამდვილობა

authorial საავტორო

authoritarian ავტორიტარული; ~ leadership ავტორიტარული ხელმძღვანელობა; ~ regimes ავტორიტარული რეჟიმი; ~ system ავტორიტარული სისტემა

authoritative 1. ზეგავლენის მქონე; 2. ავტორიტეტული, ნდობის ღირსი; 3. მბრძანებლური

authoritativeness 1. ავტორიტეტულობა; 2. მბრძანებლურობა

authority 1. ძალაუფლება; 2. უფლებამოსილება; 3. ორგანო, მართვა; განყოფილება; სამმართველო; 4. *pl.* ხელისუფლება, ხელმძღვანელობა; ადმინისტრაცია; 5. ავტორიტეტი, წონა, ზეგავლენა; 6. საფუძველი; 7. სანდო წყარო; ~ crisis ძალაუფლების კრიზისი; ~ of the court სასამართლოს ავტორიტეტი; abuse of ~ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; administrative ~ ადმინისტრაციული ორგანო; appropriate ~s შესაბამისი ორგანო; arbitral ~ საარბიტრაჟო ინსტანცია, სამედიატორი ორგანო; civil ~ სამოქალაქო ხელისუფლება; competent ~s კომპეტენტური ხელისუფლება, ორგანო, დაწესებულება; constitutional ~ საკონსტიტუციო ორგანო, უფლებამოსილება; currency control ~ სავალუტო კონტროლის ორგანო; customs ~s საბაჟო ხელისუფლება; delegated ~ დელეგირებული უფლებამოსილება; delegation of ~ ხელისუფლების გადაცემა; executive ~ აღმასრულებელი ხელისუფლება; federal ~ ფედერალური უფლებამოსილება; fiscal ~ ფინან-

სური ორგანო; governmental ~s სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები; hierarchical ~ იერარქიული ძალაუფლება; higher ~ უმაღლესი ორგანო; highest ~ უმაღლესი ავტორიტეტი; housing ~ საცხოვრებელი ორგანო; implicit ~ ნავარაუდები უფლებამოსილება; judicial ~ სასამართლო ხელისუფლება; lawful ~ კანონიერი ხელისუფლება; legislative ~ საკანონმდებლო უფლებამოსილება; level of ~ ინსტანცია; local ~s ადგილობრივი ხელისუფლება; military ~s სამხედრო ინსტანცია, სამხედრო ხელისუფლება; municipal ~s მუნიციპალური ხელისუფლება; mutual ~ ურთიერთშორისი უფლებამოსილება; notarial ~ სანოტარო ორგანო; official ~s ოფიციალური ხელისუფლება; planning ~ საგეგმო ორგანო; policy-making ~ დირექტიული ორგანო; presidential ~ საპრეზიდენტო უფლებამოსილება; price regulating ~ ფასის მარეგულირებელი ორგანო; prosecutorial ~ პროკურორის ორგანო; public ~s სახელმწიფო ხელისუფლება; recourse to superior ~s ზემდგომი ინსტანცია; responsible ~ საპასუხისმგებლო ორგანო; scope of ~ უფლებამოსილების მოცულობა; social welfare ~ სოციალური უზრუნველყოფის ორგანო; statutory ~s ხელისუფლების კანონიერი ორგანოები; superior ~ ზემდგომი ორგანო; supervisory ~ სახელმძღვანელო ორგანო; supreme (executive) ~ უმაღლესი (აღმასრულებელი) ძალაუფლება; supreme ~ უზენაესი ორგანო; tax ~ საგადასახადო ორგანო; to vest someone with ~ პიროვნების აღჭურვა უფლებამოსილებით; written ~ for representation წერილობითი უფლებამოსილება წარმომადგენლობაზე; written ~ წერილობითი უფლებამოსილება

authorization 1. უფლებამოსილებით აღჭურვა, სანქციონირება; 2. ნების დართვა, სანქცია; ~ to pay benefits სარგებლის გადახდის უფლებამოსილებით აღჭურვა; პირობა, მოცემული სამედიცინო დახმარების მოთხოვნის ფორმაში, რომლის მიხედვითაც დაზღვეული უშუალოდ მიმართავს სადაზღვევო კომპანიას გასცეს დახმარება უშუალოდ დახმარების უზრუნველმყოფელზე, რომლის გადასახადების საფუძველზეც შედგენილია მოთხოვნის ეს ფორმა; exclusive ~ განსაკუთრებული ნებართვა; extraordinary ~ საგანგებო ნებართვა; preferential ~ შეღავათიანი საგზური

authorized 1. რწმუნებული; 2. ნებადართული; სანქციონირებული; 3. ავტორიზებული

authorless ავტორის არმქონე, უავტორო, ანონიმური

authorship 1. დასაწყისი, წარმოშობა; წყარო, სათავე; joint ~ ერთობლივი ავტორობა; ~ an invention გამოგონების ავტორობა

autocracy ავტოკრატია; თვითმპყრობელობა; აბსოლუტიზმი ქვეყნის მართვაში

autocrat ავტოკრატი, თვითმპყრობელი

autocratic ავტოკრატული; ~ leadership ავტოკრატული ხელმძღვანელობა; ხელმძღვანელობის სტილი, რომელიც დაფუძნებულია უფლებამოსილებაზე და ბრძანებათა გაცემაზე. ავტოკრატული ხელმძღვანელობა გულისხმობს კონსულტაციების სიმცირეს ან მათ საერთოდ არქონას და ორიენტირებულია უფრო ამოცანებზე, ვიდრე ადამიანებზე

autogestion თვითმმართველობა

automatic ავტომატური; ~ progression ხელფასის ავტომატური გაზრდა დადგენილი დროის ინტერვალების შემდეგ წინასწარ დადგენილი მაქსიმალური დონის მიღწევამდე; ~ stabilizer ავტომატური სტაბილიზატორი; ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმი, რომელიც პოლიტიკის შეუცვლელად ამცირებს ეკონომიკური რხევების ამპლიტუდას; ~ wage adjustment ხელფასის ავტომატური კორექტირება

automatization ავტომატიზაცია

autonomy ავტონომია; თვითმმართველობა (პირისა, ჯგუფისა ან დაწესებულებისა); administrative ~ ადმინისტრაციული ავტონომია; internal ~ შიგა ავტონო-მია; territorial ~ ტერიტორიული ავტონომია

autoreregressive აუტორეგრესია; წინა მონაცემების გამოყენება მომავალი მონაცემების გამოსათვლელად.

autoritarianism ავტორიტარიანიზმი, მმართველობის ისეთი სტილი, სადაც მმართველი უსიტყვო მორჩილებას ითხოვს ხელქვეითებისაგან

autority 1. უფლება; უფლებამოსილება; 2. ადმინისტრაცის, ხელისუფლების ორგანო; 3. ცნობილი სპეციალისტი

auxiliary დამხმარე

avail 1. სარგებელი, მოგება; 2. *pl.* რეალიზაციით მიღებული თანხა; net ~ 1. წმინდა ამონაგები; 2. თამასუჭიდან მიღებული თანხა

availability 1. მისაწვდომობა; ხელმისაწვდომობა; 2. ვარგისობა; გამოსადეგობა; 3. არსებობა; subject to ~ არსებობის შემთხვევაში; ~ of cash ფულის არსებობა; ~ of documentation დოკუმენტაციის არსებობა

available time სასარგებლო სამუშაო დრო

average 1. საშუალო; 2. საშუალო რიცხვი; საშუალო სიდიდე; საშუალო არითმეტიკული; 3. ჩვეულებრივი, ნორმალური; 4. კურსი (ფასიანი ქაღალდებისა); კურსის ინდექსი; 5. აქციის თანდათანობითი შესყიდვა ან გაყიდვა; ~ cost საშუალო დანახარჯი; ~ daily balance საშუალო დღიური ბალანსი; ~ daily census (ADC) საშუალო დღიური აღწერა, სტაციონარული ავადმყოფების საშუალო რიცხვი საავადმყოფოში, რომლებსაც ემსახურებიან ყოველდღე დროის მოცემულ პერიოდში. იმ პაციენტთა სრული რაოდენობა, რომლებიც იკავებენ საწოლს და იღებენ დახმარებას, როგორც სტაციონარული ავადმყოფები ნების-მიერი საშუალო დღის მანძილზე (ახალშობილთა გარდა). საშუალო განისაზღვრება სტაციონარულ ავადმყოფთა აღწერით ყოველდღე განსაზღვრულ დროს (ჩვეულებრივ შუაღამეს) და ამ რიცხვის შეფარ-დებით დღეების რიცხვთან; ~ due date გადახდის საშუალო თარიღი; ~ fixed costs საშუალო ფიქსირებული ხარჯები; ~ gross sales გაყიდვის საშუალო საერთო მოცულობა; ~ haul საშუალო მანძილი; ~ hourly earnings საშუალო საათობრივი ხელფასი; ~ length of stay (ALOS) დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა; პაციენტდღეების საშუალო რაოდენობა მოცემულ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც პაციენტი იღებს სამედიცინო მომსახურებას. დროის საზომად გამოიყენება დღე. ეს არის დღეების საშუალო რიცხვი, რომლის მანძილზეც სტაციონარული ავადმყოფი ყოვნდება ჯანდაცვით დაწესებულებაში, მიეწოდება სამედიცინო მომსახურება და დაცვა დროის მოცემულ პერიოდში. ALOS განი-

საზღვრება ავადმყოფ-დღეთა გაყოფით მიღებათა რაოდენობაზე, ან გაწერების და სიკვდილის შემთხვევათა ოდენობით. ALOS ყველაზე ხშირად განისაზღვრება მოცემულ პერიოდში გაწერილ ავადმყოფ-დღეთა სრული რაოდენობის გაყოფით გაწერილ ავადმყოფთა რაოდენობაზე; ~ load საშუალო დატვირთვა; ~ maturity საშუალო სიმწიფე; საერთო ფონდის მფლობელობაში არსებული აქციების სიმწიფის საშუალო ვადა. რაც მეტია ფონდის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა, მით მეტ გავლენას ახდენს ფონდზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილება; ~ payment rate (APR) საშუალო გადახდის ტარიფი; თანხა, რომელიც HCFA-მ უნდა გადაუხდოს HMO-სა და CMP-ს Medicare-ს სარისკო კონტრაქტის საფუძველზე მყოფ რეციპიენტთა მომსახურეობისათვის. რიცხვი გამოითვლება AAPCC-დან მომსახურეობისათვის, რომელიც მოწოდებულია გეგმის მიერ გაწევრიანების მახასიათებლების მიხედვით. გეგმისათვის გადახდა - ACR ვერასოდეს იქნება უფრო მაღალი, ვიდრე APR, თუმცა შეიძლება იყოს უფრო ნაკლები; ~ selection არაკეთილსაიმედოთა არჩევა; დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით უფრო დაავადებულთა მოზიდვის პრობლემა; ~ propensity to consume მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკი-ლება; მოხმარების მოცულობის ფარდობა შემოსავლის მოცულობა-სთან; ~ revenue საშუალო შემოსავა-ლი; ~ straight-time hourly earnings სუფთა საშუალო საათობრივი ხელფასი; ~ variable cost საშუალო ცვალებადი (არაფიქსირებული) დანახარჯები; ~ wholesale price (AWP) საშუალო საბითუმო ფასი; ჩვეულებრივ გამოიყენება ფარმაცევტულ კონტრაქტებში. AWP ზოგადად განისაზღვრება ინფორმაციის საერთო წყაროსადმი მიმართვის საფუძველზე; assembly ~ მათემატიკური მოლოდინი; საშუალო სიდიდე; conditional ~ პირობითი საშუალო სიდიდე; current ~ მიმდინარე საშუალო სიდიდე; economy-wide ~ ეკონომიკური საშუალო სიდიდე; estimated ~ 1. საშუალო სიდიდის შეფასება; 2. შემოთავაზებული საშუალო სიდიდე; limiting ~ ზღვრული საშუალო სიდიდე; market ~ საშუალო საბაზრო კურსი; national price ~ ფასის საშუალო დონე ქვეყანაში; overall ~ საერთო საშუალო სიდიდე; statistical ~ სტატისტიკური საშუალო სიდიდე; stock price ~ აქციების კურსის ინდექსი; unweighted ~ შეუწონავი საშუალო სიდიდე; weekly ~ ყოველკვირეულად გამოქვეყნებულ აქციათა კურსი

averaging გასაშუალება

avert თავიდან აცილება

avoid 1. თავის არიდება; 2. ანულირება; 3. კონტრაქტის გაუქმება

award 1. ჯილდო, პრემია; 2. დაჯილდოება; პრემიის გაცემა; 3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; 4. გადაწყვეტილება; განაჩენის გამოტანა; 5. დაცვა, დარაჯობა; 6. ასახვა; თავიდან აცილება; 7. შეკვეთის მიცემა; სახელმწიფო შეკვეთა; 8. შეკვეთის დამტკიცება ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შესახებ; arbitral ~ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება; to ~ მინიჭება

awareness არსებულ მოთხოვნილებათა გაცნობიერება

awkward 1. მოუხერხებელი; ძნელი; უხერხული; 2. საშიში (პიროვნების შესახებ)



baby-but *დემ.* შობადობის მკვეთრი შემცირება

back office საბროკერო სახლი, რომელიც ეხმარება, მაგრამ არ ახორციელებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას. შეიცავს ყველა წერილობით დადასტურებას ან გადაწყვეტილებას ვაჭრობის, აღრიცხვის და სარეგულაციო შეთანხმების შესახებ

back pay კომპენსაცია

backdating დათარიღება უკანა რიცხვით

backer სპონსორი

background 1. ფონი; 2. განათლება; კვალიფიკაცია; 3. საწყისი მონაცემები; ~ investigation სამუშაოზე მიღების კანდიდატის განათლებისა და გამოცდილებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმების პროცედურა

backlog დავალიანება; შეუსრულებელი შეკვეთები 2. მარაგი

backtracking სამსახურით უზრუნველყოფის პრივილეგიები ნამსახურები წლების მიხედვით (შტატების შემცირების დროს)

bad loan უიმედო სესხი; გასესხებული თანხა, რომლის უკან დაბრუნება აღარ არის მოსალოდნელი (მაგ., მევალის გაკოტრების შემთხვევაში). ასეთი სესხები მიეკუთვნება ხარჯებს და ჩამოიწერება

badness 1. უხარისხობა; უვარგისობა; 2. არასრულფასოვნება; 3. უზუსტობა; შეცდომა

bail 1. გირაო; თავდები 2. თავდებობა

balance 1. წონასწორობა, ნაშთი; ბალანსირება; 2. თანაფარდობა; 3. დაკმაყოფილება (მაგ. პროდუქციაზე მოთხოვნილებისა); 4. საბუღალტრო ბალანსი; ~ billing საბალანსო ანგარიშგება; მომწოდებლის მიერ პაციენტისთვის ანგარიშის წარდგენის პრაქტიკა ყველა იმ ხარჯისათვის, რომელიც არ არის გადახდილი სადაზღვევო გეგმის მიერ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ხარჯები აღებატება გეგმის UCR-ს და სამედიცინო თვალსაზრისით საჭიროებას არ წარმოადგენენ; ~ budget დაბალანსებული ბიუჯეტი; ~ of account ნაშთი ანგარიშსწორებისას, ნაშთი ანგარიშზე; ~ of payment საგადასახადო ბალანსი; დოკუმენტი, რომელიც ასახავს სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების მიერ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან წარმოებულ ყველა ფინანსურ ოპერაციას; ~ of power ძალაუფლების წონასწორობა, სისტემა, რომელიც აიძულებს სახელმწიფოებს უპირატესობა მიანიჭოს უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას; ~ of terror შიშის წონასწორობა, ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოებს შორის ძალთა წონასწორობა ბირთვული ომის შიშით; ~ of trade სავაჭრო ბალანსი - დროის გარკვეულ პერიოდში საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მოცულობებს შორის სხვაობა; ~ of trade ვაჭრობის ბალან-სი; ~ sheet ბალანსი (საბუღალტრო); ~ sheet ბალანსის აღრიცხვის ფურცელი; ასახავს როგორც პასივებს, ასევე აქტივებს; ~ sheet budget ბიუჯეტური ბალანსი; მოსალოდნელი ან არსებული ფინანსური სტატუსი ფისკალური წლის ბოლოს; ~ theory ბალანსის თეორია

balanced დაბალანსირებული; ~ economic growth დაბალანსებული ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური

ზრდა, რომლის დროსაც მთელ ქვეყანაში დაახლოებით თანაბარი სისწრაფით მიმდინარეობს ყველა სახის საქონლის წარმოება; ~ economy დაბალანსებული ეკონომიკა; ეროვნული საფინანსო სისტემის მდგომარეობა, როცა იმპორტისა და ექსპორტის მოცულობა ერთნაირია; ~ growth equilibrium სტაბილური დაბალანსებული ზრდა

balance-of-payment deficit საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი

ballast ბალასტი; ზედმეტი ტვირთი; გადასაგდები ნივთი

ballot ფარული, საიდუმლო კენჭისყრა; ამ მეთოდით ჩატარებული კენჭისყრა

ban აკრძალვა; კანონგარეშე გამოცხადება

bank 1. ბანკი; საკრედიტო დაწესებულება; 2. ბანკში ფულის შეტანა; საბანკო საქმიანობის წარმოება; 3. ფონდი, მარაგი; ~ accommodation საბანკო სესხი; ~ branch 1. ბანკის ფილიალი; 2. ბანკი, რომელსაც აქვს ფილიალები; ~ call მოთხოვნა ბანკისადმი; სახელმწიფოს მოთხოვნა გარკვეული თარიღისათვის საბანკო საბალანსო უწყისის წარმოსადგენად; ~ for international settlements (BIS) საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი; საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა ბაზელში (შვეიცარია) 1930 წელს. მის ამოცანებში შედის მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცენტრალურ ბანკთაშორისი ურთიერთობის განვითარება, სხვადასხვა მთავრობებს შორის ფინანსური კავშირების გაუმჯობესების გზების დასახვა, აგრეთვე აგენტი-შუამავლის როლის შესრულება გადახდის დროს. მასში წარმოდგენილია ევროპის უმეტესი ქვეყნის, აგრეთვე აშშ, კანადისა და იაპონიის ცენტრალური ბანკები; ~ note საბანკო თამასუქი; ~ overdraft ოვერდრაფტი (კრედიტის გადამეტება), ბანკის დავალიანება; ~ post remittance საბანკო საფოსტო გადაგზავნა; ~ rate საბანკო განაკვეთი; ~ reconciliation შიგა და საბანკო ანგარიშების შესაბამისობაში მოყვანა; ~ reserve საბანკო რეზერვი; ~ run უჩვეულოდ მსხვილი თანხის მოხსნა ანგარიშიდან ბანკის გადახდისუნარიანობაში კლიენტების დაეჭვების გამო; ~ service charge გადახდა საბანკო მომსახურების გამო; ~ statement ამონაწერი საბანკო ანგარიშის მდგომარეობის შესახებ; central ~ ცენტრალური ბანკი; chartered ~ ჩარტერული ბანკი; clearing ~ კლირინგული ბანკი; commercial ~ კომერციული ბანკი; cooperative ~ კოოპერატიული ბანკი; credit ~ კომერციული ბანკი (ევროპაში); creditor ~ ბანკი-კრედიტორი; debtor ~ ბანკი-საკლირინგო პალატის წევრი, რომელსაც გააჩნია დებიტორული სალდო; deposit ~ დეპოზიტური ბანკი; discount ~ სააღრიცხვო ბანკი; European Investment ~ ევროპის საინვესტიციო ბანკი; exchange ~ ბანკი, რომელიც აწარმოებს ვალუტის გადახურდავებას; export import ~ ექსპორტ-იმპორტის ბანკი; Federal Reserve ~ ფედერალური სარეზერვო ბანკები; foreign ~ უცხოური ბანკი; International ~ for Reconstruction and Development ~ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი; International Investment ~ საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი; investment ~ საინვესტიციო ბანკი; issuing ~ საემისიო ბანკი, უფლება-

მოსილი მოახდინოს საკუთარი თამასუქის ემისია, რომელმაც თავისუფლად შეიძლება იბრუნოს ვალუტასთან ერთად. აშშ ფედერა-ლური რეზერვის მხოლოდ 12 ბანკს აქვს საბანკო თამასუქის გამოშვების უფლება; joint stock ~ *ინგლ.* სააქციონერო კომერციული ბანკი; mortgage ~ გირავნობის ბანკი; multinational ~ მრავალეროვნული საერთაშორისო ბანკი; national ~ ეროვნული ბანკი; primary ~ ძირითადი ბანკი; private ~ კერძო ბანკი; reserve ~ სარეზერვო ბანკი; state ~ 1. სახელმწიფო ბანკი; 2. *ამერ.* შტატის ბანკი; trading ~ კომერციული ბანკი; World ~ მსოფლიო ბანკი

banker's acceptance ბანკირის თანხმობა; არაფინანსური ფირმის ინვესტიცია მოკლევადიანი სესხით, რომლის გადახდის გარანტიასაც იძლევა ბანკი

banking power ბანკის მიერ წარმოებულ ინვესტიციათა ინტენსივობა, რომელიც განისაზღვრება საბანკო რეზერვის სიჭარბით

bankrupt გაკოტრებული; გადახდისუუნარო

bankruptcy გაბანკროტება, გაკოტრება

bar 1. შეზღუდვა; დაბრკოლება; 2. ანულირება; შეცვლა; 3. აკრძალვა; 4. ბარი; დახლი; 5. ზოდი; 6. ძელაკი; გისოსი; ~ code უნივერსალური სასაქონლო შტრიხკოდი

bare მინიმალური; უმნიშვნელო; მცირე

bargain 1. სავაჭრო გარიგება; ხელშეკრულება; მოლაპარაკება; 2. იაფად ყიდვა; 3. ხელსაყრელ ფასში გაყიდვა; ვაჭრობა; 4. *pl.* ფასდაკ-ლებული საქონელი; positional ~ ვაჭრობა პოზიციებიდან

barred market აკრძალული ბაზრობა (მოცემული ქვეყნის კანონით გარკვეული პროდუქციის ექსპორტის აკრძალვა)

barring აკრძალვა

barter ბარტერი; საქონლის საქონელზე პირდაპირი გაცვლა

base 1. ბაზა; ბაზისი; საფუძველი; ძირი; 2. ობიექტი; ბაზა; 3. დაფუძნება; ბაზირება; 4. ფონდის დაფუძნება; ~ plan or basic coverage ძირითადი გეგმა ან მოცვის ძირითადი პუნქტები; საბაზისო სამედიცინო დახმარების ნებისმიერი გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ლიმიტირებულ, სტაციონარული, ქირურგიული ან თერაპიული მომსახურების ანაზღაურებას, განსხვავებით იმ ძირითადი სამედიცინო დახმარების გეგმისაგან, რომელიც უზრუნველყოფს ფულად დახმარებას ყოვლისმომცველ სტაციონარულ, ქირურგიულ და თერაპიულ დახმარებაზე; ~ review დეპარტამენტის ან სამინისტროს მიმდინარე საქმიანობის ერთჯერადი ყოვლისმომცველი შემოწმება, რომ გამოვლინდეს რესურსები ახალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; ~ year საბაზისო წელი

base/superstructure ბაზისი, საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი, სუპერსტრუქტურა, ზედნაშენი; სოციალური და იდეოლოგიური კონცეფციები, რომლებიც ეფუძნება ბაზისს

baseline measures ბაზისური მაჩვენებლები; ინტერვენციის წინა მონაცემები. შეგროვილი მონაცემები, გამოყენებული შედარებისთვის, ახალი პროგრამის შედეგების დასადგენად

basic 1. საწყისი; პირველადი; ძირითადი; ფუნდამენტური; 2. საწყისი

ფასი; 3. ნომინალური; ~ decisions ფუნდამენტალური გადაწყვეტილებები; გრძელვადიანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია და ხშირად დაკავშირებული არის დიდ მატერიალურ ხარჯებთან; ~ health services ძირითადი სამედიცინო მომსახურებები; ის აუცილებელი ფულადი დახმარებები, რომლებსაც უნდა სთავაზობდეს მოსახლეობას ფედერალური მთავრობის მიერ რეგისტრირებული ჯანდაცვის ნებისმიერი ორგანიზაცია. ეს მოიცავს პრევენტულ ღონისძიებებს, გადაუდებელ დახმარებას, პოლიკლინიკურ და სტაციონარულ მომსახურებას, დიაგნოსტიკურ ლაბორატორიულ და რადიოლოგიურ სამსახურებს; ~ human needs ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებანი; ~ medical benefits ძირითადი სამედიცინო ფულადი დახმარებები; ~ stock ძირითადი სასაქონლო მარაგი, მუდმივი მოთხოვნილების საქონელი, რომელიც საჭიროებს გარკვეული მარაგის შენარჩუნებას მთელი წლის მანძილზე; ~ wages ძირითადი ხელფასი

basing point pricing ფასწარმოქმნა ადგილმდებარეობის მიხედვით

basis 1. ბაზისი; საფუძველი; 2. ინვესტორის მიერ ფასიან ქაღალდებ-ში გადახდილ ღირებულებას დამატებული ხარჯები ჯიბიდან. გამოიყენება კაპიტალის მოგების ან დანაკარგის განსასაზღვრავად აქციის გაყიდვის შემდეგ საგადასახადო ინტერესებისათვის; ~ point საბაზისო პუნქტი; პროცენტის ერთი მეასედი, რაც წარმოადგენს მინიმალურ საზომ ერთეულს ფინანსებსა და ვაჭრობაში

basket 1. ვალუტების ნაკრები; ფულის კალათა (რომელთა საფუძველზე წარმოებს სავალუტო პარიტეტების ან კურსის გადახედვა); 2. ნაკრები; კომპლექტი

bastard 1. არასტანდარტული; 2. დაბალი ხარისხის; 3. არასრულფასობანი; 4; ბასტარდული

Baumol-Tobin model ბაუმოლ-ტობინის მოდელი; ფულზე მოთხოვნის მოდელი

bear 1. „დათვი"; ინვესტორი, რომელიც თამაშობს ბაზრის შემცირებაზე; „დათვური" ბაზარი არის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც ეცემა აქციათა ფასები, ჩვეულებრივ, 20 და მეტი პრო-ცენტით; 2. *ბირჟ.* სპეკულიანტი ფასდაკლებაზე მოთამაშე; ~ raid „დათვების" რეიდი - სიტუაცია, როდესაც მსხვილი მოვაჭრეები ყიდიან პოზიციებს ფასების დაწევის მიზნით

bed-day საწოლ-დღე; საწოლი, როგორც ჯანდაცვის საშუალება, გამოყენებული სტაციონარულ ავადმყოფთა მიერ მხოლოდ დღის მანძილზე, საჭირო მხოლოდ ნაწილობრივი სტაციონარული მომსახურებისათვის, მაგ. რეაბილიტაციისათვის

beginning საწყისი; ~ balance საწყისი ბალანსი; ~ inventory საწყისი სასაქონლო მარაგი

behavior modeling ქცევის მოდელირება

behavior 1. ქცევა; 2. დამოკიდებულება; 3. მდგომარეობა; 4. განვითარება; მოძრაობა; დინამიკა (მაგ. ეკონომიკური სისტემისა, საბაჟო საქმიანობისა, მოგებისა და სხვ.) control-oriented ~ კონტროლზე ორიენტირებული ქცევა; თანამშრომელთა მისწრაფება მეტი ენერგია დახარჯონ ხელმძღვანელის მიერ გაკონტროლებულ სფეროში და დაზოგონ ენერგია

იმაში, რასაც ხელმძღვანელი ვერ აკონტროლებს

behavioral ქცევითი; ბიჰევიორისტული; ~ economics ბიჰევიორისტული ეკონომიკა; მიდგომა ეკონომიკური კვლევისადმი, რომელშიც გამოიყენება ბიჰევიორისტული მეცნიერებები (ფსიქოლოგია, სოციოლოგია, მენეჯმენტი, გადაწყვეტილებების მიღების თეორია) და მათი შედეგები ეკონომიკური ქცევის ახსნისა და პროგნოზირების დროს

behaviorism ბიჰევიორიზმი

belligerency საომარი მდგომარეობა

beneficiary 1. ბენეფიციარი; 2. მონაწილე, ხელისმომწერი, მომსახურებაზე დამოკიდებული ნებისმიერი პიროვნება, რომელიც გათვალისწინებულია დაქირავებულის ფულადი დახმარებას გეგმის პირობებით; 3. დაზღვეულის მიერ დაზღვევის პოლისში მითითებული პირი, რომელიც მიიღებს ფულად ანაზღაურებას დაზღვეულის სიკვდილის შემდეგ; 4. პირი, რომელიც ფულად დახმარებას იღებს უბედური შემთხვევის ან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გეგმის მიხედვით; 5. ტერმინი, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს მთავრობა და აღნიშნავს წევრს პროგრამა „CHAMPUS"-ის მიხედვით 6. მოსარგებლე; ინდივიდი, რომელიც იყენებს ან შეუძლია გამოიყენოს სადაზღვევო სარგებელი, რომელიც აგრეთვე მოიცავს ჯანდაცვის სადაზღვევო სარგებელსაც, სადაზღვევო კონტრაქტის საფუძველზე; cash ~ ფულადი დახმარება; death ~ დამზღვევის გარდაცვალების შემთხვევაში მიღებული სადაზღვევო თანხა; social insurance ~ დახმარება სოციალური დაზღვევის სახით

benefit 1. მოგება; სარგებელი; სარფა; გამორჩენა; ხეირი; 2. სარგებლიანობა; ვარგისობა; 3. პენსია; დახმარება; 4. *pl.* შეღავათები (საგადასახადო სისტემაში); პრივილეგიები; უპირატესობა, მიღებული გარკვეული პირის მიერ; 5. ფულადი დახმარება; თანხა, რომელსაც დამზღვევი უხდის პრეტენდენტს (მოსარჩლეს), წარმომადგენელს ან ბენეფიციარს ჯგუფური კონტრაქტში მოცემული მომსახურების სახეების თითოეული კომპლექსის მიხედვით; 6. ეკონომიკური ეფექტი; ~ package დახმარების პაკეტი 1. მომსახურების ის სახეები, რომლებსაც დამზღვევი სთავაზობს ადამიანთა ჯგუფს. მაგ.: წამლებზე დახმარება, რომელიც ემატება ძირითადი სამედიცინო მომსახურებაზე ანაზღაურებას და განიხილება როგორც დახმარების სხვა პაკეტი. 2. დახმარება, რომელიც უნდა უზრუნველყოს კონტრაქტის პირობების მიხედვით პასუხის-მგებლობის მატარებელმა პირმა; ~ payment schedule სარგებლის გადასახადთა სია; ~ period სარგებლის პერიოდი; პერიოდი; ~ segmentation სეგმენტაციის ხერხი (როდესაც კრიტერიუმის საფუძველია საქონლის ან მისი თვისების გამოთვლილი სარგებლიანობა); ~ waiting period დახმარების მოლოდინის პერიოდი; ~ year დახმარების (სარგებლის) წელი; კანონით განსაზღვრული დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში ადამიანს აქვს უფლება სახელმწიფო-საგან მიიღოს დახმარება უმუშევრობისათვის; cash ~ ფულადი დახმარება; marginal social ~ ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელი; medical ~

სამედიცინო დახმარება; **medicare** ~s ამერ. ავადმყოფობის შემთხვევაში გაცემული სახელმწიფოს დახმარება (სადაზღვევო პროგრამიდან); **public assistance** ~ სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის დახმარება; **retirement** ~ მოხუცებულობის პენსია; **sickness** ~ ავადმყოფობის პენსია; **unemployment** ~ უმუშევრობის დახმარება

benefits დახმარებები (სარგებელი); ჯანდაცვის გეგმის მიხედვით გადასახდელი თანხის რაოდენობა სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებისთვის

benevolence კეთილგანწყობა

benevolent-authoritative leadership style კეთილგანწყობილად მბრძანებლური ლიდერობის სტილი

best 1. საუკეთესო; 2. ოპტიმალური; მეტად სარგებლიანი

beta (stocks) ბეტა (აქციების); აქციათა რისკის ზომა ბაზასთან მიმართებაში; ~ **equation (stocks)** აქციათა ბეტა ტოლობა; ~ **equation (mutual funds)** საერთო ფონდების ბეტა ტოლობა; ~ **mutual funds** საერთო ფონდების ბეტა

better 1. გაუმჯობესება; 2. გადამეტება

bias 1. გადახრა; 2. მიდრეკილება; მიკერძოება; 3. ზეგავლენა; 4. ირიბი მიმართულება

biased მიკერძოებული

bid 1. ფასის შეთავაზება; მყიდველის მიერ ფასის შეთავაზება; 2. დანამატი ფასზე; 3. ვაჭრობა; 4. შეკვეთა, განაცხადი; 5. პრეტენზია; მაძიებლობა; **best** ~ საუკეთესო შეთავაზება - შეთავაზებული ფასი შეიძლება არ იყოს ყველაზე დაბალი ან ყველაზე მაღალი, მაგრამ ხელს აძლევს კომპანიას; **competitive** ~ საკონკურსო შეთავაზება - შეთავაზებული ფასი მიღებულია საჯაროდ გაკეთებული განცხადებით კონკურსის შესახებ; **international** ~ საერთაშორისო ვაჭრობა; **last** ~ უკანასკნელი შეთავაზებული ფასი; **lower** ~ წამგებიანი შეთავაზებული ფასი; **sealed** ~ დახურული შეთავაზება; შეთავაზება ფასისა, რომელიც საიდუმლოდ ინახება გარკვეულ დრომდე, როცა სხვა დანარჩენი წინადადებები განიხილება

bidder პიროვნება, რომელიც სთავაზობს ფასს; ვაჭრობის მონაწილე; ფირმა, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საქონლის მიწოდებაზე

bidding 1. ფასის შეთავაზება; დანამატი ფასზე (აუქციონზე); 2. ვაჭრობა; 3. წინადადება კონტრაქტის დადებაზე; ~ **up** ფასის მატება

bilateral 1. ორმხრივი; ბილატერალური; 2. ორმხრივ მიმართული; ~ **agreement** ორმხრივი შეთანხმება; ~ **aid** ორმხრივი დახმარება; ~ **contract** ორმხრივი ხელშეკრულება; ~ **monopoly** ორმხრივი მონოპოლია; მდგომარეობა, როცა არსებობს გარკვეული სახის პროდუქციის ან მომსახურების მხოლოდ ერთი მყიდველი, ხოლო შეთავაზების გაკონტროლება ხდება ერთი გამყიდველის მიერ; ~ **trade** ორმხრივი ვაჭრობა; ~ **assistance** დახმარების გაწევა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე - ერთი ქვეყნის მიერ მეორის დახმარება პირდაპირ და არა საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად გაეროს) გზით

bilateralism ორმხრივი ურთიერთობის პრინციპი; ხელშეწყობის რეჟიმის შექმნა (ვაჭრობაში) ორმხრივ საფუძველზე

bilk 1. გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება; 2. მოტყუება; თაღლი-

თობა

bill 1. სავაჭრო კონტრაქტი; დეკლარაცია; 2. გადახდის მოთხოვნა, გაწეული მომსახურების ან გაყიდული საქონლის გადახდის ანგარიში; 3. დადანაშაულება; სასარჩელო განცხადება; სარჩელი; 4. თეატრის ან კონცერტის პროგრამა; 5. საბრალდებო აქტი; 6. ქაღალდის ფულადი კუპიურა; 7. თამასუქი; 8. სია; ინვენტარი; 9. დოკუმენტი; 10. მოწმობა; 11. საჩივარი, თხოვნა; 12. ბეჭდიანი დოკუმენტი; რეცეპტი; ~ **discounted** დისკონტირებული თამასუქი; ~ **of capacity** მოწმობა მწარმოებლურობის შესახებ; ~ **of credit** საშუალებათა მიღების მინდობილობა; 1. კერძო პირის მიერ ბანკში გაგზავნილი წერილობითი მინდობილობა, რომელშიც დაფიქსირებულია მისი თხოვნა ამ დოკუმენტის წარმომდგენისათვის გარკვეული თანხის საკუთარი ანგარიშიდან გადაცემის თაობაზე; 2. დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება აშშ-ს ცალკეულ შტატში ვალუტის შემცვლელად; ~ **of entry** საბაჟო დეკლარაცია; ~ **of exchange** თამასუქი (გადასაყვანი); დანახარჯი

bind 1. (კანონით) დავალდებულება; 2. შეკვრა; შებოჭვა

bipolarity ბიპოლარობა, ძალის განაწილება ორ სახელმწიფოს შორის საერთაშორისო წონასწორობის დასამყარებლად

black შავი; ~ **market** შავი ბაზარი; ~ **marketeer** შავ ბაზარზე მოვაჭრე; ~ **money** შავი ფული (უკანონო ოპერაციით ნაშოვნი თანხა); ~ **payment** დაუბეგრავად გადახდა

blockade ბლოკადა, ფლოტის ქმედებები მტრული ქვეყნისათვის პროდუქტის მიწოდების აღსაკვეთად

blow-off-top ბლოუ-ოფ-ტოპი; ფასების მკვეთრი და სწრაფი ზრდა, რასაც მოჰყვება მისი მკვეთრი და სწრაფი დაცემა

Blue Cross ლურჯი ჯვარი; დამოუკიდებელი, მოგებაზე არ მომუშავე ჯანმრთელობის სადაზღვევო კორპორაცია, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას საავადმყოფოს მომსახურეობის და ზოგიერთ პოლისში, ქირურგიული და პროფესიული მომსახურეობის ფასებისაგან

blueprint 1. პროგრამა; გეგმა; პროექტი; 2. დაგეგმვა; დაპროექტება; პროგრამის შედგენა

blunder 1.მძიმე შეცდომა; უხეში შეცდომა; ცდომილება; 2. *სტატ.* მკვეთრად გადახრილი (განსხვავებული) მნიშვნელობა

board 1. მართვის ორგანო; დეპარტამენტი; კომიტეტი; სამინისტრო; 2. კვება; პანსიონი; ~ **eligible** საბჭოსათვის შესაბამისი; ექიმი, რომელიც შეესაბამება სპეციალობის საბჭოს გამოცდას იმის გამო, რომ დამთავრებული აქვს შესაბამისი სამედიცინო სასწავლებელი, გავლილი აქვს განსაზღვრული ხანგრძლივობისა და ტიპის მომზადება და განსაზღვრულ პერიოდში ეწეოდა პრაქტიკას. ზოგიერთი ჯანდაცვის ორგანიზაცია იღებს საბჭოს დასტურს შესაბამისობაზე, როგორც საბჭოს სერტიფიკატის ექვივალენტს; ~ **certified** საბჭოს მიერ სერტიფიცი-რებული; ექიმი ან ჯანდაცვის სხვა პროფესიონალი, რომელმაც გაიარა სამედიცინო სპეციალობის საბჭოს გამოცდა და მიიღო ამ საბჭოსგან მოცემულ დარგში სპეციალისტის სერტიფიკატი

bond 1. ობლიგაცია; დოკუმენტი (ფასიანი ქაღალდი), რომელიც ადასტურებს გარკვეული თანხის სესხად აღებას (როგორც წესი სახელმწიფოს ან კორპორაციის მიერ) განსაზღვრული პროცენტით; 2. ობლიგაციის გამოშვება; 2. კავშირი; ბმა; შეერთება; 4. ჩაჭიდება; დამაგრება; — **debt** ობლიგაციის განსაზღვრული სესხი

bonus დაჯილდოება; პრემია; ბონუსი; დამატებითი დათმობა; დამატებითი დივიდენდი; დამატებითი დაჯილდოება; **annual** ~ წლიური პრემია; **quality** ~ ხარისხის პრემია; **task** ~ მიზნობრივი პრემია

book 1. წიგნი, ანგარიშთა წიგნი, საბუღალტრო წიგნი; 2. პაკეტი; 3. შეკვეთა; 4. რეზერვირება, დაჯავშნა; **account** ~ საბუღალტრო წიგნი, ს. ჟურნალი, ს. რეგისტრი, ს. უწყისი; **balance** ~ საბუღალტრო ბალანსის წიგნი; **log** ~ აღრიცხვის ჟურნალი

bookkeeper ბუღალტერი; მოანგარიშე

bookkeeping საბუღალტრო წიგნების წარმოება; საბუღალტრო აღრიცხვა

booklet პროსპექტი, ბროშურა, ბუკლეტი

boom 1. ბუმი; აყვავება; სწრაფი აღმავლობა; 2. ხმაური; რეკლამირება; **building** ~ სამშენებლო ბუმი; **consumer** ~ სამომხმარებლო ბუმი; მოხმარების სწრაფი ზრდა

boon 1. კეთილმოწყობა; ხელსაყრელი პირობები; 2. სარგებლიანობა; 3. უპირატესობა

boost 1. სტიმულირება; სტიმული; ხელშეწყობა; დახმარება; 2. (ფასის) გაზრდა, მომატება

booster კომერციული საქმიანობის სტიმულატორი

borrow 1. სესხის მიღება; 2. სესხის აღება

borrowing სესხი; კრედიტი; **domestic** ~ შიგა სესხი; **external** ~ საზღვარგარეთიდან მიღებული სესხი; **nonfederal** ~ ადგილობრივი ხელისუფლების სესხი

boss 1. ბოსი, ხელმძღვანელი; უფროსი; 2. ხელმძღვანელობა; მართვა

bottleneck რესურსის სიმცირე

bottom-up management მენეჯმენტი ქვემოდან; მენეჯმენტის ფორმა, დაფუძნებული უფლებამოსილების დელეგაციურ მექანიზმზე, ყველა დასაქმებულის მონაწილეობით

bound 1. ზღვარი; საზღვარი; 2. შემოსაზღვრა

boundary 1. საზღვარი; ზღვარი; კიდე; 2. სასაზღვრო; 3. *pl.* საზღვრები, შემოსაზღვრული ტერიტორია, სადაც ხორციელდება სახელმწიფო იურისდიქცია

bounty წამახალისებელი პრემია, სუბსიდია; საექსპორტო პრემია (წარმოებისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით)

boycott უკმაყოფილების ორგანიზებული გამოხატვა (მაგ., კრებაზე გამოუცხადებლობა ან რომელიმე ფირმის პროდუქციის შეძენაზე უარის თქმა)

bracket 1. ჯგუფი, კატეგორია (მაგ. მოსახლეობის ჯგუფი გადახდისუნარიანობის მიხედვით)

brainpower მეცნიერ-მუშაკები, სამეცნიერო კადრები

brainstorming ბრეინსტორმინგი; აზრთა ჭიდილი; პრობლემების გადასაწყვეტი ჯგუფური პროცედურა; საკითხების გადაჭრის მეთოდი, რომელშიც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მონაწილეობენ

brake 1. შეზღუდვა; დამუხრუჭება;

2. ხელის შეშლა

branch 1. სფერო; დარგი; 2. განყოფილება; ფილიალი; 3. შტო

brand 1. ხარისხი, სახე; 2. საფაბრიკო მარკა, დამღის დადება, ნიშანდება, მარკირება

branding საქონლის სავაჭრო მარკით უზრუნველყოფა

breach (ურთიერთობათა) შეწყვეტა; ~ of act ხელშეკრულების დარღვევა

breadwinner ოჯახის მარჩენალი

break 1. შესვენება (მუშაობისას); 2. მტვრევა; მსხვრევა; 3. გაკოტრება; to ~ down გაკოტრება

breakage 1. მსხვრევა; მტვრევა; 2. ნგრევა; 3. დანაწევრება (სტრუქტურულ ერთეულებად); დაყოფა; 4. ნგრევით მიყენებული ზარალი

breakdown 1. დაყოფა, დანაწილება; გახლეჩა; 2. მტვრევა, მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა, გაფუჭება; 3. კრახი; კრიზისი (ეკონომიკური)

break-in ექსპლუატაციაში გაშვება; ამოქმედება

breaking even საქმის უდანაკარგოდ წარმოება

breakout აფეთქება; გახლეჩა, დაყოფა, ფასიანი ქაღალდების ფასების ზრდა მდგრადობის ზღვარის ზემოთ ან დაცემა, შენარჩუნების ზღვარის ქვემოთ

breed 1. ჯიში (საქონლისა); 2. გამოზრდა; გაშენება

breeding 1. მოშენება; 2. გამოკვება; 3. სელექცია

bribe 1. ქრთამი; 2. მოქრთამვა; ქრთამის მიღება

bribery 1. მოსყიდვა; მოქრთამვა; 2. ამომრჩეველთა მოსყიდვა

bridge 1. ხიდი; 2. დაბრკოლების გადალახვა; სიძნელის დაძლევა

briefing ინსტრუქტაჟი; ამოცანის დასმა; საინსტრუქციო თათბირი; ბრიფინგი

bright ხელსაყრელი (ვითარება, გარემოება); სასიკეთო

broad ფართო; ~ band system ფართო დიაპაზონის სისტემა; ~ career opportunities კარიერის ფართო შესაძლებლობები, პერსპექტივები; ~ duties ფართო მოვალეობები, ვალდებულებები

broadband pay system ფართო დიაპაზონის ანაზღაურების სისტემა

broadcast ban რაიმე საქონლის რეკლამის აკრძალვა (მაგ. თამბაქოს ნაწარმისა)

broadcast შეტყობინებეთა გადაცემა

brokage 1. ქრთამი თანამდებობის მისაღებად; 2. თანამდებობებით ვაჭრობა

broker ბროკერი, დაზღვევის ლიცენზირებული პროფესიონალი, რომელიც არის დაზღვეულის წარმომადგენელი სადაზღვევო მოცვის მიღებისას. იგი განსხვავდება იმ აგენტისგან, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის ინტერესებს

budget 1. ბიუჯეტი, საშუალებები; ასიგნება, საფინანსო ხარჯთაღრიცხვა, ბიუჯეტში გათვალისწინება, ასიგნება; 2. რესურსების კოორდინაციის გეგმა; 3. მარაგი, დონე; ~ constraint საბიუჯეტო შეზღუდვა; დანახარჯების შეზღუდვა შემოსავლების შესაბამისად; ~ deficit საბიუჯეტო დეფიციტი; შემოსავლებთან შედარებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გადაჭარბება; ~ heads/titles ბიუჯეტის სტატიები, სადაც აღნიშნულია სპეციალური თანხა ამა თუ იმ პროგრამების, ქმედებებისა და აშ. (მაგ. ხელფასებისა); ~ surplus საბიუჯეტო ნამატი; ხარჯვით ნაწილთან შედარებით

ბიუჯეტში შემოსავლების გადაჭარბება; ~ variance ბიუჯეტის სხვაობა; სხვაობა შემოთავაზებულ და რეალურ ხარჯებს შორის; ~ year საბიუჯეტო წელი; administrative ~ ადმინისტრაციული საფინანსო ნუსხა; balanced ~ დაბალანსებული ბიუჯეტი; balance sheet ~ ბიუჯეტური ბალანსი; consolidated cash ~ სალაროს შეერთებული ბიუჯეტი; federal ~ ფედერალური ბიუჯეტი; overhead ~ ზედნადები ხარჯების საფინანსო გეგმა; President's ~ ამერ. საბიუჯეტო გეგმა, პრეზიდენტის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი; state ~ 1. სახელმწიფო ბიუჯეტი; 2. ამერ. შტატის ბიუჯეტი; unbalanced ~ დეფიციტური ბიუჯეტი; voted ~ საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი

budgetary საბიუჯეტო; ბიუჯეტისა; ~ aid საბიუჯეტო დახმარება, სახელმწიფოსათვის გაწეული ფინანსური დახმარება წლიური ბიუჯეტის ბალანსირებისათვის

budgeting ბიუჯეტირება, ბიუჯეტის შედგენა; ფინანსური დაგეგმარება და რესურსების განსაზღვრა; ხარჯთაღრიცხვის შედგენა

buffer states ბუფერული სახელმწიფოები, ორ ძლიერ სახელმწიფოს საზღვრებს შორის მოქცეული სუსტი სახელმწიფო

buildup 1. რეკლამა; 2. დაგროვება; მატება; 3. ფორმირება; 4. გაშლა; გაფართოება; defense ~ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის დაჩქარება; performance ~ ტექნიკურ მახასიათებელთა გაუმჯობესება

bulk 1. მასა, მოცულობა; 2. უდიდესი ნაწილი; 3. დიდი დაუხარისხებელი ტვირთის პარტია

bull 1. ხარი; ინვესტორი, რომელიც ფიქრობს, რომ ბაზარი აიწევს; 2. *ბირჟ.* სპეკულანტი, მომატებაზე მოთამაშე; 3. წარმატება; ზრდის პერსპექტივის ქონა; ~ market „ხარის" ბაზარი, რომელსაც გააჩნია ზრდის მდგრადი ტენდენცია

bulletin ბიულეტინი; საინფორმაციო ფურცელი

bullish მზარდი

bumping ხანგრძლივი სამუშაო სტაჟის მქონე პირთა სამუშაოთი უპირატესი უზრუნველყოფა (შტატების შემცირების შემთხვევაში)

bunch 1. ჯგუფი; კამპანია; 2. კონა; შეკვრა; 3. წიაღისეულის ბუდე

bunching კონცენტრაცია

bundle 1. შეკვრა; ნაკრები; 2. ასორტიმენტი; 3. კონა; ფუთა; შეკვრა

bureau 1. ბიურო (მსხვილი სახელმწიფო ქვედანაყოფი სამინისტროს ტიპისა); 2. განყოფილება; კომიტეტი

bureaucracy ბიუროკრატია

bureaucracy ბიუროკრატია; ორგანიზაციის ფორმა, სადაც რეგულაცია და კონტროლი დომინირებს. ორგანიზაციის ფორმა, დაფუძნებული ლოგიკაზე, სისტემებსა და წესებზე

bureaucrat ბიუროკრატი

bureaucratic politics ბიუროკრატიული პოლიტიკა

burnout გამოფიტვა; მდგომარეობა, სადაც ადრე კეთილსინდისიერი მშრომელები აღარ არიან ეფექტურნი და მუშაობა კარგავს აზრს

business 1. ბიზნესი; საქმე; საქმიანობა; ვაჭრობა; კომერცია; 2. მეწარმეობა; 3. სავაჭრო ოპერაციები; 4. გარიგება; ~ concentration ბიზნესის კონცენტრაცია, რამდენიმე ფირმის ხელში მოქცეული ეკონომიკა, ან გასაღების ბაზარი; ~ credit კომერციული კრედიტი - გადასახადების გადავადების

უფლება იმ კლიენტებისათვის, რომლებიც თავად არიან საქონლის ან მომსახურების გამყიდველები; ~ cycle სამრეწველო (ეკონომიკური) ციკლი; დროის ნებისმიერი ინტერვალი, რომელიც მოიცავს ეკონომიკური აღმავლობისა და დეპრესიის მონაცვლეობით პერიოდებს; ~ ethics საქმიანი ეთიკა; ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები, რომლებიც მოსახლეობასთან ურთიერთობის დროს გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ მეწარმეებზე და განაპირობებენ გარკვეული ფასეულობებისა და ეთიკური პრინციპების შენარჩუნებას; ~ expenses კომერციული ხარჯები; ~ fixed investment საქმიანი ინვესტიციები ძირითად ფონდებში - მოწყობილობები და შენობა-ნაგებობები, რომლებიც შეძენილია საწარმოს მიერ მომავალში წარმოებაში გამოსაყენებლად; ~ game ბიზნეს-თამაში; რეალური ბიზნეს-სიტუაციის იმიტაცია; ~ interruption insurance დაზღვევა კომერციული საქმიანობის შეწყვეტისას; ~ logistics კომერციული ტვირთების ნაკადების მართვა; ~ manager კომერციული დირექტორი; ~ plan ბიზნესის გეგმა; საქმიანი წარმოების გეგმა

businesslike 1. საქმიანი; 2. საქმიანად

businessman ბიზნესმენი; კომერსანტი; მსხვილი მეწარმე; საქმოსანი; კომერციული ნიჭის მქონე პროფესიონალი

bust 1. მტკიცე; 2. ძლიერი; 3. მძიმე

buying-in საბაუქციონო გაყიდვიდან საქონლის მოხსნა

buyout კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვა

byeffect თანამდევი ეფექტი; თანამდევი მოვლენა

byproduct თანაპროდუქტი; თანამდევი პროდუქცია

by work დამატებითი სამუშაო

bylaw 1. წესდება; დებულება; შინაგანაწესი (ფირმისა, საწარმოსი); 2. *pl.* ადგილობრივი კანონები (დადგენილებები); კანონიერი დოკუმენტი, ფორმულირებული მოგებაზე არამომუშავე ორგანიზა-ციის ხელმძღვანელობის მიერ, ეს დადგენილებები მართავს ორგანიზაციის სტრუქტურასა და ფუნქციებს

byway 1. უმოკლესი გზა; 2. გვერდის ავლა; 3. ნაკლებად შესწავლილი უბანი



cabal 1.პოლიტიკური ხროვა; 2. შეთქმულება; ხრიკების მოწყობა

cabbalistic კაბალური (მაგ. ხელშეკრულება)

cabinet მინისტრების რეგულარული შეხვედრა, რომელიც უფლებამოსილია მთავრობის სახელით მიიღოს გადაწყვეტილებები და რომელსაც მთავრობის ხელმძღვანელი თავმჯდომარეობს

cadastre კადასტრი; საადგილმამულო წიგნები; **land** ~ მიწის კადასტრი (სისტემატური კრებული ამა თუ იმ ქვეყნის მიწის რესურსების შესახებ)

cadastrel კადასტრული; ~ survey საკუთრების კადასტრული აღწერა

cadre *pl.* პირადი შემადგენლობა; კადრები; შტატი

cafeteria plan გეგმა „cafeteria"; დახმარების პროგრამა, დაფინანსებული დამქირავებლის მიერ, რომელიც თანახმად შიგა შემოსავლების კოდექსისა დაქირავებულებს სთავაზობს არჩევანს დასაშვებ, დაბეგვრად

დახმარებებსა და ისეთ არადასაბეგვრად სამედიცინო და ქონების დაზღვევას შორის, როგორიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა, შვებულების ანაზღაურება, საპენსიო გეგმები და ბავშვებზე ზრუნვა

caliber ხარისხი; ღირსება

calibration 1. შემოწმება; 2. სტანდარტიზაცია; დაეტალონება; 3. მახასიათებლის აღება

call option ყიდვის ოფციონი; კონტრაქტი, რომელიც შესყიდვის უფლებას აძლევს (მაგრამ არ ავალდებულებს) ოფციის მფლობელს, ხოლო გამყიდველს ავალდებულებს გაყიდოს ქვემდებარე აქციების განსაზღვრული რაოდენობა მოცემული ფიქსირებული ფასით, კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე

cambist სავალუტო ოპერაციების სპეციალისტი, კამბისტი

cameralism კამერალიზმი, ქვეყნის ფინანსური მართვის სისტემა ცენტრალურ ევროპაში მე-17-ე და მე-18-ე სს.

campaign 1. კამპანია, კამპანიის ჩატარება; 2. ბირჟის სპეკულანტების ფიქციური აქციების კურსზე გავლენის მოხდენის მიზნით; **advertising** ~ სარეკლამო კამპანია

cancellation 1. წაშლა; 2. ანულირება; 3.უარის თქმა

canvasser მთვლელი; აღმრიცხველი;

canvassing 1. გამოკითხვის შედეგად საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრა; 2.შეკვეთების დაგროვება

capability 1. უნარიანობა; 2. *pl.* შესაძლებლობა; 3. მაქსიმალური შრომის ნაყოფიერება; ~ **to perform** პროდუქციის წარმოების უნარი; მომსახურების გაწევის უნარი; **management** ~**ies** მმართველობის უნარი; **mobilization material procurement** ~**ies** მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესაძლებლობანი მობილიზაციის პირობებში

capacity 1. საპასპორტო ტექნიკური სიმძლავრე; დასაშვები დატვირთვა; მწარმოებლურობა; გამომუშავება; ნომინალური სიმძლავრე; საწარმოო სიმძლავრე; 2. უნარი; 3. გამტარუნარიანობა; 4. ტევადობა; **daily** ~ სადღეღამისო წარმადობა; **defense** ~ თავდაცვის უნარიანობა; **delivery** ~ გამტარუნარიანობა; **financial** ~ ფინანსური შესაძლებლობანი

capital 1. კაპიტალი; ფონდები; 2. საწარმოო სიმძლავრეებისა და დანადგარების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირებისა და მარკეტინგისათვის; 3. ფინანსური საშუალებანი, რომელთა მიზანია დანადგარების, შენობა-ნაგებობების შეძენა; 4. საწარმოში ჩადებული თანხები; 5. (საბუღალტრო აღრიცხვა) გრძელვადიანი ვალისა და საწარმოს მფლობელთა ძირითადი კაპიტალი; ~ **assets** ძირითადი კაპიტალი, ფონდები, საშუალებანი; ~ **account** კაპიტალური ანგარიში; **salvage** ~ ნარჩენი კაპიტალი; 1. კაპიტალის დაგროვების მოცულობა, რომლის დაფინანსება წარმოებს უცხოური წყაროებიდან; 2. სხვაობა შიგა ინვესტიციებისა და შიგა დანაზოგების მოცულობებს შორის; ~ **assistance** კაპიტალდახმარება, ფულადი დახმარება; ~ **budget** ბიუჯეტი, რომელშიც პუნქტებადაა წარმოდგენილი ახალ მშენებლობასა და წარმოების საშუალებების შეძენაზე დაგეგმილი ხარჯები. ამასთან, მითითებულია ამ ხარჯების

გადახდის წყარო; ~ deepening ერთ მუშაზე კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდა; ~ expenditure კაპიტალური დანახარჯები; გარკვეულ პერიოდში ხანგრძლივი აქტივების (მაგ., საკუთრება, ქარხანა, მოწყობილობა) შესაძენად ან გასაუმჯობესებლად; ~ flight კაპიტალის გადაადგილება, გადანაცვლება, ერთი ქვეყნიდან მეორეში არახელსაყრელი ეკონომიკური ან პოლიტიკური პირობების გამო კაპიტალის მასიური გადატანა; ~ formation კაპიტალის ფორმირება; კაპიტალის მოზიდვა, დაგროვება, ჩამოყალიბება; ძირითადი კაპიტალის ზრდა; ~ gain კაპიტალური მოგება; ~ gain or loss მოგება ან წაგება კაპიტალზე; ~ goods წარმოების საშუალებები; ~ intensive კაპიტალტევადი; დარგის დახასიათება, რომლის ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ნედლეულისა და დანადგარების ღირებულება (საპირისპირო შემთხვევაში დარგს ახასიათებენ როგორც შრომატევადს (labour intensive); ~ liability ვალდებულებები კაპიტალისადმი; ძირითადი ფონდების გაზრდისა და დაფინანსებისათვის ფიქსირებული ვალდებულებები; ~ loss კაპიტალური დანაკარგი; როდესაც ფასიანი ქაღალდები იყიდება ღირებულებებზე ნაკლებად და გაყიდვა წამგებიანია; ~ market ფასიანი ქაღალდების ბაზარი; ~ of circulation საბრუნავი კაპიტალი; ~ outlay კაპიტალის ავანსირება, კაპიტალური დანახარჯები; ~ rating საწარმოს კაპიტალის რეიტინგი; ~ rationing ყველაზე უგრო მომგებიანი ინვესტიციების განსაზღვრა; ~ requirement წარმოების კაპიტალმოცულობა; ~ stock სააქციონერო კაპიტალი; ~ sum ძირითადი თანხა; ~ surplus ჭარბი კაპიტალი; ~ turnover კაპიტალბრუნვა; ~ unit კაპიტალის ელემენტი; ~ consumption ძირითადი კაპიტალის მოხმარება, დანადგარების (ძირითადი ფონდებისა) ცვეთა; —intensive კაპიტალტევადი; ფონდტევადი; active ~ აქტიური კაპიტალი; actual ~ რეალური კაპიტალი; additional ~ დამატებითი კაპიტალი; aggregate ~ ერთობლივი (ნაერთი) კაპიტალი; commodity ~ სასაქონლო კაპიტალი; constant ~ მუდმივი კაპიტალი; current ~ საბრუნი კაპიტალი; disposable ~ თავისუფალი (ფულადი) კაპიტალი; fictitious ~ ფიქტიური კაპიტალი; fixed ~ ძირითადი კაპიტალი; frozen ~ გაყინული კაპიტალი; gross working ~ ერთობლივი საბრუნავი კაპიტალი; human ~ „ადამიანთა" კაპიტალი (შრომითი რესურსები, დაგროვილი ცოდნა, განათლება, გამოცდილება); industrial ~ სამრეწველო კაპიტალი; intangible ~ არამატერიალური კაპიტალი; intangible ~ არამატერიალური კაპიტალი (მაგ., ფირმის პროდუქცია); issued ~ გამოშვებული სააქციო კაპიტალი; latent money ~ დაფარული ფულადი კაპიტალი; loan ~ კრედიტის კაპიტალი; ნასესხები კაპიტალი; long-term ~ გრძელვადიანი კაპიტალი; real ~ რეალური კაპიტალი; redundant ~ ჭარბი კაპიტალი; refugee ~ საზღვარგარეთ გადინებადი კაპიტალი; released ~ გამოთავისუფლებადი კაპიტალი; reserve ~ სარეზერვო კაპიტალი; social ~ საზოგადოებრივი კაპიტალი; spare ~ თავისუფალი კაპიტალი; stated ~ გამოცხადებული კაპიტალი; trading ~ სავაჭრო კაპიტალი; vested ~ ინვეს-

ტირებული კაპიტალი
capitalism კაპიტალიზმი
capitalist კაპიტალისტი
capitalization 1. საერთო თანხა, რომელზეც კომპანიის მიერ გამოშვებული იყო ფასიანი ქაღალდები; 2. კაპიტალიზაცია, კონვერტირება, კაპიტალში გარდაქმნა; 3. (საბუღალტრო აღრიცხვა) კომპანიაში მფლობელების მიერ ჩადებული საერთო თანხა
capitation კაპიტაცია; ჯანდაცვის მომსახურებისთვის გადახდის მეთოდი, როდესაც ინდივიდუალურ ან ინსტიტუციონალურ მომწოდებელს ეხდება ფიქსირებული პერ-კაპიტა თანხა ყოველი პირის მომსახურებისთვის, მომსახურებათა რაოდენობის და ხასიათის მიუხედავად
career 1. კარიერა; 2. სამსახური; 3. შემოქმედების სფერო; ~ **civil servant** პროფესიონალი სახელმწიფო მოხელე; ~ **development** კარიერის განვითარება; ~ **theory** კარიერის თეორია; **career-plateauing** კარიერული აღმასვლა
carrier პასუხისმგებლობის მატარებელი პირი სადაზღვევო კომპანიაში
cartel კარტელი, რომელიმე დარგის მეწარმეთა გაერთიანებაკონკრეტული სახის საქონლის წარმოებაგასაღებაში მონოპოლიისა და მაქსიმალური მოგების მოსაღწევად
cartelization კარტელიზაცია; კარტელის შექმნა
Cartificate of Authority (COA) მოღვაწეობის ოფიციალური უფლება (სერტიფიკატი), სახელმწიფოს მიერ სამედიცინო დაწესებულებისათვის გაცემული ლიცენზია
carve out ამოჭრა; ტერმინი განეკუთვნება სამედიცინო მომსახურების ნაკრებს, რომელიც ამოღებულია საბაზისო პაკეტიდან; გეგმის სარგებლიანობის კუთხით, ის შეიძლება განეკუთვნოს სარგებლებს, რომლებიც ამოღებულია და მოითხოვს ცალკე კონტრაქტს
case 1. შემთხვევა; საქმე; 2. გარემოება; სამეურნეო სიტუაცია; 3. არგუმენტები; მოსაზრება; 4. *იურ.* სასამართლო საქმე; პრეცედენტი; 5. შემთხვევა, ანალიზის ცალკეული ერთეული; 6. ყუთი; კონტეინერი; ~ **managment** შემთხვევის მართვა; პროცესი, როდესაც ყველა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შემთხვევას მართავს ექიმი ან მედდა ან განსაზღვრული ჯანდაცვის მუშაკი; ~ **study** შემთხვევათა შესწავლა, დარგი, რომელიც დეტალურად შეისწავლის ანალიზის გარკვეულ ერთეულს: პირს, პროგრამას, სამინისტროს და ა.შ.
case-by-case basis თითოეული შემთხვევის შესწავლის საფუძველზე
cash 1. ნაღდი ფული; 2. განაღდება; ~ **and equivalents** ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები; აქტივის ღირებულება, რომელიც შესაძლებელია კონვერტირებულ იქნას ნაღდ ფულზე დაუყოვნებლივ; ~ **budget** სანაღდო ბიუჯეტი; ბიუჯეტის ტიპი, რომელიც განსაზღვრავს უფრო ნაღდ ფულზე ხელმისაწვდომობას და მის მოხმარებას, ვიდრე წლიურ ბალანსს; ~ **dividend** ნაღდი დივიდენდი; აქციონერთა მიერ ნაღდით გადახდილი დივიდენდის რაოდენობა ჩვეულებრივ ეფუძნება მომგებიანობას და იბეგრება როგორც შემოსავალი. ნაღდი ფულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს კაპიტალურ მოგებას და კაპიტალზე უკუგებას დივიდენდზე დამატებით; ~ **flow** 1. ნაღდი ფულის

ნაკადი; 2. ნაღდი ფულის დინება გარკვეული ვექტორის მიხედვით (მაგ. სამედიცინო მომსახურების მომხმარებლიდან მწარმოებლამდე); 3. ინვესტიციებში ეს წარმოადგენს გამოშვებას გაუფასურებამდე, ამორტიზაციამდე და უნაღდო ხარჯებამდე. ზოგჯერ ეწოდება ნაღდი ფულის გამოშვება

cashless 1. უნაღდო (ანგარიშსწორება); 2. უფულო

cash-out ნაღდი ფულის არ არსებობა ან უკმარისობა

casual დროებითი მუშახელი

catalog(ue) 1. კატალოგი; 2. სია; ჩამონათვალი; 3. სიის, კატალოგის შედგენა

catastrophic health insurance სამედიცინო დაზღვევა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისას

category კატეგორია; თანრიგი; კლასი

cater 1. პროდუქციის მიწოდება; 2. მომსახურება; 3. ორიენტირება

caterer კატერერი, დიდი რაოდენობით საკვებისა და სასმელის მომმარაგებელი პირი

caucus ნდობით აღჭურვილ პირთა, პარტიის წევრთა, გასაიდუმლოებული, დახურული შეხვედრა

cause 1. მიზეზი; საფუძველი; 2. საქმე; 3. *იურ.* პროცესი

cause-and-issue advertising საზოგადოებრივი პრობლემების ამსახველი პროგრამა

caution სიფრთხილე; 2. გირაო; დაგირავება

ceiling 1. მაქსიმალური ფასი; 2. მაქსიმალური დონე; ჭერი; 3. ზედა, მაქსიმალური ზღვარი; credit ~ საბაზრო კრედიტის ზღვარი

censoring ცენზურა; ჩამოჭრა

census აღწერა; ცენზი; ~ of housing საცხოვრებელი ფონდის აღწერა; compulsory აუცილებელი აღწერა

center 1. ცენტრი; 2. ბიურო; დაწესებულება; 3. თავმოყრა, კონცენტრირება; ~ სიახლეთა დანერგვის ცენტრი; R & D ~ 1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; 2. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრი

Centers of Excellence (COE) უმაღლესი კატეგორიის სამედიცინო ცენტრები, რომლებიც ცნობილია სპეციალიზირებული მკურნალობისა და პროცედურების მაღალი ხარისხით

central ცენტრალური; ~ agencies ცენტრალური სააგენტოები; ~ banks ცენტრალური ბანკი, რომელიც დახმარებას უწევს კომერციულ ბანკს კრიზისის დროს

Central Intelligence Agency (CIA) ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, აშშ სამთავრობო სააგენტო, რომელიც აგროვებს და ანალიზს უკეთებს დაზვერვის მონაცემებს, დაარსებულია 1947წ.

centralization ცენტრალიზაცია, გადაწყვეტილების მიღება ხელმძღვანელობის ზედა ფენის მიერ. იხ. აგრეთვე დეცენტრალიზაცია

centralized ცენტრალიზებული; ~ accountability ცენტრალიზებული პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება; ~ control ცენტრალიზებული კონტროლი; ~ designed entity ცენტრალიზებული მოწყობის ერთეული

centralism ცენტრალიზმი, პოლიტიკური სისტემა, სადაც ყოველგვარი გადაწყვეტილების მიღება ხდება ცენტრის მიერ

certain 1. განსაზღვრული, ცნობილი; 2. უტყუარი; უეჭველი

certificate 1. მოწმობა; საბუთი; სერთიფიკატი; 2. აქტი; 3. ატესტატი; დიპლომი; ~ of compliance რეკლამაცია; სარეკლამაციო აქტი; ~ of coverage მოცვის სერთიფიკატი, დოკუმენტი, რომელითაც გეგმამ უნდა უზრუნველყოს წევრი, რომ აჩვენოს, რომ იგი მოცულია და მიაწოდოს ძირითადი ინფორმაცია მოცვის შესახებ; ~ of fair wear-and-tear ცვეთის აქტი; მანქანის ან მოწყობილობის ჩამოწერის აქტი ცვეთის შესახებ; ~ of fitness ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის მოწმობა; ~ of insurance დაზღვევის სერთიფიკატი; სამედიცინო მომსახურების განსაზღვრული კომპლექსის მომცველი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა ცალკეულ დაზღვეულ პირზე ჯგუფური დაზღვევის კონტრაქტის საფუძველზე, განსაზღვრულია სადაზღვევო დახმარებებითა და ძირითადი დებულებებით წევრისადმი მიმართებაში; ~ rider სერთიფიკატის დამატება; დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სადაზღვევო სერთიფიკატის შესწორებებს და/ან დამატებებს

certification სერთიფიცირება; პროცესი, რომლის დროსაც მაკონტროლებელი პროფესიონალი მედიკოსები განსაზღვრავენ არის თუ არა მკურნალობა სამედიცინო თვალსაზრისით შესატყვისი და ქმედითი.

certified 1. გარანტირებული; მოწონებული; დაშვებული; 2. დიპლომირებული

cessation შეწყვეტა

chain 1. საცალო მაღაზიების ჯაჭვური დაქვემდებარების ქსელი; ერთი ფირმის მიერ მართული ჯაჭვური დაქვემდებარება; 2. თანმიმდევრობის ჯაჭვი; ~ of command ხელმძღვანელობის, მართვის, კონტროლის და ბრძანებათა ჯაჭვი; ზედამხედველსა და ქვეშევრდომს შორის უფლება-მოსილების გადანაწილება, რომელიც აზუსტებს, თუ ვინ აგებს პასუხს ვის წინაშე

chairman თავმჯდომარე

challenge 1. ძნელი ამოცანა; პრობლემა, ამოცანის დასმა; 2. ეჭვი; დაეჭვება; 3. გამოწვევა, შედავება, შეკამათება; გაკრიტიკება; to face the ~ პრობლემათა წაწყდომა; to meet the ~ მოთხოვნების დაკმაყოფილება; ამოცანის გადაწყვეტა; გამოწვევაზე პასუხის გაცემა

challenges and pressures ამოცანები და სირთულეები

challenging რთული; იმედის მომცემი; პერსპექტიული

chamber 1. პალატა; სხდომათა დარბაზი; 2. სასამართლო დარბაზი;

chance 1. შემთხვევა; შანსი; 2. ალბათობა; 3. შესაძლებლობა

change 1. გაცვლა; 2. ბირჟა; 3. ცვლილება; 4. გარდაქმნა; 5. ხურდა; ~ agent ცვლილებებზე პასუხისმგებელი აგენტი; ~s in financial position ფინანსური პოზიციის ცვლილება; ფონდის წყაროები, რომლებიც შინაგანად უზრუნველყოფილია ოპერაციებიდან და ცვლის კომპანიის ნაღდი ფულის ნაკადის პოზიციას: გაუფასურება, გადასახადები, სხვა წყაროები და კაპიტალური დანახარჯები

channel კავშირის არხი

channels საკომუნიკაციო და გამანაწილებელი არხები, რომელთა საშუალებით ხდება გავლენისა და მასზე რეაგირების ურთიერთგაცვლა

characteristic 1. მახასიათებელი; 2. დამახასიათებელი; 3. თვისება;

თავისებურება; 4. დამახასიათებელი ნიშანი

charisma ჭარიზმა

charisma ქარიზმა, ღმერთის მიერ მინიჭებული უპირატესობა, ადამიანის გარკვეული თვისება, რომლითაც იგი სხვა ადამიანებისაგან გამოირჩევა და ამიტომ მისი პიროვნება განიხილება, როგორც გამონაკლისი და განსაკუთრებული თვისებების მქონე

charismatic authority ქარიზმატული ავტორიტეტი, ~ leadership ქარიზმატული ლიდერობა, ქარიზმატული ხელმძღვანელობა; ხელმძღვანელობის სტილი, რომელიც დაფუძნებულია მენეჯერის პიროვნულ თვისებებზე

charity ქველმოქმედება, სიყვარული, კეთილგანწყობა

chart 1. დიაგრამა, სქემა; ცხრილი; გრაფიკი; რუკა; კარტოგრამა; 2. დიაგრამის დახაზვა; ცხრილის შედგენა; action-demand ~ დამოკიდების სქემა; break-even ~ უდანაკარგობის გრაფიკი წარმოებისას; მოცულობის კრიტიკული წერტილის გრაფიკი; employee rating ~ მუშაკთა ატესტაციის სქემა; organizational ~ ორგანიზაციის სქემა, წესდება

chauvinism შოვინიზმი, ექსტრავაგანტული, დემონსტრატიული სუპერპატრიოტიზმი

check 1. *ამერ.* ჩეკი; 2. ჩეკის გამოწერა; 3. კონტროლი; შემოწმება; შედარება

chief 1. შეფი; მეთაური; ხელმძღვანელი; უფროსი; გამგე; 2. მთავარი; მნიშვნელოვანი; ~ executive officer მთავარი აღმასრულებელი ხელმძღვანელი; მაღალანაზღაურებადი ადმინისტრატორი; ~ financial officer მთავარი ფინანსური ხელმ-ძღვანელი

chit 1. დახასიათება; რეკომერდაცია (სამსახურში მისაღებად); 2. მოწმობა; საშვი; 3. ხელწერილი

choice 1. ალტერნატივა; არჩევანი; 2. შერჩევა; ამორჩევა

circle 1. (ადამიანთა) ჯგუფი; წრე; 2. უბანი; სფერო

circular 1. ცირკულარი (სპეციალური სარეკლამო ბროშურა ჟურნალში ან გაზეთში ჩადებული) 2. რეკლამა; განცხადება

circumvent გვერდის ავლა (კანონის); წესის დაუცველობა

citizen 1. მოქალაქე; ლეგალური სტატუსის მქონე პირი; 2. ქალაქში მცხოვრები; 3. სამოქალაქო პირი; 4. მრ. მოსახლეობა, მობინადრეები

citizenship მოქალაქეობა; მოქალაქეობის სტატუსი, როგორც წესი კანონით დადგენილი; ქვეშევრდომობა

civic culture მოქალაქეობრივი კულტურა, პოლიტიკური კულტურა, რომელიც მისაღებია მოქალაქეთა უმრავლესობისათვის; მონაწილეობის მიღება სამოქალაქო მოვალეობათა შესრულებაში

civil სამოქალაქო, სახელმწიფო; ~ engineer სამოქალაქო ინჟინერი; მშენებელი-ინჟინერი; ~ rights მოქალაქეობრივი უფლებები; პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური უფლებები, რომლებსაც თვითოეული მოქალაქე იღებს და რაც, კანონითაა დამტკიცებული; ~ servant სახელმწიფო სამოქალაქო მოსამსახურე; ~ service ეროვნული მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი ადმინისტრატორები; ~ society სამოქალაქო საზოგადოება, გულისხმობს ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელშიც შედიან ფირმები, კომპანიები და სხვა საზოგადოებები; ~ war სამოქალაქო ომი

civilian 1. სამოქალაქო პირი; 2. *pl.*

მოსახლეობა

civilization ცივილიზაცია, ქვეყნის ან საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ინტელექტუალური, კულტურული, მორალური, სოციალური, სამეცნიერო და ტექნიკური მახასიათებლების ერთიანობა

civil-military relations სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობანი

claim 1. მოთხოვნა; 2. პრეტენზია; სარჩელი; 3. განცხადება; 4. *pl* მოთხოვნები; ფინანსური აქტივები; სახელდობრ გაცემული კრედიტები; სახაზინო და კომერციული თამასუქები; ~ form მოთხოვნის ფორმა; გამოიყენება მიმართვის სახით სამედიცინო დახმარების გასაცემად; ~ review მოთხოვნათა განხილვა

clash შეხება; შეჯახება; კონფლიქტი

class 1. კლასი; კატეგორია; სახე; თანრიგი; განსაზღვრული კატეგორიისთვის მიკუთვნება; კლასიფიცირება; 2. სორტი, ხარისხი; დახარისხება; 3. სწავლების კურსი; სასწავლო ჯგუფი; age ~ ასაკობრივი კლასი; middle ~ საშუალო ფენა; managerial ~ მმართველი კლასი; occupational ~ პროფესიონალური ჯგუფი; protected ~ დაცული კლასი

classification 1. კლასიფიკაცია; დაჯგუფება; 2. დახარისხება; 3. სისტემიზაცია; 4. საიდუმლო გრიფი; 5. დაყოფა; ~ system კლასიფიკაციის სისტემა

clean 1. სუფთა; 2. წმინდა; 3. უხმარი; ახალი; 4. კარგი ფორმისა; პროპორციული

clear ბაჟის ან ვალის გადახდა

clerical საკანცელარიო; ~ worker კანცელარიის მუშაკი; გამგე

clerk კლერკი; ბიუროს თანამშრომელი

clinic კლინიკა; ობიექტი, რომელიც უზრუნველყოფს პრევენციული, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მომსახურებით ამბულატორიულ ავადმყოფებს

closed panel დახურული პანელი; დახურული სამედიცინო მომსახუ-რება

closet კონფიდენციალური; დახურული (სხდომა, თათბირი)

closing purchase დახურული შესყიდვა; გარიგება, როდესაც მყიდველს სურს შეამციროს ან მოსპოს ხანმოკლე პოზიცია აქციებში, ან მოცემული სერიების არჩევანში; ~ sale დახურული გაყიდვა; გარიგება, როდესაც გამყიდველს სურს შეამციროს ან მოსპოს ხანგრძლივი პოზიცია აქციებში, ან მოცემული სერიების არჩევანში

clue 1. *ამერ.* ცნობები; ინფორმაცია; 2. საიდუმლოს გახსნა

cluster 1. ჯგუფი; კლასტერი; 2. კონცენტრაცია; დაგროვება; 3. საერთო ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი

coalition 1. კოალიცია; ორგანიზატორთა ჯგუფი, ალიანსი, წევრთა ძალაუფლებისა და გავლენიანობის გასაზრდელად; 2. ცალკეულ მოთამაშეთა (მაგ., პოლიტიკური პარტიები) გაერთიანება არჩევნებში გასამარჯვებლად; ~ government კოალიციური მთავრობა, ორი ან მეტი უმცირესობაში მყოფი პარტიის წარმომადგენლებით შედგენილი კაბინეტი, მთავრობა

code 1. კოდი, შიფრი, ინდექსი; 2. წესები; ნორმები; სტანდარტი; 3. კოდექსი; ნორმა; წესი; ~ of ethics ეთიკის კოდი

coefficient კოეფიციენტი; ინდექსი; მაჩვენებელი; ~ of cross elasticity ჯვარედინი ელასტიკურობის მაჩვენე-

ბელი; ~ of performance 1. პროდუქტიულობის კოეფიციენტი; 2. მარგი ქმედების კოეფიციენტი

coercion იძულება, ზეწოლა

coexist თანაარსებობა

coexistance თანაარსებობა; peaceful ~ მშვიდობიანი თანაარსებობა

cognitive შემეცნებითი; ~ approach შემეცნებითი მიდგომა; ~ attitude შემეცნებითი დამოკიდებულება

coherent strategy თანმიმდევრული სტრატეგია

cohort კონტიგენტი; კოჰორტა; ~ of employees თანამშრომელთა კონტიგენტი; age ~ წლოვანების კოჰორტა

coin ხურდა; მონეტა; მონეტის მოჭრა

coinage 1. მონეტის მოჭრა; მოჭრის სისტემა; 2. ლითონის ფული

co-insurance 1. თანადაზღვევა, შეთანხმება, რომლიც მიხედვითაც მაგ. დამზღვევმა შეიძლება აუნაზღაუროს დაზღვეულს კონვერტირებული ხარჯების 80% შესატყვისი ფაქტორის სახით; 2. სამედიცინო მომსახურებაზე დახარჯული თანხების წილი, რომელზედაც დაზღვეული ატარებს ფინანსურ პასუხისმგებლობას.

cold war ცივი ომი

collapse კრახი, ნგრევა, მარცხი, მარცხის განცდა; ~ of confidence ნდობის კრიზისი

collar საყელო; blue ~ „ლურჯსაყელოიანი", წარმოების მუშაკი; white ~ „თეთრსაყელოიანი", მოსამსახურე

collateral 1. უზრუნველყოფა; გირაო; დამატებითი უზრუნველყოფა; 2. მეორეხარისხოვანი; თანამდევი; industrial ~ უზრუნველყოფა სამრეწველო აქციის სახით

collection 1. მოგროვება, შეგროვება; 2. ერთობლიობა; სისტემა; კოლექცია; 3. ინკასო; ფულის მოკრება; ~ of bill ფულის ამოღება თამასუქის მიხედვით; ~ of samples ნიმუშთა კოლექცია; tax ~ გადასახადის ამოღება

collective 1. კოლექტივი; 2. კოლექტიური; ~ bargaining კოლექტიური საქმიანობა; პროცესის წარმართვა მშრომელთა და ხელმძღვანელთა მოლაპარაკების წერილობითი შეთანხმებების საფუძველზე; მოიცავს სამუშაოს ანაზღაურებას, მუშაობის პირობებს და დამატებით შეღავათებს. ერთხელ ხელმოწერილი შეთანხმებები იძენენ კანონის ძალას; ~ security კოლექტიური უსაფრთხოება

collegial improvement კორპორაციის სრულყოფა, კორპორაციის გაუმჯობესება

collision კოლიზია; წინააღმდეგობრიობა; კონფლიქტი

combination 1. კომბინაცია; კომბინირება; შეერთება; შერწყმა; 2. კავშირი, მონოპოლიური გაერთიანება; ~ of labor შრომის კომბინირება

command 1. ბატონობა, ძალაუფლება; კონტროლი; 2. განკარგულება; ფლობა; მფლობელობა; 2. შეკვეთა; ~ of reserves რეზერვების გამგებლობა

commensurability თანაზომიერება, პროპორციულობა

commerce კომერცია; ვაჭრობა; ყიდვა-გაყიდვა; domestic ~ შიგა ვაჭრობა; foreign ~ გარე ვაჭრობა

commercial 1. მომგებიანი; რენტაბელური; 2. კომერციული; 3. სამოსამსახურო; 4. საწარმოო; სამრეწველო; 5. სერიული; ~ insurers კომერციული დამზღვევები; ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისი, რომლის მიხედვითაც სარგებელი მიეწოდება ნაღდი ფულით და არა მომსახუ-რეობის სახით

commission 1. კომისია; 2. კომიტეტი მინდობილობა; სრულუფლებიანობა; რწმუნება; 2. საკომისიო გადასახადი, ბროკერისათვის ვაჭრობაში გადახდილი თანხა, რომელიც გამოიანგარიშება აქციების, ობლიგაციებისა და ოფციონის ფულადი ღირებულებიდან; interim ~ დროებითი კომისია

commissionaire 1. კომისიონერი; წარმომადგენელი; 2. რწმუნებული

commit 1. დავალების მიცემა; დავალდებულება; 2. მოვალეობის დაკისრება; 3. საქმიანობაში ჩართვა

committee კომიტეტი, ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც უფრო დიდმა ჯგუფმა მიანიჭა მოქმედების უფლებამოსილება

committment 1. ჩაბარება, გადაცემა; 2. დანახარჯი; დაბანდება; 3. ვალდებულება; contractual ~ კონტრაქტის ვალდებულება; ვალდებულება; build ~ to high quality services მაღალ დონეზე მომსახურების ვალდებულების გამომუშავება

commodity საქონელი; პროდუქტი; კომერციული ვაჭრობის საგანი; ~ agreement მწარმოებელი ქვეყნების შეთანხმება, რომელიც იღებს გამოშვებული პროდუქციის ფასებისა და/ან მოცულობის კონტროლის მიზნით; ~ agreement სასაქონლო შეთანხმება; ~ dollar სასაქონლო დოლარი იხ. commodity theory of money; ~ Exchange სასაქონლო ბირჟა, რომელიც შეიქმნა 1933 წელს რამდენიმე ამერიკული ბირჟის შერწყმის გზით; ~ theory of money ფულის სასაქონლო თეორია, რომლის თანახმადაც ფულადი მასა განისაზღვრება მის მიერ წარმოდგენილი საქონლისა და ნედლეულის ფასეულობით; basic ~ies ძირითადი საქონელი; bottleneck ~ დეფიციტური საქონელი; consumable ~ies საქონელი განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის; essential ~ies პირველადი მოხმარების საგნები; export ~s საექსპორტო საქონელი; import ~s იმპორტული საქონელი; scares ~ies დეფიციტური საქონელი; universal ~ აბსოლუტური საქონელი

common საერთო; ~ good საერთო სიკეთე, სიკეთე, რომელიც საერთოა და აქედან გამომდინარე ნაწილდება ადამიანებს შორის; ~ stock/other equity საერთო აქცია/სხვა აქციები; განაღდებულ აქციის ნომინალურ ღირებულებას დამატებული აკუმულირებული შენარჩუნებული ხელფასი

commonwealth 1. სახელმწიფო; რესპუბლიკა; 2. კეთილდღეობა; 3. თანამეგობრობა

communicate ინფორმაციის გაცვლა; კავშირის არსებობა

communication 1. ინფორმაცია; კონტაქტი; ინფორმაციის გაცვლა; ურთიერთობის არსებობა; 2. კომუნიკაცია; კავშირი; down ~s კონტაქტები ხელქვეითებთან; downward ~ ინფორმაციის გადაცემა ზევიდან ქვევით; horizontal ~ ჰორიზონტალური კომუნიკაცია; horizontal ~s კონტაქტები კოლეგებ-თან; nonverbal ~ არავერბალური კომუნიკაცია; upward ~ ინფორმაციის გადაცემა ქვევიდან ზევით; upward ~s კონტაქტები უფროსებთან; verbal ~ ვერბალური კომუნიკაცია; vertical ~ ვერტიკალური კომუნიკაცია; ორგანიზაციის შიგნით ინფორმაციის გადაცემა ერთი დონიდან მეორეზე

community თემი, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები, მსგავსების

ნიადაგზე დაკავშირებულ ადამიანთა ერთობა; ~ development სოფლის განვითარება, მისთვის უკეთესი პირობების შექმნის პროცესი; ~ health resources თემის ჯანდაცვითი რესურსები; ~ mental health center თემის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; ~ wide plans თემის მასშტაბების გეგმები, რომლებშიც გაწევრიანება თავისუფალია კვალი-ფიცირებული ჯგუფებისათვის და თემის ცალკეული პირებისათვის, სპეციფიური გაერთიანების წევრებისათვის და ცალკეული საწარმოების თანამშრომლებისათვის; ~ hospital საზოგადო საავადმყოფო; არასახელ-მწიფო, მოკლევადიანი (short-stay) ზოგადი საავადმყოფო, რომელიც მოიცავს საზოგადო ავადმყოფები-სთვის ხელმისაწვდომ ერთეულებს; ~ rating საზოგადოების დაბეგრვა; სადაზღვევო ტარიფის დაწესება, რომელიც დაფუძნებულია ჯანმრთელობის მომსახურების საშუალო საფასურზე

commuting შიგასაქალაქო მიგრაცია; რეგულარული მისვლა-მოსვლა

comorbidity თანაავადობა; წინაპირობა, რომელიც სპეციფიურ ძირითად დიაგნოზთან თანაარსებობის გამო იწვევს დაყოვნების გახანგრძლივებას სულ მცირე 1 დღით შემთხვევების დაახლოებით 75%-ში

company კომპანია, სააქციო საზოგადოება; bidding ~ კომპანია, რომელსაც გათვალისწინებული აქვს სხვა კომპანიის შთანთქმა; chartered ~ კომპანია, რომელიც ორგანიზებულია სამთავრობო კონცესიის საფუძველზე; closed-end investment ~ დახურული ტიპის საინვესტიციო კომპანია

compensation 1. კომპენსაცია; ანაზღაურება, გადახდა; 2. დაჯილდოება (მოტივაციის თეორიაში); 3. სადაზღვევო მოცვა; დახმარება უბედური შემთხვევისას; lump sum ~ სადაზღვევო ანაზღაურების საერთო თანხა

competence კომპეტენცია

competency certification მოწმობით კომპეტენტურობის დადასტურება

competent 1. კომპეტენტური; რაიმე დარგის, რაიმე საკითხის სათანადოდ მცოდნე; 2. ცოდნაზე დამყარებული; საფუძვლიანი, ავტორიტეტული; 3. კომპეტენციით აღჭურვილი; სრულუფლებიანი

competition 1. კონკურენცია; 2. შეჯიბრება; bona fide ~ კონკურენცია თანასწორ პირობებში

competitive კონკურენტული; ~ party systems კონკურენტული პარტიების სისტემა, როცა მთავრობის შეცვლა შეიძლება ოპოზიციური პარტიით არჩევნების საშუალებით; ~ standards კონკურენტუნარიანი სტანდარტები

competitiveness კონკურენცია

complete and general disarmament სრული და მთლიანი განიარაღება

compliance with laws კანონების შესაბამისად მოქმედება; კანონებს დაჭვემდებარება

comprehensive სრული; ყოვლისმომცველი; ~ assessment ყოვლისმომცველი შეფასება; ~ medical care სრული სამედიცინო დახმარება; სამედიცინო დახმარების სრული პაკეტი და მათგან მიღებული სარგებლობა; ~ medical plan სრული სამედიცინო გეგმა; ერთ გეგმაში გაერთიანებული სამედიცინო მომსახურების ძირითადი სახეები; ~ program ყოვლისმომცველი, ამომწურავი, ფართო, მრავალმხრივი პროგრამა

compromise კომპრომისი
concentration 1. თავმოყრა; კონცენტრაცია; 2. შეთანხმება
concept კონცეფცია; გაგება; პრინციპი; ~ of dominance დომინირების პრინციპი; ~ of equilibrium თანასწორობის პრინციპი
concern 1. კონცერნი; 2. ფირმა; საწარმოო გაერთიანება; 3. მონაწილეობა; ინტერესი; საზრუნავი
concession დათმობა, კონცესია; tax ~ შეღავათიანი გადასახადი
concise მოკლე; შემოკლებული
conclude დასრულება; დამთავრება; დასკვნის გამოტანა
concur დათანხმება; ურთიერთშეთანხმება
concurrent authority პარალელური უფლებამოსილებანი
concurrent review კონკურენტული განხილვა; პროცედურისა და ჰოსპიტალიზაციის განხილვა პროფესიონალი მედპერსონალის მიერ, რაც არ უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურებას
condemnation 1. კონფისკაცია; 2. წუნდება
condition 1. პირობა; 2. კონდიცია; 3. მდგომარეობა; 4. განპირობებულობა; 5. სიტუაცია; profit-maximizing ~ მოგების მაქსიმალურად გაზრდის პირობა
conditional transfers მიზნობრივი ტრანსფერი
conditioning სათანადო მდგომარეობაში მოყვანა
conducive system ხელსაყრელი, მარჯვე, ხელშემწყობი, სასიკეთო სისტემა
conduct 1. ქცევა; 2. წარმოება; გაძღოლა; გამგებლობა, ხელმძღვა-ნელობა
confederacy კონფედერაცია, პოლიტიკური სისტემა
confederal system კონფედერალური სისტემა
confederation კონფედერაცია, სახელმწიფოების ერთობლიობა, რომელიც ნაკლებად მტკიცეა, ვიდრე ფედერაცია
conference თათბირი; კონფერენცია
confidence ნდობა; ~ indicator ნდობის ინდიკატორი ეკონომიკასა და ფასიანი ქაღალდების ბაზარში ინვესტორის რწმენის საზომი.
confidential 1. კონფიდენციალური; საიდუმლო; 2. გახმაურებას დაუქვემდებარებელი
confirm დამტკიცება; დადასტურება
conflict კონფლიქტი, უთანხმოება; ~ of interest ინტერესების კონფლიქტი; ~ resolution კონფლიქტის გადაჭრა; disfunctional ~ დისფუნქციონალური კონფლიქტი; კონფლიქტი, რომელიც იწვევს სამუშაოთი კმაყოფილების ხარისხის შემცირებას, ურთიერთანამშრომლობისა და ორგანიზაციის მოღვაწეობის ეფექტურობის შემცირებას; functional ~ ფუნქციონალური კონფლიქტი
conformance შესაბამისობა; ~ to specification ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობა
conformism შემგუებლობა; კონფორმიზმი, პირადი პოზიციის უქონლობა
conformity 1. შესაბამისობა, ანალოგიურობა; ერთფეროვნება 2. დაქვემდებარება
confrontation კონფრონტაცია, დაპირისპირება; avoid ~ დაპირისპირების თავიდან აცილება
congress კონგრესი
connection 1. კონტაქტი; კავშირი; 2. შეერთება; მიერთება; 3. *pl.* ნათესავები
consensual კონსენსუალური; შემთან-

ხმებლური

consensus კონსენსუსი; შეთანხმება; ურთიერთშეთანხმება; თანხმობა, ჰარმონია; gradual ~ საბოლოო თანხმობა

consent 1. თანხმობა; 2. ნებართვა

consequency 1. შედეგი; რეზულტატი; 2. დასკვნა; 3. შესაძლებლობა; მნიშვნელობა; 4. მაღალი პოსტი; გავლენიანი მდგომარეობა;

conservation 1. შენახვა; შენარჩუნება; დანაზოგი; 2. ბუნების დაცვა; 3. დაკონსერვება; grass ~ ბალახის საფარის შენარჩუნება; land ~ მიწის სწოოად გამოყენება და დაცვა

conservationist ბუნების დაცვის სპეციალისტი

conservative 1. დამცავი; 2. კონსერვატიული; 3. მისაღები (ფასი)

consideration 1. განხილვა; მსჯელობა; 2. შეხედულება;

consign დავალება; გადაცემა

consistency 1. თანამიმდევრობა; 2. მუდმივობა; სტაბილურობა; 3. საფუძვლიანობა

consolidation 1. გაერთიანება, კონსოლიდაცია, შერწყმა; 2. გამსხვი-ლება; ~ of banks ბანკების შერწყმა; industrial ~ მრეწველობის კონცენტრაცია, ცენტრალიზაცია

consortium კონსორციუმი, პარტნიორობა

constant მუდმივი, უცვლელი ფაქტორი

constituency საამომრჩევლო უბანი

constituent ამომრჩეველი; შემადგენელი ნაწილი

constitution კონსტიტუცია, ერის მიმართველი პოლიტიკის ფუნდამენტალურ კანონთა კრებული

constitutional democracy კონსტიტუციური დემოკრატია; ~ dictatorship კონსტიტუციური დიქტატურა; ~ government კონსტიტუციური მთავრობა; ~ monarchy კონსტიტუციური მონარქია; ~ law საკონსტიტუციო კანონი, რომელიც ასახავს სამთავრობო ძალების განაწილებას

constraint იძულება; შეზღუდვა; შეკავება; ~ on real resources რეალური რესურსების შეზღუდვა

construction 1. მშენებლობა; 2. ნაგებობა; კონსტრუქცია; 3. განმარტება, ახსნა; capital ~ კაპიტალური მშენებლობა; housing ~ ბინათმშენებლობა; public ~ სახელმწიფო მუნიციპალური მშენებლობა (კომუნალური, სამხედრო, საგზაო)

consultant კონსულტანტი; მრჩეველი

consumable 1. სამომხმარებლო საქონელი; 2. მოხმარების საგნები

consume 1. მოხმარება; 2. ხარჯვა

consumer 1. მომხმარებელი; 2. აბონენტი; ~ price index (CPI) სამომხმარებლო ფასების ინდექსი; ინფლაციის საზომი, რომელიც გამოიანგარიშება სამომხმარებლო ქალათის საანგარიშო წლის ღირებულების შეფარდებით მისი საბაზისო წლის ღირებულებასთან; ultimate ~ საბოლოო მომხმარებელი

consumption 1. მოხმარება; 2. ხარჯვა; დახარჯვა; ~ function მოხმარების ფუნქცია; დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს მოხმარების ძირითად ფაქტორებს (მაგ. მოხმარების მოცულობის დამოკიდებულება არსებული შემოსავლების სიდიდესთან)

contact 1.კავშირი; კონტაქტი; 2. კონტაქტში შესვლა

contamination (გარემოს) დაბინძურება

contest 1. შეჯიბრი; 2. დავა

contestant 1. კონკურენტი; 2. შეჯიბრის

მონაწილე

contingency შესაძლებლობა; შემთხვევა, შემთხვევითობა; გაუთვალისწინებელი გარემოება; ~ **planning** შემთხვევითობის (წინასწარ განუსაზღვრელობის) დაგეგმვა

contingent work force სამუშაო ძალის კონტიგენტი; რაიმე კოლექტივში შემავალ მუშაკთა ერთობლიობა

continual restraint მუდმივი შეზღუდვა

continuation 1. გაგრძელება; 2. დამატება

contraband კონტრაბანდა

contract 1. კონტრაქტი, ხელშეკრულება; შეთანხმება, ორ ან მეტ პირს შორის მოსალოდნელი შედეგების უზრუნველსაყოფად; 2. მორიგება

contracted human resources ხელშეკრულებით მომუშავე ადამიანთა რესურსები

contraction შემცირება, შეკუმშვა, შევიწროება; ბიზნეს-ციკლის განსაზღვრულ პერიოდში ეკონომიკური აქტიურობის შემცირება

contractor work force ნარდად მომუშავე, საიჯარო სამუშაო ძალა;

contradiction 1. შეუსაბამობა; წინააღმდეგობა; 2. უარყოფა; 3. ისტორიასა და საზოგადოებაში არსებული დიალექტიკური კონფლიქტი

contrapose დაპირისპირება

contraposition კონტრაპოზიცია, დაპირისპირება

contribute 1. დახმარება, ხელის შეწყობა; 2. წვლილის შეტანა

contribution 1. დახმარება; ხელის შეწყობა; 2. წვლილი; 3. შესატანი; 4. გადასახადი; 5. კონტრიბუცია; 6. წვლილის შეტანა

contributory ხელშემწყობი; დახმარების აღმომჩენი; ქველმოქმედი ; ~ **program** წილობრივი პროგრამა გადახდის მეთოდი ჯგუფური მოცვისთვის

control 1. მართვა; რეგულირება; 2. კონტროლი; შემოწმება; 3. მოწესრიგება; 4. მართვის ორგანო; ~**oriented** კონტროლზე ორიენტირებული; **arms** ~ კონტროლი შეიარაღებაზე; **concurrent** ~ მიმდინარე კონტროლი; **preliminary** ~ წინასწარი კონტროლი

controlling unit კონტროლის ორგანო

convengence თანხვდომა; მომავალი კონტრაქტის ფასის მოძრაობა არსებული ნაღდი ფულის ფასის მიმართულებით

convene მოწვევა, შეკრება

convention კონვენცია, ადამიანების შეკრება საერთო პრობლემებისა და მიზნების გამო (მაგ., კონსტიტუციის შექმნის მიზნით); არსებული ან ფართოდ მიღებული პრაქტიკა, განსაკუთრებით წერილობითი კანონების არ არსებობის შემთხვევაში

conventional group insurance contract ჩვეულებრივი ჯგუფური დაზღვევის კონტრაქტი; ტრადიციული მეთოდი, რომლის დროსაც დამქირავებელი უხდის პრემიებს სადაზღვევო კომპანიას, რომელიც იხდის სარგებელსა და ხარჯებს ადმინისტრაციისათვის

conversion კონვერსია; გადასვლა (ახალი პროდუქციის გამოშვებაზე); **industrial** ~ მრეწველობის კონვერსია

convert 1. კონვერტირება; გარდაქმნა; 2. შექცევა

convertibility კონვერტირებადობა, ეროვნული ვალუტის თავისუფალი ცვლა უცხოურ ვალუტაზე ინდივიდუალური პირების ან ბიზნესმენების მიერ სახელმწიფო კონტროლის გარეშე

cooperation 1. თანამშრომლობა, ერ-

თობლივი მოქმედება, ძალისხმევა; 2. ურთიერთქმედება

cooperative 1. კოოპერატივი; 2. ერთობლივი; კოოპერატიული

coordinate შესაბამისობაში მოყვანა; კოორდინირება

coordination კოორდინირება, კოორდინაცია, შეთანხმება; ~ **failure** კოორდინაციის ჩავარდნა; სიტუაცია, როდესაც ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების შეუძლებლობა არ იძლევა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, რასაც მონაწილეთათვის ცუდ შედეგებამდე მივყავართ; ~ **of benefits (COB)** სარგებელთა კოორდინაცია; შეთანხმება, რომელიც იყენებს სადაზღვევო კომისიის წევრთა ნაციონალური ასოციაციის ენას და ხელს უშლის ორმაგ გადახდას, იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი მიეკუთვნება ორ ან მეტ ჯანდაცვის პროექტს

copayment/co-payment/copay თანაგადახდა; ღირებულებაში წილობრიობის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც დაზღვეული მომსახურების თითოეულ სახეზე იხდის ერთსა და იმავე თანხას, ხოლო დანარჩენს ფარავს დამზღვევი.

copy 1. ასლი; პირი; 2. ასლის გადაღება; 3. ეგზემპლიარი; ცალი

corner a market ბაზრის დაკეტვა; საქონლის ან აქციების მისაწვდომი მარაგის შესყიდვა საკმარისი რაოდენობით, ფასებით მანიპულირების მიზნით

corporate income tax კორპორაციის მოგების გადასახადი, კორპორაციების საბუღალტრო მოგების გადასახადი

corporation გაერთიანება, კორპორაცია; სააქციონერო კომპანია, სააქციონერო საზოგადოება; **multinational** ~ საერთაშორისო (მრავალეროვნული) კორპორაცია; **public** ~ 1. მუნიციპალური კორპორაცია; 2. სახელმწიფო კორპორაცია; 3. ღია სააქციონერო საზოგადოება; **public-service** ~ კომუნალური მომსახურების სახელმწიფო კორპორაცია

correlated data კორელაციური მონაცემები, ურთიერთდამოკიდებული მონაცემები

correlation 1. შესაბამისობა; 2. შეფარდება; 3. კორელაცია, თანაფარდობა; **cross** ~ ურთიერთკორელაცია

corruption კორუფცია, მექრთამეობა

cosmopolitanization კოსმოპოლიზაცია (სხვადასხვა ეროვნული კულტურებისა და ეთნიკური ჯგუფების ელემენტების ურთიერთშერწყმა)

cost 1. ხარჯები, გასავლები, დანახარჯები; 2. ფასი, ღირებულება, თვითღირებულება, ფასის დადება; ~ **of administration** ადმინისტრაციული ხარჯები; ~ **of capital** კაპიტალის დანახარჯი, განსაზღვრულ პერიოდში კაპიტალის ჯამური დანახარჯი პროცენტის, ცვეთისა და მოგების ან წაგების გათვალისწინებით; ~ **of living** სასიცოცხლო მინიმუმი; ~-**risk analysis** ღირებულებისა და რისკის შეფარდებითი ანალიზი; ~ **sharing** ღირებულების წილობრიობა; მეთოდი, რომლის მიხედვითაც სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილი ნაწილდება გეგმებსა და პაციენტს შორის; ~ **shifting** ღირებულებათა შეცვლა; პაციენტთა ერთი ჯგუფისათვის გადასახდის მომატება, სხვა ჯგუფისათვის მცირე გადახდის ასანაზღაურებლად; პირველ ჯგუფს ჩვეულებრივ მიეკუთ-

ვნებიან კერძოდ, დაზღვეული პირები, ხოლო მეორეს, ვინც დაბალი ტარიფებით იხდის; ~ to organization ორგანიზაციის ხარჯი; ~-benefit analysis ღირებულება-სარგებელის ანალიზი; ალტერნატი-ვების შეფასების მეთოდი საქმიანობის ღირებულებისა და სარგებლის შედარების საშუალებით; amortization ~s საამორტიზაციო ხარჯები; opportunity ~s ალტერნატიული კურსის არჩევით გამოწვეული ჩათვლილი ხარჯები

counsel 1. საბჭო; 2. თათბირი; განხილვა; 3. *pl.* ადვოკატი; დამცველი; 4. ბჭობა; რეკომენდაციის გაცემა

counterfeit 1. ყალბი მონეტა; 2. გაყალბება

counteroffer შემხვედრი წინადადება

counterpart 1. ასლი; დუბლიკატი 2. კოლეგა; თანამოძმე; 3. მოწინააღმდეგე

county ოლქი; საგრაფო

coup d'etat სახელმწიფო გადატრიალება

coupon rate კუპონის ხარისხი; ობლიგაციების, თამასუქების, ან სხვა ფასიანი ქაღალდების დაწესებული საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდა ხდება წელიწადში ორჯერ

coverage დაფარვა; შესაბამისი პირისათვის ხელმისაწვდომი სარგებელი დაქირავებულის სარგებლის პროგრამის მიხედვით

covered დაფარული; დახურული; ~ call დახურული ყიდვა; შესყიდვის ოფციონის მოკლე პოზიცია, რომელშიც მფლობელი ფლობს წარმოდგენილი ძირითადი აქციის გარკვეულ წილს; ~ put დახურული გაყიდვა; გაყიდვის ოპციონის მოკლე პოზიცია, როდესაც ოფციონის მფლობელი ფლობს შესაბამის მოკლე აქციის პოზიციას, ან შეტანილი აქვს დეპოზიტზე ნაღდი ფულით ან მისი ექვივალენტით გაყიდვის შესაბამისი ღირებულება; ~ charges დაფარული გადასახადები; გადასახადი სამედიცინო დახმარების ან ნაწარმისათვის, სადაზღვევო კომპანიას ეკისრება გარკვეული მოვალეობების ჯგუფური პოლისის პირობების მიხედვით, თუ ეს გადასახადი დაფარულია დაზღვეული პირის მიერ; ~ person დაზღვეული პიროვნება, რომელსაც გააჩნია სადაზღვევო პოლისი; ~ services დაფარული (ანაზღაურებული) მომსახურება / დაზღვევაში შემავალი მომსახურება; მომსახურება, ნაწარმი, ან განთავსება, რისთვისაც სადაზღვევო კომპანია იხდის გადასახადს

coworker თანამშრომელი

crackdown 1. ზეწოლა; ზეგავლენა; 2. შეზღუდვა

craft 1. ხელოსნობა; ოსტატობა; 2. უნარი; ცოდნა; 3. მოხერხება; 4. ხელოვნება

creation 1. შექმნა; განხორციელება; 2. პრინციპის შემუშავება; ~ of new jobs ახალი სამუშაო ადგილების შექმნა

creative climate შემოქმედებითი კლიმატი; გარემოცვა; გარემო პირობები

credentialling უპირატესობის შეფასება

cripple დაზიანება; ზიანის მიყენება

crisis კრიზისი; ~ situation კრიზისული სიტუაცია

criterion 1. კრიტერიუმი; *pl.* criteria კრიტერიუმები; 2. მაჩვენებელი

critical კრიტიკული; ~ path კრიტიკული გზა; ~ path method კრიტიკული გზის მეთოდი; პროექტის ხელმძღვანელობის ტექნიკა, რომლის ძირითადი მიზანია წარმოებისა და სამუშაოს

გრაფიკის დაცვა. ამ მეთოდის საფუძველია მოვლენათა ხანგრძლივობის საკმაო სიზუსტით შეფასების შესაძლებლობა

crook *საუბ.* არაწესიერი ხერხით მომხვეჭელი

crowding out განდევნა; ინვესტიციების შემცირება მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგად, რაც იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას

cult of the individual პიროვნების კულტი

cultural კულტურული; ~ bias უარყოფითი წინასწარგანწყობა სხვა კულტურის მიმართ, ერთი კულტურის მეორეზე მაღლა დაყენება; ~ exchange კულტურათა გაცნობა, წარდგენა; ~ imperative კულტურული იმპერატივი, ქცევის წესი, როგორც კულტურული ღირებულება; ~ imperialism კულტურული იმპერიალიზმი, საკუთარი კულტურის თავზე მოხვევა

culture კულტურა; საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ქცევა

cumulation 1. ჯამი; დაჯამება; 2. დაგროვება; კუმულაცია

currency ნაღდი ფული;. ვალუტა; ფულადი მიმოქცევა; ~ appreciation ვალუტის ზრდა; ~ depreciation ვალუტის გაუფასურება; ~ leakage ვალუტის გადინება; common ~ ერთიანი ვალუტა; convertible ~ კონვერტირებადი ვალუტა; domestic ~ მოცემული ქვეყნის ვალუტა; foreign ~ საზღვარგარეთული ვალუტა; freely floating ~ თავისუფლად „მცოცავი" ვალუტა; hard ~ მყარი, კონვერტირებადი ვალუტა; nonconvertible ~ არაკონვერტირებადი ვალუტა; transactions ~ ანგარიშსწორების ვალუტა; treasury ~ სახაზინო ფული

current 1. მიმდინარე; თანამედროვე; 2. დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი, ერთი წლის განმავლობაში) სასქონლო (ხილული) და სამომსახურეო (უხილავი) ვაჭრობის ამსახველი ანგარიში; 3. ბანკში ფიზიკური პირის თუ კომპანიის მოთხოვნამდე ანგარიში; 4. ცირკულირებადი, მიმოქცევაში მყოფი; ~ account მიმდინარე ანგარიში; სხვაობა საექსპორტო შემონატანებისა და იმპორტის გადასახადების თანხებს შორის, საქონლის იმპორტის, ექსპორტისა და წარმოების ფაქტორების მომსახურების ჩათვლით; ~ assets 1.მიმდინარე აქტივები (ბანკის); ლიკვიდური აქტივები და ბანკის მიერ დაფარვის ერთ თვემდე ვადით გაცემული სესხები; 2. მიმდინარე აქტივი; ნაღდი ფულის, დებიტორთა ანგარიშების, ინვენტარის, ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების ღირებულება, რომელთა კონვერტაცია ნაღდ ფულზე შესაძლებელია 1 წლის მანძილზე; ~ budget მიმდინარე ბიუჯეტი; ~ cost მიმდინარე ღირებულება; ~ dollars მიმდინარე ფასები (დოლარით); ტერმინი, რომელიც გამოიყენება ყოველ მოცემულ წელს საქონლისა და მომსახურების რეალური ფასების აღწერისათვის; ~ earnings distribution შემოსავლების მიმდინარე განაწილება; ~ exit value ღირებულება, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს მიმდინარე ბაზარზე ზოგიერთი აქტივის სარეალიზაციოდ (ან ზოგიერთი ვალდებულების დასაფარავად); ~ liabilities მიმდინარე პასივი; ხელფასების, საპროცენტო განაკვეთების, კრედიტორთა ანგარი-

შების და სხვა გასასტუმრებელი ვალების რაოდენობა, რაც უნდა განხორციელდეს 1 წლის მანძილზე; ~ operation expenditures მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები; ~ ratio მიმდინარე თანაფარდობა; ხანმოკლე ვალის გადახდის უნარის ინდიკატორი, განისაზღვრება მიმდინარე აქტივის ფარდობით მიმდინარე პასივთან. რაც უფრო მაღალია თანაფარდობა, მით უფრო ლიკვიდურია კომპანია; ~ value accounting არსებულ საბაზრო ფასებზე დამყარებული საბუღალტრო აღრიცხვა; ~ year მიმდინარე წელი; ~ yield მიმდინარე საპროცენტო შემოსავალი; ობლიგაციის კუპონის ხარისხის ფარდობა ობლიგაციის საბაზრო ფასთან; ~ dividend preference პრივილეგიები მიმდინარე დივიდენდების მიღების დროს

curve 1.მრუდი; მრუდის გავლება; 2. გრაფიკი; ნახაზი combined cost ~ საერთო ხარჯების მრუდი; trade off ~ პარამეტრების კომპრომისული შერჩევის მეთოდით მიღებული მრუდი

custody 1. შენახვა; დაცვა; ზრუნვა; 2. მეურვეობა; 3. მზრუნველობა

custom 1. საბაჟო გადასახადი; 2. *pl.* საბაჟო; 3. ჩვეულება

customer 1. მყიდველი; კლიენტი; 2. დამკვეთი; ~ satisfaction მომხმარებლის დაკმაყოფილება; ~ service მომხმარებელთა მომსახურება; ~ tailored კლიენტის მოთხოვნილებებზე გათვლილი

customhouse საბაჟო

cut შემცირება; ~ in a salary ხელფასის შემცირება

damage 1. დანაკლისი; ზარალი; დეფექტი; 2. გაფუჭება; 3. ავარია; heavy ~ მნიშვნელოვანი ზარალი

damageable ადვილად ფუჭებადი

data 1. მონაცემები; ინფორმაცია; 2. ფაქტობრივი ცნობები; ~ analysis მონაცემების ანალიზი; ~ bank მონაცემთა ბანკი; basic ~ ძირითადი მონაცემები; საწყისი მონაცემები; engineering ~ ტექნიკური მონაცემები; time series ~ დინამიკური რიგის მონაცემები

database 1. მონაცემთა ბაზა; 2. კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა

date 1. თარიღი; 2. დათარიღება; 3. ვადა; ხანი

datrend დეთრენდი; სტატისტიკურ მონაცემთა ერთობლიობის მიმართულებისა და ტენდენციის ცვლილება დროის განმავლობაში

day order დღის ბრძანება, აქციის შესყიდვის ან გაყიდვის ბრძანება, რომლის მოქმედების ვადა ავტომატურად ამოიწურება, თუ იგი შესრულდება მისი შემოსვლის დღესვე

daywork 1. დღიური სამუშაო; 2. დღიური გამომუშავება; 3. დროებით მუშაობა

deadbeat ზარმაცი, უმიზნო ადამიანი

deadline უკანასკნელი ვადა

deadlock 1. ჩიხი; 2. ჩიხში მოქცევა

deal 1. რაოდენობა, წილი, ნაწილი; 2. გარიგება, შეთანხმება; 3. ვაჭრობა; 4. განხილვა; გადაწყვეტა; bilateral ~ ორმხრივი გარიგება; fair ~ პატიოსანი გარიგება

debt ვალი, დავალიანება, კრედიტი, ვალდებულება; ~ capital ნასესხები კაპიტალი; ~ financing სესხის დახმა-

რებით საშუალებებისა და კაპიტალის მოპოვება; ~ management საბელმწიფო დავალიანების მართვა; ~ service დავალიანების დაფარვა; ~ to net worth ratio ყველა ვალდებულების ფარდობა კომპანიის სუფთა ღირებულებასთან; ~-deflation ვალის დეფლაცია; accumulated ~ დაგროვილი ვალი; active ~ დაუფარავი ვალი; bad ~ 1.უიმედო ვალი; 2.გადავადებული სესხი; bank ~ ბანკის ვალი; clearing ~s დავალიანება კლირინგის მიხედვით; deferred ~ გადავადებული ვალი; doubtful ~ საეჭვო ვალი; due ~ გადახდას დაქვემდებარებული ვალი external ~ საგარეო ვალი; floating ~ მიმდინარე დავალიანება; frozen ~ გაყინული ვალი; government ~ სამთავრობო ვალი; gross public ~ საერთო სახელმწიფო ვალი; liquid ~ სალიკვიდაციო დავალიანება; national ~ სახელმწიფო ვალი; net public ~ წმინდა სახელმწიფო ვალი; outstanding ~ დაუფარავი ვალი; private ~ არასახელმწიფო ვალი; public ~ სახელმწიფო ვალი; residual ~ ვალის ნაშთი; simulated ~ ხელოვნური ვალი; total ~ საერთო დავალიანება; undischarged ~ დაუფარავი ვალი

debt/equity ratio ვალი/აქციის ფარდობა; ფინანსური მანევრირების ინდიკატორი

debtee კრედიტორი

debtor მევალე, დებიტორი; ~ nation ქვეყანა-დებიტორი

debureaucratization დებიუროკრატიზაცია; მიდგომა, რომელიც მიმართულია ორგანიზაციული იერარქიის ფარგლებში ძალაუფლებისა და უფლებამოსილების დელეგირებასთან ცენტრალურიდან დაქვემდებარებული დონეებისადმი დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის გაზრდისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარების მიზნით

decentralization დეცენტრალიზაცია; უფლებამოსილებათა დიდი წილის დელეგირება მართვის ქვემო დონეებზე

decentralize authorities ძალაუფლების დეცენტრალიზაცია

decentralized დეცენტრალიზებული; ~ authorities დეცენტრალიზებული უფლებამოსილებანი; ~ responsibility დეცენტრალიზებული პასუხისმგებლობა

decile rank დეცილური რიგი; გამოხატულება 1-დან 10-მდე. 1 ნიშნავს, რომ საერთო ფონდებზე უკუგება იყო შედარებული ფონდების ზედა 10%-ში, ხოლო 3 ნიშნავს, რომ უკუგება იყო ზედა 30%-ში. ობიექტური რიგი ერთმანეთს ადარებს ყველა ფონდს ერთსა და იმავე სტრატეგიის კატეგორიაში. ყველა რიგი ედრება ყველა ფონდს

decision გადაწყვეტილება; ~ maker ფირმის ან ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირი; ~ making გადაწყვეტილების მიღება; ~ process გადაწყვეტილების მიღების პროცესი; ~ theory გადაწყვეტილების მიღების თეორია, თეორია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი რისკისა და გაურკვევლობის პირობებში; ~ tree გადაწყვეტილების ხე; conscious ~ გაცნობიერებული გადაწყვეტილება; nonprogrammed ~ დაუპროგრამებული გადაწყვეტილება; programmed ~ დაპროგრამებული გადაწყვეტილება; არჩევანი, რომელიც ეტაპებისა და მოქმედებების კონკრეტულ მიმდევრობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში შესაძლო ალტერ-

ნატივათა რაოდენობა შეზღუდულია; **rational** ~ რაციონალური გადაწყვეტილება; არჩევანი, გაკეთებული ობიექტური ანალიზის საფუძველზე

declaration 1. დეკლარაცია; განცხადება; განაცხადი; 2. საბაჟოს ფურცელი; ~ **date** განცხადების თარიღი; დრო, როდესაც ფირმის დირექტორები იკრიბებიან და აცხადებენ შემდგომი დივიდენდის რაოდენობას და თარიღს

Declaration of Independence დამოუკიდებლობის დეკლარაცია, დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

decline 1. შემცირება; დაცემა; დაკლება; 2. ცხოვრების დონის გაუარესება; 3. მოსახლეობის შემცირება

deconfliction strategy საკონფლიქტო სიტუაციების აღმოფხვრის სტრატეგია

decree 1. დეკრეტი; დადგენილება; 2. დეკრეტის გამოცემა

deductible 1. დაქვითვა; 2. წლიური თანხები, დაქვითული დაზღვევის სრული ხარჯებიდან. შეიძლება მისი გამოყენება ცალკეული პირების, ოჯახების ან ოჯახის განსაზღვრული წევრების მიმართ. სამედიცინო ხარჯების გარკვეულ ნაწილს ხელისმომწერი ან მისი ოჯახის წევრი იხდის საკუთარი ჯიბიდან დაზღვევის გაფორმებამდე. ძირითადად თანხების საერთო რაოდენობა მერყეობს 100$ დან 500$ მდე. ასეთი დაქვითვები ჩვეულებრივი მოვლენაა გარანტირებული დაზღვევის და PPO-ს (preferred provider organization) გეგმებში. 3.ჯიბიდან გადახდები, რომელიც უნდა მოახდინოს დაზღვევის ხელისმომწერმა, ვიდრე დამზღვევი დაიწყებს მისთვის დამატებით ხარჯების ანაზღაურებას.

deed 1. საქმე; მოქმედება; საქმიანობა; 2. დოკუმენტი; აქტი

defer 1. გადადება; გადავადება; 2. შეჩერება

deferred 1. გადავადებული, გადადებული; 2. დაგეგმილი მომავლისათვის; 3. ამოღებული; ~ **taxes** გადავადებული გადასახადები; უნაღდო დანახარჯები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაღდი ფულის ნაკადის მიწოდებას

deficiency 1. უკმარისობა; დეფიციტი; 2. არასრულფასოვნება

deficient არასრულყოფილი; დეფიციტური; უკმარისი

deficit დეფიციტი; **budget** ~ ბიუჯეტის დეფიციტი; სამთავრობო ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე

defined განსაზღვრული; ~ **benefit program** განსაზღვრული სარგებლიანი პროგრამა; გეგმა, რომლის მიხედვითაც დაქირავებულებს სთავაზობენ განსაზღვრული სახის მომსახურებას დადგენილი ფასით, საკუთარი არჩევანით; ~ **contribution program** განსაზღვრული მონაწილეობის პროგრამა; გეგმა, რომლის მიხედვითაც დამქირავებელი იხდის დადგენილ პრემიას გარკვეული სარგებლისათვის, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ჯგუფის საჭიროებათა შეცვლასთან ერთად. გეგმის ეს ტიპი საშუალებას აძლევს დამქირავებელს გაითვალისწინოს ჯანდაცვის მომავალი ღირებულება დამქირავებლის წილის ზრდის კონტროლირების მეშვეობით

deflation დეფლაცია, ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ფულის ღირებულების ზრდითა და ფასების ვარდნით

deflationary gap დეფლაციური გარღვევა

deflator (GNP deflator) დეფლატორი; რეალური ეროვნული პროდუქტის შეფარდება ნომინალურთან

degree 1. ხარისხი; დონე; 2. წოდება, სამეცნიერო ხარისხი; ~ of labour exploitation შრომის ექსპლუატაციის ხარისხი

degression 1. შემცირება; დაქვეითება; 2. საგადასახადო განაკვეთის შემცირება

delegate დელეგატი; წარმომადგენელი; დელეგირება; ~ authority უფლებამოსილების გადაცემა ხელქვეითებისთვის

delegated დელეგირებული; ~ authorities დელეგირებული უფლებამოსილებანი; ~ legislation დელეგირებული ანუ მეორადი კანონმდებლობა; კანონი, რომელსაც ქმნიან მინისტრები პარლამენტის აქტით (პირველადი კანონმდებლობა) მინიჭებული უფლებამოსილებით, რათა ცხოვრებაში გაატარონ აქტების მოთხოვნები

delegation დელეგირება; უფლებამოსილებათა ქვემოთ მიმართული გადატანა ერთი პოზიციიდან მეორეზე; ~ of authorities ძალაუფლების დელეგირება; ~ of authority დაქვემდებარებულისადმი უფლებისა და პასუხისმგებლობის გადაბარება

delivery of services მომსახურების გაწევა

delphi technique ექსპერტული შეფასებების მეთოდი; პროგნოზირების მეთოდი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფში თანხმობით მიიღწევა

demand 1. მოთხოვნა; 2. მოთხოვნილება, საჭიროება; 3. *(იურიდ)* იურიდიულად კანონიერი უფლებების განხორციელების სარჩელი; 4. *(ფინანსები)* გადასახადის შეტანის ან ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა; ~ deposit შენატანი მოთხოვნამდე; სახსრები, რომლებიც ინახება ბანკში და შეიძლება ანგარიშიდან მოიხსნას წინასწარი შეტყობინების გარეშე; ~ loan სესხი მოკითხვამდე; ~ note უბრალო თამასუქი; ~ price ფასი, რომლის გადახდისთვისაც მზადაა მყიდველი; ~ schedule მოთხოვნის დაგეგმვა; ~-pull inflation ინფლაცია, რომელიც გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის სწრაფი ზრდით; consumer ~ სამომხმარებლო მოთხოვნილება; derived ~ წარმოებული მოთხოვნა; independent ~ დამოუკიდებელი მოთხოვნა; inelastic ~ არაელასტიური მოთხოვნა (სუსტად რეაგირებადი ფასების ზრდაზე ან შემცირებაზე); precautionary ~ for money მოთხოვნილება ფულზე გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის; slack ~ მოთხოვნილების დაბალი დონე

demerge კომპანიის დაშლა ცალკე ფირმებად

democrat დემოკრატი

democratic დემოკრატიული; ~ government დემოკრატიული მთავრობა; ~ leadership დემოკრატიული ხელმძღვანელობა; ხელმძღვანელობის სტილი, რომელიც მხარს უჭერს გადაწყვეტილების ჯგუფურ მიღებას

democratize დემოკრატიზება; გადემოკრატება

demoeconomy დემოეკონომიკა, დემოგრაფიული ეკონომიკა

demographic დემოგრაფიული; ~ forces დემოგრაფიული ძალები; ~ shift დემოგრაფიული ცვლილება

demonstration 1. დამტკიცება; 2. არგუმენტაცია; 3. ჩვენება; დემონსტრ-

აცია; გამოფენა

demotion დემოცია, ნაკლებად კვალიფიციურ სამუშაოზე გადაყვანა

denationalization 1. დენაციონალიზაცია; რეპრივატიზაცია (მაგ. საწარმოსი); 2. ეროვნული განსაკუთრებულობის დაკარგვა; 3. მოქალაქეობის ჩამორთმევა, დენატურალიზაცია

denial უარყოფა; უარი; ~ of export privileges საექსპორტო ვაჭრობის უფლების ჩამორთმევა; ~ of responsibility პასუხისმგებლობაზე უარის თქმა

denizen 1. ნატურალიზებული უცხოელი (ქვეყანეში ადაპტირებული პირი, რომელმაც მოქალაქეობა მიიღო); 2. მოქალაქეობის უფლების მიღება

denominate 1. აღნიშვნა; დარქმევა; 2. დასახელება

denounce დენონსირება (სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის თაობაზე)

density 1. განაწილების სიმკვრივე; სიმჭიდროვე; 2. სიხშირე; ~ of population per unit of cultivable area მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთეული სავარგული მიწის ფართობზე; birth ~ შობადობის სიხშირე

denuclearization ატომური იარაღის აკრძალვა გარკვეულ ზონაში ან ქვეყანაში

denunciation დენონსირება, დენონსაცია; უარი (მაგ, ხელშეკრულებაზე)

deordination 1. ნორმიდან გადახვევა; 2. ზნეობის წესების დარღვევა

department 1. დეპარტამენტი; სამმართველო, ადგილობრივი მმართველობის ტერიტორიული ერთეული; 2. *ამერ.* სამინისტრო; უწყება; 3. ხელისუფლება; 4. ადმინისტრაციული უბანი; 5. ადმინისტრაციული ორგანო; 6. სექცია; 7. სტრუქტურული ქვედანაყოფი; 8. ფაკულტეტი; ~ head დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ~ line manager დეპარტამენტის უფროსი; ~ of labor შრომის დეპარტამენტი; wages ~ ხელფასის განყოფილება

departmental უწყებრივი (სტრუქტურა); განყოფილებებისგან შემდგარი; ~ regulation დეპარტამენტის რეგულაცია, მართვა

departmentalization დეპარტამენტებად (განყოფილებებად) დანაწევრება

departmentation დეპარტამენტალიზაცია, ორგანიზაციის აგება; ~ customer ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპი დაკომპლექტებული მყიდველთა ძირითადი ჯგუფების მიხედვით; functional ~ ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა; product ~ გამოშვებული პროდუქციის ძირითადი სახეობების მიხედვით შედგენილი ორგანიზაციული სტრუქტურა; territorial ~ რეგიონალური ორგანიზაციული სტრუქტურა

dependence დამოკიდებულობა

dependency 1. დამოკიდებული მდგომარეობა; ურთიერთობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის; 2. დამოკიდებული ქვეყანა

depeople მოსახლეობისაგან დაცლა; გენოციდი

depletion 1. გამოფიტვა (სავარგულებისა); 2. ამოწურვა (მარაგისა); 3. რეალური ძირითადი კაპიტალის ღირებულების შემცირება; 4. აღუდგენელი რესურსების ღირებულების შემცირება; random ~ შემთხვევითი ამოწურვა; soil ~ ნიადაგის გამოფიტვა

depreciate 1. გაუფასურება, ღირებულების შემცირება; ფასის დაცემა

2. ცვეთა; ~ of capital კაპიტალის ცვეთა; ~ of money ფულის გაუფასურება

depreciated cost ამორტიზირებული ღირებულება

depreciation 1. გაუფასურება; უნაღდო დანახარჯები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაღდი ფულის ნაკადის მიწოდებას; 2. ამორტიზაცია; ცვეთა (ფიზიკური და მორალური); 3. ცვეთის დარიცხვა; თანხა, დარიცხული ცვეთაზე; 4. გადაცვლის კურსის შემცირება; ~ base ამორტიზაციის ძირითადი თანხა; ~ charges ამორტიზაციის ხარჯები

depressed area ეკონომიკურ დეპრესიაში მყოფი რაიონი

depression 1. დეპრესია; კრიზისი; გაჩერება; ჩაკვდომა; 2. შემცირება (ხელფასისა); დაკლება 3. ბიზნესის ციკლის უძრაობა,

Depression of the 1930s 30-იანი წლების დეპრესია; „დიდი დეპრესია", მძიმე ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამერიკაში და რომელმაც გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე

deprofessionalization დეპროფესიონალიზაცია, პროფესიული ჩამორჩენა

deputy 1. დეპუტატი; დელეგატი, წარმომადგენელი; 2. მოადგილე; დამხმარე; ~ chief უფროსის მოადგილე; ~ director დირექტორის მოადგილე; shop ~ საამქროს უფროსი

deregulation სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის მოცულობის შემცირება

derivative security წარმოებული ფასიანი ქაღალდი, როგორიცაა, ოფციონი, ან სასწრაფო კონტრაქტი, რომლის ღირებულება დგინდება ნაწილობრივ სხვა ფასიანი ქაღალდების, არსებული ფასიანი ქაღალდების ღირებულებისა და მახასიათებლებისაგან

description 1. აღწერა; 2. სახე; ~ of duties and boundaries ვალდებულებებისა და საზღვრების აღწერა

design 1. დაპროექტება; კონსტრუირება; დაგეგმვა; 2. პროექტი; 3. გეგმის შედგენა; 4. ნიმუში; 5. მოდელი; დიზაინი

Designated Planning Agency (DPA) მიზანმიმართული საგეგმო სააგენტო

desk სამუშაო ადგილი (ხელმძღვანელისა)

detente დაძაბულობის შესუსტება ორ ქვეყანას შორის

determinant 1. ძირითადი ფაქტორი; 2. განმსაზღვრელი ფაქტორი

devaluation დევალვაცია; ფიქსირებული გაცვლითი კურსის დროს სახელმწიფოს მიერ ეროვნული ვალუტის კურსის დაწევა ოქროს ექვივალენტთან ან უცხოურ ვალუტასთან შედარებით

develop 1. განვითარება; გაუმჯობესება; 2. გაფართოება; 3. ჩამოყალიბება (მაგ. იდეისა); 4. შექმნა (მაგ. ფირმისა)

developed countries განვითარებული ქვეყნები

developing countries განვითარებადი ქვეყნები

development 1. ზრდა; განვითარება; მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავს ცვლილებებსა და გადასვლას ნაკლებად სასურველი მდგომარეობიდან უკეთესზე; 2. ცვლილება (ეკონომიკაში და საზოგადოებაში ადამიანების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად); 3. დამუშავება; 4. განაშენება; 6. გაუმჯობესება; 7. *(ადმინისტრირება)* ეფექტურობის კრიტერიუმი, რომელიც აღნიშნავს ორგანიზაციის რეაგირების უნარს არსებულ ან

მოსალოდნელ ზეწოლაზე; ~ expense დამუშავების, განვითარების ხარჯები; ~ infrastructure განვითარების ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური, პოლიტიკური და სიციალური საფუძველი მოდერნიზაციის მისაღწევად; ~ loan სესხი (კრედიტი), აღებული განვითარებისათვის

deviation გადახრა; ძვრა; დევიაცია

device 1. მეთოდი; ხერხი; საშუალება; 2. მოწყობილობა; მექანიზმი; ხელსაწყო; 3. გეგმა; პროექტი; 4. ელემენტი, შემადგენელი ნაწილი

devisee მემკვიდრე

diachronic research დიაქრონული კვლევა, დროის რაღაც პერიოდში მიმდინარე ცვლილებების შესასწავლად ჩატარებული კვლევა

diagnosis related groups (DRG) დიაგნოზზე დაფუძნებული ჯგუფები, (დიაგნოზზე მომუშავე ჯგუფი, დიაგნოზის მიხედვით შექმნილი ჯგუფი); ეს მეთოდი გამოარჩევს ავადმყოფებს, რომელთა ჰოსპიტალიზაცია და რესურსების მოხმარება მსგავსია და აჯგუფებს მათ დიაგნოზების საფუძველზე.

diagonal communication დიაგონალური კომუნიკაცია, კომუნიკაციის სახეობა, რომელიც აკავშირებს ორგანიზაციის ფუნქციებსა და დონეებს

diagram 1. დიაგრამა; სქემა; 2. გრაფიკი; 3. სქემატურად გამოსახვა

dictatorship დიქტატურა

differ 1. განსხვავება; 2. აზრთა სხვადასხვაობის გამო დავა

difference 1. განსხვავება; სხვაობა; 2. მატება; ნამატი; 3. განმასხვავებელი ნიშანი

difficulty 1. სიძნელე; დაბრკოლება; წინააღმდეგობა; 2. *pl.* (მატერიალური) გაჭირვება; სიძნელეები

diffuse 1. გავრცელება; 2. გაბნევა

diffusion 1. დიფუზია, შეღწევა; 2. გავრცელება; გაბნევა; 3. განაწილება; ~ of innovations სიახლეთა გავრცელება

dilapidate 1. დაცემემდე მიყვანა; 2. განიავება

dilemma დილემა, გადაუჭრელი პრობლემა

dimension 1. განზომილება; 2. სიდიდე

diminishing კლებადი; ~ marginal product კლებადი ზღვრული პროდუქტი; ~ marginal utility law კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონი; ~ returns კლებადი შემოსავლიანობა

dip ზედაპირული გაცნობა; თვალის გადავლება

diploma 1. დიპლომი; 2. ოფიციალური დოკუმენტი; 3. დიპლომის გაცემა

direct 1. ხელმძღვანელობა; მართვა; კონტროლირება; 2. მმართველი (ორგანო); 3. პირდაპირი; ~ controls პირდაპირი, უშუალო კონტროლი; ~ democracy პირდაპირი დემოკრატია, მართველობის ფორმა, როდესაც მოქალაქენი პერიოდულად იკრიბებიან კანონების შესადგენად; ~ tax პირდაპირი გადასახადი; ~ sales force ფირმის საკუთარი პერსონალი; შტატი

direction 1. ხელმძღვანელობა, მმართველობა; 2. მინიშნება; განკარგულება; 3. დირექცია; გამგეობა; ~ of analysis and long-range planning ანალიზისა და ხანგრძლივი დაგეგმარების განყოფილება

directive დირექტივა; management ~ სახელმწიფო დოკუმენტი; project planning ~ პროექტის დაგეგმარების განყოფილება;ს

director დირექტორი; გამგეობის წევრი; ხელმძღვანელი; უფროსი; ~

of operations წარმოების უფროსი; budget ~ ხარჯთაღრიცხვის ჯგუფის ხელმძღვანელი; managing ~ დირექტორ-განმკარგულებელი; purchasing ~ მომარაგების უფროსი; ~ of personnel policy საკადრო პოლიტიკის დირექტორი

directorship დირექცია, ხელმძღვანელობა

dirigisme *ფრ.* დირიჟიზმი (ეკონომიკური სახელმწიფო მონოპოლისტური მართვისა და პრაქტიკის განხორციელება)

disability 1. უუნარობა; 2. გადახდისუუნარობა; 3. ქმედითუუნარობა; 4. შრომისუუნარობა; ~ benefits ინვალიდობის პენსია; თანხა, რომელიც გაიცემა ხანმოკლე ან ხანგრძლივი ინვალიდობით გამოწვეული ხელფასის დაკარგვის შემთხვევაში

disadvantage 1. არასახარბიელო მდგომარეობა; 2. არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება

disadvantages outline მიზნის ან თეზისის მთავარი მომენტების გამორჩევა მისი უპირატესობებისა და ნაკლოვანი მხარეების მიხედვით

disallow დანამატი; ექიმისთვის გადასახდელი თანხის რაოდენობა, რომელიც აღემატება ზღვრულს ან მაქსიმალურ დასაშვებს

disarmament negotiation მოლაპარაკება განიარაღებაზე

disaster relief დახმარება უბედურების დროს, (მაშველებით, მედიკამენტებით, ტანსაცმელითა და ა შ)

discharge 1. გადმოტვირთვა; 2. დაფარვა (ვალისა); 3. შესრულება (მოვალეობისა); 5. დათხოვნა (სამსახურიდან)

discipline 1. დისციპლინა; 2. რიგის წესი; მომსახურების წესი; budgetary ~ საბიუჯეტო დისციპლინა; first-come-first-served ~ მომსახურება შეკვეთის თანმიმდევრული შესაბამისობით

disclosure 1. გაცემა (ინფორმაციისა); 2. გახმაურება

discount 1. ფასდათმობა; გაუფასურება 2. დისკონტი, თამასუქის აღრიცხვა; დისკონტირება; 3. კოტირების შემცირება; 4. ლოდინის კომპენსაცია; ~ factor სააღრიცხვო კოეფიციენტი; ~ on bonds payable დისკონტი პროცენტული შემოსავლის ობლიგაციებზე; ~ order quantity შეღავათიანი შეკვეთის საქონლის რაოდენობა; ~ period (თამასუქის) აღრიცხვის პერიოდი; ~ points დისკონტირების პუნქტები; ~ rate დისკონტი, სააღრიცხვო განაკვეთი/პროცენტი

discount შეღავათი; ფასდაკლება

discounted rate of return მომგებიანობის/რენტაბელობის სააღრიცხვო ნორმა

discounting დისკონტირება; სამომავლო დანახარჯებისა და შემოსავლების მოცულობის შემცირება მიმდინარესთან შედარებით, რაც გამოწვეულია დადებითი საპროცენტო განაკვეთის არსებობით

discredit 1. დისკრედიტაცია, უნდობლობა; 2. ნდობის დაკარგვა; 3. კრედიტის შეწყვეტა

discrimination დისკრიმინაცია; არაერთნაირი დამოკიდებულების გამოვლენა; ფავორიტიზმი; employment ~ დისკრიმინაცია მუშაობისას

diseconomy 1. უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი, ზარალი; 2. *pl.* უარყოფითი სამეურნეო შედეგი, ზარალი; ~ies of pollution ზარალი გარემოს დაბინძურების გამო; ~ies of scale უარყოფითი შედეგი წარმო-

ების მოცულობის მასშტაბის ზრდის გამო

disinflation დეფლაცია; ფასების ზრდის ტემპის შენელება

disintegration დაშლა; განცალკევებულობა; დეზინტეგრაცია

disinvestment კაპიტალდაბანდების შემცირება

dismiss 1. გაშვება; დაშლა; 2. განთავისუფლება; სამსახურიდან დათხოვნა; 3. გადადება, უარყოფა; 4. საქმის მოსმენის დამთავრება სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე

dismissal 1. განთავისუფლება, სამსახურიდან დათხოვნა; 2. უარყოფა; **unwarranted ~** უკანონო დათხოვნა

disparity უთანასწორობა, დისპროპორცია, შეუსაბამობა; **factor-price ~ies** ფასებისა და წარმოების ფაქტორების შეუსაბამობა

dispatching მართვა, განაწილება (სატვირთო გადაზიდვებისა)

displaced person იძულებით ადგილგადანაცვლებული პირი

displacement 1. გადაადგილება; ადგილის შეცვლა; 2. სამუშაოდან მოხსნა

disposable income სუფთა (განკარგვადი) შემოსავალი; შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება გადასახადების გადახდის შემდეგ

disproduct წუნიანი საქონელი

disqualification დისკვალიფიკაცია

dissatisfaction უკმაყოფილება

dissaving 1. ხარჯვის გადამეტება შემოსავლებზე, უარყოფითი სალდო; 2. დავალიანების ზრდა

dissementation გავრცელება

dissolution 1. ლიკვიდაცია; დაშლა; 2. დათხოვნა; 3. მსხვილი კომპანიის დაშლა რამდენიმე კომპანიად

dissolution დაშლა; ლიკვიდაცია (კომპანიისა, ამხანაგობისა)

distress for rent დაკავება არენდის გადასახადის გადაუხდელობის გამო

distribution 1. განაწილება; გაყოფა; კლასიფიცირება; 2. განლაგება; 3. აქციების მსხვილი პაკეტების გაყიდვა კურსის დაცემის თავიდან ასაცილებლად; 4. *pl.* განაწილებანი; ანაზღაურება ფონდიდან ან საერთო ნაღდი ფულის ნაკადიდან. შეიძლება მოიცავდეს დივიდენდებს გამომუშავებიდან, კაპიტალური მოგების გაყიდვებიდან და უკუგებიდან კაპიტალზე; **~ of risk** რისკის განაწილება; **regional ~** განაწილება რეგიონების მიხედვით

distributor 1. გამანაწილებელი; 2. ბითუმად მოვაჭრე; 3. მიმწოდებელი

district რაიონი; ადმინისტრაციული ოლქი; **administrative ~** ადმინისტრაციული ერთეული

distrust უნდობლობა

disturbance 1. დარღვევა; 2. შეშფოთება;

disuse გამოუყენებლობა

disutility უსარგებლობა; გამოუყენებლობა

divergence 1. გადახრა; 2. დივერგირება; აზრთა სხვადასხვაობა, განსხვავებულობა

diverse groups სხვადასხვა ჯგუფები

diversification 1. დივერსიფიკაცია, მრავალფეროვნება, სხვადასხვაობა, მრავალმხრივობა; 2. გაფართოება; 3. სპეციალიზაცია

divestiture 1. მხილება, გამომჟღავნება, გამოაშკარავება; 2. უფლების აყრა

dividend 1. დივიდენდი; კომპანიის შემოსავლის, ნაღდი ფულის ნაკადის ან კაპიტალის ნაწილის განაწილება აქციონერებზე, ნაღდი ფულით, ან დამატებითი აქციებით; 2. კვოტა; 3. წილი, ნაწილი; **~ payout ratio** დივიდენდის გადახდის განაკვეთი; **~ per share** წილობრივი დივიდენდი;

გასული 12 თვის მანძილზე გადახდილი დივიდენდების ფარდობა საერთო გადაუხდელი აქციების რიცხვთან. აქციების რიცხვი ხშირად განისაზღვრება გადაუხდელი აქციების შეწონილი საშუალოთი; ~ rate დივიდენდის ნორმა; ~ Reinvestment Plans(DRP) დივიდენდთა რეინვესტიციის გეგმები; შემოთავაზებული მრავალი კორპორაციის მიერ დივიდენდთა რეინვესტიციისათვის, ზოგჯერ ფასდაკლებით, დივიდენდის გადახდის დღეს. ბევრი დივიდენდთა რეინვესტიციის გეგმა აქციონერთა მიერ დამატებითი ნაღდი ფულის ინვესტირების საშუალებას იძლევა. დივიდენდთა რეინვესტიციის გეგმები წესდება კომპანიის მიერ მფლობელთაგან ყოველგვარი გადასახადის გარეშე; ~ yield (funds) ფონდის დივიდენდის შემოსავალი, წარმოადგენს გასული 12 თვის მანძილზე არსებული საერთო ფონდის წილზე უკუგებას. გულისხმობს, რომ ფონდი შესყიდულ იყო 1 წლის წინ. ასახავს გაყიდვის ხარჯებს (მიმდინარე განაკვეთით), მაგრამ არა გამოსყიდვის ხარჯებს; ~ yield (stocks) აქციის დივიდენდის შემოსავალი; აღნიშნული შემოსავალი წარმოადგენს წლიური დივიდენდების ფარდობას აქციის მიმდინარე ფასთან; ~s in arrears გადაუხდელი დივიდენდები; ~s per share აქციაზე გათვლილი დივიდენდი; annual ~ წლიური დივიდენდი; cash ~ ნაღდი ფულით გადახდილი დივიდენდი; cumulative ~ კუმულაციური დივიდენდი; declared ~ გამოცხადებული დივიდენდი; deferred ~s გადავადებული დივიდენდი; interim ~ შუალედური დივიდენდი; unclaimed ~ დივიდენდი მოთხოვნის გარეშე; unpaid ~ გადაუხდელი დივიდენდი

division 1. გაყოფა; დაყოფა; განაწილება; 2. განყოფილება; დანაყოფი; სექტორი; ფილიალი; 3. კომპანიის ქვედანაყოფი; ~ of income შემოსავლის განაწილება; ~ of labor შრომის განაწილება; ~ of markets ბაზრის განაწილება; ~ of powers უფლებამოსილების განაწილება; ~ of profits მოგების განაწილება; ~ of property ქონების განაწილება; defence industry ~ სამხედრო მრეწველობის განყოფილება

divisionalization ქვედანაყოფების შექმნა

divorce 1. წყვეტა; გაწყვეტა; 2. გაყოფა; ჩამოშორება; ჩამორჩენა; 3. განქორწინება

doctor (Dr) დოქტორი (სამეცნ. ხარისხი)

dole 1. უმუშევრობის დახმარება; 2. საქველმოქმედო მიზნით გაღებული თანხა

domestic 1. ადგილობრივი; სამამულო; 2. საყოფაცხოვრებო; ~ conflict behaviour ქცევა საშინაო კონფლიქტის დროს (მაგ., სამოქალაქო ომში); ~ market შიგა ბაზარი; ~ public policy შიგა საჯარო პოლიტიკა

dominated asset დაქვემდებარებული აქტივი; აქტივის სახეობა, რომელსაც ნებისმიერ ეკონომიკურ სიტუაციაში მოაქვს სხვა აქტივებთან შედარებით ნაკლები მოგება

donate ჩუქება; საჩუქრად გადაცემა

donation 1. შეწირულობა; საჩუქარი; 2. საქველმოქმედო წვლილი; 3. სუბსიდია

donor 1. დონორი; შემომწირავი; 2. დამფინანსებელი; დაფინანსების წყარო

dotaion 1. დოტაცია; დახმარება; (ფირმების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხარჯების დასაფარავად

სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტიდან გაცემული თანხა); 2. შეწირვა

downgrade 1. დაბალ კატეგორიაში გადაყვანა 2. დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა; ჩამოქვეითება; თანრიგის დაკლება; 3. ჩამოფასება; აქციის ან სხვა ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის კლასიკური უარყოფითი ცვლილება

downswing 1. დაცემა; მკვეთრი დაცემა; 2. წარმოების დაცემა

downtime 1. მოცდენა; 2. მოცდენის დონე; **scheduled** ~ გეგმური მოცდენა; **unscheduled** ~ არაგეგმური მოცდენა

downturn ეკონომიკის დაცემა

draft 1. ნახაზი; გეგმა; ესკიზი; პროექტი; ნახაზის, პროექტის შედგენა

drain 1. გადინება (მაგ. მუშახელისა, მეცნიერებისა); 2. ამოწურვა; გაჟონვა

drawback 1. დაბრკოლება; 2. ნაკლი; 3. დათმობა

drift 1. მიმართულება; ტენდენცია; 2. ნელი გადაადგილება

drive 1. (სოციალური) მოძრაობა; კამპანია; 2. მართვა; 4. გადაცემა; მოქმედებაში მოყვანა; 5. სტიმული

dual 1. დუალური; ორსახოვანი; ორნაირი; 2. გაორებული; 3. გაორმაგებული; 4. ორმაგი; ~ **nationality** ორმაგი მოქალაქეობა

dual-career ორმაგი კარიერა

duality გაორებულობა; ორსახოვნება

due 1. შესაბამისი (პროცედურა); 2. სასწრაფო (გადასახადის გადახდის შესახებ); 3. რგება; განეკუთვნება; 4. გამო; ~ **process** შესაბამისი პროცესი, სამართლის აღსრულება არსებული კანონებისა და პრინციპების შესაბამისად

durability 1. ხანგრძლივობა; 2. მუშაობის ხანგრძლივობა; 3. მედეგობა; სიმტკიცე; 4. ხანგრძლივი გამოყენებადობა

duration ხანგრძლივობა; დრო

duty 1. ვალი, მოვალეობა; 2. ფუნქცია; ვალდებულება; დავალება; 3. საბაჟოს გადასახადი; **assign** ~ დავალების მიცემა; ფუნქციის დაკისრება

dweller მცხოვრები; მობინადრე; **rural** ~ სოფლის მცხოვრები; **town** ~ ქალაქის მცხოვრები

dwelling 1. საცხოვრებელი ადგილი; 2. ბინა; სახლი; სადგომი



eager 1. მონდომებული; 2. ენერგიული

Early and Periodic Screening, Diagnosis and Treatment (EPSDT) ადრეული და პერიოდული სკრინინგი, დიაგნოსტიკა და მკურნალობა; პროგრამა მოიცავს სკრინინგსა და დიაგნოსტიკურ მომსახურებას, რომ განსაზღვროს ფიზიკური ან მენტალური დარღვევები 21 წლამდე ახალგაზრდებში

earn 1. შემოსავლის მიღება; 2. გამომუშავება

earner 1. მარჩენალი; ხელფასის მიმღები პირი; 2. მოგების წყარო; **profit** ~ მოგების წყარო; **salary** ~ მოსამსახურე (ხელფასზე მომუშავე); **wage** ~ მუშა, რომელიც იღებს ხელფასს

earning yield გამომუშავების შემოსავალი; წილობრივი გამომუშავების თანაფარდობა ფიქსირებულ საპროცენტო ვალზე გადასახადების და პროცენტების გადახდის ნებართვის მიცემის შემდეგ მიმდინარე აქციის ფასით

earnings 1. შემოსავალი; მოგება; სარფა; 2. ხელფასი; ამონაგები; გამომუშავებული საზღაური; 3. სარჩოსაბადებელი; 4. კომპანიის წმინდა

შემოსავალი გარკვეული დროის მანძილზე; ~ per share წილობრივი გამომუშავება

ease 1. შეზღუდვის მოხსნა; შემსუბუქება; 2. სიცოცხლე; to ~ customs formalities საბაჟო პროცედურების გამარტივება

echelon დონე; ინსტანცია; ეშელონი (მართვის სისტემაში)

ecological approach to admnistrative theory ადმინისტრაციული თეორიისადმი ეკოლოგიური მიდგომა, ადმინისტრაციის ამოცანა იმგვარად მოაწყოს ორგანიზაცია, რომ მან შესძლოს გარემოს ცვლილებებზე დროულად რეაგირება შემდგომი განვითარების მიზნით

econometrics ეკონომეტრიკა

economic 1. ეკონომიკური; 2. რენტაბელური; მისაღები; გამოყენე-ბითი; ~ climate ეკონომიკის მდგომა-რეობა, ეკონომიკური მდგომარეობა; ~ efficiency ეკონომიკური ეფექტურობა; ~ factors ეკონომიკური ფაქტორები; ~ forces ეკონომიკური ძალები; ~ goods ეკონომიკური საქონელი; იწარმოება რესურსების ნაკლებობის პირობებში; ~ growth rate ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი; ~ indicators ეკონომიკური მაჩვენებლები, ინდიკატორები; ~ lot technique პროდუქციის ოპტიმალური ზომა; ~ of scale მასშტაბური ეკონომია; ~ profit ეკონომიკური მოგება; ამონაგების ნაწილი, რომელიც წარმოების ფაქტორების ყველა დანახარჯების გამოკლების შემდეგ რჩება მესაკუთრეს; ~ Recovery Tax Act of 1981 ფედერალური კანონი, რომელ-საც ხელი მოაწერა პრეზიდენტმა რეიგანმა 1981 წელს და რომელიც ითვალისწინებდა სხვადასხვა ტიპის გადასახადების გადახედვასა და შემცირებას; ~ value ეკონომიკური ფასეულობა; საქონლის ფასეულობა, დამოკიდებული მის დეფიციტურობასა და სარგებლიანობაზე

economic(al) 1. ეკონომიკური; მეურნეობრივი; 2. ეკონომიური; რენტაბელური; ~ development ეკონომიკური განვითარება; ~ ethic ეკონომიკური ეთიკა; ~ indicators ეკონომიკური მაჩვენებლები; ~ planning ეკონომიკური დაგეგმვა; ~ regulation ეკონომიკური რეგულაცია; ~ surplus ეკონომიკური სიჭარბე; ~ union ეკონომიკური კავშირი

economics 1. ეკონომიკსი (სასწავლო და სამეცნიერო დარგი); 2. ეკონომიკა; ეკონომიკური თეორია; ეკონომიკური ანალიზი; 3. პოლიტ-ეკონომია; 4. მეურნეობა; სამეურნეო საქმიანობა

economize 1. ეკონომიის გაწევა; ეკონომიურად ხარჯვა; 2. მეურნეობის გაძღოლა

economizing ეკონომია, რესურსების გამოყენების გზების ამორჩევა ისეთი რესურსების დეფიციტის შემთხვევაში, როგორიცაა წარმოების ფაქტორები, ფული და დრო

economy 1. ეკონომიკა, მეურნეობა; 2. *pl.* ეკონომია, ყაირათიანობა; მომჭირნეობა; ეკონომიური გამოყენება; 3. ეკონომიკა (როგორც ცოდნის სფერო); ~ of scale ეკონომია გამოწვეული წარმოების მასშტაბის ზრდით; ~ies of scale „მასშტაბის“ ეფექტი, წარმოების მასშტაბების გაზრდის შედეგად მიღებული ეკონომია; ~ies of scarcity დეფიციტური ეკონომიკა; abstract ~ აბსტრაქტული ეკონომიკა; centralized ~ ცენტრალიზებული ეკონომიკა; closed ~ ჩაკეტილი ეკონომიკა; არ იღებს

მონაწილეობას საერთაშორისო ვაჭრობაში; competitive ~ies კონკურენტუნარიანი ეკონომიკა; controlled ~ ცენტრალიზებულად მართული (არასაბაზრო) ეკონომიკა; decentralized ~ დეცენტრალიზებული ეკონომიკა; developing ~ განვითარებადი ეკონომიკა; dual ~ ორმაგი ეკონომიკა; exchange ~ საბაზრო ეკონომიკა; labor-surplus ~ ეკონომიკა ჭარბი სამუშაო ძალით; laissez faire ~ თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკა; managerial ~ მართვის ეკონომიკის მეთოდები; market ~ საბაზრო ეკონომიკა; market-directed ~ საბაზრო ეკონომიკა; national ~ ეროვნული ეკონომიკა; shortage ~ „დეფიციტური" ეკონომიკა, ეკონომიკა რესურსების დეფიციტის პირობებში; sick ~ უძრაობის ეკონომიკა; stagnant ~ უძრაობის ეკონომიკა; stationary (steady-state) ~ მდგრადი ეკონომიკა

effect 1. ეფექტი; შედეგი; რეზულტატი; 2. გავლენა; ზემოქმედება; 3. *pl.* ქონება, საკუთრება; 4. განხორციელება; გაფორმება; დადება (გარიგებისა); 5. შესრულება; feedback ~ უკუკავშირის ეფექტი; marginal ~ ზღვრული ეფექტი

effective 1. ეფექტური; სასარგებლო; 2. მოქმედი; ნამდვილი, ძალაში მყოფი; 3. ფაქტობრივი; ~ assortment არსებული ასორტიმენტი; ~ communication ეფექტური კომუნიკაცია; გადაცემული და მიღებული ინფორმაციის არსი ერთმანეთს სრულად ემთხვევა; ~ date / effective date of coverage დაწყების თარიღი / მომსახურების დაწყების თარიღი; ~ date ძალაში შესვლის თარიღი; ~ debt ეფექტური დავალიანება; ~ gross income რეალური საერთო შემოსავალი; ~ interest rate ეფექტური საპროცენტო განაკვეთი; ~ par რეალური ნომინალური ღირებულება; ~ interest amortization ამორტიზაცია არსებული პროცენტით

effectiveness 1. ეფექტიანობა; 2. ეფექტურობა; organizational ~ ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა

effectless უშედეგო

effectual ეფექტური; მოქმედი; შედეგის მომცემი; მიზანშეწონილი

efficiency 1. ეფექტურობა (ტექნიკური); 2. ეკონომიკური ეფექტურობა; მწარმოებლურობა; პროდუქტიულობა; მომგებიანობა; 3. მარგი ქმედების კოეფიციენტი; 4. გამომუშავების ნორმის შესრულება; ~ of labor შრომის ეფექტურობა; ცვლადი, რომელიც განსაზღვრავს მუშა ძალის ჯანმრთელობის მდგომარეობას, განათლების დონეს, კვალიფიკაციასა და ცოდნას; ~ wage theories მასტიმულირებელი ანაზღაურების თეორია; რეალური ანაზღაურებისა და უმუშევრობის თეორია, რომლის მიხედვითაც უფრო მაღალი ანაზღაურების დონე წარმოადგენს შრომისნაყოფიერებისა და წარმოების მოგების ზრდის საშუალებას სტაბილურთან შედარებით

efficient 1. ეფექტური; ქმედითი; ნამდვილი; ნაყოფიერი; 2. მწარმოებლური; შედეგიანი; მომგებიანი; 3. შრომისუნარიანი; კვალიფიცირებული; ~ action ეფექტური მოქმედება

effluent 1. ჩადინება (წყლისა); ჩასადინარი; 2. ჩამონადენი (მაგ. ფეკალური წყლისა)

effort 1. სამუშაოს მოცულობა; მუშაობა; 2. ძალისხმევა, ცდა; 3. *pl.* ზომები; ~ bargain შეთანხმება

სამუშაოს მოცულობის შესახებ; ~ scale დახარჯული ძალის შკალა; სისტემა, რომელიც განსაზღვრავს რა მოცულობის ძალისხმევის დახარჯვა შეუძლია მყიდველს კონკრეტული საქონლის ყიდვის მიზნით; defense ~ სამხედრო დანიშნულების საქმიანობა

egalitarian მათანაბრებელი, ეგალიტარული (მაგ. საზოგადოება); ~ rights ადამიანის უფლებები

egalitarianism თანასწორუფლებიანობა

elaboration დამუშავება; შემუშავება; განვითარება; დაზუსტება; სრულყოფა

elastic ელასტიური, მოქნილი; ~ demand ელასტიური მოთხოვნა; ~ supply ელასტიური მიწოდება

elasticity ელასტიურობა (ახასიათებს ორი ფაქტორის დამოკიდებულებას მაგ., მოთხოვნის დამოკიდებულებას ფასების ზრდასთან); price demand ~ მოთხოვნილების ელასტიკურობა ფასების მიხედვით

elective surgery შერჩევითი ქირურგია; არ განიხილება, როგორც გადაუდებელი ან სიცოცხლისათვის საშიში, ასეთი ქირურგიული ჩარევა პაციენტის და ექიმის ასარჩევი ან გადასაწყვეტია

electoral system საარჩევნო სისტემა

electorate ელექტორატი

electronic media მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებანი (ტელევიზია, რადიო, ვიდეო)

element 1. ელემენტი; 2. სისტემის ნაწილი; 3. დეტალი; კომპონენტი; 4. უმარტივესი ერთეული

elevation თანამდებობრივი ამაღლება; დაწინაურება; მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა

eligibility მისაღებობა; ჯგუფური პოლისის ზოგადი დებულებები, რომლის მეშვეობითაც დგინდება ის მოთხოვნილებები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ჯგუფის წევრების მიერ და რაც გულისხმობს როგორც მათ, ასევე მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა დაზღვევას; ~ date მისაღებობის თარიღი; ის თარიღი, რომლიდანაც ცალკეული პირები და/ან მათ კმაყოფაზე მყოფნი ექვემდებარებიან სადაზღვევო დახმარების მიღებას სადაზღვევო გეგმის მიხედვით

eligible 1. შესაფერისი; შესატყვისი; სათანადო; 2. მისაღები; ~ charges სათანადო გადასახადები; გადასახადები, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნას ანაზღაურებისათვის; ~ employees მუშაკები, რომლებიც აკმაყოფილებენ ჯგუფური დაზღვევის პოლუსის მიერ დადგენილ მოთხოვნილებებს; ~ expenses სათანადო ხარჯები; ის მომსახურება რომლიც განსაზღვრულია სადაზღვევო პაკეტით

eliminate გაუქმება, გარიცხვა; აღმოფხვრა

elimination ელიმინაცია, გამორიცხვა

embargo ემბარგო, აკრძალვა, გაყინვა; to lay ~ ემბარგოს დადება

embezzlement 1. გაფლანგვა (ფულისა); 2. უკანონოდ მითვისება; 3. თანამდებობის უკანონოდ გამოყენება

embodiment ხორცის შესხმა; განვითარება; მატერიალიზაცია; საგნად ქცევა

emergency 1. გაუთვალისწინებელი შემთხვევა; კრიტიკული მდგომარეობა; 2. ავარია; მწყობრიდან გამოსვლა (მოწყობილობისა); ~ aid სასწრაფო დახმარება

emerging principles აღმოცენებადი პრინციპები

emigration იმიგრაცია

emission 1. ემისია (სახელმწიფოს მიერ ფულისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება და ბრუნვაში გაშვება); 2. განაწილება; გაყოფა

emolument კომპენსაცია ხელფასის ფორმით

empirical ემპირიული

employ 1. სამსახური; დაკავებულობა; 2. დაქირავება; სამუშაოს მიცემა; 3. გამოყენება; ხმარება; 4. სამსახურში ჩაყენება;

Employee Assistance Program (EAP) დასაქმებულთა დახმარების პროგრამა, ორიენტირებული დასაქმებულის ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა მავნე ნივთიერებათა ზემოქმედება, გამოფიტვა, ფინანსური, ემოციური და ოჯახური (ქორწინება) პრობლემები

employee მოსამსახურე, მუშა; ~ benefit plan დაქირავებულთა სარგებელის გეგმა; გეგმა, შედგენილი დამქირავებლის ან დაქირავებულის ორგანიზაციის ან ორივეს მიერ, რომლის მიზანია უზრუნველყოს დაქირავებულნი განსაზღვრული სახის დახმარებებით, პენსიით, მოგებაში მონაწილეობით, სააქციო პრემიებიებით, ავადმყოფობასთან, უბედურ შემთხვევასთან ან ინვალიდობასთან დაკავშირებული დახმარებებით; ~ suggestions თანამშრომელთა წინადადებები; full-time ~ მთელი სამუშაო დღის მანძილზე დასაქმებული; individual ~ ინდივიდუალური მოსამსახურე; part-time ~ არასრული სამუშაო დღით დასაქმებული; ~ participation თანამშრომელთა მონაწილეობა;

Employee Retirement Income Security Act (ERISA) დაქირავებულთა საპენსიო შემოსავ-ლების უსაფრთხოების დაცვის აქტი

employer დამქირავებელი; სამუშაოს მიმცემი; ~ contribution დამქირავებლის წვლილი; თანხა, რომელსაც იხდის დამქირავებელი იმ მომსახურებისათვის, რომელსაც ირჩევს დაქირავებული. დარჩენილი თანხას იხდიან თავად დაქირავებულები; ~ group დამქირავებელი ჯგუფი

employment 1. სამუშაო; სამსახური; საქმიანობა; 2. დასაქმება; seasonal ~ სეზონური დასაქმება

emporium 1. სავაჭრო ცენტრი; 2. ბაზარი; 3. დიდი მაღაზია; სუპერმარკეტი

empower უფლებამოსილების მინიჭება; ~ to act სამოქმედო უფლებამოსილების მინიჭება

empowerment მინდობილობა, რწმუნება; სრულუფლებიანობა, უფლებამოსილება; attributes of ~ უფლებამოსილების ატრიბუტები, ნიშნები

encourage გამხნევება; სტიმულირება; დახმარება, ხელის მართვა

enforce 1. იძულება; 2. კანონის ცხოვრებაში გატარება; 3. გადახდევინება

enforcement განხორციელება, სისრულეში მოყვანა

engagement 1. საქმე, საქმიანობა; 2. ვალდებულება; 3. დანიშვნა

engineering 1. ტექნიკა; 2. საკონსტრუქტორო-საპროექტო სამუშაოები; კონსტრუირება; 3. მანქანათმშენებლობა; safety ~ უსაფრთხოების ტექნიკა

enrollment ჩართვა, მონაწილეობა; პროცესი, რომლის მიხედვითაც ცალკეული პირი და/ან მის კმაყოფაზე მყოფნი ხდებიან გეგმის ხელისმომწერნი, ა) პროცესი, რომლის დროსაც ცალკეული პირი აკეთებს განაცხადს სამედიცინო

მომსახურების იმ მოცულობაზე, რომელიც გათვალისწინებულია დახმარების გეგმით; ბ) პროცესი, რომლის დროსაც ხდება ჯგუფის წევრების გადაცემა სამედიცინო ორგანიზაციის წევრებად; გ) სამედიცინო ორგანიზაციაში გაწევრიანებულთა აღრიცხვა დროის განსაზღვრული მომენტისათვის; ~ recruitment 1. სიაში შეტანა, რეესტრში შეტანა; რეგისტრაცია; 2. ორგანიზაციაში წევრად მიღება

enterprise 1. საწარმო; ფირმა; კომპანია; 2. მეურნეობა; 3. მესაქმეობა; 4. დარგი; foreign ~ უცხოური ფირმა

entitle 1. უფლების მიცემა; 2. სახელის დარქმევა

entitlement 1. უფლება (რაიმე ქმედებაზე); 2. უფლების მიმცემი დოკუმენტი; import ~ ლიცენზია საქონლის იმპორტზე

entrepreneur მეწარმე

entrepreneurism ენტრეპრენიორიზმი; ხელმძღვანელობის სტილი, რომელიც ხელს უწყობს ახალ ინიციატივებს

environment გარემო; გარემოცვა; direct action ~ პირდაპირი ზემოქმედების გარემოცვა; გარე ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ ორგანიზაციაზე, ხოლო თავად ორგანიზაცია უშუალოდ ზემოქმედებს ამ ფაქტორებზე; external ~ გარე გარემო; indirect ~ ირიბი ზემოქმედების გარემო; internal ~ შიგა გარემო; turbulent ~ არასტაბი-ლური გარემო

environmental გარემო; ~ change and organizational design გარემოს ცვლილება და ორგანიზაციის მოწყობა; ~ circumstances გარემო პირობები; ~ complexity გარემოცვის სირთულე; ~ interrelatedness გარე გარემოს ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება; ძალა, რომლითაც ერთი ფაქტორის ცვალებადობა მოქმედებს სხვა ფაქტორებზე; ~ Protection Agency (EPA) გარემოს დაცვის სააგენტო; მეთვალყურეობს და არეგულირებს წესებსა და კანონებს წყლის, ჰაერის, ხმაურის და ტოქსიკური ნარჩენების შესახებ; ~ refugees ეკოლოგიური ლტოლვილები; ~ studies გარემოს შესწავლა; ~ uncertainty გარემოს განუსაზღვრელობა; ~ volatility გარემოცვის ცვალებადობა; ორგანიზაციის გარე გარემოს ცვალებადობის ფარდობითი სისწრაფე

environmentalism საზოგადოების შიგნით გარემოსა გავლენის მნიშვნელობა

Equal Employment Opportunity Commission (EEOC) დასაქმების შესაძლებლობის თანასწორუფლებიანობის კომისია; ფედერალური სააგენტო, რომელიც პასუხს აგებს სამუშაო ადგილზე ანტიდისკრიმინაციული კანონების მუშაობაზე. დისკრიმინაცია რასის, ნაციონალობის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ფიზიკური უმწეობის ან ვეტერანის სტატუსის გამო აკრძალულია

equifinality საბოლოო შედეგის თანაბრობა; პრინციპი, რომლის მიხედვითაც ერთი და იგივე შედეგი შეიძლება მიღებულ იქნეს სხვადასხვა საშუალებებით სხვადასხვა საწყისი პირობების არსებობის დროს

equilibrium თანაფარდობა, წონასწორობა; stable ~ მყარი (სტაბილური) წონასწორობა

equity 1. ჩვეულებრივი აქცია; 2. აქციონერის წილი საწარმოს კაპიტალში; 3. სამართლიანობა; shareholder ~ სააქციონერო კაპიტალი; tax ~

საგადასახადო დაკვეთის სამართლიანობა; ~ options აქციის ოფციონი; ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მფლობელს უფლებას აძლევენ იყიდოს ან გაყიდოს აქციის წილის სპეციფიური რაოდენობა გარკვეულ ფასად განსაზღვრული დროის მანძილზე. ჩვეულებრივ 1 ოფციონი უდრის აქციის 100 წილს

equivocality 1. ორაზროვნება; 2. გაურკვევლობა; 3. საეჭვო (აზრი)

equivocation 1. პასუხის გაცემისაგან თავის არიდება; 2. ორაზროვანი პასუხი

ergonomy ერგონომია, ადამიანის შესაძლებლობათა შესწავლა მისი მრავალეფექტური მუშაობის მისაღწევად

escalation ესკალაცია, დაძაბულობის გაზრდა

essentials პირველადი მოხმარების საგნები

establish 1. დაარსება, დაფუძნება, დამყარება; შექმნა; 2. გახსნა; to ~ a branch განყოფილების დაარსება

established 1. აღიარებული; ავტორიტეტული; 2. დამტკიცებული; მიღებული

establishment 1. ისტებლიშმენტი ა) მყარი მდგომარეობა საზოგადოებაში; ბ) მოცემული საზოგადოებრივი წყობილების პრივილეგირებული ფენები; 2. საფუძველი; დაარსება; შემოღება; 3. საწარმო; დაწესებულება; nonprofit software ~ ბიუჯეტზე მყოფი მომსახურების ორგანიზაცია

estate 1. მამული; 2. ქონება; 3. წოდება; 4. მდგომარეობა; real ~ უძრავი ქონება

esteem 1. პატივისცემა, პატივი; 2. შეხედულება; შეფასება; 3. სახელი, რეპუტაცია; low ~ ცუდი რეპუტაცია; ~ needs პატივისცემის მოთხოვნილება; ადამიანის მოთხოვნილება, იგრძნოს თავი კომპეტენტურად და ჰქონდეს მიღწევები, აღიარებული სხვათა მიერ

estimate 1. შეფასება; ნუსხა; დათვლა; ხარჯთაღრიცხვის შედგენა; 2. განსაზღვრა; გამოანგარიშება

estimation დაფასება; შეფასება; ჯილდოების მიღება; optimum ~ ოპტიმალური (უმაღლესი) შეფასება

ethical evaluation ეთიკური შეფასება

ethics ეთიკა; სისტემა ან კოდი, რომელიც აწესებს, რა არის კარგი, მართებული, პატივსაცემი და ღირსეული

ethnocentrism ეთნოცენტრიზმი, საკუთარი ერის სხვაზე მაღლა დაყენება

ethod ორგანიზაციის მორალური ფასეულობა საზოგადოებისათვის

Eurobond ევრობლიგაციები; გამოშვებული აშშ-სა და სხვა არაევროპული ქვეყნების მიერ ევროპაში გასაყიდად

Eurocard ევროპული საკრედიტო ბარათები, რომლებიც გამოშვებულია დასავლეთგერმანული ბანკების მიერ

Eurocheque ევროჩეკი

Eurocurrency ევროვალუტა; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფულადი საშუალებები, რომლებიც დეპონირებულია ევროპულ ბანკებში და გამოიყენება ევროპულ საფინანსო ბაზარზე

Eurodollars ევროდოლარები

Euromarket (Euromart) საერთო ევროპული ბაზარი

European Coal and Steel Community (ECSC) ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება

European Commission ევროკომისია, ევროგაერთიანების აღმასრულებელი ორგანო

European Common Market *სინ.* European Economic Community

European Community (E.C.) ევროპული თანამეგობრობა

European Council ევროსაბჭო, ევროგაერთიანების ქვეყნების მეთაურებისა და ხელმძღვანელების საბჭო

European Currency Unit (ECU) ევროპული სავალუტო ერთეული – ეკიუ

European Currency Unit futures and options ევროპული სავალუტო ერთეულის, ეკიუს, ყიდვა-გაყიდვის ფიუჩერსები და ოფციონები

European Economic Community (EEC) ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა

European Free Trade Association (EFTA) თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია

European Investment Bank (EIB) ევროპის საინვესტიციო ბანკი

European Monetary System (EMS) ევროპის სავალუტო სისტემა

European-style option ევროპული სტილის ოფციონი

Euro-sterling ევროსტერლინგი

evade თავის არიდება

evaluation 1. შეფასება; ღირებულების განსაზღვრა; 2. გამოანგარიშება; გამოთვლა; 3. ატესტაცია

evasion 1. კანონის გვერდის ავლა; 2. მოგონილი მიზეზი; **tax ~** გადასახადისგან თავის არიდება

event 1. მოვლენა; შემთხვევა; 2. შედეგი; ფაქტი;

eviction ქონების ჩამორთმევა სასამართლო წესით; უკან დაბრუნება სასამართლო წესით

evidence 1. მონაცემები; ფაქტები; ნიშნები; 2. დამტკიცება; დამოწმება; მოწმობა; სამხილი; 3. მოწმის ჩვენება; **~ of insurability** სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი; **empirical ~** ჰიპოთეზის ემპირიული დასაბუთება

ex ante real interest rate რეალური საპროცენტო განაკვეთი (მოსალოდნელი), კრედიტის გაცემისას რეალური საპროცენტო განაკვეთის მოსალოდნელი დონე; მოსალოდნელი ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

ex post real interest რეალური საპროცენტო განაკვეთი (ფაქტიური); რეალური საპროცენტო განაკვეთის არსებული დონე; ნომინალური საპროცენტო განაკვეთი არსებული ინფლაციის გათვალისწინებით

exact 1. ზუსტი; სწორი; უშეცდომო; 2. მკაცრი; მომთხოვნი

examination დათვალიერება; შემოწმება; განხილვა

examine 1. გამოცდა; განხილვა; 2. გამოკვლევა; 3. ექსპერტიზის ჩატარება; 4. რევიზიის ჩატარება

examiner 1. შემმოწმებელი, კონტროლიორი; 2. ხარისხის ინსპექცია

ex-ante quantities დროის გარკვეული პერიოდის დასაწყისისათვის არსებული თანხა

exceed 1. გადამეტება; 2. ზღვარს გადაჭარბება; 3. გადავადება

exception principle გამორიცხვის პრინციპი; კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სტანდარტისა და წესების მნიშვნელოვანმა გადახრებმა უნდა გამოიწვიოს კონტროლის სისტემის ამუშავება

excess 1. ჭარბი; ნამეტი; 2. გადაჭარბება

excessive გადაჭარბებული; გადამეტებული; მეტისმეტი

exchange ბირჟა, ბაზარი, სადაც

ვაჭრობენ აქციებით, ოფციონებით, სასწრაფო კონტრაქტებით, ობლიგაციებით, საქონლითა და ინდექსებით

exchange-rate union სავალუტო კავშირი; ქვეყნების ჯგუფი, რომელმაც დააწესა ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობის ზღვარი

excise taxes სააქციზო გადასახადი

exclusions 1. გამონაკლისები; 2. სადაზღვევო კონტრაქტების პუნქტები, რომლებიც გამორიცხავს არჩეული ინდივიდების, ჯგუფების, ადგილების, რისკ-ჯგუფების მოცვას; 3.სპეციფიკური პირობები ან მდგომარეობები ჩამოთვლილი დაჭირავებულისადმი დახმარების გეგმაში, რომლებზეც დაზღვევის გეგმა არ ითვალისწინებს ანაზღაურებას

Exclusive Providers Organization (EPO) ექსკლუზიური უზრუნველმყოფელი მართვადი ჯანდაცვითი ორგანიზაცია; სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებისა და მოწოდების ისეთი ფორმა, რომლის დროსაც წევრებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი სამედიცინო დახმარება განსაზღვრული ქსელის ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებისაგან. თუ წევრები სცილდებიან დადგენილი ქსელის ფარგლებს, ისინი ანაზღაურებას ვერ მიიღებენ

exclusivity clause ექსკლუზიურობის პუნქტი; კონტრაქტის ნაწილი, რომელიც კრძალავს ექიმებისთვის კავშირებს ერთზე მეტ მართვად ჯანდაცვის ორგანიზაციასთან

ex-dividend date ექს-დივიდენდის თარიღი; ვაჭრობის პირველი დღე, როდესაც აქციის გამყიდველი, უფრო ხშირად ვიდრე მყიდველი, უფლებას იძენს მიიღოს უკანასკნელად გამოცხადებული დივიდენდის შემოსავალი. ეს თარიღი ჩვეულებრივ წესდება ნიუ-იორკის სააქციო ბირჟის მიერ და წარმოადგენს ორ მიმდინარე სამუშაო დღეს აღრიცხვის თარიღამდე. აქცია, რომელზეც გადაიხდება ექს-დივიდენდი, იმ დღის საგაზეთო სიებში აღნიშნულია X ნიშნით

execute 1. შესრულება; 2. გაფორმება

execution 1. შესრულება; აღსრულება; დასრულება; 2. გაფორმება; 3. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცესების დამთავრება; **budget ~** ბიუჯეტის შესრულება

executive 1. ხელმძღვანელი მუშაკი; ადმინისტრაციული მუშაკი; ადმინისტრატორი; 2. აღმასრულებელი ხელისუფლება; აღმასრულებელი; **~ branch** აღმასრულებელი ხელისუფლება; ძალაუფლება; **~ director** აღმასრულებელი დირექტორი; **~ office** აღმასრულებელი ძალაუფლება; **~ officer** აღმასრულგბელი მოხელე; **chief ~** დირექტორ-განმკარგულებელი; **high ~** მაღალი რანგის ხელმძღვანელი; **junior ~** დაბალი რანგის ხელმძღვანელი; **senior ~** მაღალი რანგის ხელმძღვანელი

exemplary employer სამაგალითო დამქირავებელი, სანიმუშო დამქირავებელი

exempt 1. თავისუფალი; განთავისუფლება; 2. ამოღება; 3. ჩამორთმევა; **tax ~** გადასახადისგან თავისუფალი

exemption 1. განთავისუფლება; 2. გამოკლება, გამორიცხვა

exercise 1. შესრულება; განხორციელება გამოყენება; 2. ოფციონის მფლობელის უფლების განხორციელება, იყიდოს ან გაყიდოს ძირითადი ფასიანი ქაღალდი

exigency 1. მწვავე აუცილებლობა;

2. მოთხოვნილება

exit interview გამოსამშვიდობებელი გასაუბრება; მოკლე გასაუბრება, რომელიც მოეთხოვება კომპანიიდან წამსვლელ დასაქმებულს

exodus *დემ.* მასობრივი ემიგრაცია, იძულებით გადაადგილება

expatriate *დემ.* 1. ლტოლვილი; ექსპატრიანტი; იმიგრანტი; 2. ემიგრირება

expatriation 1. ექსპატრიაცია, მოქალაქეობის მოხსნა; 2. სამშობლოდან განდევნა; იძულებითი ემიგრაცია

expectation 1. ლოდინი; 2. *pl.* იმედები

expenditure 1. დანახარჯი; გასავალი; 2. დახარჯვა

expense ratio ხარჯის თანაფარდობა; აქტივის პროცენტი, რომელიც დაიხარჯა საერთო ფონდის ფუნქციონირებისათვის, მართვისა და რჩევებისათვის

experience გამოცდილება; პრაქტიკა; კვალიფიკაცია; ~ **rated premiun** გამოცდილებაზე დაფუძნებული პრემიუმი; ფულადი დახმარება, რომელიც ეფუძნება კონტრაქტორი ჯგუფის მიერ სამედიცინო მომსახურების მოხმარებას მათი ასაკის, სქესის და სხვა მახასიათებლების მიხედვით; ~ **rating** გამოცდილების კოეფიციენტის განსაზღვრა; ჯგუფური მოცვის განფასების მეთოდი, რომლის დროსაც მაქსიმალური ოდენობის ფულადი დახმარება მთლიანად ან ნაწილობრივ ეფუძნება ცალკეული ჯგუფის მიერ გამოცდილების დაკარგვას; ~**rating** გამოცდილებითი შეფასება, სისტემა, რომელშიც სადაზღვევო კომპანია აფასებს პირის ან ჯგუფის რისკს ავადმყოფობის ისტორიის მიხედვით

expert 1. (მაღალი კვალიფიკაციის) სპეციალისტი; ექსპერტი; 2. გამოცდილი; მცოდნე;

expertise 1. სპეციალური ცოდნა; კომპეტენტურობა; ერუდიცია; 2. ექსპერტიზა, სპეციალისტების დასკვნა

expiration ვადის გასვლა; დასრულება; დამთავრება; ამოწურვა; ~ **cycle** მოქმედების ვადის ციკლი, დაკავშირებულია თარიღთან, როდესაც იწურება კონკრეტული ფასიანი ქაღალდის ოფციონის ვადა; ~ **date** 1. ხმარების, შენახვის, კონტრაქტის, დაზღვევის პოლისის ვადა; 2. მოქმედების ვადა; უკანასკნელი დღე (ამერიკული სტილით), ან ერთადერთი დღე (ევროპული სტილით), როდესაც შეიძლება ოფციონის განხორციელება; ~ **of insurance** სადაზღვევო ვადის ამოწურვა

explanation benefits დახმარების დასაბუთება, რომელიც შეიცავს გაწეული მომსახურების აღწერას, მოცულ თანხებს, ფულად დახმარებებთან დაკავშირებულ ლიმიტებს, შეზღუდვასა და ცნობებს მათი გაუცემლობის შესახებ.

exploit 1. ექსპლოატირება; 2. საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება

export გატანა, ექსპორტირება; საქონლის გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა ქვეყნებში გასაყიდად; ~ **subsidies** ფულადი ასიგნებანი ექსპორტზე; ~ **trading company (ETC)** საექსპორტო სავაჭრო კომპანია; ~ **Import Bank of the United States (Eximbank, Ex-Im Bank)** აშშ-ს ექსპორტ-იმპორტის ბანკი; დამოუკიდებელი ფედერალური საბანკო კორპორაცია, რომელიც შეიქმნა 1934 წელს აშშ-სა და სხვა ქვეყნებს შორის საქონლისა და ნედლეულის ექსპორტ-იმპორტის დასაფინანსებლად

exportable საექსპორტო

exportation ექსპორტირება, გატანა

exporter ექსპორტიორი

exports საექსპორტო საქონელი

extension 1. გაგრძელება; 2. გაფართოება; 3. ცოდნის გაღრმავება

external debt საგარეო ვალი

externality გარე ეფექტი (ეკონომიკური საქმიანობისა); გარე (არასაბაზრო) ფაქტორი ეკონომიკური წარუმატებლობისა; ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული ზარალი; ინდივიდის ან ჯგუფების მოთხოვნილებათა ხასიათისა და დონის გავლენა მესამე პირზე ან მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე; **consumption ~ies** მოხმარებასთან დაკავშირებული გარე ეფექტი; **negative ~** უარყოფითი გარე ეფექტი; **production ~ies** წარმოების (ცალკეული ფორმების) ან დარგების წარმოების ხასიათისა და მოცულობის გავლენით გამოწვეული გარე (საბაზრო) ეფექტი სხვა ფირმებისა და დარგების ხარჯებსა და საზოგადოების კეთილდღეობაზე; **spillover ~ies** გარეშე ფაქტორების ძლიერი გავლენა (სხვა საწარმოს მოქმედების შედეგად)

extinguish 1. დაფარვა (ვალისა); 2. ჩაქრობა; მოსპობა; განადგურება

extortion 1. გამოძალვა; 2. აუტანლად დიდი ფასების დანიშვნა

extra 1. განსაკუთრებული საფასური; 2. უმაღლესი ხარისხი; 3. დამატებითი; 4. განსაკუთრებული, სპეციალური

extraordinary განსაკუთრებული; ექსტრაორდინარული

extremism ექსტრემიზმი, ეკონომიკის, პოლიტიკისა და სოციალური სისტემის უკიდურესად შეცვლა

extrinsic rewards გარეგანი ჯილდო; გასამრჯელო, რომელიც ეხდება პირს სხვა პირებისაგან, როგორიცაა წახალისებები



fabric 1. სტრუქტურა; აგებულობა; მოწყობილობა; 2. ნაწარმი; ფაბრიკატი

fabrication 1. წარმოება; დამზადება; 2. ფორმირება

facility 1. სიადვილე; მოხერხებულობა; 2. *pl.* სახსრები (ფულადი); საშუალებანი; 3. შეღავათი; 4. *pl.* ნაგებობანი; 5. *pl.* საწარმოო სამძლავრეები; 6. მომსახურების არხი, მასობრივი მომსახურების ერთარხიანი სისტემა; **catering ~ies** საზოგადოებრივი კვების საწარმო; **communication ~ies** კავშირის საშუალებები; **government ~ies** სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმო

fact 1. ფაქტი; გარემოება; 2. *pl.* მონაცემები; 3. სინამდვილე; რეალობა

factor 1. ფაქტორი; მაჩვენებელი; 2. კოეფიციენტი; 3. საწარმოო ფაქტორი, რესურსი; 4. აგენტი; კომისიონერი; 5. მამოძრავებელი ძალა; **~ price** წარმოების ფაქტორის ფასი; წარმოების ფაქტორის ერთეულის ფასი; **~ production** წარმოების ფაქტორი; ხარჯების სახეობა საქონლის წარმოებასა და მომსახურებაზე; **~ share** საწარმოო ფაქტორის წილი; რომელიმე ფაქტორის წილი ერთობლივ ეროვნულ შემოსავალში; **acceleration ~** დამაჩქარებელი ფაქტორი; **accountable ~** გათვალისწინებული, გასათვალისწინებელი ფაქტორი; **annual loan ~** წლიური დატვირთვის კოეფიციენტი; **capacity ~** საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი; **chance ~** შემთხვევითი ფაქტორი; **coast ~** ღირებულების ფაქტორი; **consumption ~** მოხმარების ნორმა; **discount ~** დისკონტირების

კოეფიციენტი; **efficiency** ~ მარგი ქმედების კოეფიციენტი; **governing** ~ განმსაზღვრელი ფაქტორი; **growth** ~ ეკონომიკური ზრდის ფაქტორი; **human** ~ ადამიანის ფაქტორი (მართვაში); **loss** ~ დაკარგვის კოეფიციენტი; **market** ~ გასაღების ფაქტორი; **pacing** ~ ძირითადი ფაქტორი; **qualitative** ~ ხარისხის მაჩვენებელი; **quantitative** ~ რაოდენობრივი მაჩვენებელი; **random** ~**s** შემთხვევითობის ფაქტორები; **scale** ~ მასშტაბის ეფექტურობის კოეფიციენტი; **variability** ~ ცვალებადობის ფაქტორი

faculty 1. ფაკულტეტი; 2. პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა; 3. ერთი პროფესიის მქონე უმაღლესი განათლების მქონე პირები; **the legal** ~ იურისტები

fail მარცხის განცდა; წარუმატებლობა

failure 1. წარუმატებლობა; არასასურველი შედეგი, უკმარისობა; მარცხი; 2. გაკოტრება; 3. გაფუჭება

fair 1. ბაზრობა, გამოფენა; 2. მისაღები, შესაფერისი (ფასი); 3. წესიერი, სამართლიანი (გარიგება); 4. საკმარისი, მნიშვნელოვანი

fallacy 1. შეცდომა; 2. არასწორი დასკვნა; 3. ცრუ არგუმენტი; სოფიზმი

fallout თანამდევი შედეგი; თანაეფექტი

family 1. ოჯახი; 2. გაერთიანება; ჯგუფი; 3. ერთობლიობა; ნაკრები; ~ **planning** ოჯახის დაგეგმვა, ორსულობის დროის, ადგილისა და რაოდენობის კონტროლი; ~ **practice** საოჯახო პრაქტიკა; ~ **practitioner** ოჯახის ექიმი

farm 1. ფერმა, ფერმერული მეურნეობა; 2. საშენი, ნაკრძალი; 3. საცხოვრებელი სახლი ფერმაში; **diversified** ~ მრავალდარგობრივი ფერმა; **manager** ~ სასოფლო წარმოების საწარმო, რომლის გაძღოლაც ხორციელდება მენეჯერის მიერ

farmer ფერმერი; მიწათმოქმედი; **tenant** ~ მოიჯარე; გამომსყიდველი

fault 1. ბრალი; შეცდომა; 2. ნაკლი; ხარვეზი; დეფექტი

favo(ur)itism ფავორიზმი, მუშაკების სამსახურეობრივი დაწინაურება არა საქმიანი თვისებების მიხედვით

favor ხელსაყრელობა; დახმარება; ხელის შეწყობა

favo(u)rable ხელსაყრელი

feasibility 1. შესრულებადობა; განხორციელებადობა; 2. (ტექნიკური) ვარგისობა; 3. საწარმოო შესაძლებლობა

feasible 1. პრაქტიკულად განხორციელებადი; 2. ტექნიკურად ვარგისი; **technologically** ~ ტექნიკურად შესრულებადი

feature 1. (დამახასიათებელი) ნიშანი; განსხვავება; თავისებურება; 2. დეტალი

feckless 1. უსარგებლო (მეთოდი, საქონელი); 2. სუსტი (მაგ. კავშირი)

fecund 1. ნაყოფიერი; 2. მსხმოიარე

federal 1. ფედერალური; სამოკავშირეო; 2. *ამერ.* სამთავრობო; ~ **deficit** ფედერალური დეფიციტი; ~ **government** ფედერალური მთავრობა; ~ **system** ფედერალური სისტემა

federally qualified მთავრობის მიერ დამტკიცებული სამედიცინო დახმარება

feduciary ნდობით აღჭურვილი პირი

fee 1. საფასური; 2. შესატანი; გადასახადი; მოსაკრებელი; 2. ჯილდო; გასამრჯელო; 2. ანაზღაურება; ჰონორარი; ~ **disclosure** საფასურთა გახსნა, პაციენტისათვის მკურნალობის საფასურის შეტყობინება; ~ **maximum**

მაქსიმალური გადასახადი; უმაღლესი გადასახადი, რომელიც შეიძლება გადაახდევინოს ექიმმა პაციენტს გაწეული მომსახურებისათვის; ~ schedule 1. გადასახადების ცხრილი; 2. ფასების სია; broker's ~ ბროკერის საკომისიო გადასახადი; customs ~ საბაჟოს ანაკრები, საბაჟოს შესატანი

feedback 1. უკუკავშირი; 2. უკუკავშირი მომხმარებლისგან, ინფორმაცია მომხმარებლისგან; data ~ ინფორმაციის უკუნაკადი

fee-for-service 1. მომსახურების გადასახადი (მომსახურების საფასუ-რი); 2. გადახდის ტრადიციული მეთოდი, როდესაც პაციენტები უხდიან ექიმებს, საავადმყოფოებს და სხვა მომწოდებლებს მომსახურეობის-თვის საფასურს და შემდგომ წარუდგენენ ანგარიშს კერძო დამზღვევს ან მთავრობას; 2. მეთოდი, როდესაც ავადმყოფი იხდის მომსახურებისა და მკურნალობისათვის, ექიმის ან სხვა პრაქტიკოსის მიერ ყოველი პაციენტისათვის წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე ყოველი შეხვედრის, მკურნალობისა და მომსახურების სახისათვის

fertility 1. ფაქტობრივი ნაყოფიერება; 2. ბავშვთა შობადობა; 3. ნაყოფიერება, სიუხვე; controlled ~ რეგულირებული შობადობა

Funds From Operations (FFO) ფონდები ოპერაციებიდან; გამოიყენება სატრასტო ოპერაციებიდან უძრავი ქონების ან სხვა ინვესტიციის ტრასტის მიერ ნაღდი ფულის ნაკადის განსაზღვრისათვის.

fiat money ქაღალდის ფული; არ გააჩნია შიგა ღირებულება; მისი ფასეულობა განისაზღვრება მხოლოდ ფულის ნიშნად გამოყენებისას

field 1. ბიზნესის პერიფერია; გასაღების არე; 2. ველი; 3. ზონა; 4. მეცნიერების სფერო; 5. სამეურნეო ზონა; 6. მოქმედების არე; application ~ გამოყენების სფერო

fifth column მეხუთე კოლონა

figure 1. რიცხვი, სიდიდე; რაოდენობრივი მაჩვენებელი; რიცხვებით აღრიცხვა; 2. *pl.* მონაცემები; 3. დიაგრამა, ნახატი, ნახაზი; capacity ~s საწარმოო სიმძლავრეების მაჩვენებელი; confidence ~ ალბათობის ხარისხი

file 1. ქაღალდის ჩაკვრა; საქმე; რეგისტრი; 2. რომელიმე დოკუმენტის გაცემა; 3. კარტოთეკა; customer ~s სწრაფჩამკერი

filiation 1. ფილიალი; განშტოება; 2. ფილიალის შექმნა; 3. შვილება; 4. *დემ.* ნათესაური კავშირი

finalize საბოლოოდ გაფორმება; დამთავრება; დასრულება

finance 1. საფინანსო საქმე; დაფინანსება; საფინანსო ოპერაციების წარმოება 2. *pl.* ფინანსები; შემოსავლები; corporate ~s კერძო კორპორაციის ფინანსები; deficit ~s „დეფიციტური" საფინანსო ოპერაციები (ხასიათდება ხარჯების გადამეტებით შემოსავლებზე); intergovernmental ~s სამთავრობათაშორისო საფინანსო ოპერაციები; public ~s სახელმწიფო ფინანსები

Financial Accounting Standards Board (FASB) დამოუკიდებელი საბუღალტრო ასოციაცია; რომელიც შეიქმნა 1973 წელს საბუღალტრო ანგარიშგების საყოველთაოდ მისაღები პრინციპების შესამუშავებლად

financial ფინანსური; საფინანსო; ~ (fiscal) year ფინანსური წელი; ~ analysis ფინანსური ანალიზი; სპეცი-

ალური მეთოდების გამოყენება კომპანიის ფინანსური დოკუმენტაციისა და საშუალებების, საქონლისა და მომსახურების შესასწავლად; ~ assistance ფინანსური დახმარება; ~ expense დაფინანსების ხარჯები; ~ forecasts ფინანსური პროგნოზირება; ~ intermediaries ფინანსური შუამავლები; სავალუტო-საფინანსო ბაზრებზე მოქმედი ორგანიზაციები, რომლებიც აადვილებენ ურთიერთობებს მყიდველებსა და გამყიდველებს, სესხის ამღებებსა და გამცემებს შორის; ~ leverage ფინანსური ბერკეტები; ხარისხი, რომლითაც კომპანია ფიქსირებული შემოსავლე-ბის განაკვეთის აქციებს იყენებს თავისი აქტივების დასაფინანსებლად; ~ markets ფინანსური ბაზრები; ~ position ფინანსური მდგომარეობა; ~ ratios ფინანსური კოეფიციენტები; ~ reporting ფინანსური ანგარიშგება; ~ responsibility law კანონი ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ; ~ solvency კრედიტუნარიანობა; გადახდისუნარიანობა; ვალდებულებათა შესრულების უნარი; ~ statement ფინანსური ანგარიში, უწყისი, შემოსავალ-გასავლების ანგარიში, ბალანსი; ~ controls ფინანსური კონტროლის ელემენტები

financier ფინანსისტი

financing დაფინანსება; ~ constraint ფინანსური შეზღუდვა; სახსრების ზღვრული სიდიდე, რომლითაც ფირმას შესწევს უნარი შეისყიდოს საწარმოო დანიშნულების საქონელი; ~ transactions კაპიტალის ყიდვა-გაყიდვის გარიგებანი

fine 1. ჯარიმა; საურავი; 2. მაღალხარისხოვანი; 3. დაჯარიმება

firm ფირმა; სავაჭრო ფირმა; სავაჭრო სახლი; to incorporate ~ ფირმის, როგორც კორპორაციის იურიდიული სტატუსის გაფორმება

first dollar coverage „პირველი დოლარის" მოცვა; სამედიცინო ხარჯები, რომლის მოცვაც ხდება დახმარების გეგმის მიხედვით ყოველგვარი დაქვითვის გარეშე

first-line manager პირველი რიგის მენეჯერი; ზედამხედველი, რომელიც პასუხს აგებს მუშებზე და არა სხვა მენჯერებზე.

fiscal 1. ფინანსური; საბიუჯეტო; ფისკალური; 2. გადასახადების ამკრეფი; ~ charges ფულის აუცილებელი გადახდა (გადარიცხვა, აკრეფა); ~ crisis ფისკალური კრიზისი, ქვეყნის უუნარობა ამოიღოს გადასახადები; ~ deficit სახაზინო დეფიციტი, ფისკალური დეფიციტი; ~ drag ფისკალური სისტემის დამამუხრუჭებელი გავლენა; ~ intermediary ფინანსური შუამავალი; აგენტი (ლურჯი ჯვარი), რომელიც აფორმებს კონტრაქტს მომსახურების მომწოდებელთან, რომ აწარმოოს ანაზღაურების მოთხოვნის პროცესი ჯანდაცვის მოცვის ფარგლებში; ~ legislation საფინანსო კანონმდებლობა; ~ period საანგარიშო პერიოდი; ~ policy ფისკალური პოლიტიკა; საგადასახადო და სახელმწიფო ხარჯვითი ნაწილის სახელმწიფო პოლიტიკა; ~ year (FY) ფისკალური ანუ საბიუჯეტო წელი

Fisher effect ფიშერის ეფექტი; მოსალოდნელი ინფლაციით გამოწვეული ანალოგიური სიდიდის ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა; ~ equation ფიშერის განტოლება; ტოლობა, რომელშიც ნომინალური საპროცენტო განაკვეთი

წარმოადგენს რეალური საპროცენტო განაკვეთისა და ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის ჯამს

fit(ting) 1. შესაბამისობა; შერჩევა; 2. შესაბამისობაში მოყვანა; 3. მორგება

fixed ფიქსირებული; ~ **budget** მყარი ბიუჯეტი; ~ **capital** ძირითადი კაპიტალი; ~ **charges** ფიქსირებული ხარჯები; კომერციული საქმიანობის ხარჯები, რომლებიც არაა დამოკიდებული კომპანიის ოპერაციების მოცულობაზე; ~ **cost (expence)** ფიქსირებული ხარჯები; დროის ფიქსირებული პერიოდისა და ოპერაციების ფიქსირებული მოცულობების დროს გაწეული ხარჯები, რომელთა სიდიდე არ იცვლება, მაგრამ პროპორციულად მცირდება საქონლის ერთეულზე გათვლით წარმოების მოცულობის გაზრდის დროს; ~ **exchange rate** ფიქსირებული საგადამცვლელო კურსი; ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული ეროვნული ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ფასი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში; ~ **income** მყარი შემოსავალი; ~ **job description** სამუშაოს განსაზღვრული აღწერილობა; ~ **liabilities** გრძელვადიანი ვალდებულებები; ~ **the price** ფასის დადგენა, ფიქსირება,. გამყარება; ~ **assets** მატერიალური აქტივები; შენობა-ნაგებობანი, სამურნეო ინვენტარი და მათზე გაწეული კაპიტალური დანახარჯები; ~ **costs** ფიქსირებული ფასები, მიმდინარე ფასები, რომლებიც მცირედ იცვლებიან წლიდან წლამდე, შტატის, არენდის, დაზღვევის და ვალის მომსახურების ხარჯები

fixity სტაბილურობა; სიმყარე

flat organizational structure ბრტყელი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება კონტროლის ფართო განფენილობითა და იერარქიული დონეების სიმცირით

flaw ნაკლი; ხარვეზი; წუნი

flex time მოქნილი განრიგი; დასაქმების სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულებს, ცვალონ მუშაობის განრიგი პირადი შეხედულების მიხედვით (მაგ. ბავშვის მოვლა და ტრანსპორტი)

flexibility 1. მოქნილობა; ელასტიკურობა (სტრატეგიისა); 2. თანწყობა; უნივერსალურობა (პროცესებისა, რეჟიმებისა); **price** ~ ფასის ელასტიკურობა; **strategic** ~ სტრატეგიის მოქნილობა

flexible მოქნილი; ~ **assemblage** მოქნილი ნაკრები, კრებული; ~ **budget** მოქნილი (ელასტიური) ბიუჯეტი; ~ **freeze** მოქნილი გაყინვა; ~ **prices** მოქნილი ფასები; ფასები, რომლებიც იოლად იცვლება მოთხოვნებისა და მიწოდების გათანაბრების მიზნით

flexitime მოქნილი სამუშაო დროის სისტემა

float 1. მერყეობა (სავალუტო კურსისა), მცოცავი ან თავისუფლად ცვალებადი კურსი

floating მერყევი, მცოცავი; ~ **assets** საბრუნვადი კაპიტალი (საშუალებანი); ~ **charge** მოკლევადიანი ვალი; ~ **debt** მოკლევადიანი ვალი ან დავალიანება; არაკონსოლიდირებული ვალი; ~ **exchange rate** მცურავი გადაცვლის კურსი; ვალუტის გადაცვლის კურსი, რომლის დონეს განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური პირობები

flourish წარმატების მიღწევა; გაფურჩქვნა; აყვავება

flow 1. ნაკადი; მოზღვავება; 2. სისწრაფე; მიმართულება; ~ chart პროცესის სქემა; ~ of capital 1. კაპიტალის მოდენა; 2. კაპიტალის მოძრაობა; ~ of information ინფორმაციის დინება; ~ of funds ფულადი სახსრების მოძრაობა; ~ of work შესრულების მიმდევრობა; cash ~ ფულადი მასის მოძრაობა

fluctation რყევა; ცვლილება; ცვალებადობა (მაგ. მოთხოვნილებებისა)

focus on work კონცენტრაცია სამუშაოზე

follow-up 1. გეგმური აღწერა; 2. დამატებითი მონაცემები; 3. ვალდებულების შესრულების ვადების შეხსენება; 4. *დემ.* სააღწერო ფურცლების განმეორებით გაგზავნა

food aid კვების პროდუქტებით დახმარება; ~ gap კვების პროდუქტებით მომარაგების გარღვევა; ~ imports კვების პროდუქტების იმპორტი; ~ production კვების პროდუქტების წარმოება

force 1. ძალა; (მაგ. სამუშაო ძალა); 2. ძალა (მაგ. ხელშეკრულებით მინიჭებული); იძულება; დაძალება

forecast პროგნოზი, წინასწარმეტყველება; long-range ~ ხანგრძლივი პროგნოზი; sales ~ გასაღების პროგნოზი

forecasting პროგნოზირება

foreign უცხოური; საგარეო; ~ aid უცხოეთის დახმარება; ~ conflict behaviour ქცევა საგარეო კონფლიქტში; ~ exchange ვალუტის გაცვლა; ~ investment უცხოური ინვესტიცია; ~ policy საგარეო პოლიტიკა

foreigner უცხოელი

foreman ტექნიკოსი; ოსტატი

foremanship ბრიგადირობა; ბრიგადის ხელმძღვანელობა

foresight განჭვრეტა; ლოდინი

forestall გაფრთხილება; წინასწარ შესყიდვა

forfeit 1. ჯარიმა; 2. კონფისკაცია; უფლების დაცვა; 3. კონფისკატი

forge გაყალბება, ფალსიფიკაცია

form 1. ფორმა; 2. დადგენილი ნიმუში; 3. ბლანკი; ფორმულარი; ანკეტა; 3. სწავლების წელი; 4. შექმნა, დაფუძნება; ~ of organization ორგანიზაციის ფორმა

formal ფორმალური; ~ and informal communications ფორმალური და არა ფორმალური კომუნიკაცია; ურთიერთობის სახე ორგანიზაციაში; ~ organization ფორმალური ორგანიზაცია; ორგანიზაციის მოწყობის სქემა

formation 1. ფორმაცია; სტრუქტურა; 2. ფორმირება

formative evaluation ჩამოყალიბების შეფასება; განვითარების პროცესში მყოფი პროექტის შეფასება და ადრეული განხორციელება

formulary ფორმულარი; პაციენტისათვის არჩეული ფარვაცევტული საშუალებები და მათი მართებული დოზების ჩამონათვალი

formulation ჩამოყალიბება; ფორმულირება; budget ~ ბიუჯეტის მომზადება; policy ~ პოლიტიკის შემუშავება

fouling 1. დაზიანებულობა; უწესრიგობა; 2. დაბინძურება; დაჭუჭყიანება

found 1. დაფუძნება; დაწესება; ჩამოყალიბება; 2. დასაბუთება

foundation 1. საფუძველი; ფუნდამენტი; ფუძე; 2. ფონდი; 3. *pl.* საფუძვლები, პრინციპები; ~ of society ქველმოქმედების ინსტიტუტი

founder დამფუძნებელი (მაგ. ფონდისა)

fraction 1. წილი; 2. წილადი; cost ~ ხარჯის ელემენტი

fractional currency დასახურდავებელი (წვრილი) ფული; სტანდარტულ ფულად ერთეულზე ნაკლები ნებისმიერი ფული

fractional-reserve banking ნაწილობრივი საბანკო რეზერვირება, სისტემა, რომლის დროსაც ბანკი ანგარიშზე სარეზერვოდ ინახავს განთავსებული საბსრების მხოლოდ ნაწილს

fragmented (fractional) bargaining მოლაპარაკებათა ნაწილი კოლექტიურ შეთანხმებაზე

frame 1. ნაგებობა, სტრუქტურა; საფუძველი; 2. შექმნა (თეორიისა); შემუშავება (გეგმისა); ~ of reference საკითხის განხილვის საზღვრები, კომპეტენცია

framework 1. სტრუქტურა, წყობა; 2. ჩარჩოები, საზღვრები; ~ of society საზოგადოებრივი წყობა; theoretic(al) ~ თეორიის საფუძვლები; within the ~ ჩარჩოებში მოქცეული

franchise 1. ფრენჩაიზი, ხმის მიცემის უფლება; 2. ძირითადი უფლება, განსაკუთრებული პრივილეგია, შეღავათი; 2. მონოპოლიური უფლება, პრივილეგია; 4. განსაკუთრებული კონტრაქტი; 5. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მინიჭებული საზოგადოებრივი პრივილეგია

franchisee სავაჭრო საწარმო, რომელიც სარგებლობს შეღავათიანი პირობების უფლებით

franchiser პრივილეგირებული კომპანია, რომელსაც აქვს უფლება სხვის კუთვნილ კომპანიას გაუწიოს ექსპლოატაცია

fraud მოტყუება; თაღლითობა (მაგ. ბიზნესში); ბოროტმოქმედება

free 1. თავისუფალი (ბაზარი); 2. განთავისუფლებული (მაგ. გადასახადისაგან); 4. უფასო; 5. დაუსაქმებელი; ~ trade თავისუფალი ვაჭრობა, საერთაშორისო ვაჭრობისათვის საზღვრების არ არსებობა; ~ trade area თავისუფალი ვაჭრობის არე, ის ქვეყნები სადაც არ არსებობს საზღვრები ურთიერთვაჭრობისათვის

freedom თავისუფლება; ~ fighter თავისუფლებისათვის მებრძოლი; ~ of information ინფორმაციის თავისუფლება, სამთავრობო ჩანაწერების მისაწვდომობა; ~ of religion რელიგიის, აღმსარებლობის თავისუფლება, რელიგიის არჩევანის შესაძლებლობა; ~ of speech სიტყვის თავისუფლება, აზრისა და იდეის გამოხატვის თავისუფლება დასჯის შიშის გარეშე

freestanding emergency medical center გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დამოუკიდებელი ცენტრი; სთავაზობს მომხმარებლებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ან მკურნალობას მცირე დაზიანებების დროს, სამედიცინო მომსახურეობას არასამუშაო დღეებში და საღამოს საათებში

freeze ბლოკირება; გაყინვა (მაგ. ხელფასისა)

friction შეუსაბამობა, გადახრა; უთანხმოება

fringe 1. დამატება; 2. *pl.* დამატებითი შეღავათები (მაგ. პენსიებისა და შვებულების შესახებ); ~ benefits დამატებითი შეღავათები, რომლებიც მოიცავს შვებულების დროს, პენსიებსა და დაზღვევას

full-time job შტატიანი სამსახური ან თანამდებობა

function 1. ფუნქცია; დანიშნულება; მოქმედება, ფუნქციონირება; 2. ფუნქციები, თანამდებობრივი უფ-

ლება, მოვალეობა; 3. ფუნქცია

functional responsibility თანამდებობრივი პასუხისმგებლობა

functionally based organizational structures ფუნქციაზე დამყარებული ორგანიზაციული სტრუქტურები

fund 1. მარაგი, რეზერვი, ფონდი; 2. *pl.* ფონდი; საშუალება; კაპიტალი; 3. კონსოლიდირება; ფულის დაბანდება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში; **available ~s** არსებული ფულადი სახსრები; **consumption ~s** მოხმარების ფონდი; **~ family** ფონდის ოჯახი; მმართველი კომპანია, რომელიც განაგებს ფონდის წილს; **offshore ~** საინვესტიციო ფონდი რეგისტრირებული იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს საგადასახადო შეღავათები; **public ~s** სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; **works ~** საწარმოო ფონდები

furnish მომარაგება; მიწოდება (საჭონლისა)

furnishings 1. მოწყობილობა; 2. საშინაო მოხმარების საგნები

fuse ფირმების შერწყმა; შეერთება; გაერთიანება

fustion 1. მაღალფარდოვანი სტილი; 2. გაბღენძილი შესახედაობა; 3. მაღალფარდოვანი სიტყვები

futures contract მომავლის კონტრაქტი; შეთანხმება, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული აქციის გარკვეული წილის ყიდვას ან გაყიდვას განსაზღვრულ თვეს შეთანხმებული ფასით. მომავლის კონტრაქტი არის შეპირება მომავალი შეთანხმების განხორციელებისა

futurity სამომავლო საკარაუდო მოვლენები

gadget 1. ტექნიკური სიახლე; 2. ახალი მოწყობილობა; 3. საეკვო საჭიროების პროდუქტი

gadgeteering მოძველებული ან ნაკლებად მოდიფიცირებული საქონლის გამოშვება ბაზარზე

gaffe 1. მცდარი ნაბიჯი; 2. უადგილო შენიშვნა; 3. უტაქტო ქცევა

gage 1. გირაო; საწინდარი; 2. დაგირავება

gai-ge *ჩინ.* გეიჯი, ქვეყნის რეფორმები (ქვეყნის ეკონომიური და სოციალური ბაზისის საფუძვლიანი, რევოლუციური გარდაქმნა)

gain 1. ნამატი; მატება; მოგება; 2. *pl.* მოგების მიღება; 3. მიღწევა; **mutual ~** ორმხრივი მოგება, ორივე მხარისათვის სასარგებლო მონაპოვარი

gainful 1. შემოსავლიანი; 2. მომგებიანი

gainings 1. შემოსავლები; 2. ხელფასი; გასამრჯელო

gainless 1. უშემოსავლო; უსარფო; 2. უხელფასო; საზღაურის გარეშე

gainsharing approach შემოსავლის (მოგების) გაყოფის მიდგომა

gamble 1. გარისკვა; 2. სარისკო წამოწყება; რისკი; 3. სპეკულაცია; თამაში; 4. აზარტული თამაში

game 1. თამაში (მაგ. ეკონომიკური, სტატისტიკური, მარკეტინგული, სტრატეგიული და სხვ.); **~ theory** თამაშის თეორია

gang 1. ბრიგადა; ცვლა; ჯგუფი; 2. ნაკრები; კომპლექტი; 3. დაჯგუფება; ჯგუფში გაერთიანება

gap 1. ინტერვალი; შუალედი; 2. დეფიციტი; ნაკლებობა; გარღვევა

(მაგ. ბიუჯეტისა)

garbage 1. ნაგავი; 2. მაკულატურა; 3. ზედმეტი ქაღალდები; ~ can model of organizations ორგანიზაცია, როგორც სანაგვე ყუთის მოდელი, აღწერს ორგანიზაციას, როგორც ორგანიზებულ ანარქიას

garbology გარბოლოგია, ნარჩენების მოცილების, დამარხვის, მოსპობის ან გამოყენების მეცნიერული შესწავლა

garner საწყობი; საუნჯებელი

gate *პოლიტ.* სუფიქსი, რომელიც ახლავს პოლიტიკური სკანდალის აღმნიშვნელ სიტყვას მაგ., უოტერგეიტი, ირანგეიტი; ~ keeper ჰიშკრის დამცველი (მიმღები ექიმი); 1. პირველადი დახმარების ექიმი სამედიცინო დახმარების ქსელში; 2. პირველადი დახმარების ექიმი, რომელიც პასუხს აგებს პაციენტის სამედიცინო დახმარების ყველა ასპექტის ზედამხედველობასა და კოორდინაციაზე

gauge 1. ზომა; მასშტაბი; 2. ეტალონი; შაბლონი; თარგი; 3. ზომის აღება; გაზომვა

gear 1. დაქვემდებარება; 2. მიმართება; 3. მექანიზმის ამოქმედება

genealogy გენეალოგია

General Assembly of the United Nations გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა

generate 1. შექმნა; წარმოება; 2. წარმოქმნა; (იდეისა, ურთიერთობისა); გენერაცია; 3. გამოწვევა; to ~ ideas იდეების გამომუშავება; to ~ options არჩევანის შექმნა

generation 1. წარმოება, გენერირება; 2. ეტაპი; სტადია; 3. თაობა;

genocide გენოციდი, მიზანდასახული განადგურება რასობრივი ან კულტურული ნიშნით

genuine ნამდვილი; ჭეშმარიტი

geopolitics გეოპოლიტიკა მიდგომა პოლიტიკისადმი იმ შეზღუდვების ხაზგასმით, რომლებიც მოქმედებს საგარეო პოლიტიკაზე ადგილისა და გარემოს მიხედვით

gerontocracy გერონტოკრატია, უხუცესთა მმართველობა

gift 1. საჩუქარი; ნაჩუქარი; 2. განაწილების უფლებამოსილება

gilt-edged 1. ოქროს კიდეებიანი, პირველი კლასის; უმაღლესი ხარისხის; 2. განსაკუთრებით საიმედო (ფასიანი ქაღალდი)

give-and-take ურთიერთდათმობა

glam *ბრიტ.* საშუალო ასაკის, კარგად უზრუნველყოფილი ადამიანი

global გლობალური; ~ budget გლობალური ბიუჯეტი; საზოგადოებრივი და კერძო ჯანდაცვის სექტორებში დანახარჯების მთავრობის მიერ დადგენილი ზღვარი; ~ competition გლობალური კონკურენცია; ~ culture გლობალური კულტურა; ~ economy გლობალური ეკონომიკა; ~ education გლობალური განთლება; ~ independence გლობალური დამოუკიდებლობა; ~ interdependence გლობალური ურთიერთდამოკიდებულობა; ~ marketing გლობალური მარკეტინგი; საერთაშორისო მარკეტინგი; ~ village გლობალური სოფელი, დედამიწა

globalism გლობალიზმი

go 1. სვლა; 2. მუშაობა; მოქმედება; ფუნქციონირება; 3. ვარგისი

goal 1. მიზანი; ამოცანა; 2. მოცემული სიდიდე; ~ directed results მიზანმიმართული შედეგები; ~-seeking მიზანმიმართული

gold ოქრო; ~ rush ოქროს ციებ-ცხელება; ~ standard ოქროს სტანდარტი

good 1. კეთილხარისხოვანი; კარგი;

2. ყოვლისშემძლე (ფირმის შესახებ); 3. კანონიერი; 4. სამართლიანი (გადაწყვეტილების შესახებ); ~ till canceled „კარგი გაუქმებამდე"; ნიშნავს იყიდო ან გაყიდო აქცია, რომელიც კარგია, სანამ მას გააუქმებ. ზღვრული ვადა ჩვეულებრივ შეადგენს 30-60 დღეს; ~-for-anything სასარგებლო; გამოსადეგი; ყველაფრისათვის ვარგისი; ~-for-nothing გამოუსადეგარი; უვარგისი; უმაქნისი

goodness კარგი ხარისხი; ხარისხიანობა

goods 1. საქონელი; ნაწარმი; 2. ტვირთი; ბარგი; 3. ქონება

goodwill კეთილგანწყობა; კეთილი სურვილი

governing 1. მართვა; რეგულირება; 2. მმართველი; 3. მთავარი; ძირითადი

government 1. მთავრობა; სახელმწიფო; 2. *pl.* სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; ~ act მთავრობის დადგენილება; ~ agencies სახელმწიფო სააგენტო; ~ deposit სახელმწიფო დეპოზიტები; ~ expenditures სახელმწიფოს გასავლები; გასავლების საერთო რაოდენობა; ~ government კარგი მთავრობა; ~ insurance სახელმწიფო დაზღვევა; ~ markets სახელმწიფო შეკვეთების ბაზრები; ~ monopoly სახელმწიფო მონოპოლია; ~ performance მთავრობის მოქმედება; ~ purchases სახელმწიფო შესყიდვები; ~ revenue სახელმწიფო შემოსავლები; ~ saving სახელმწიფო დანაზოგები; საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ხარჯების გამოკლებით; ~ owned სახელმწიფოს კუთვნილი; ~ purchases multiplier სახელმწიფო შესყიდვების მულტიპლიკატორი; ერთობლივი შემოსავლების ცვლილება ყოველ დოლარზე სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის ცვლილებისას; ~wide სამთავრობო მასშტაბისა; federal ~ ფედერალური მთავრობა; local ~ ადგილობრივი თვითმმართველობა; municipal ~ მუნიციპალიტეტი, საქალაქო მმართველობა; national ~ ცენტრალური (ეროვნული) მთავრობა; provisional ~ დროებითი მთავრობა; state ~ შტატის მთავრობა

governmental სამთავრობო; სახელმწიფოებრივი; ~ hospital სამთავრობო საავადმყოფო; საავადმყოფო, რომელსაც ფლობს და/ან ამუშავებს ადგილობრივი, სახელმწიფო ან ფედერალური მთავრობა

governor მმართველი, გამგებელი; deputy ~ მმართველის მოადგილე

grace period გადასახადების გადავადების პერიოდი

grade 1. ხარისხი, დონე, კლასი; 2. დახარისხება; მარკირება; merit ~ ხარისხის დონე; top ~ უმაღლესის ხარისხი

grading დახარისხება; კლასიფიკაცია; job ~ მუშაობის სირთულის კლასიფიკაცია

graduate student ასპირანტი

graduation 1. სასწავლო დაწესებულების დამთავრება; 2. სამეცნიერო ხარისხის მიღება

grant 1. სუბსიდია; დოტაცია; დოტაციის მიღება; 2. დახმარება; ერთდროული ფულადი გადახდა; 3. ქონებაზე უფლების გადაცემა; 4. *pl.* სტიპენდია; educational ~ განათლების სუბსიდირება; monetary ~ ფულადი სუბსიდია

grantee გარანტის მიმღები

granter (grantor) გრანტორი; გრანტის გამცემი

grapevine არაოფიციალური საკომუნიკაციო არხები

grease მოქრთამვა

great depression დიდი დეპრესია, დაცემა ეკონომიკაში

Green parties მწვანეთა პარტიები, რომელთა მიზანია პლანეტის ეკოლოგიური სტაბილურობა

gri ენერგოსისტემა

grievance procedures გასაჩივრების პროცედურები; პროცესი, რომლის საშუალებითაც სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებს შეუძლიათ თავიანთი პრეტენზიის გამოთქმა და სამკურნალო საშუალებების მოთხოვნა დაწესებულებებიდან

gross 1. მთლიანი რაოდენობა; სრული ჯამი; 2. მთლიანი (შემოსავალი); 3. მსხვილი (ფირმა, კომპანია); 4. მიმდინარე; საერთო; ერთობლივი; ~ debt საერთო დავალიანება; ~ domestic product (GDP) მთლიანი შიდა პროდუქტი; ერთობლივი შემოსავალი, რომელიც იწარმოება ქვეყნის ტერიტორიაზე; ~ earnings ერთობლივი მოგება; ~ income ერთობლივი შემოსავალი; ~ investment ერთობლივი კაპიტალდაბანდება; ~ margin ერთობლივი მოგება; ~ national debt ერთობლივი ეროვნული ვალი; ~ national disproduct შიგა ეროვნული პროდუქ-ტის წარმოების ნეგატიური ეფექტი; ~ national expenditure ეროვნული ხარჯების საერთო მოცულობა; ~ national income იხ. სინონიმი gross national product; ~ national product (GNP) მთლიანი ეროვნული პროდუქტი; ქვეყნის ყველა მოქალაქის ერთობლივი შემოსავალი; ~ private domestic investment კერძო კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა ქვეყნის შიგნით; ~ profit იხ. სინონიმი gross margin; ~ profit ratio ერთობლივი მოგების ნორმა; ~ revenue საერთო შემოსავალი; ~ sales გაყიდვის საერთო მოცულობა; ~ savings დანაზოგების საერთო მოცულობა

ground 1. პოზიცია; ფუძე; საფუძველი; მოტივი; 2. საგანი; თემა; 3. ნიადაგი; მიწა; ფონი; გრუნტი

groundwork საფუძველი, ფუნდამენტი

group 1. ჯგუფი; კლასი; 2. დაჯგუფება; 3. კლასიფიცირება; 4. დამქირავებელი, გაერთიანება, ტრესტი, ასოციაცია ან ორგანიზაცია, რომელთა საშუალებითაც ხელისმომწერებს და მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს უფლება ეძლევათ დახმარების პროგრამაში ჩართვისა; ~ achievements ჯგუფური მიღწევები; ~ contract ჯგუფური კონტრაქტი; სადაზღვევო კონტრაქტი, რომელიც იდება დამქირავებელთან ან სხვა იურიდიულ ერთეულთან. მოიცავს ადამიანთა ჯგუფს დაკავშირებულ იურიდიულ პირთან, რომელიც ყიდულობს კონტრაქტს, მაგ, სავაჭრო ასოციაციის წევრები, დაქირავებულნი ან რიგითი დამქირავებელი, ან შრომითი გაერთიანების წევრები; ~ effort ჯგუფის ძალისხმევა; ~ model ჯგუფური მოდელი; სამედიცინო დაწესებულების მოდელი, რომლის მიხედვითაც სამედიცინო დაწესებულება აფორმებს კონტრაქტს ერთ ან რამოდენიმე სამედიცინო ჯგუფთან; ~ insurance ჯგუფური დაზღვევა; ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან სამედიცინო მომსახურება; ~ practice ჯგუფური პრაქტიკა, ადამიანთა ჯგუფი, რომლსაც აქვს სამედიცინო პრაქტიკის წარმოების ლიცენზია; ~ theory ჯგუფის თეორია, ხსნის თუ რატომ არსებობენ დაინტერესებული ჯგუფები; ethnic ~ ეთნიკური ჯგუფი; task ~ მიზნობრივი ჯგუფი; work ~ სამუშაო ჯგუფი

grouping დაჯგუფება; კლასიფიკაცია; socioeconomic ~ მოსახლეობის განაწილება ჯგუფების მიხედვით

groupthink ჯგუფური აზროვნება

grow 1. გაძლიერება; გაზრდა; 2. გაფართოება

growth 1. ზრდა; განვითარება; 2. მოყვანა (მოსავლისა); economic ~ ეკონომიკური განვითარება; ~ rate ზრდის ხარისხი; ფისკალური წლების რაოდენობის გათვალისწინებით წლიური ზრდის რთული ხარისხი

guarantee 1. გარანტია; თავდებობა; 2. გარანტი; თავდები; პასუხისმგებელი; 3. უზრუნველყოფა; გარანტიის მიცემა

guaranteed renewable გარანტირებული კონტრაქტი; სადაზღვევო კონტრაქტი, რომლის განადგურებაც არ შეუძლია დამზღვევს და უზრუნველყოფს დაზღვეულის დროულ საჭირო დახმარებას

guardian მეთვალყურე; სასამართლოს მიერ დანიშნული პირი, რომელიც მეთვალყურეობს არასრულწლოვანებს, სულით ავადმყოფებსა და შრომისუუნარო პირებს, იცავს მათ უფლებებს

guerilla war პარტიზანული ომი

guess 1. მიახლოებითი გამოთვლა; 2. მიხვედრა; გამოცნობა; 3. ვარაუდი; ~-work 1. ბრმად მუშაობა; 2. ფუჭი ვარაუდი

guidance 1. ხელმძღვანელობა; 2. მართვა

guide 1. ორიენტირი; მაჩვენებელი; ცნობარი; ინსტრუქცია; 2. ხელმძღვანელი 3. გიდი, ექსკურსიის ხელმძღვანელი; 4. კრიტერიუმი

guidelines 1. სახელმძღვანელო პრინციპი; 2. ორგანიზაციის თანამშრომელთა ორიენტირები

gumption 1. პრაქტიკული ჭკუა; მიხვედრილობა; გონებამახვილობა; 2. ინიციატივა

gut 1. *pl.* შინაარსი; არსებითი ნაწილი; 2. არსში ჩაწვდომა



habilitation გარკვეულ დარგში სამუშაოდ მზადება

habit 1. ჩვეულება; ზნე-ჩვეულება; ადათი; 2. ხასიათი; მიდრეკილება

habitable საცხოვრებლად ვარგისი; დასახლებული

habitation 1. ცხოვრება; 2. საცხოვრებელი ფართი

hack 1. (ნაჩქარევად შესრულებული) სამუშაოს ნაწილი; 2. ნატიფი ნამუშევარი; პროფესიულ დონეზე შესრულებული ნამუშევარი

hacker ჰაკერი, კომპიუტერში შემღწევი

half-pay 1. ნახევარი ხელფასი; 2. პენსია

half-time არასრული სამუშაო დღით მომუშავე

halo effect შარავანდედის ეფექტი; დასაქმებულის დადებითად შეფასების ტენდენცია, დაფუძნებული წარსულ საქმიანობაზე

halve განახევრება (მაგ. ხელფასისა)

hand 1. მუშა; მუშაკი; 2. მუშახელი; სამუშაო ძალა;

handbook სახელმძღვანელო; ცნობარი

handle 1. მართვა; რეგულირება; კონტროლირება; 2. თავის გართმევა; 3. გადაზიდვა; 4. ვაჭრობა; 5. დამუშავება

handling 1. მიდგომა; 2. განხილვა

hard 1. მტკიცე (ვალუტა); 2. ძლიერი; მძიმე; 3. გულმოდგინე; შეუპოვარი; 4. მდგრადი; 5. მყარი (ფასები); 6. ძლიერად; ინტენსიურად

harden გამტკიცება; სტაბილიზება

harmonization შეთანხმება; შესაბამისობაში მოყვანა; tax ~ გადასახადის სხვადასხვა ფორმის შეთანხმება

hawk ჰოკი, აგრესიული ტაქტიკის მო-

ყვარული (მიმდევარი)

hawthorne effect ჰოთორნის ეფექტი; ტენდენცია, როდესაც ყურადღების ქვეშ მყოფი პირი აჭარბებს მოსალოდნელ შედეგებს. დასაქმე-ბული, რომელიც მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, უკეთ მუშაობს, ვიდრე უმეთვალყუროდ დატოვებული

hazard 1. რისკი; საშიშროება; საფრთხე; განსაცდელი; 2. გარისკვა; ~ free ურისკო; უსაფრთხო

hazardous საშიში; სახიფათო

head 1.უფროსი, ხელმძღვანელი; 2. *pl.* სულადობა; 3. ფულის წინა მხარე; 4. მეთაური; 5. კურსის აღება; ~ of department განყოფილების უფროსი; ~ of organization ორგანიზაციის ხელმძღვანელი; ~ of the government მთავრობის ხელმძღვანელი; ~ of the state ქვეყნის მეთაური; divisional operating ~ საწარმოო განყოფილების უფროსი

headway წინსვლა; პროგრესი; დაწინაურება

headquarters მთავარი სამმართველო; ხელმძღვანელობა; შტაბი

heads-up დარწმუნებითა და დიდი ხელოვნებით

health ჯანმრთელობა; ~ and Human Services Department (HHS) ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტი; ~ Care Finance Administration (HCFA) ჯანდაცვის საფინანსო სამმართველო; ~ care plan სამედიცინო მომსახურების გეგმა, რომლის მეშვეობითაც ხდება დაქირავებულთა და მათ კმაყოფაზე მყოფთა დახმარებებით უზრუნველყოფა; ~ Insurance Association of America (HIAA) ამერიკის სამედიცინო დაზღვევის ასოციაცია; ~ Insurance Purchasing Cooperative (HIP) სამედიცინო დაზღვევის შემსყიდველი კოოპერატივი; ~ insurance სამედიცინო დაზღვევა; ~ maintanance organization (HMO) ჯანდაცვის შემანარჩუნებელი ორგანიზაცია (ჯშო);

hearings 1. მოსმენა (მთავრობის ან პარლამენტის სხდომაზე); 2. სხდომის ოქმი; appropriation ~ საბიუჯეტო ასიგნებათა განხილვა საკანონმდებლო ორგანოში (კონგრესი, პარლამენტი)

heavy 1. მძიმე (სამუშაო); 2. მაღალი; დიდი (ხარჯი)

hedge ჰეჯი; ჰეჯირება; დანაკარგებისაგან დაზღვევა

hedging ჰეჯინგი; სტრატეგია ინვესტიციების რისკის შესამცირებლად, რომელიც იყენებს ყიდვისა და გაყიდვის ოფციონებს, მოკლე შესყიდვას ან მომავლის კონტრაქტებს

help 1. შველა; 2. *pl.* მუშები; skilled ~s კვალიფიციური მუშები; software ~ პროგრამული უზრუნველყოფა

heritage მემკვიდრეობა

heterogeneity ჰეტეროგენურობა, სხვადასხვაობა, ნაირსახეობა

heuristic ევრისტიკა, სწავლების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს აქტიურობის ან სხვა რაიმე თვისების განვითარებას

hierarchical structure იერარქიული სტრუქტურა

hierarchy იერარქია, დაქვემდებარების სტრუქტურა; ~ of job levels სამუშაოს დონეების იერარქია

high უმაღლესი წერტილი, მაქსიმუმი; პიკი, მაღალი; მნიშვნელოვანი; ~duty მაღალმწარმოებლური; ~efficiency მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტი; ~grade მაღალი კლასის; ~ graded position მაღალი რანგის თანამდებობა; ~ levels of trust ნდობის მაღალი დონეები; ~performance მაღალეფექტური; ~ performance objective მაღალხარისხოვანი შესრულების მი-

ზანი; ~-performing organizational culture მაღალი დონის შესრულების უზრუნველმყოფი ორგანიზაციული კულტურა; ~ politics უმაღლესი პოლიტიკა (უსაფრთხოება, სტრატეგიული ინტერესები); ~price მაღალი ფასი; აქციის უმაღლესი ფასი ბოლო 52 კვირის მანძილზე; ~production მაღალმწარმოებლური; ~technology უმაღლესი ტექნოლოგია; ~standards მაღალი სტანდარტები

highly-skilled personnel მაღალკვალიფიციური პერსონალი

high-performance მაღალეფექტური

hire 1. დაქირავება; 2. დაქირავების ფასი; factor ~ საწარმოო ფაქტორის დაქირავება

hirer 1. დამქირავებელი; 2. იჯარით ამღები

hiring-out საქონლის გაქირავება

hoard 1. მარაგი; 2. მარაგის დაგროვება; მომარაგება

hoarding 1. დაგროვება; 2. რეკლამის გაკეთება

hold 1. დაჭერა; დაფიქსირება; 2. ფლობა; 3. შენახვა; ~harmless clause პასუხისმგებლობის მხარდაჭერის პუნქტი; ხშირად გვხვდება მართვადი ჯანდაცვის კონტრაქტებში, სადაც HMO და ექიმი მხარს უჭერს ერთმანეთს, თუ ერთ-ერთი მათგანი პასუხს აგებს არასწორი საექიმო ან კანონსაწინააღმდეგო მოქმედების გამო

holder 1. მფლობელი; 2. მოიჯარე; 3. წარმდგენი (მაგ. ჩეკისა); ~of account ანგარიშის მფლობელი; ~ of pledge გირაოს მიმღები; policy ~ დაზღვეული პირი, სადაზღვევო პოლისის მქონე

holding 1. ფლობა; 2. იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი; ქონება; 3. ანაბარი; 4. მარაგი; ~company ჰოლდინგ-კომპანია; კორპორაცია, რომელიც ფლობს სხვა ფირმის აქციების საკმარის ნაწილს, რათა აკონტროლოს მისი მართვა, დირექტორთა საბჭოზე ზეგავლენის გზით; bill ~ თამასუქების პორტფელი; currency ~s სავალუტო რეზერვი; security ~s ფასიანი ქაღალდების რეზერვი

hollow work force ფუღურო სამუშაო ძალა

home 1. შინაგანი; შიგა; 2. შიდა; 3. ადგილობრივი; 4. საცხოვრებელი; სახლი; ბინა; ~health ოჯახის ჯანდაცვა, ოჯახის ექიმის სამსახური

homogeneity ჰომოგენური, ერთგვაროვანი; ~of industry მრეწველობის დარგების ერთგვაროვნება

hono(u)r 1. (დაპირების) შესრულება; (პირობის) დაცვა; 2. (ხელშეკრულების) შესრულება

horizon 1. პერსპექტივა; 2. პერიოდი; დროის დიდი შუალედი; ჰორიზონტი; consumer planning ~ გეგმური მოთხოვნის. ჰორიზონტი; unbounded ~ დაგეგმვის უწყვეტი პერიოდი

management 1. მართვა; მენეჯმენტი; 2. წარმოების ორგანიზაცია; 3. დირექცია; ადმინისტრაცია; ~ analysis მენეჯმენტის ანალიზი; ~ by objectives მიზნობრივი მენეჯმენტი; პროცესი, რომელიც ოთხი დამოუკიდებელი ეტაპისაგან შედგება: 1. მკაფიოდ ფორმულირებული მიზნების დასახვა; 2. მათი მიღწევის რეალისტური გეგმების შემუშავება; 3. სამუშაოს ხარისხისა და შედეგების სისტემატური კონტროლი და გაზომვა; 4. მაკორექტირებელი ზომების მიღება დაგეგმილი შედეგების მისაღწევად; classical school ~ მენეჯმენტის კლასიკური სკოლა; მენეჯმენტის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია მართვის ზოგადი პრინციპების განსაზღვრაზე ორგანიზაციაში მათი რაციონალური გამოყენების მიზნით. ამ სკოლის თეორეტიკოსები თვლიდნენ, რომ მოცემული საქმიანობის ძირითადი ფუნქციების განსაზღვრით შესაძლებელია ორგანიზაციის საუკეთესო სისტემის მიგნება; ~ information system მენეჯმენტის (მართვის) საინფორმაციო სისტემა; კომპიუტერული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მენეჯერებს გადაწყვეტილებისთვის საჭირო ინფორმაციით; day-to-day ~ ოპერატიული მართვა; job ~ შრომის ორგანიზაცია; line ~ ხელმძღვანელობის შუალედური რგოლი; matrix ~ მართვის მატრიცული ორგანიზაცია; personnel ~ კადრების ხელმძღვანელობა; program ~ 1. პროგრამული მართვა; 2. პროგრამის მართვა; quality ~ ხარისხის მართვა; sales ~ გასაღების მართვა; social ~ მართვის სოციალური ასპექტი; system ~ სისტემური მართვა; top ~ 1. უმაღლესი ხელმძღვანელობა; 2. უმაღლესი ადმინისტრაცია; venture ~ მიზნობრივი მართვა; მიზნობრივი მართვის ჯგუფი

manager 1. მმართველი; ხელმძღვანელი; დირექტორი; მენეჯერი; 2. ხელმძღვანელი ადმინისტრატორი; assistant ~ მმართველის თანაშემწე; deputy ~ მმართველის მოადგილე; first line ~ წარმოების დაბალი საფეხურის ხელმძღვანელი; general ~ გენერალური მენეჯერი; გენერალური დირექტორი; line ~ ჰორიზონტალური ხელმძღვანელი; middle ~ საშუალო რგოლის ხელმძღვანელი; personnel ~ კადრების განყოფილების გამგე; production ~ წარმოების ხელმძღვანელი; product line ~ გარკვეული სახის პროდუქციის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი; sales ~ კომერციული დირექტორი; staff ~ ჯგუფის ხელმძღვანელი; team ~ ჯგუფის ხელმძღვანელი; top ~ მთავარი მმართველი; უმაღლესი დონის მენეჯერი; works ~ საწარმოო ხელმძღვანელი

managerial მენეჯერიალური; მმართველობითი

mandarins ძველი, ფეოდალური ჩინეთის უმაღლესი სახელმწიფო მო-

ხელე

mandate 1. მანდატი; რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. რწმუნება, უფლებამოსილება; 3. მინდობილობა

mandated მანდატით მინიჭებული; ~ **benefits** მანდატირებული დახმარებები; გარკვეული სახის დახმარება, რომლის შეტანაც აუცილებელია დამზღვევის მიერ სამედიცინო დაზღვევის პოლისში

mandatory აუცილებელი; სავალდებულო

manipulate 1. მანიპულირება; 2. რაიმე რთული მოქმედება; 3. *ბალატ.* ოინი, ყალთაბანდობა

manipulation მანიპულაცია, სიტუაციის შემობრუნება საკუთარი თავის სასარგებლოდ

manpower 1. სამუშაო ძალა; კადრი; 2. სამუშაო რესურსი

manual სახელმძღვანელო; ცნობარი; ინსტრუქცია

maoism მაოიზმი, მაო ძე-დუნის (1893-1976) მიერ მარქსიზმის ჩინეთის რეალობისადმი მისადაგების მცდელობის შედეგი

map out a strategy სტრატეგიის დაგეგმვა

margin 1. სხვაობა, დამატება, ზღვარი; 2. საქონლის ღირებულების პროცენტი, რომელიც უნდა დაემატოს მის თვითღირებულებას გასაყიდი ფასის მისაღებად; 3. ფასიანი ქაღალდების და/ან საქონლის ყიდვა-გაყიდვის ფასთა სხვაობა; 4. საბანკო ოპერაციების წარმოებისას ფასი, რომელიც ემატება საბაზრო, საპროცენტო განაკვეთს ბანკის მიერ მოგების მიღების მიზნით; 5. სასაქონლო და სავალუტო გარიგებების დროს ავანსის მოცულობა, რომელიც გადაიხდება ინვესტორის მიერ დილერის ან ბროკერისათვის; 6. კლიენტის მოსალოდნელი ზარალის დასაფარად საბირჟო ბროკერის მიერ დეპოზიტორის სახით შეტანილი ფული ან ფასიანი ქაღალდები; **bank** ~ ბანკის მარჟა (კრედიტისა და ანაბრების პროცენტულ განაკვეთებს შორისი სხვაობა); ~**call** დამატებითი უზრუნველყოფის შეტანის მოთხოვნა; **contribution** ~ საერთო მოგება; **credit** ~ კრედიტის მარჟა; **dumping** ~ დემპინგური სხვაობა (შიგა და საექსპორტო ფასებს შორისო); **fixed** ~ მყარი დარიცხვა; ~**account (stocks)** აქციის ზღვრული ანგარიში; ბერკეტული ანგარიში, რომელშიც შეიძლება აქციის შესყიდვა ნაღდი ფულისა და სესხის კომბინაციით. ზღვრულ ანგარიშში სესხი განპირობებულია აქციით და თუკი აქციის ფასი დაეცა, მფლობელს მოეთხოვება ან ფულის დამატება, ან აქციის ნაწილის გაყიდვა; ~ **of error** ცდომილების ზღვარი; ~**s of fluctuation** რყევის ზღვარი (ვალუტის კურსისა, ფასისა); ~ **of profit** მომგებიანობის კოეფიციენტი, შემოსავლიანობის კოეფიციენტი; ~ **of safety** 1. შემოსავალი, ფიქსირებული გასავლების გადახდის შემდეგ დარჩენილი; 2. თანხა, რომლითაც გაყიდვის მოცულობა აღემატება წონასწორობის წერტილს (რომელშიც მოგება უთანაბრდება წაგებას); 3. გამოშვებული ობლიგაციების საერთო და მათი შესაბამისი ქონების რეალურ ღირებულებებს შორისო სხვაობა; ~ **of unused resources** გამოუყენებელ მარაგთა რესურსი; ~ **requirement** ფასიანი ქაღალდების ფასის ნაწილის

ნაღდი ფულით გადახდის მოთხოვნა

marginal 1. ზღვრული, უკიდურესი; 2. კრიტიკული; გადამწყვეტი; 3. ზრდადი; დამატებითი; ~ analysis ზღვრული მაჩვენებლების მეთოდი; ~ borrower სესხის ამღები მოქმედი მოგების ზღვარზე; ~ buyer მყიდველი მოქმედი მოგების ზღვარზე; ~ cost ზღვრული, მარჟინალური ხარჯები; ~ customer მყიდველი, რომელიც მოგების ზღვარზეა; ~ efficiency of investment ინვესტიციების ზღვრული ეფექტურობა; ~ lender სესხის მიმცემი, ინვესტორი, რომელიც მოგების ზღვარზე მოქმედებს; ~ performance ზღვრული შესრულება, თითქმის საზარალო; ~ producer მწარმოებელი, მოქმედი მოგების ზღვარზე; ~ product of capital (MPC) კაპიტალის ზღვრული პროდუქტი; წარმოების მოცულობის ზრდა კაპიტალური დანახარჯების ერთეულის ზრდისას; ~ product of labor (MPL) შრომის ზღვრული პროდუქტი; წარმოების მოცულობის ზრდა შრომის დანახარჯების ერთეულის ზრდისას; ~ product ზღვრული პროდუქტი; ~ profits დამატებითი ერთეულების წარმოების ხარჯზე მოგების საერთო მოცულობის ზრდა; ~ propensity to consume (MPC) მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება; შემოსავლების პროცენტული ზრდა, რომელიც მოხმარების ზრდას ხმარდება; ~ propensity to invest (MPI) ინვესტიციებისადმი ზღვრული მიდრეკილება; გაყიდვების პროცენტული ზრდა, რომელიც გამოიყენება ინვესტიციების გაზრდისათვის; ~ propensity to save (MPS) დანაზოგებისადმი ზღვრული მიდრეკილება შემოსავლების პროცენტული ზრდა, რომელიც ზრდის დანაზოგებს; ~ rate of substitution (MRS) პროპორცია, რომლის დროსაც მომხმარებელი მზად არის ერთი სახეობის საქონლის განსაზღვრული რაოდენობა შეცვალოს სხვა საქონლის მეტ რაოდენობაზე; ~ relief საგადასახადო სამსახურების მიერ შეღავათების დაწესება იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდების შემოსავლების ზრდას გადაჰყავს ისინი უფრო მაღალი საგადასახადო განაკვეთის გადამხდელთა ჯგუფში; ~ revenue product კომერციული საწარმოს მიერ მიღებული დამატებითი მოგება, რომელიც გამოწვეულია რომელიმე საწარმოო ფაქტორის ერთი ერთეულის დამატებით (მაგ. ერთი თანამშრომლის, ერთი მოწყობილობის დამატებით და ა.შ.); ~ revenue შემოსავალი პროდუქციის ერთეულზე; ~ seller გამყიდველი, რომელიც მოგების ზღვარზე მოქმედებს; ~ trading ვაჭრობა მოგების ზღვარზე; ~ utility ზღვრული სარგებლიანობა საქონლის ერთეულზე; ~ worker თანამშრომელი, რომელსაც ზღვრული მინიმალური მოგება მოაქვს; ~-cost pricing (MCP) გაყიდვა ფასების ზღვრული დანარიცხით

marginalism მარგინალიზმი, ეკონომიკური ცვლილების შესწავლა ნებისმიერ ყველაზე მცირე ზომის ცვლილებებზე დაკვირვებით

markdown 1. შემცირება (ფასისა, კურსისა); 2. დათმობის სიდიდე (საწყისი ფასიდან); 3. ფასიანი ქაღალდების გადაფასება საბაზრო კოტირების დაცემის გამო

market 1. ბაზარი; 2. ბირჟა; 3. ვაჭრობა, გასაღება; ~ analysis ბაზრის შესწავლა; ~ audit მარკეტინგული

აუდიტი; ~ capitalization ბაზრის კაპიტალიზაცია; გაუნაღდებელი წილების საერთო ღირებულება დოლარებში. გამოეთვლება როგორც წილთა ნამრავლი მიმდინარე საბაზრო ფასზე; ~ channel საბაზრო არხი; ~ cycle საბაზრო ციკლი; ~ demand ბაზრის მოთხოვნა; ~ equilibrium საბაზრო წონასწორობა; ~ failure კომერციული ბაზრის მარცხი (როდესაც საბაზრო ეკონომიკა ვერ წყვეტს მატერიალური რესურსების ეფექტური განაწილების ამოცანას); ~ fit ალბათობა იმისა, რომ ახალ საქონელს შეიძენს იმავე მყიდველი, რომელიც ყიდულობდა მოცემული ფირმის სხვა საქონელს; ~ order ბაზრის ფასით ყიდვა-გაყიდვის შესახებ ბრძანება; ~ outline ბაზარზე მოცემული ფირმის ან მოცემული პროდუქციის ფარდობითი პოზიციის ზოგადი მოკლე აღწერა; ~ penetration ბაზრის დაპყრობა; ~ potential საბაზრო პოტენციალი; ~ power ბაზარზე ზემოქმედების შესაძლებლობა; ~ presence ბაზარზე ყოფნა; ~ profile ბაზრის პროფილი; ~ rate საბაზრო საპროცენტო ნორმა; ~ representative მარკეტინგის წარმომადგენელი; ~ research ბაზრის კვლევა; ~ segmentation ბაზრის სეგმენტაცია; ~ share ბაზრის წილი; ~ share საბაზრო წილი; ბაზრის პოტენციალის ნაწილი, რომელიც მოიპოვა მატარებელმა წერილობით ბიზნესში ან მიითვისა მართვადი ჯანდაცვის კომპანიამ; ~ skimming კომპანიის ფასწარმოქმნის საწყისი სტრატეგია, როდესაც დგინდება მომატებული ფასები ინვესტირებული საშუალებების დაბრუნების მიზნით; ~ strategy მარკეტინგის სტრატეგია; ~ structure analysis ბაზრის სტრუქტურის ანალიზი; ~ target მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფი ბაზარზე; ~ value clause დებულება საბაზრო ღირებულების შესახებ; ~ value საბაზრო ღირებულება; ~ price საბაზრო ფასი; active ~ აქტიური ბაზარი; black ~ შავი ბაზარი; bond ~ ობლიგაციათა ბაზარი; capital ~ გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის ბაზარი; closed ~ დახურული ბაზარი; credit ~ კრედიტის ბაზარი; discount ~ დისკონტის ბაზარი; domestic ~ შიგა ბაზარი; Eurocurrency ~ ევროვალუტის ბაზარი; exchange ~ ვალუტის ბაზარი; external ~ საგარეო ბაზარი; financial ~ ფინანსური ბაზარი; foreign ~ საგარეო ბაზარი; interbank ~ ბანკთაშორისი (ოპერაციების) ბაზარი; internal ~ შიგა ბაზარი; international exchange ~ საერთაშორისო სავალუტო ბაზარი; investment ~ საინვესტიციო ბაზარი; labor ~ შრომის ბაზარი; money ~ ფულის ბაზარი; ხანმოკლე კაპიტალის ბაზარი; national ~ ეროვნული ბაზარი; off ~ დაცემა ბაზარზე; one-buyer ~ ერთი მყიდველის ბაზარი; open ~ ღია ბაზარი; real estate ~ უძრავი ქონების ბაზარი; securities ~ ფასიანი ქაღალდების ბაზარი; საფონდო ბირჟა; shrinking ~ შემცირების პროცესში მყოფი ბაზარი; stock ~ საფონდო ბირჟა; unorganized ~ არაორგანიზებული ბაზარი; unsteady ~ არამდგრადი ბაზარი; world (embracing) ~ მსოფლიო ბაზარი

marketable გასაყიდად ვარგისი, საბაზრო, ლიკვიდური; ~ securities ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ადვილად მიმოიქცევიან ბაზარზე

marketing მარკეტინგი; პროგრამების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების, ატრიბუტებისა და წინსვლის განსაზღვრა სამიზნე ჯგუფების საშუალებებით. მარკეტინგი მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება საზოგადოებრივი ურთიერთობებით; ~ board მარკეტინგული საბჭო; ~ concept მარკეტინგული კონცეფცია; ~ cost analysis შესყიდვის ხარჯების ანალიზი; ~ functions ძირითადი მარკეტინგული ფუნქციები; ~ information system მარკეტინგული საინფორმაციო სისტემა; ~ intelligence მარკეტინგული ხასიათის ინფორმაციის შეგროვება; ~ management მარკეტინგული მენეჯმენტი; ~ mix კომპანიის მარკეტინგის ფაქტორები; ~ research მარკეტინგული გამოკვლევა; ~-dominated strategy სტრატეგია, რომელიც დაფუძნებულია მარკეტინგული მიდგომის დომინირებაზე

marketingmanship მარკეტინგის მუშაკის კვალიფიკაციის საზომი

market-oriented production ბაზარზე ორიენტირებული წარმოება

marketplace ბაზარი; საერთო ტერმინი, რომელიც შეეხება კომერციულ და სავაჭრო საქმიანობას

martial law სამხედრო მდგომარეობა; სამხედრო ძალაუფლების დამყარება საგანგებო სიტუაციის დროს

Maslow's hierarchy of needs მასლოუს საჭიროებათა იერარქია; მოტივაციური თეორია, რომლის თანახმადაც დასაქმებულები ბუნებრივად ითხოვენ კანონიერ მაღალი დონის საჭიროებებს

mass media მას მედია, ინფორმაციის მასობრივი საშუალებები (გაზეთები, ჟურნალები, სხვა პუბლიკაციები, ტელევიზია, პლაკატები, აფიშები; განცხადებები, რადიო და კინემატოგრაფი)

mass production მასობრივი წარმოება

massive retaliation მასირებული კონტრდარტყმა; სხვა სახელმწიფოს მოქმედებების შეკავება ბირთვული რეაგირების საფრთხის მეშვეობით

master policy (master contract) ძირითადი პოლისი (კონტრაქტი) ერთი კომბინირებული პოლისი, რომელიც გაიცემა პოლისის მფლობელზე (პოლისის დამქირავებელზე)

matter საკითხი; საგანი

mature 1. მომზადებული; მომწიფებული; 2. ზედმიწევნით მოფიქრებული

maturity-immaturity theory სიმწიფე-უმწიფრობის თეორია; მოტივაციის თეორია, რომელიც ადამიანური ურთიერთობების სკოლას უკავშირდება. შექმნა ქრის არგისმა. მის თანახმად, საზოგადოებრივი ორგანიზაციები შედგება ინდივიდუალური პირებისა და ფორმალური სტრუქტურისაგან. არსებობს რა ძირეული შეუთავსებლობა მომწიფებული პიროვნების ქცევის ნიმუშებსა და ოფიციალურო ორგანიზაციის საჭიროებათა შორის, უსათუოდ ვითარდება დაძაბულობა

maximization მაქსიმიზაცია, მაქსიმალური ზრდა (მაგ. მოგებისა, შემოსავლებისა)

maximize მაქსიმალური დონის მიღწევა

means 1. ხერხი; საშუალება; 2. სახსრები; თანხა

measure 1. ზომა; საზომი; საწყაო; მაჩვენებელი; კრიტერიუმი; 2. მასშტაბი, განზომილება; 3. გაზომვა; 4. ღონისძიება; ~ results შედეგების

შეფასება

measures short of war ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ომის გამოუცხადებლად გატარებული ღონისძიებები კანონიერი უფლებების დაცვის ან კანონის დამრღვევის დასჯის მიზნით

mechanics of the current system არსებული სისტემის მექანიკა

mechanist school მექანისტური სკოლა; ეფუძნება ფრედერიკ ტეილორის, ჰენრი ფეოლის და მაქს ვებერის შრომებს. ადამიანი სამუშაო გარემოში მანქანის ჰანჰიკად მოიაზრება, რომლის საპოხს ფული წარმოადგენს. ამრიგად, რაც უფრო უკეთაა ის გაპოხილი, მით სწრაფად მუშაობს მანქანა

mediation მესამე პირის შუამდგომლობა მოდავე პირებს შორის დავის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის

Medicaid (Title XIX) *ამერ.* მედიქეიდი; პროგრამა, რომლის ფუნქციონირება და ადმინისტრირება ხდება სახელმწიფოს მიერ და რომელიც ეფუძნება ფედერალურ მხარდაჭერას. ეს პროგრამა უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებით ღატაკ და დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება.

medical სამედიცინო; ~ **group practice** სამედიცინო ჯგუფური პრაქტიკა; ამერიკის ჯგუფური პრაქტიკის ასოციაცია, სამედიცინო ასოციაცია და სამედიცინო ჯგუფის მართვის ასოციაცია

medically necessary აუცილებელი სამედიცინო მომსახურება; მომსახურებანი, რომლებიც აუცილებელია, რათა შენარჩუნდეს წევრის ჯანმრთელობა, სამედიცინო პრაქტიკის სტანდარტების შესაბამისად

Medicare (Title XVIII) *ამერ.* მედიქეარი; არანაწილობრივი ფედერალური სამედიცინო დაზღვევის პროგრამა, რომელიც მოიცავს სტაციონარული და მასთან დაკავშირებული მომსახურების ღირებულებას 65 წლისა და უფროსი ასაკის სრული ფიზიკური უუნარობის მქონე პირებისათვის

medium (plural, media) საშუალება; ~ **of exchange** მიმოქცევის საშუალება; ~**range planning** საშუალოვადიანი გეგმა

megalopolis მეგაპოლისი, მსხვილი ქალაქების აგლომერაცია

melting pot სადნობი ჭოთანი; ახალი კულტურის წარმოქმნა მოსახლეობის ყველა ეთნიკური ელემენტის ასიმილაციითა და აბსორპციით, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა

member წევრი

membership 1. წევრობა; 2. წევრების რაოდენობა; 3. (რიგითი) წევრები; საწევრო; წევრისა; 5. *pl.* რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ფორმალური ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფები

memorandum 1. მემორანდუმი, დიპლომატიური დოკუმენტი, რომლითაც გადმოცემულია მთავრობის თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე; 2. რომელიმე დაწესებულების მოხსენებითი ბარათი ან ახსნა-განმარტება; სამსახურეობრივი შეტყობინება; ~**of understanding** ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი; ორი ან მეტი მთავრობის ან საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელ-

შიც გადმოცემულია გარკვეული პროექტის განხორციელების მიზნები და მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები

menu cost ფასის შეცვლასთან დაკავშირებული გამყიდველის დანახარჯები

mercantilism მერკანტილიზმი; მე-16-18 საუკ. ევროპის ეკონომიკური მოძღვრება და პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა წარმოების განვითარებაზე, არამედ სხვა ქვეყანაში საქონლის გატანაზე და ამ გზით ფულის დაგროვებაზე; 2. *(ვალატ)* გამორჩენის სურვილი; წვრილმანი ანგარიშიანობა

merge შთანთქმა; შერწყმა

merger შერწყმა (ერთი ფირმისა მეორესთან)

merit არსი; დამსახურება; ~ pay ღვაწლის ანაზღაურება; ~ promotion system წახალისების (დაწინაურების) სისტემა დამსახურების მიხედვით; negotiation on the ~ მოლაპარაკება მთავარი არსის გარშემო; objective ~ (მაგ., პრობლემის) ობიექტური არსი

merit-based public service დამსახურებით შეპირობებული სახელ-მწიფო სამსახური

meritocracy მერიტოკრატია (ინტელექტუალური ელიტის ანუ მერიტოკრატების მიერ საზოგადოების მართვის ფორმა)

mess რთული სიტუაცია; არეულობა

metaphor მეტაფორა; სიტყვის ან გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, რაც ემყარება მსგავსებას, შედარებას, ანალოგიას; ამგვარად ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა

method 1. მეთოდი; 2. ხერხი; 3. სისტემა; წესრიგი; 4. ლოგიკურობა; ~ of agreement შეთანხმების მეთოდი; თუ არის X, მაშინ არის Y – რაც ნიშნავს, რომ X არის საკმარისი პირობა Y-თვის; ~ of concomitant variation თანმხლები ვარიაციის მეთოდი; ურთიერთდამოკიდებული ცვლილებები ორ ფაქტორს - რაოდენობასა და ხარისხს შორის; Y=f(x), რაც ნიშნავს, რომ Y-ის ვარიაციები დამოკიდებულია X-ის ვარიაციებზე; ~ of difference განსხვავების მეთოდი; თუ არის X, მაშინ არ არის Y, რაც ნიშნავს, რომ X არის Y-თვის საჭირო პირობა

method მეთოდი

methodological individualism მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი; ანალიზის მეთოდი, რომლის თანახმად პოლიტიკური მეცნიერების, სოციალური მეცნიერების ან ისტორიის არცერთი ახსნა არ არის სრულყოფილი თუ არ არის გათვალისწინებული ინდივიდუალური პირების მოთხოვნილებები: მათი თვისებები, მიზნები, რწმენები და ქმედებები

methodology მეთოდოლოგია; მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ; ამა თუ იმ მეცნიერებაში გამოყენებული კვლევის მეთოდთა ერთობლიობა

metropolis *ლიტ.* ძალიან დიდი ქალაქი; მეტროპოლისი

microeconomics მიკროეკონომიკა, ეკონომიკის დარგი, რომელიც ეხება ინდივიდუალური მოქმედი პირებისა და ფირმების არჩევანს

microtheory მიკროთეორია; ნახევრადთეორიები ან თეორიები, რომელშიც ანალიზის ერთეულს ინდივიდუალური პირი წარმოადგენს

middle management საშუალო საფეხურის მენეჯმენტი

midlevel manager შუა დონის მენეჯერი; ვიცე-პრეზიდენტზე ქვემდგომი მენეჯერი, რომელიც ზედამხედველობს სხვა მენეჯერებს; ~ **practitioner** საშუალო რგოლის პრაქტიკოსი; ექიმის თანაშემწე, კლინიკოსი ექთანი პრაქტიკოსი, ექთანი მეანი. არაექიმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო მომსახურებას, ჩვეულებრივ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, მაგრამ უფრო ნაკლებ ფასად

migration მიგრაცია; ადამიანების, ცხოველების ან ფრინველების მუდმივი მოძრაობა ან გადაადგილება ერთი ადგილიდან, რეგიონიდან ან ქვეყნიდან მეორეში

milestone ეტაპი; სტადია

militarism მილიტარიზმი; შეიარაღებისა და ომისსთვის მზადების პოლიტიკა; აგრესიული სამხედრო წრეების პოლიტიკური ბატონობა

militaristic state მილიტარისტული სახელმწიფო; სახელმწიფო, რომლის სამთავრობო ინსტიტუტებსა და პოლიტიკაში სამხედრო ისტაბლიშმენტია გაბატონებული და რომელსაც აგრესიულ მიზნები აქვს

military სამხედრო; ~ **aid** სამხედრო დახმარება; მოკავშირის დახმარება იარაღით და სამხედრო სწავლების გზით; ~ **coup** სამხედრო გადატრიალება; მთავრობის დამხობა სამხედროების მიერ; ~ **government** სამხედრო მთავრობა; დაპყრობილ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ გატარებული სამხედრო მართვა; ~**industrial complex** სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი; იარაღის მწარმოებელი ბიზნესის სეგმენტი, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს ომთან დაკავშირებით; ~ **revolution** თანამედროვე რევოლუციური მიღწევები იარაღის ტექნოლოგიასა და ომის წარმოებაში

minimum მინიმალური; ~ **premium** მინიმალური პრემია, სადაზღვევო გეგმა, რომლითაც პოლისის მფლობელი ღებულობს ანაზღაურებას გარკვეული პროცენტით იმ დამზღვევებთან შედარებით, რომლებიც ღებულობენ მაღალ დახმარებებს; ~ **purchases** მინიმალური შესყიდვა; საერთო ფონდებისათვის ახალი ანგარიშის გასახსნელად, ან არსებულ ანგარიშზე დეპოზიტის შესატანად საჭირო მოცულობა. ეს მინიმუმი შეიძლება შემცირდეს ავტომატური შესყიდვის გეგმაში მყიდველთა მონაწილეობით

minister მინისტრი, ეროვნული მთავრობის წევრი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მთავრობის დეპარტამენტი, სამინისტრო; ~ **without portfolio** უპორტფელო მინისტრი; მთავრობის წევრი, მინისტრი, რომელიც არ განაგებს სახელმწიფო მმართველობის რომელიმე ცალკე დარგს, არამედ ასრულებს საგანგებო დავალებებს

ministerial responsibility მინისტრის პასუხისმგებლობა; პრინციპი, რომლის მიხედვით მინისტრი პასუხისმგებელია მისი უწყების მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებაზე

ministerial strategic memorandum მინისტრის სტრატეგიული მემორანდუმი; მოკლე სტრატეგიული დოკუმენტი, რომელსაც ყოველწლიურად ამზადებს ყველა მინისტრი და უგზავნის პრემიერმინისტრს. მასში ჩამოყალიბებულია უწყების ძირითადი მიმართულებები და

პრიორიტეტები

minority უმცირესობა; ~ government უმცირესობის მთავრობა; მთავრობა, რომელშიც სამთავრობო პარტიას ადგილების 50%-ზე მეტი უკავია

mint ლითონის ფულის მოჭრა

misconduct 1. ცუდად მართვა; ცუდად გაძღოლა; 2. არასწორად მოქცევა; ამორალური საქციელი

misery სიღატაკე; უმწეო ეკონომიკური მდგომარეობა

mission 1. მისია; 2. დანიშნულება; 3. ამოცანა; 4. საგანგებო დავალება 5. დავალება; ~ driven მისიით მართული; ~ oriented მისიაზე ორიენტირებული; ~ statement წესდება; ზუსტად ფორმულირებული განცხადება, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზანს; მისიის განსაზღვრა; dedicated to ~ მისიისათვის განკუთვნილი; მისიის ერთგული

mission-directed results მისიაზე ორიენტირებული შედეგები

misstep მცდარი ნაბიჯი; შეცდომა; მცდარი გადაწყვეტილება

mistake 1. შეცდომა; გაუგებრობა; 2. შეცდომის დაშვება;

misuse არასწორი გამოყენება

mobile 1. მოძრავი; მობილური; 2. ცვალებადი

mobility of strategic resources სტრატეგიული რესურსების მობილურობა

mobility rate დენადობის დონე; დროის განსაზღვრულ მონაკვეთში სამუშაოზე მიღებულ, ორგანიზაციის შიგნით გადაადგილებულ ან სამუშაოდან განთავისუფლებულ მუშაკთა რაოდენობა

mobilization 1. მობილიზაცია, თადარიგის სამხედრო ვალდებულთა გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით; 2. მშვიდობიანობის დროს არსებული ქვეყნის შეიარაღებული ძალების გადაყვანა საომარი დროის ორგანიზაციასა და შემადგენლობაზე; სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გადაყვანა საომარ მდგომარეობაზე; 3. *(გადატ)* ძალების ან სახსრების თავმოყრა რაიმე ამოცანის შესასრულებლად

mode მეთოდი, საშუალება; ongoing ~ მიმდინარე, არსებული, მოქმედი მეთოდი

model 1. მოდელი; მაკეტი; ნიმუში; 2. ტიპი; contingency ~ სიტუაციური მოდელი; customer expectation ~ მომხმარებელთა მოლოდინის მოდელი; პროგნოზი, რომელიც დაფუძნებულია მომხმარებელთა და მათი მოლოდინის შესწავლაზე; Homan's ~ ჰომანსის მოდელი; ჯგუფური ქცევის თეორია, რომელიც ხსნის როგორ წარმოიშობა არაფორმალური ჯგუფები მუშა გარემოში, რომლებიც ზემოქმედებენ სამუშაო პირობებში ადამიანთა ქცევაზე. მისი ელემენტებია – თანამშრომელთა ურთიერთქმედება, გრძნობები და მოქმედება; inventory ~ მარაგის მართვის მოდელი; გამოიყენება რესურსების განლაგე-ბისა და მოცულობის გრაფიკის ოპტიმიზაციის, აგრეთვე აუცილებე-ლი მარაგის განსაზღვრისათვის; linear programming ~ წრფივი პროგრამირების მოდელი; დეფიციტური რესურსების კონკურენტულ მოთხოვნებს შორის განაწილების ოპტიმიზაციის მოდელი; Porter-Lawler ~ პორტერ-ლოულერის მოდელი; მოტივაციის სიტუაციური თეორია, რომელიც აერთიანებს მოლოდინისა და სამართლიანობის

თეორიის ელემენტებს. იგი მოიცავს ხუთ ცვლადს: ძალისხმევა, მოლოდინი, შედეგიანობა, დაჯილდოება და კმაყოფილება; **queuing** ~ მასობრივი მომსახურების მოდელი; გამოიყენება მომსახურების საწარმოთა ოპტიმალური რიცხვის განსაზღვრისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ამ მოდელს ზოგჯერ რიგთა მოდელს უწოდებენ; **Vroom-Jetton leadership decision** ~ ვრუმისა და ეტონის გადაწყვეტილების მიღების მოდელი; ხელმძღვანელობის ალბათური მოდელი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და განასხვავებს ხელმძღვანელობის 5 ტიპს, დაწყებული ავტოკრატულით, დამთავრებული დემოკრატიულით

modeling მოდელირება; **causal** ~ მიზეზ-შედეგობრივი მოდელირება

moderate 1. თანაბარი; საშუალო; 2. ზომიერი; 3. მცირე; 4. გონივრული; საღი; კეთილგონივრული

modern 1. ახალი; თანამედროვე; 2. *pl.* ახალი დროის ადამიანი

modernization მოდერნიზება; რისამე შეცვლა თანამედროვე მოთხოვნილებებისა და გემოვნების შესაბამისად.

modest 1. შეზღუდული; მცირე; 2. თავშეკავებული; მოკრძალებული

modification 1. სახეცვლილება; შეცვლა; გარდაქმნა; 2. ვარიანტი; სახესხვაობა

modus 1. მოდუსი; აზროვნების ნაირსახეობა; 2. საგნის გარდამავალი მდგომარეობა ან თვისება; 3. რისამე წესი, ხერხი; ~ **vivendi** 1. ცხოვრების წესი; არსებობის საშუალება; 2. პირობები, რომლებიც ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის დროებით მაინც იძლევა ნორმალური, მშვიდობიანი ურთიერთობის საშუალებას

monarch მონარქი; სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი (მეფე, იმპერატორი, სულთანი და სხვ.)

monarchism მონარქიზმი; პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც მონარქია მიაჩნიათ სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ ფორმად

monarchy მონარქია; მმართველობის ფორმა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში უდგას ერთი პირი - მონარქი; სახელმწიფო, რომელსაც მმართველობის ასეთი ფორმა აქვს

monetarism მონეტარიზმი, ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც თვლის, რომ ცვლილება ფულით მომარაგებაში გავლენას ახდენს ფასების საერთო დონეზე

monetarism/monetarist school მონეტარიზმი/მონეტარისტული სკოლა; კონსერვატორული ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც ხაზს უსვამს ფულის როლს ინფლაციის განსაზღვრაში, მოითხოვს ფულის მარაგის მკაცრ კონტროლს და ეწინააღმდეგება მთავრობის მიერ უმუშევრობის დასაძლევად მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარებას

monetary 1. მონეტარული; ფულადი; 2. სავალუტო; ~ **aggregates** ფულადი აგრეგატები; მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის მაჩვენებლები; ~ **allowance** ფულადი დახმარება; შემწეობა; ~ **assets** ფინანსური აქტივები; ~ **base (high powered money)** ძირითადი ფულადი მასა; ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო რეზერვების ჯამი; ~

liabilities ფულად-საფინანსო ვალდებულებები; ~ policy ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებათა ერთობლიობა ფულის მიწოდებასთან დაკავშირებით; ორიენტირებულია მოთხოვნისა და მომარაგების კონტროლზე, სადაც ფული ეკონომიკაზე კონტროლის საშუალებაა; ~ reform ფულადი რეფორმა; ~ reserve ფულად-საკრედიტო რეზერვები; ~ rule ფულად-ფინანსური წესი

monetizing განაღდება; ~ a loan სესხის განაღდება; ~ the debt ნაღდი ფულის მოზიდვა დავალიანების დაფინანსებისათვის

money ფული; ~ demand function ფულის მოთხოვნის ფუნქცია; ავლენს ფულზე მოთხოვნის ფაქტორებს; ~ illusion ფულადი ილუზია, შენატანის პროცენტული განაკვეთი; ~ income თანხა, მიღებული შესრულებული სამუშაოსათვის; ~ manager ფინანსური მენეჯერი; ~ market fund ფულის ბაზრის ფონდი; საინვესტიციო ფონდი, რომელიც სპეციალიზდება მოკლევადიან ფულად-საკრედიტო ვალდებულებებზე; ~ market მოკლევადიანი ფულად-საკრედიტო ვალდებულებების ბაზარი; ~ measurement concept ფულის, როგორც საბუღალტრო აღრიცხვაში საზომი ერთეულის კონცეფცია; ~ multiplier ფულის მულტიპლიკატორი; ფულის მიწოდების ნამატი, რაც ფულადი ბაზის გაზრდითაა გამოწვეული; ~ of account საანგარიშო ფულადი ერთეული; ~ price ყიდვის ფასი; ~ public მთავრობის ფულადი სახსრები; ~ rates საპროცენტო განაკვეთი; ~ supply ფულადი მასა; ~ wages ნომინალური ხელფასი; active ~ მიმოქცევაში არსებული ფული; bank ~ უნაღდო ანგარიშსწორების ფული; borrowed ~ სესხი, ვალი; central-bank ~ ცენტრალური ბანკის ბანკნოტი; circulating ~ მიმოქცევადი ფული; debt ~ კრედიტორული ფული; deposit ~ დეპონირებული ფული; effective ~ ნაღდი ფული; genuine ~ ნაღდი ფული; loanable ~ სასესხო ფული; paper ~ ქაღალდის ფული, ბანკნოტები; soft ~ ქაღალდის ფული, ბანკნოტები; stable ~ ფული მყარი მსყიდველუნარიანობით

monies ფულადი თანხები

monism მონიზმი; ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ერთ საწყისს - ან მატერიას, ან სულს (*საპირისპ.* დუალიზმი)

monitor 1. შემოწმება; 2. კონტროლი, ზედამხედველობა

monitoring 1. მონიტორინგი, მიმდინარე კონტროლი; 2. დაკვირვება

monogamy ერთგვაროვნება; მონოგამია

monometalism მონომეტალიზმი

monopolization მონოპოლიზაცია; განსაკუთრებული უფლების გავრცელება

monopolize მონოპოლიზება; გარკვეულ დარგში გაბატონება

monopoly 1. მონოპოლია; 2. მონოპოლისტური კომპანია; government ~ სახელმწიფო მონოპოლია; natural ~ ბუნებრივი მონოპოლია; regulated ~ რეგულირებადი მონოპოლია

monopsony მონოფსონია, ერთი მყიდველის მონოპოლია; pure ~ წმინდა მონოფსონია, საბაზრო სიტუაცია, როცა ბევრ გამყიდველზე მოდის ერთი მყიდველი

monotony მონოტონური, რუტინული

სამუშაო

moral 1. მორალი, იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში; ზნეობა; 2. ზნეობრივი დასკვნა; ზნეობრივი გაკვეთილი; ~ **hazard** მორალური რისკი; არაკეთილსინდისიერება, რომელიც წარმოიშვება არასაკმარისი კონტროლის დროს; ~ **suasion** მორალური ზეწოლა; **employee** ~ დამქირავებლის მორალური სახე

moratorium მორატორიუმი, ვადის გაგრძელება; გადავადება

morbidity ავადობა; ავადმყოფობის, დაზიანებების, ინვალიდობის დონე განსაზღვრულ მოსახლეობაში.

mortality სიკვდილობა; სიკვდილიანობა; ყოველი ცალკეული ავადმყოფობით ან დაავადებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების რაოდენობა

mortgage 1. გირაო; 2. წინდი; საწინდარი; 3. დაგირავება; 4. ბეს მიცემა

motivation 1. მოტივაცია; სტიმული; წახალისება; 2. მასტიმულირებელი ფაქტორი

motivators მოტივატორები; ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მიღწევა, აღიარება, პასუხისმგებლობა და წინსვლა, რომლებიც მოქმედებენ, როგორც სტიმული სამუშაოს გასაუმჯობესებლად

motive 1.მოტივი, რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი; სტიმული; 2. მოსაზრება, საბუთი რისამე სასარგებლოდ; 3. საფუძველი; 4. მიზეზად ქონა

movement 1. მოძრაობა; 2. გადაადგილება; გადანაცვლება; დინამიკა; 3. გამოცოცხლება; 4. შრომითი მოძრაობა (წარმოების ორგანიზაციაში)

moving average მოძრავი საშუალო; გამოიყენება გრაფიკებსა და ტექნიკურ ანალიზში

multifunctional მრავალფუნქციური; უნივერსალური

multi-functional work team მრავალფუნქციური სამუშაო ჯგუფი

Multi-Institutional System (MIO) მრავალდარგობრივი სისტემა; ორი ან მეტი გადაუდებელი დახმარების საშუალება ერთი მმართველობის ან მფლობელის ქვეშ

multi-lateral aid მრავალმხრივი დახმარება; დონორი ქვეყნების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული დახმარება განვითარებად ქვეყნებში რაიმე პროექტის განხორციელების მიზნით; ~ **development banks** განვითარების მრავალმხრივი ბანკები; საერთაშორისო ბანკები, რომლებიც აძლევენ სესხს და ტექნიკურ დახმარებას უწევენ განვითარებად ქვეყნებს მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით

multilateralism მრავალმხრივი ურთიერთობების პრინციპი

multilevel მრავალდონიანი (სტრუქტურის შესახებ)

multinational მრავალეროვნული; ~ **corporation/enterprise** მრავალეროვნული კორპორაცია-ორგანიზაცია; ორგანიზაცია, რომელიც ფლობს და მართავს საწარმო საქმიანობას ერთზე მეტ ქვეყანაში

multi-party system მრავალპარტიული სისტემა

multiplicity სიმრავლე

multipolarity მრავალპოლარულობა; ძალაუფლების განაწილება რამდენიმე

მოქმედ პირს შორის

multispeciality group მრავალსპეციალიზებული ჯგუფი, რომლშიც გაერთიანებულია სხვადა-სხვა სამედიცინო სპეციალისტი

multitiered structure მრავალიარუსიანი , მრავალფენიანი, მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა

Mundell-Tobin effect მანდელტობინის ეფექტი; ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მატებით გამოწვეული რეალური საპროცენტო განაკვეთის შემცირება, რაც ინფლაციის ტემპების მოსალოდნელი ზრდის შედეგია; ეს კი, თავის მხრივ, იწვევს მიმოქცევაში არსებული რეალური ფულის რაოდენობისა და რეალური სიმდიდრის შემცირებას, რასაც თან სდევს მოხმარების შემცირება და დანაზოგების ზრდა

municipal მუნიციპალური; საქალაქო; კომუნალური

municipality 1. მუნიციპალიტეტი; 2. ქალაქი თვითმმართველობის უფლებით

mutatis mutandis *ლათ.* სათანადო ცვლილებების, შესწორებების შეტანით

mutual 1. ერთობლივი; 2. საერთო; 3. ორმხრივი; ~ fund საერთო ფონდი; ღია საინვესტიციო კომპანია, რომელიც აერთიანებს ინვესტორთა ფულს, რათა დააბანდოს იგი სხვადასხვა აქციებში, ობლიგაციებში, ან სხვა ფასიან ქაღალდებში

mutuality 1. ორმხრივობა; ურთიერთმეგობრობა; 2. ურთიერთმხარდაჭერა; ურთიერთდახმარება; დახმარება, შემწეობა; ხელის შეწყობა; ხელის გამართვა

mystify 1. მისტიფიცირება; გაიდუმალება; 2. შეგნებულად მოტყუება; 3. აზრის გამუქება

narrowly focused ვიწროფოკუსიანი

nation 1. ერი; ხალხი; ნაცია; 2. ქვეყანა; სახელმწიფო; industrial ~s განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნები

national 1. ეროვნული; 2. ნაციონალური; 3. სახელმწიფოებრივი; ~ bank ეროვნული ბანკი; ~ brand ეროვნული დონის საფირმო ნიშანი; ~ character ეროვნული ხასიათი; ~ Committee for Quality Assurance (NCOO) ხარისხის დადასტურების (დადგენის) ნაციონალური კომიტეტი; ~ front ეროვნული ფრონტი; ~ identity ეროვნული თვითმყოფადობა; ~ income accounting ეროვნული ანგარიშწარმოება; ეროვნული პროდუქტისა და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლების გაანგარიშების სტატისტიკური სისტემა; ~ interest ეროვნული ინტერესი; ~ policy ეროვნული პოლიტიკა; ~ saving ეროვნული დანაზოგები; 1. ეროვნული შემოსავლის ნაწილი მოხმარებისა და სახელმწიფო შესყიდვების მოცულობის გამოკლებით; 2. სახელმწიფო და კერძო დანაზოგების ჯამი; ~ self-determination ეროვნული თვითგამორკვევა; ~ socialism ეროვნული სოციალიზმი; ადოლფ ჰიტლერის მიერ შემუშავებული დოქტრინა, რომელიც ეფუძნება უკიდურეს რასიზმს; ~ Stock Exchange ეროვნული ბირჟა; სიდიდით მესამე ბირჟა, რომელიც 1960 წელს გაიხსნა ნიუ-იორკში; ~ wealth ეროვნული სიმდიდრე

nationalism ნაციონალიზმი; ეროვნული შემეცნება; გარკვეულ ჰომო-

გენურ ჯგუფთან ან საზოგადოებასთან მიკუთვნების შეგრძნება

nationality 1. მოქალაქეობა, ქვეშევრდომობა; 2. ეროვნება; ეროვნული კუთვნილება; 3. ერი, ხალხი; **ethnic** ~ ეთნიკური ერი; **legal** ~ კანონიერი მოქალაქეობა; **political** ~ მოქალაქეობა, ქვეშევრდომობა

nationalization ნაციონალიზაცია, კერძო საკუთრების უსასყიდლოდ გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად

nationalize ნაციონალიზაცია

nation-state ეროვნული სახელმწიფო, სუვერენული სახელმწიფო, სადაც ერთი ერი დომინირებს

native 1. *დგ.* ადგილობრივი მკვიდრი; 2. თვითნაბადი; 3. ბუნებრივი

natural ბუნებრივი; ~ **capital** ბუნებრივი კაპიტალი; ~ **monopoly** ბუნებრივი მონოპოლია; ~ **rate of unemployment** უმუშევრობის ბუნებრივი დონე; უმუშევრობის დონე, რომელიც შეესაბამება მდგრადი ეკონომიკის მდგომარეობას; ~ **resources** ბუნებრივი რესურსები

naturalization 1. ნატურალიზაცია; სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიღება მოქალაქედ, ქვეშევრდომად; მოქალაქეობრივი უფლების მინიჭება; 2. სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება; 3. ახალი ჩვევების დანერგვა

nature 1. ნატურა; ხასიათი; 2. არსი; თვისება

necessity 1. აუცილებლობა; მწვავე საჭიროება; 2. *pl.* პირველადი მოხმარების საგნები; 3. გარდაუვალობა (მაგ. საბაზრო ეკონომოკაზე გადასვლისა); **basic ~ies** პირველადი მოხმარების საგნები

need 1. აუცილებლობა, საჭიროება; გასაჭირი; 2. უკმარისობა, ნაკლებობა; 3. *pl.* მოთხოვნები; მოთხოვნილებები; 4. გაჭირვება; 5. მისწრაფება; **primary** ~ პირველადი მოთხოვნილება; **secondary** ~ მეორადი მოთხოვნილება; **social ~s** საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი

negative უარყოფითი; ნეგატიური

negligible უმნიშვნელო; მხედველობაში მიუღებელი

negotiate 1. მოლაპარაკების წარმართვა; 2. პირობების განხილვა; 3. გარიგების წარმოება; 4. დათმობა

negotiation 1. მოლაპარაკება, უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების დიპლომატიური მეთოდი; 2. *pl.* მოლაპარაკების წარმოება; ~ **on the merits** არსიდან გამომდინარე მოლაპარაკება; **contract** ~ კონტრაქტის პირობების განხილვა; **hard** ~ ძნელი, მძიმე მოლაპარაკება, როდესაც მოლაპარაკების მონაწილეს მიაჩნია, რომ რაც უფრო ექსტრემალურ პოზიციას დაიჭერს, მით უკეთესია; **net** ~ წმინდა გამომუშავება; **oncoming** ~ მომავალი მოლაპარაკება; **principled** ~ მოლაპარაკება პრინციპებზე; **soft** ~ ფრთხილი მოლაპარაკება, როდესაც მოლაპარაკების მონაწილე ცდილობს თავიდან აიცილოს პერსონალური კონფლიქტი და ადვილად მიდის დათმობებზე შეთანხმების მისაღწევად; ~ **strategies** მოლაპარაკების სტრატეგია; **to frame** ~ მოლაპარაკების ჩარჩოს შექმნა; **to impede a** ~ მოლაპარაკების გართულება

negotiator მოლაპარაკების მონაწილე

neoclassical ნეოკლასიკური; ~ **economics** ნეოკლასიკური ეკონომიკა; ~ **model of investment** ინვესტიციათა ნეოკლასიკური მოდელი; თეორია, რომლის მიხედვით ინვესტიციების მოცულობა დამოკიდებულია კაპიტა-

ლის ზღვრული პროდუქტის კაპიტალური დანახარჯებიდან გადახრის მასშტაბზე

neocolonialism ნეოკოლონიალიზმი; ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის ახალი ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა

nepotism 1. ნეპოტიზმი, თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი ნათესავების, ახლობლების მფარველობა (მაგ. თანამდებობების განაწილებაში); 2. შინაურულობა

net ნეტო; სუფთა, წმინდა (მოგება, შემოსავალი); ~ asset value (NAV) აქტივის წმინდა ღირებულება; ფონდის ინვესტიციების ღირებულება; ~ assets წმინდა აქტივები, ქონების ღირებულება ვალდებულებების გამოკლებით; ~ cash flow ნაღდი ფულის სუფთა ნაკადი; ~ change ფასიანი ქაღალდის კურსის ნეტო-ცვლილება სამუშაო დღის განმავლობაში; ~ cost წმინდა ღირებულება; ~ credit period წმინდა საკრედიტო პერიოდი; ~ current asset value (per share) აქტივების წმინდა მიმდინარე ღირებულება (თითოეულ აქციაზე გაანგარიშებით); ~ debt წმინდა დავალიანება; ~ domestic assets (NDA) წმინდა ადგილობრივი აქტივები; ~ earnings წმინდა შემოსავალი, მოგება; ~ export of goods and services საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წმინდა მოცულობა; ~ exports წმინდა ექსპორტი; ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების სხვაობა; ~ income წმინდა შემოსავალი; კომპანიის ჯამური გამომუშავება, რომელიც ასახავს შემოსავალს საქმიანობის, ცვეთის, პროცენტის, გადასახადების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით; ~ interest წმინდა შემოსავალი კაპიტალზე; ~ investment წმინდა ინვესტიცია; ინვესტიციების მოცულობა; ~ long-term debt გრძელვადიან ვალდებულებათა სუფთა ჯამი; ~ loss წმინდა დანაკარგები; ~ national product (NNP) წმინდა ეროვნული პროდუქტი; ~ present value (NPV) დაყვანილი წმინდა ღირებულება; ~ price ნეტო-ფასი, საბოლოო ფასი; ~ profit სუფთა მოგება; ~ rate სუფთა განაკვეთი; ~ realizable value რეალიზაციის სუფთა ფასი; ~ revenue სინონიმია net profit; ~ sales გაყიდვის სუფთა თანხა; ~ tax liability დარიცხული გადასახადების სუფთა მოცულობა; ~ working capital მუშა კაპიტალის სუფთა მოცულობა; ~ worth სუფთა საკუთარი კაპიტალი; ~ yield ინვესტორის ნეტო შემოსავალი; —net income ნეტო-ნეტო შემოსავალი

network 1. ქსელი; 2. სქემა; branch ~ ფილიალების ქსელი; distributive ~ განაწილების ქსელი; სავაჭრო ქსელი

networked organizations ქსელში მომუშავე ორგანიზაციები

neutral tax გადასახადი, რომელიც არ ახდენს გავლენას რესურსების განაწილებაზე

neutralism ნეიტრალიზმი; დამოუკიდებლობისა და მიუმხრობლობის პოლიტიკა

neutrality ნეიტრალიტეტი; *საერთ. სამართალში:* სახელმწიფოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი არ მონაწილეობს ომში და მეომარი სახელმწიფოების მიმართ ერთნაირი პოზიცია უკავია; ~ of money ფულის ნეიტრალობა

new nationalism ახალი ნაციონალიზმი; თუ მე-19 საუკუნის და ადრეული

მე-20 საუკუნის ნაციონალიზმი აგრესიული, ეთნოცენტრულია, ახალ ნაციონალიზმს თავდაცვითი ხასიათი აქვს და აღიარებს, რომ სახელმწიფოები ეკონომიკურად ურთიერთდამოკიდებულნი არიან

New York Stock Exchange (NYSE) ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა

newly industrialized countries (NICs) ქვეყნები, რომელთა ეკონომიკურმა და სამრეწველო განვითარებამ 1960 წლიდან იმატა

newsletter საინფორმაციო ბიულეტენი (ორგანიზაციისა)

no load mutual fund არასატვირთო საერთო ფონდი; ღია საინვესტიციო კომპანია, რომლის აქციები განთავისუფლებულია გაყიდვის გადასახადისაგან

noblesse oblige არისტოკრატიის ვალდებულება დაეხმაროს გაჭირვებულებს და იღვაწოს მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ

noise ხმაური; ფასისა და მოცულობის ფლუქტუაცია, რომელიც ხელს უშლის ბაზრის მიმართულების ინტერპრეტაციას

nomenklatura ნომენკლატურა, პირის დანიშვნა თანამდებობაზე პარტიული ორგანოს სიიდან, პარტიის წევრებთან ერთად ნომენკლატურა მმართველ ელიტას შეადგენს

nomethetic research ნომეთეტური კვლევა; კვლევა, რომლის ობიექტს ჯგუფების ქცევა წარმოადგენს

nominal 1. ნომინალური; 2. შეუმჩნეველი; პირობითი; სიმბოლური; ~ **exchange rate** გადაცვლის ნომინალური კურსი; ~ **interest rate** ნომინალური საპროცენტო განაკვეთი; ინფლაციის გათვალისწინების გარეშე დანაზოგებიდან და სესხის მომსახურების ხარჯებიდან მიღებული მოგება; ~ **partner** ფორმალური; ნომინალური პარტნიორი; ~ **price** ნომინალური ფასი; ~ **yield** ნომინალური ამონაგები

nonacceptance მიუღებლობა; უარის თქმა

non-agression pact თავდაუსხმელობის პაქტი

non-aligned movement მიუმხრობლობის მოძრაობა; ასოცია-ცია შეიქმნა 1961 წელს 25 განვითარებადი ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაზე. მისი მიზანი იყო გაეერთიანებინა ქვეყნები, რომლებიც არ ემხრობოდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო და პოლიტიკურ ბლოკებს. ახლა მათი რაოდენობა 102-ს შეადგენს

nonalignment მიუმხრობლობა; საგარეო პოლიტიკის დოქტრინა, რომელიც გულისხმობს ნეიტრალიზმს ალიანსის სისტემის მიმართ

nonapplicability 1. მიუღებლობა (მაგ. მეთოდისა); 2. გამოუყენებლობა

nonattendance გაცდენა; სამსახურში გამოუცხადებლობა

noncombatants ნონკომბატანტები; *საერთ. სამართალში* ყველა ის პიროვნება, ვინც არ შედის ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, აგრეთვე ის პირები, რომლებიც თუმცა შედიან მასში, მაგრამ საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობენ (მაგ., მედიცინის მუშაკები, ინტენდანტები)

noncompetitive არაკონკურენტუნარიანი

non-competitive party system არაკონკურენტული პარტიული სისტემა; ასეთი ტიპის პარტიული სისტემა არსებობს მაშინ, როცა მთავრობაში ერთი პარტია სჭარბობს და საარ-

ჩევნო პროცესში მას სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევენ სხვა პარტიები. ასეთ დროს ოპოზიციური პარტიები რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენენ მმართველი პარტიისათვის

non-compliance 1. (წესებისა და კანონების) დაუცველობა; 2. შეუთანხმებლობა (მაგ. ხელშეკრულების მუხლისა)

non-confidence motion უნდობლობა, როცა საპარლამენტო სისტემაში საკანონმდებლო ასამბლეა უნდობლობას უცხადებს მთავრობას, პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტის კოლეგები უნდა გადადგნენ და პარლამენტის დაშლა მოითხოვონ

noncyclic არარეგულარული; არაციკლური

non-decision in public policy გადაუწყვეტელობა სახელმწიფო პოლიტიკაში; მთავრობის გადაწყვეტილება უგულებელყოს პრობლემა. გარკვეული აზრით ეს გადაწყვეტილებას წარმოადგენს, რადგან ის სტატუს კვოს დამკვიდრებას უწყობს ხელს

nonessentials მეორადი მოთხოვნილების საგნები

non-governmental institution (NGI) არასამთავრობო ინსტიტუტი; არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, არასამთავრობო ინსტიტუტები კერძოა, მთავრობისგან დამოუკიდებელი და მოგებაზე არ მუშაობენ, მაგრამ ისინი ფონდებს თვითონ არ მოიპოვებენ. ასეთი ინსტიტუტებია: უნივერსიტეტი, პროფესიული ასოციაცია, კავშირი, კოლეჯი, კოოპერატივი და მოხალისეთა სააგენტო

non - governmental organization (NGO) არასამთავრობო ორგანიზაცია; ორგანიზაცია, რომელიც არ მუშაობს მოგებაზე, მთავრობისგან დამოუკიდებელია და უმთავრესი დანიშნულებაა დაზმარების გაწევა. ასეთი ორგანიზაციები მუშაობენ პროექტებზე განვითარებადი ქვეყნების განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროებში

nonlabor უშრომელი; არაშრომითი

non-party system არაპარტიული სისტემა; *იურ.* პოლიტიკური ცხოვრების ნიმუში, რომელშიც პოლიტიკური პარტიები არ არიან. ასეთ სისტემაში თანამდებობის პირთა არჩევა ეფუძნება მათ უნარს, ეფექტურობას და პატიოსნებას

nonproductive 1. არამწარმოებლური; 2. უშედეგო; უნაყოფო

non-profit organization ჯგუფი, რომლის საქმიანობის მიზანი მოგება არ არის. ის ხშირად შედგება მოხალისეებისაგან და ფინანსდება კერძო ან სახელმწიფო ფონდებით

non-proliferation treaty ხელშეკრულება გაუვრცელებლობის შესახებ; საერთაშორისო შეთანხმება არაბირთვულ სახელმწიფოებში ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ

non-state actor არასახელმწიფოებრივი მოქმედი პირი; საერთაშორისო მასშტაბის მოქმედი პირი, როგორიცაა მრავალეროვნული კორპორაციები, საერთაშორისო ბანკები, ტერორისტული დაჯგუფებები, წითელი ჯვარი

non-zero sum relation არანულოვანი ჯამური ურთიერთობები; სიტუაცია, რომელშიც სისტემები და ქვესისტემები ჰარმონიულად ურთიერთქმედებენ, ხელს უწყობენ ერთიმეორეს სტრუქტურებს და

იზიარებენ საერთო ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო საქმიანობასა და პასუხისმგებლობას

norm 1. ნორმა, დაწესებული რაოდენობა; 2. დაკანონებული რამ. მაგ., სამართლის ნორმა; 3. საყოველთაოდ აღიარებული, აუცილებელი წესი. მაგ., ქცევის ნორმები.

normal 1. სტანდარტული; ნორმალური; 2. ნორმის შესაბამისი; ჩვეულებრივი, ბუნებრივი; 3. ფსიქიკურად ჯანსაღი (ადამიანი); ~ **foreseeable loss** ნორმალური პროგნოზირებადი დანაკარგები; ~ **good** ნორმალური საქონელი; სახეობა, რომლის მოხმარებაც მომხმარებლის მიერ იზრდება მისი შემოსავლების ზრდასთან ერთად; ~ **price** ნორმალური ფასი; ~ **profit** ნორმალური მოგება; ~ **sale** ნორმალური გაყიდვა; ~ **value** ნორმალური ღირებულება

normalization ნორმალიზაცია; სტანდარტიზაცია

normative 1. ნორმატივი; ეკონომიკური ან ტექნიკური მაჩვენებელი ნორმებისა, რომლის შესაბამისად წარმოებს მუშაობა. (მაგ., ტექნიკური ნორმატივები); 2. ნორმატიული; ~ **economics** ნორმატიული ეკონომიკა; ეკონომიკის შესწავლა, რომელშიც ჩართულია ეკონომისტის ექსპერტული შეფასებები

north-south ჩრდილოეთ-სამხრეთი; ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მსოფლიოს ეკონომიკურ დაყოფას ევროპის, ჩრდილო ამერიკის, შორეული აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებად და აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებად; ~ **cooperation** ჩრდილოეთ-სამხრეთის თანამშრომლობა; განვითარებადი ქვეყნების (სამხრეთი) მიერ მიღებული ზომები მათი განვითარებულ (ჩრდილოეთის) ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულების შესამცირებლად. ასეთი ზომებია: ურთიერთ შორის ვაჭრობის განვითარება, საერთო ბაზრების, თავისუფალი სავაჭრო ასოციაციების, ერთობლივი მრეწველობის, ფინანსური თანამშრომლობის განვითარება და ტექნოლოგიების ურთიერთგაზიარება; ~ **dialogue** ჩრდილოეთ-სამხრეთის დიალოგი; ჩრდილოეთის სამრეწველო ქვეყნებსა და სამხრეთის განვითარებად ქვეყნებს შორის სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე გამართული დისკუსიები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე

nota bene ნოტაბენე; შენიშვნა ტექსტში იმ ადგილას, რომელზედაც სურთ ყურადღების განსაკუთრებით გამახვილება

note 1. ნოტა, ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი; 2. სახაზინო ბილეთები, საგადასახადო სერთიფიკატები

not-for profit organization არამომგებიანი ორგანიზაცია; ორგანიზაცია, რომელიც არ შექმნილა მოგების მოსატანად.

notice 1. შეტყობინება; ცნობება; 2. უწყება; 3. განცხადება; გაფრთხილება

notify 1. ოფიციალური განცხადება; განაცხადი; 2. ნოტიფიცირება; შეტყობინება

notion 1. ცნება; იდეა; წარმოდგენა; 2. განზრახვა

nuclear ბირთვული; ~ **proliferation** ბირთვული იარაღის გავრცელება; ~ **strategy** ბირთვული სტრატეგია; ~

weapon ბირთვული იარაღი; ~ winter ბირთვული ზამთარი; კატასტროფა, რომელიც მოხდება, თუ აფეთქდა 100 მეგატონიანი იარაღი

nuclear-security dilemma ბირთვული საფრთხის დილემა

null გაბათილებული, ნულოვანი, გაუქმებული; ძალადაკარგული; ~ hypothesis ნულოვანი ჰიპოთეზა; იმ ჰიპოთეზასთან დაკავშირებული სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ტესტი, რომლის თანახმად საკვლევ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს

nullification ანულირება; გაუქმება

number 1. რიცხვი, რაოდენობა; 2. ნომერი

nuptiality ქორწინება; average ~ ქორწინების საშუალო კოეფიციენტი



obedience დამორჩილება

obey 1. დაქვემდებარება; ბრძანების შესრულება; 2. დამორჩილება

object 1. ობიექტი, საგანი; 2. მიზანი, ამოცანა

objective 1. მიზანი; დავალება; 2. საგნობრივი; 3. ობიექტური, მიზნობრივი; *ტექნ.* მოთხოვნა; ~ responsibility ობიექტური პასუხისმგებლობა; ადამიანისა და ორგანიზაციის პასუხისმგებლობა სხვა ადამიანის და ორგანიზაციის მიმართ, რაიმე საკითხსა და საქმიანობასთან დაკავშირებით; ~ (mutual) funds საერთო ფონდის მიზანი

obligation 1. ვალდებულება; 2. ობლიგაცია; 3. მოვალეობა

obligee კრედიტორი

obligor მოვალე

observation 1. დაკვირვება, გამოკვლევა; გაზომვა; ექსპერიმენტული განსაზღვრა; 2. დაკვირვების მონაცემები; direct ~ უშუალო დაკვირვება; error-free ~ უშეცდომო დაკვირვება

observer effect დამკვირვებლის ეფექტი; ექსპერიმენტის ჩამტარებლის არტეფაქტი, რაც გამოწვეულია კვლევის პროცესის დაკვირვების ან მონაცემების აღრიცხვის ფაზაში რაიმე კრიტერიუმის ღირებულების არაადექვატური შეფასებით

obsolescence დაძველება; მოძველება; (მორალური) გაცვეთა; ცვეთა; ~ of manpower capability სამუშაო ძალის არასაკმარისი კვალიფიკაცია

obsolete მოძველებული; ექსპლუატაციიდან გამოსული

obstacle წინააღმდეგობა; შეფასება; administrative ~ ადმინისტრაციული წინააღმდეგობა

obtain 1. შეძენა; მიღება; 2. მიღწევა (მაგ. შედეგისა)

obtainable ხელმისაწვდომი, მიღწევადი

occam's razor ოკამის სამართებელი; რაც შეიძლება მოკლე განმარტების მიცემის პრინციპი

occupancy 1. საქმიანობა; ფლობა; 2. დაკავების ხანგრძლივობა; 3. დროებითი ფლობა, იჯარა

occupant 1. მცხოვრები; 2. იჯარა; 3. დროებითი მფლობელი

occupation 1. დაკავება; ოკუპაცია; 2. საქმიანობა, პროფესია; 3. ცხოვრების პერიოდი (ტერიტორიაზე); secondary ~ დამატებითი საქმიანობა

occupational standard სამუშაოს სტანდარტი; შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაფასებელი საზომი

occupational standards პროფესიული

სტანდარტები

occurrence 1. მოვლენა; 2. შესაძლებლობა

odd 1. კენტი; 2. დამატებითი; 3. შემთხვევითი; 4. *pl.* სხვაობა

offer 1. წინადადება; 2. მზადყოფნის გამოხატვა; კომერციული წინადადება; 3. შეთავაზება; **counter ~** შემხვედრი წინადადება

offgrade დაბალხარისხიანი

office 1. სამსახური; თანამდებობა; 2. დაწესებულება, ბიურო; უწყება; სამინისტრო; სამმართველო; **clearing ~** საანგარიშსწორებო დაწესებულება; **contracts ~** კონტრაქტების განყოფილება; **general accounting ~** მთავარი ბუღალტერია; **revenue ~** გადასაადების განყოფილება

officer თანამდებობის პირი; მოსამსახურე; **associate ~** დამხმარე თანამშრომელი; **legal ~** საკანონმდებლო საკითხების უფროსი; **public relations ~** საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელი; **senior ~** უფროსი თანამშრომელი; **government ~** მთავრობის მოხელე

official 1. სახელმწიფო სტრუქტურის მოსამსახურე თანამდებობის პირი; 2. ოფიციალური; **~ bilingualism** ოფიციალური ბილინგვიზმი; **~enowneba**, **~ opposition** ოფიციალური ოპოზიცია; პოლიტიკური პარტია, რომელსაც ადგილების რაოდენობით მეორე ადგილი უჭირავს

Okun's law ოკუნის კანონი; უკუპროპორცია უმუშევრობის დონესა და რეალურ ეროვნული პროდუქტს შორის, რომლის თანახმადაც უმუშევრობის შემცირება 1 საპროცენტო პუნქტით იწვევს რეალური ეროვნული პროდუქტის მატებას დაახლოებით 2%-ით

oligarchy ოლიგარქია, ქვეყნის მართვა უმცირესობის მიერ

oligopoly ოლიგოპოლია; მდგომარეობა ბაზარზე მსხვილი ფირმების შეზღუდული რაოდენობით, სადაც ძალზე მცირე რაოდენობის გამყიდველია; **natural ~** ბუნებრივი ოლიგოპოლია; **perfect ~** სრულყოფილი ოლიგოპოლია

oligopsony ოლიგოფსონია

ombudsman ომბუდსმენი; სახალხო დამცველი; პარლამენტის წარმომადგენელი, რომელიც თვალყურს ადევნებს სახელმწიფო ორგანოების მოქმედების კანონიერებას; ის არის შუამავალი მოსამსახურეთა საჩივრების გარჩევისას, მას უშუალოდ შეიძლება მიმართოს მოქალაქემ, თუ თვლის, რომ უსამართლოდ მოექცა ხელისუფლება

one-group pre-post design წინასაექსპერიმენტო დიზაინი, რომელშიც სუბიექტთა მხოლოდ ერთი ჯგუფის რეაქციები იზომება ექსპერიმენტამდე და შემდგომ

one-shot case study იხ. one group pre-post design

open ღია; **~economy** ღია ეკონომიკა, იმ ქვეყნის ეკონომიკა, რომლის ყველა მოქალაქეს შეზღუდვის გარეშე შეუძლია ოპერაციების წარმოება სასაქონლო და კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე;; **~enrollment** ღია ჩაწერა; **~ interest** ღია ინტერესი; გაუნაღდებელი ოფციონური კონტრაქტების რაოდენობა ბაზარზე ან კერძო კლასში ან სერიაში; **~market operations** ღია საბაზრო ოპერაციები, ფულის შეთავაზების შეზღუდვის ან გაფართოების მიზნით ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ობ-

ლიგაციების ყიდვა-გაყიდვა; ~ questions კითხვარის შეკითხვები, რომლებზე პასუხიც არ გულისხმობს რაიმე შეზღუდვას შინაარსის თვალსაზრისით; ~-ended matching grant გრანტის სახეობა, რომლის მიხედვით გრანტის მიმცემი თანახმაა რაღაც ოდენობის პროცენტი გადაიხადოს ყოველი მიმღები მთავრობის მიერ გარკვეული საზოგადო საქონლის უზრუნველყოფისათვის დახარჯული ყოველი დოლარიდან; ~-party system ღია პარტიული სისტემა; პოლიტიკური სისტემა, რომელიც არ ზღუდავს პოლიტიკური პარტიების რაოდენობას პოლიტიკაში; ~-systems approach ღია სისტემების მიდგომა; ორგანიზაციის შესწავლისადმი მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ორგანიზაციები გარემოს ნაწილია და ამდენად მასთან უნდა ურთიერთქმედებდეს

operate 1. მოქმედება; მუშაობა, ექსპლუატაცია; 2. ოპერაციების განხორციელება; 3. სპეკულაცია; ბირჟაზე ოპერაციების წარმართვა

operation 1. მოქმედება; მუშაობა; ექსპლუატაცია; ფუნქციონირება; 2. ვაჭრობა, ფინანსური ოპერაცია; გარიგება; 3. მართვა; assembly ~ აწყობის ოპერაციები, აწყობა; auxiliary ~s დამხმარე ოპერაციები; nonproductive ~s არასაწარმოო ოპერაციები; salvage ~s გადარჩენითი სამუშაოები; underground ~s მიწისქვეშა ოპერაციები

operative მოქმედი, მომუშავე; ექსპლუატაციაში მყოფი

operose საქმიანი; ენერგიული (მენეჯერი)

opinion 1. აზრი; მოსაზრება; 2. დასკვნა; 3. შეფასება; concurring ~s აზრთა დამთხვევა; public ~ საზოგადოებრივი აზრი

opponent ოპონენტი; პირი, რომელიც ქამათში, პაექრობაში გამოდის ვინმეს მოსაზრების, დასაბუთების წინააღმდეგ

opportunity შესაძლებლობა; შემთხვევა; შანსი; investment ~ies საინვესტიციო შესაძლებლობები; job ~ ვაკანსია; sale ~ies ბაზრის კონიუნქტურა

opposition 1. ოპოზიცია; 2. კონტრასტი; 3. წინაღობა; წინააღმდეგობა; 4. დაპირისპირებულობა; ~ parties ოპოზიციური პარტიები

optimal ოპტიმალური, ყველაზე ხელსაყრელი; ყველაზე უფრო შესაფერისი, საუკეთესო

optimization ოპტიმიზაცია

optimum level of accountability პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულების ოპტიმალური დონე

project 1. პროექტი; რისამე ასაგებად, დასამზადებლად ან შესასრულებლად დამუშავებული გეგმა; 2. დაპროექტება; 3. სამეცნიერო თემა; ~ administration პროექტის ადმინისტრირება; ~ aid პროექტის დახმარება; ფული, საქონელი ან მომსახურება, რომელსაც დონორი აწვდის განვითარებად ქვეყანას გარკვეული პროექტის განხორციელების მიზნით; ~ appraisal პროექტის შეფასება; ~ director პროექტის დირექტორი; ~ grants გრანტები პროექტისათვის; ~ management პროექტის მენეჯმენტი; ~ matrix structure პროექტის მატრიცული სტრუქტურა; ~ objective setting პროექტის ამოცანების დასმა; ~ structure პროექტის სტრუქტურა; ~ team პროექტზე მომუშავე ჯგუფი; capital ~ კაპიტალდაბანდების პროგრამა; development ~ განვითარების პროექტი; long-term ~ გრძელვადიანი პროგრამა; major ~ მსხვილმასშტაბიანი პროექტი; model ~ ტიპური პროექტი; overall ~ მთლიანი პროექტი
projection პერსპექტიული შეფასება, პროგნოზი; long-range ~ ხანგრძლივი პროგნოზირება; population ~ მოსახლეობის რაოდენობის დაგეგმვა
proletariat პროლეტარიატი
proliferation რაოდენობრივი ზრდა; გავრცელება
prolific ნაყოფიერი; ნაყოფიერება
prolong გაგრძელება; გადავადება
prolongation გაგრძელება
promise 1. დაპირება, ვალდებულება; 2. პერსპექტივა, იმედი, იმედის მიცემა; unconditional ~ უპირობო ვალდებულება
promising იმედის მომცემი
promote 1. ხელის შეწყობა; სტიმულირება; 2. თანამდებობრივი დაწინაურება; 3. დაფუძნება
promoter დამფუძნებელი; დამაარსებელი
promotion 1. ხელშეწყობა; წახალისება, სტიმულირება; 2. შექმნა; დაფუძნება; 3. სამსახურებრივი დაწინაურება, დასაქმებულის გადაყვანა უფრო მეტი პასუხისმგებლობების, სტატუსის, კომპენსაციის მქონე საქმიანობაზე; ~ by seniority თანამდებობრივი დაწინაურება; employment ~ შრომითი მოწყობის შესაძლებლობების გაფართოების ხელშეწყობა; export ~ ექსპორტის ხელშეწყობა; sales ~ გასაღების სტიმულირება
promotional წამახალისებელი, მასტი-

მულირებელი; ხელშემწყობი

promulgation 1. გამოქვეყნება, დაბეჭდვა; 2. გავრცელება, პროპაგანდა; ~ of a law კანონის გამოქვეყნება; ~ of a regulation რეგლამენტის მიღება

pronouncement 1. გამოცხადება, გამოტანა; 2. ოფიციალური განცხადება; 3. აზრი, გამონათქვამი; ~ of sentence განაჩენის გამოტანა

proof დამამტკიცებელი საბუთი; მტკიცება; ~ of damages ზარალის მტკიცება; ~ of interest დაინტერესების მტკიცება; ~ of novelty სიახლის მტკიცება; ~ of quality ხარისხის მტკიცება

propaganda პროპაგანდა; რაიმე იდეის, მოძღვრების, ცოდნის გავრცელება დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტების გზით

propensity მისწრაფება; ~ to invest სწრაფვა ინვესტირებისაკენ

proper 1. სწორი; ჭეშმარიტი; 2. დამახასიათებელი

property 1. საკუთრება, ქონება; 2. მიწის ნაკვეთი, მიწის საკუთრება; 3. საკუთრების უფლება; 4. დამახასიათებელი თვისება, თავისებურება; acquired ~ შეძენილი ქონება; ~ of a legal entity იურიდიული პირის ქონება; ~ rights საკუთრების უფლება; ~ tax საკუთრების გადასახადი; agricultural ~ სასოფლო-სამეურნეო ქონება; church ~ საეკლესიო ქონება; collective ~ კოლექტიური საკუთრება; common ~ საერთო საკუთრება; communal ~ თემური საკუთრება; community ~ საერთო ქონება; cooperative ~ კოოპერაციული საკუთრება; copyright ~ საავტორო საკუთრება; corporate ~ სააქციონერო საკუთრება; divided ~ განცალკევებული საკუთრება; domestic ~ სამამულო საკუთრება; exclusive ~ განსაკუთრებული საკუთრება; family ~ საოჯახო საკუთრება; fixed ~ უძრავი ქონება; industrial ~ სამრეწველო საკუთრება; inherited ~ მემკვიდრეობითი საკუთრება; insured ~ დაზღვეული ქონება; intellectual ~ ინტელექტუალური საკუთრება; landed ~ მიწის საკუთრება; literary ~ ლიტერატურული საკუთრება; movable ~ მოძრავი ქონება; mortgaged ~ დაგირავებული ქონება; movable ~ მოძრავი ქონება; nationalized ~ ნაციონალიზებული ქონება; partnership ~ ამხანაგობის ქონება; personal ~ პირადი საკუთრება; pledged ~ დაგირავებული ქონება; private ~ კერძო საკუთრება; public ~ საჯარო საკუთრება; real ~ უძრავი ქონება; rented ~ იჯარული ქონება; sequestered ~ სეკვესტრირებული ქონება; state ~ სახელმწიფო ქონება; state-owned ~ სახელმწიფო საკუთრება; tangible ~ რეალური საკუთრება; to acquire ~ საკუთრების შეძენა; undivided ~ განუყოფელი საკუთრება

proportion 1.პროპორცია, რაოდენობრივი შეფარდება; პროპორციულობა; 2. ნაწილი, წილი; პროცენტი

proportional პროპორციული

proposal 1. წინადადება; გეგმა; 2. განაცხადი; compromise ~ კომპრომისული წინადადება; concrete ~ კონკრეტული წინადადება; package ~ კომპლექსური წინადადება

proposition 1. მტკიცება, განცხადება; 2. წინადადება; გეგმა; 3. საქმე, საქმიანობა, პრობლემა; practical ~ რეალური საქმიანობა

proprietary 1. მესაკუთრე, მფლობელი; 2. მესაკუთრული; ~ (for profit) hospital მოსარგებლე (სარგებელზე

მომუშავე) საავადმყოფო; რომელსაც ფლობს ერთი ინდივიდუალური მფლობელი ან ჯგუფი, როგორც ამხანაგობა ან კორპორაცია

proprietorship საკუთრების უფლება

prorate პროპორციული წილი; პროპორციული განაწილება

prorogation პრორროგაცია; სახელმწიფოს მეთაურის უფლება გადადოს პარლამენტის სესია

prosecution დევნა, სასამართლოს წესით დევნა; criminal ~ სისხლის სამართლის წესით დევნა

prosecutor პროკურორი; general ~ გენერალური პროკურორი; office of the ~ პროკურატურა; office of the municipal ~ საქალაქო პროკურატურა; public ~ პროკურორი

prospect 1. ხედი, პანორამა, პერსპექტივა; 2. ხშირად პლ. პერსპექტივა; იმედი, მომავლის გეგმა; economic ~s ეკონომიკური პერსპექტივები; market ~s საბაზრო პერსპექტივები

prospectus პროსპექტი; ფორმალური წერილობითი დოკუმენტი ფასიანი ქაღალდის გასაყიდად, რომელშიც აღწერილია შეთავაზებული, ან არსებული ბიზნეს-საწარმოს გეგმა, რომელიც ინვესტორს ჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად

prosperity აყვავება

protect 1. დაცვა; 2. აქცეპტირება; ანაზღაურება

protection 1. დაცვა, დაფარვა; 2. მფარველობა; 3. პროტექციონიზმი; copyright ~ საავტორო უფლების დაცვა; diplomatic ~ დიპლომატიური დაცვა; double ~ ორმაგი დაცვა; international ~ საერთაშორისო დაცვა; international legal ~ საერთაშორისო–სამართლებრივი დაცვა; judicial ~ სასამართლო დაცვა; legal ~ სამართლებრივი დაცვა; patent ~ საპატენტო დაცვა; special ~ სპეციალური დაცვა; temporary ~ დროებითი დაცვა; ~ of the border საზღვრის დაცვა; ~ of interests ინტერესების დაცვა; ~ of an invention გამოგონების დაცვა; ~ of creditors კრედიტორების ინტერესების დაცვა; ~ of home industries სამამულო წარმოების დაცვა; ~ of minorities უმცირესობის დაცვა; ~ of property ქონების დაცვა; ~ of rights უფლებების დაცვა; ~ of the rights of minors არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა

protectionism 1. პროტექციონიზმი, საბაჟო პოლიტიკის სისტემა, შემოტანილ საქონელზე დიდი ბაჟის დადება, რომლის მიზანია დაიცვან თავისი ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა უცხოეთის კონკურენციისგან; 2. კადრების შერჩევა პროტექციის მიხედვით

protectionist პროტექციონისტი

protectorate პროტექტორატი; პოლიტიკური ერთეულის ფორმა, რომელსაც არ გააჩნია სუვერენობის ატრიბუტები, მაგრამ აღიარებულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტად

protest 1. პროტესტი; გაპროტესტება

protocol 1. პროტოკოლი; 2. პროტოკოლის ჩანაწერი; 3. ეტიკეტის წესები, ქცევა საზოგადოებაში; ~ of agreement შეთანხმების პროტოკოლი; ~ of change order ცვლილებების შეტანის პროტოკოლი; final ~ საბოლოო პროტოკოლი; supplementary ~ დამატებითი პროტოკოლი; temporary ~ დროებითი პროტოკოლი

prototype ნიმუში; პროტოტიპი

proved 1. გამოცდილი, შემოწმებული; 2. დამტკიცებული, დასაბუთებული

provide 1. მომარაგება, უზრუნველყოფა; 2. ზომების მიღება

provision 1. მომარაგება, უზრუნველყოფა; 2. წინასწარი ზომების მიღება; 3. დებულება, მუხლი (კანონისა, ხელშეკრულებისა); დადგენილება; ~ of goods საქონლით უზრუნველყოფა; ~ of services სამსახურის გაწევა; additional ~ დამატებითი დებულება; basic ~ of the law კანონის ძირითადი მუხლი; constitutional ~ კონსტიტუციური დებულება; contract ~ ხელშეკრულების მუხლი; in accordance with the ~s პირობების შესაბამისად; legislative ~ საკანონმდებლო დებულება; overall ~s საერთო დებულებები; policy ~s პოლიტიკის პირობები; printed ~s დაბეჭდილი პირობები; probable ~s შესაძლებელი პირობები; special ~ შენიშვნა; standard ~s სტანდარტული პირობები; to waive ~s უარის თქმა პირობებზე; uninterrupted ~s შეუფერხებელი პირობები; written ~ წერილობითი შესწორება

provisional 1. დროებითი; 2. წინასწარი; ~ government დროებითი მთავრობა; ~ arrangements დროებითი ღონისძიებები; ~ allowance თვიური სარგებელი; ~ agenda დღის წინასწარი განაწესი; ~ edition წინასწარი გამოცემა

provocation პროვოკაცია; military ~ სამხედრო პროვოკაცია

proxemics პროქსემიკა, პერსონალური სივრცისა და ადამიანებს შორის კომუნიკაციის დროს დისტანციის შესწავლა

proxy 1. უფლებამოსილება, მინდობილობა, რწმუნება; ხმის ან უფლებამოსილების გადაცემა; 2. რწმუნებული, თავმჯდომარე, ნდობით აღჭურვილი პირი; by ~ მინდობილობით; to sign by ~ ხელის მოწერა მინდობილობით

psychohistory ფსიქოისტორია; ისტორიულად მნიშვნელოვანი პირების შესწავლა იმის საფუძველზე, რაც ცნობილია მათი პიროვნების და ფსიქოლოგიური განვითარების შესახებ

psychological warfare ფსიქოლოგიური ომი; პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და სოციალური მოქმედებები, რომლებიც აზრებსა და მოქმედებებზე ზეგავლენის მოხდენისაკენ არის მიმართული. ფსიქოლოგიური ომის მთავარი მიზანია შეასუსტოს მტრის ან პოტენციური მტრის ბრძოლის სურვილი

public 1. ხალხი; საზოგადოება; 2. საჯარო, სახალხო, საქვეყნო, საზოგადოებრივი; 3. სახელმწიფო, ეროვნული; 4. ღია, აშკარა; ~ accountability საჯარო ანგარიშვალდებულება; ~ administration სახელმწიფო მმართველობა; ~ administrator სახელმწიფო მოხელე; ~ attitude საზოგადოების დამოკიდებუ-ლება; ~ communication საჯარო კომუნიკაცია; ~ consumption monopoly საზოგადოებრივი მოხმარების სექტორის მონოპოლია; ~ corporation საზოგადოებრივი სააქციონერო კომპანია; ~ debt სახელმწიფო ვალი; ~ domain საზოგადოებრივი მფლობელობა; ~ employee საჯარო მოხელე; ~ enterprise სახელმწიფო საწარმო; ~ good საზოგადოებრივი სარგებელი, საქონელი ან სერვისი, რომელიც ერთი ადამიანის უზრუნველყოფის შემთხვევაში მისაწვდომია სხვებისათვის დამატებითი ღირებულების გარეშე; ~ goods საზოგადოებრივი კეთილდღეობა, სოციალური და

ეკონომიკური სარგებელი, რომელიც ჩვეულებრივ უზრუნველყოფილია სახელმწიფო სექტორის ან მთავრობის მიერ; ~ interest საზოგადოებრივი ინტერესი; ~ management სახელმწიფო მენეჯმენტი; ~ member საზოგადოების წარმომადგენელი; ~ opinion საზოგადოებრივი აზრი; ~ policy საჯარო პოლიტიკა; საზოგადოებრივი პოლიტიკა; ~ relations საზოგადოებრივი ურთიერთობები; პროგრამის ან ორგანიზაციის ძალისხმევა; ~ responsibility საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა; ~ revenue სახელმწიფო შემოსავლები; ~ sale აუქციონი; ~ saving სახელმწიფო დანაზოგი, ბიუჯეტის დადებითი სალდო; ~ sector სახელმწიფო სექტორი; საჯარო სექტორი; ~ servant სახელმწიფო ან მუნიციპალური თანამდებობის პირი; სახელმწიფო მოხელე; საჯარო მოხელე; ~ service dedication სახელმწიფო სამსახურისადმი ერთგულება; ~ trust საზოგადოების ნდობა, ს. რწმენა; ~ utility საზოგადოებრივი სარგებლობის საწარმოები (კავშირგაბმულობის საშუალებანი, საქალაქო ტრანსპორტი), კომუნალური ნაგებობები ან მომსახურება, საზოგადოებრივი შენობები

publication 1. გამოქვეყნება; პუბლიკაცია; 2. გამოცემა, გამოსვლა; 3. ნაწარმოები, გამოცემა; daily ~ დღის გამოშვება; ~ of a court decision სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადება; ~ of a decision გადაწყვეტილების პუბლიკაცია; not for ~ საჯარო გამოცხადებას არ ექვემდებარება; official ~ ოფიციალური გამოცემა; periodical ~ პერიოდული გამოცემა; trade ~ დარგობრივი პუბლიკაცია; weekly ~ ყოველკვირეული გამოცემა

publicist პუბლიცისტი

publicity 1. საჯაროობა; 2. საქმიანი კავშირები; 3. გამეღავნება, გახმაურება, სააშკარაოზე გამოტანა; 4. სახელი, სახელგანთქმულობა; 5. რეკლამა, რეკლამირება

publicized რეკლამირებული

publish გამოცემა, ბეჭდვა

publisher გამომცემელი

punctuality პუნქტუალობა, სიზუსტე

punishment 1. დასჯა; ზღვევინება; 2. მკაცრი მოპყრობა, დაშავება, დაზიანება; 3. მუშაობის რთული რეჟიმი

purchase ყიდვა; შესყიდვა; compulsory ~ იძულებითი შესყიდვა; conditional ~ პირობითი შესყიდვა; government ~s სამთავრობო შესყიდვები; lump-sum ~ ყიდვა შეთანხმებული გადახდით; outright ~ შეძენა ნაღდი ფულის გადახდით; self-liquidating ~ თვითდაფარვითი შესყიდვა

purchaser მყიდველი; bulk ~ მსხვილი მომხმარებელი; direct ~ უშუალო მყიდველი; solvent ~ გადახდისუნარიანი მყიდველი

purchasing 1. ყიდვა, შეძენა; შესყიდვითი საქმიანობა; 2. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება; ~-power parity ყიდვისუნარიანობის პარიტეტი; თეორია, რომლის მიხედვით ფასები სხვადასხვა საქონელზე სხვადასხვა ქვეყანაში უნდა გათანაბრდეს, ხოლო ფასების საერთო დონის სხვაობა უნდა აისახოს ვალუტის გადაცვლის კურსში

purpose მიზანი; ჩანაფიქრი;

pursue 1. გაგრძელება; 2. (რაიმე კურსის) მიყოლა

put option გაყიდვის ოფციონი; ოფცი-

ონური კონტრაქტი, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს გაყიდოს ძირითადი აქციების განსაზღვრული წილი ფიქსირებული ფასით კონტრაქტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე

putsch პუტჩი

puzzle 1. რთული საკითხი; პრობლემა; თავსატეხი; 2. პრობლემის წამოჭრა

pyramiding 1. მრავალსაფეხურიანი მონაწილეობის სისტემა (ერთი კომპანია მეორე კომპანიის კაპიტალში); 2. სპეკულაციური მოგების გამოყენება შემდგომი ფინანსური ოპერაციების ჩასატარებლად



qualification 1. შეზღუდვა; ცვლილება, მოდიფიკაცია; 2. პირობა, დამატებითი შენიშვნა, შესწორება; 3. კვალიფიკაცია; მომზადებულობა, ვარგისობა, გამოსადეგობა; 4. ცენზი, შეფასება; **age** ~ ასაკობრივი ცენზი; **educational** ~ საგანმანათლებლო ცენზი; **necessary** ~ აუცილებელი კვალიფიკაცია; **property** ~ ქონებრივი ცენზი; **tax** ~ საგადასახადო ცენზი

qualified 1. კვალიფიციური; კომპეტენტური; 2. ვარგისი; 2. შეზღუდული; **higly**— **expert** მაღალკვალიფიციური სპეციალისტი

qualify 1. შეფასება; კვალიფიცირება; 2. შეზღუდვა

qualitative ხარისხობრივი; ~ **analysis** ხარისხობრივი ანალიზი; დაკვირვების არაციფრობრივი ინტერპრეტაცია ურთიერთობების შინაარსისა და ნიმუშების აღმოჩენის მიზნით. ხშირად გამოიყენება საველე და ისტორიულ კვლევებში

quality 1. ხარისხი 2. ფასეულობა; ~ **action team** მაღალხარისხოვანი მოქმედების ჯგუფი; ~ **analysis** ხარისხის შეფასება; ~ **assurance (QA)** ხარისხის კონტროლი; ~ **circle** ხარისხის წრე; თანამშრომელთა ჯგუფი, რომლიც ნებაყოფლობით იკრიბება ხარისხის პრობლემების განხილვისა და მისი ამაღლების გზების საძიებლად. ჩვეულებრივ, ჯგუფის წევრები იღებენ სპეციალიზებულ მომზადებას, რომელიც მათ ეხმარება ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენაში; ~ **control** ხარისხის კონტროლი; ~ **indicator** ხარისხის მაჩვენებელი; ~ **management efforts** სრულყოფილი მენეჯმენტის მცდელობები; ~ **of conformance** შესაბამისობის ხარისხი; ხარისხის კონცეფცია, ასახავს ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული პროდუქციისა და მომსახურების ორგანიზაციის შესაბამისობას შიგა სპეციფიკაციასთან; ~ **of design** კონსტრუქციის ხარისხი; ხარისხის კონცეფცია, რომელიც კონსტრუქციის ხარისხის დონეს ასახავს; ~ **of information** ინფორმაციის ხარისხი; ~ **of item** ნაკეთობის ხარისხი; ~ **of manufacture** დამზადების ხარისხი; ~ **of performance** შესრულების ხარისხი; ~ **of service** მომსახურების ხარისხი; ~ **of work** მუშაობის ხარისხი; ~ **of worklife** შრომითი ცხოვრების ხარისხი; მნიშვნელოვანი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ორგანიზაციაში მოღვაწეობის საშუალებით; ~ **pay increase** ანაზღაურების გაზრდა ხარისხის მიხედვით; ~ **results** ხარისხობრივი

შედეგები; ~ specification ხარისხის სპეციფიკაცია; ~-oriented human resourses practices ხარისხზე ორიენტირებული ადამიანთა რესურსების მოქმედება; acceptable ~ მისაღები ხარისხი; adequate ~ კარგი ხარისხი; appropriate ~ სათანადო ხარისხი; average ~ საშუალო ხარისხი; base ~ საბაზო თვისება; best ~ საუკეთესო ხარისხი; bottom ~ ცუდი ხარისხი; business ~/ies საქმიანი თვისებები; change in ~ ხარისხის შეცვლა; excellent ~ საუკეთესო ხარისხი; expert's ~ report ხარისხის ექსპერტიზა; export ~ საექსპორტო ხარისხი; first-class ~ პირველი კლასის ხარისხი; guaranteed ~ გარანტირებული ხარისხი; high ~ მაღალი ხარისხი; inferior ~ არასათანადო ხარისხი; low ~ დაბალი ხარისხი; optimal ~ ოპტიმალური ხარისხი; overall ~ საერთო ხარისხი; standard ~ ნორმატიული ხარისხი; superior ~ უმაღლესი ხარისხი; technical ~ ტექნიკური ხარისხი; to change ~ ხარისხის ცვლა; to engage in ~ control ხარისხის კონტროლი; to evaluate ~ ხარისხის შეფასება; to guarantee high ~ მაღალი ხარისხის გარანტირება; to provide ~ ხარისხის უზრუნველ-ყოფა; to stipulate ~ ხარისხის განპირობება; tolerance ~ დასაშვები ხარისხი; unimpeachable ~ წუნდაუდებელი ხარისხი; unsatisfactory ~ არადამაკმაყოფილებელი ხარისხი

quantify რაოდენობრივი განსაზღვრა

quantitative რაოდენობრივი; ~ analysis რაოდენობრივი ანალიზი; დაკვირვების ციფრობრივი გამოხატვა და მანიპულაცია მოვლენის აღწერისა და ახსნის მიზნით; ~ method რაოდენობრივი მეთოდი

quantity რაოდენობა, რიცხვი, რიცხობრიობა; annual ~ ყოველწლიური რაოდენობა; appreciable ~ საგრძნობი რაოდენობა; available ~ არსებული რაოდენობა; batch ~ პარტიის ხარისხი; ~ equation რაოდენობრივი ტოლობა, რომლის მიხედვითაც ფულის მიწოდებისა და მისი მიმოქცევის სიჩქარის ნამრავლი უტოლდება ნომინალური დანახარჯების ერთობლივ მოცულობას; in limited ~ შეზღუდული რაოდენობით; initial ~ საწყისი რაოდენობა; innumerable ~ ურიცხვი რაოდენობა; insignificant ~ უმნიშვნელო რაოდენ-ობა; insufficient ~ არასაკმარისი რაოდენობა; large ~ დიდი რაოდენობა; limited ~ შეზღუდული რაოდენობა; maximum possible ~ მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობა; mean ~ საშუალო სიდიდე; ordered ~ შეკვეთილი რაოდენობა; overall ~ საერთო რაოდენობა; purchase ~ შესყიდვის ზომა; reciprocal ~ უკუსიდიდე; record ~ სარეკორდო რაოდენობა; required ~ აუცილებელი რაოდენობა; sanction ~ ნებადართული რაოდენობა; significant ~ მნიშვნელოვანი რაოდენობა; small ~ მცირე რაოდენობა; stipulated ~ განპირობებული რაოდენობა; supplementary ~ დამატებითი რაოდენობა; ~ theory of money ფულის რაოდენობრივი თეორია; რომელიც ამტკიცებს, რომ მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ცვლილებას მივყავართ ნომინალური დანახარჯების ერთობლიობის მოცულობის ცვლილებასთან; tolerance ~ დასაშვები რაოდენობა; total ~ საერთო რიცხვი; transfer ~ სავაჭრო ოპერაციის მოცულობა; unspecified ~ დაუზუსტებელი რაოდენობა; ~ of information ინფორმაციის

რაოდენობა

quantum 1. რაოდენობა; თანხა; 2. მოცულობა; ~ of output პროდუქციის მოცულობა; ~ of world trade მსოფლიოს ვაჭრობის მოცულობა

quarter 1. მეოთხედი; 2. კვარტალი; 3. სათავსი; business ~*s*. საქმიანი წრეები 2. საქმიანი კვარტალი; financial ~s ფინანსური წრე; residential ~ საცხოვრებელი კვარტალი

quarterly კვარტალური

quasi ვითომ, თითქოს; თითქმის, კვაზი; ~-autonomous units ნახევრადავტონომიური ერთეულები; ~-collective goods კვაზიკოლექტიური საქონელი, სპეციფიკური საქონელი, ნაწარმოები სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ, რომელსაც იმდენად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, რომ მისი გამოყენება, და აქედან გამომდინარე სარგებელი, ითვლება კოლექტიურად; ~-contractual კვაზიხელშეკრულებისა; ~-experiment კვაზი-ექსპერიმენტი; ნებისმიერი დიზაინი, რომელიც ჰგავს ექსპერიმენტულ დიზაინს; ~-money კვაზიფული, ფულადი საბსტიტუტი; ~-party system კვაზიპარტიული სისტემა; პარტიული სისტემა, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს მრავალპარტიულ, ორ, ერთ ან უპარტიო სისტემას. მაგ., მუნიციპალურ დონეზე, სადაც ის ერთი პარტიაა აქტიური, რომელმაც ბოლო არჩევნებზე ხმების ძირითადი პროპორცია მოიპოვა, მაგრამ ოფისთა უმრავლესობა არ მიუღია; ~-state კვაზისტაბილური; ნახევრად სახელმწიფო; ~-unemployment კვაზიუმუშევრობა; ფარული უმუშევრობა

quest მოთხოვნა

question 1. კითხვა; 2. პრობლემა, საქმე, განსახილველი საკითხი, წინადადება; 3. ეჭვი, შეკამათება; 4. დაკითხვა, ძიება; to raise a ~ კითხვის დასმა

questionnaire ანკეტა; კითხვარი

queue 1. რიგი; რიგში დგომა; 2. ერთარხიანი მასობრივი მომსახურების სისტემა; allowed ~ რიგის დასაშვები სიგრძე; cyclic ~ მასობრივი მომსახურების ციკლური სისტემა; multiple ~ მასობრივი მომსახურების მრავალარხიანი სისტემა; priority ~ მასობრივი მომსახურების პრიორიტეტული სისტემა

queuing theory რიგთა თეორია

quick ratio სწრაფი ფარდობა; კომპანიის ფინანსური სიძლიერის (სისუსტის) ინდიკატორი

quo warranto, writ of გადაწყვეტილების მიმღების კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება. ეს საშუალება გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს

quorum კვორუმი

quota კვოტა; ნორმა; წილი, ნაწილი; ~ allocation კვოტირება; ~ allocation of foreign exchange საგარეო ვალუტის კვოტირება; ~ rule თანამ-შრომლებისა და მენეჯმენტის კონტრაქტში ასახული პროფკავშირული წესი, რომლითაც განსაზღვრულია პროფკავშირების განკარგულების არეში მოხვედრილ სამუშაოზე ასაყვან თანამშრომელთა რაოდენობა; abolition of a ~ კვოტის გაუქმება; differential ~ დიფერენცირებული ნორმა; established ~ დადგენილი კვოტა; export ~ საექსპორტო კვოტა; foreign exchange ~ სავალუტო ლიმიტი; global ~ საერთო

კვოტა; **immigration** ~ საემიგრაციო კვოტა; **import** ~ იმპორტის კვოტა; კანონმდებლობით დადგენილი იმპორტული საქონლის შეზღუდვა; **International Monetary Fund** ~ კვოტა საერთაშორისო სავალუტო ფონდში; **introduction of** ~**s** კვოტების შემოტანა; **maximum** ~ მაქსიმალური კვოტა; **minimum** ~ მინიმალური კვოტა; **quantitative** ~ რაოდენობრივი კვოტა; **tariff** ~ საბარიფო კვოტა; **tax** ~ საგადასახადო კვოტა; **taxable** ~ გადასახადის შეწერით განსაზღვრული საქონლის ან შემოსავლის წილი; **to fulfill the** ~ ნორმის შესრულება; **to impose a system of** ~**s** კვოტების სისტემის გამოყენება; **to overfulfill the** ~ ნორმის გადაჭარბებით შესრულება

quotable კოტირებული; რეგისტრირებული

quotation 1. ციტირება; 2. კოტირება, შეთავაზება, დანიშვნა, გაანგარიშება; კურსი; 3. წინადადება; ოფერტი; ~ **of prices** ფასების კოტირება, დანიშვნა; **additional** ~ დამატებითი კოტირება; **asked** ~ გამყიდველის კურსი; **bid** ~ მყიდველის კურსი; **closing** ~ კოტირება ბირჟის დახურვისას; **detailed** ~ დაწვრილებითი კოტირება; **exchange** ~ საბირჟო კოტირება; **exchange rate** ~ კურსების კოტირება; **final** ~ საბოლოო კოტირება; **firm** ~ მყარი კოტირება; **foreign exchange** ~ სავალუტო კოტირება; **itemized** ~ პოზიციური კოტირება; **market** ~ საბაზრო კოტირება; **nominal** ~ ნომინალური კოტირება; **official** ~ ოფიციალური კოტირება; კურსი; **opening** ~ კოტირება ბირჟის გახსნისას; **previous** ~ წინა კოტირება; **pro forma** ~ მიახლოებითი კოტირება; **revised** ~ გადასინჯული კოტირება; **specimen** ~ საორიენტაციო კოტირება; **starting** ~ საწყისი კოტირება; **stock** ~ აქციების კოტირება; **to consider a** ~ კოტირების განხილვა

quote sheet ღირებულების ანალიზი, რომელიც გამოიყენება გასაყიდი ფასის დასადგენად

quoted price შემოთავაზებული (საკონტროლო) ფასი

R

race 1. რასა; 2. შთამომავლობა, ჯიში; 3. წარმომავლობა; 4. შეჯიბრი.

racial რასობრივი

racism რასიზმი

racist რასისტი

rack 1. სტენდი; სტელაჟი; 2. გაკოტრება

racket რეკეტი; მოტაცება

racketeer რეკეტიორი; გამომძალველი

racketeering გამომძალველობა

radicalism რადიკალიზმი; ძირეული, გადამჭრელი ზომების მიღება თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში

raid 1. თავდასხმა; 2. ზეწოლა, კურსის შემცირება

railway 1. რკინიგზა; 2. *pl.* რკინიგზის ჭსელი

raise 1. მომატება, ზრდა; 2. ხელფასის მომატება; 3. გამოზრდა; გაშენება; 4. გადასახადის აკრეფა

rally 1. გამოცოცხლება; 2. კურსის ზრდა

ramification განტოტვა, რემიფიკაცია; ინტეგრაციული პროცესი, რომელშიც სახელმწიფოების წარმატებული თანამშრომლობა ერთ ტექნიკურ

სფეროში იწვევს თანამშრომლობის გაფართოებას სხვა სფეროებში

ramp 1. გამომძალველობა; დიდი ფასი; 2. ძარცვა

ranch 1. რანჩო, მსხვილი ფერმერული მეურნეობა; 2. მესაქონლეობა

rancher რანჩოს პატრონი; მსხვილი ფერმერი

random შემთხვევითი; თავისუფალი; უწესრიგო

randomness შემთხვევითობა

range 1. რიგი, მწკრივი; ხაზი; 2. ოლქი; გავრცელების არე, სფერო; 3. ცვლილება; მოძრაობა; 4. ვარირება; სხვაობა; 5. დიაპაზონი; 6. ფასებს შორის სხვაობა; ~ of deviation გადახრის მასშტაბი; რეალურად მიღწეული შედეგების გადახრა დაგეგმილთან შედარებით. ამ დროს არ არის კორექტირების საჭიროება; ~ of error შეცდომის დიაპაზონი; ~ of function ფუნქციის მრავალი მნიშვნელობა; ~ of observations დაკვირვების დიაპაზონი; ~ of patterns ნიმუშთა კოლექცია; ~ of use გამოყენების სფერო; average ~ საშუალო გაქანებისა, საშუალო დიაპაზონისა; capacity ~ მწარმოებლურობის ან საწარმოო სიმძლავრის დიაპაზონი; distribution ~ განაწილების სიგრძე; employment ~ მომუშავეთა რიცხვის ზღვარი; narrow ~ საქონლის მცირე ასორტიმენტი; optimality ~ ოპტიმალურობის სფერო; price ~ ფასის მერყეობა; ფასების დიაპაზონი; rated ~ ნომინალური დიაპაზონი; reduced ~ შემცირებული დიაპაზონი; wide ~ ფართო ასორტიმენტი

rank 1. რანგი, კლასი; თანრიგი; კატეგორია; 2. წოდება; ჩინი, თანამდებობა; სამსახურებრივი მდგომარეობა; first ~ პირველი კლასისა

ranked 1. მოწესრიგებული; 2. პირველი ხარისხისა

ranking 1. რიგითი ნომერი; 2. მოწესრიგება; კლასიფიკაცია

rapprochement დაახლოება; მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ინტერესების დაახლოება გაუგებრობის პერიოდის შემდეგ. გულისხმობს ნორმალური ურთიერთობების აღდგენის მცდელობებს

rate 1. ზომა; ოდენობა; სიდიდე; ნორმა; 2. განაკვეთი; 3. კურსი; ფასი; შეფასება; 4. ტემპი, სიჩქარე; 5. პროპორცია; პროცენტი; კოეფიციენტი; ~ of accumulation დაგროვების ნორმა; ~ of adjustment ეკონომიკური რეაგირების სიჩქარე; ~ of birth registration შობადობის კოეფიციენტი; ~ of dependency დამოკიდებულების ხარისხი; ~ of depletion მარაგის ხარჯვის ინტენსიურობა; ~ of depreciation გაუფასურების ხარისხი; ამორტიზაციის ნორმა; ~ of increase მატების ტემპი; ~ of inflation ინფლაციის ტემპი; ~ of issue გამოშვების კურსი; ~ of loading დატვირთვის ნორმა; ~ of profitability რენტაბელობის მაჩვენებელი; ~ of return 1.მოგების ნორმა; 2. კაპიტალდაბანდების უკუგების მაჩვენებელი; ~ of turnover ბრუნვის სისწრაფე; ~ of use გამოყენების პროცენტი; natural ~ of interest პროცენტის ბუნებრივი ნორმა; normal ~ of return მოგების ჩვეულებრივი ნორმა; occupancy ~ დასაქმების კოეფიციენტი; open market ~s ღია ბაზრის განაკვეთი; operating ~ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი; output ~ მწარმოებლურობა; გამომუშავების ნორმა;

overflow ~ ჭარბი ნაკადის ინტენსივობა; overhead ~ ზედნადები ხარჯების განაკვეთი; overstated ~ მომატებული მაჩვენებელი; overtime premium ~ ზენორმატიული სამუშაოს პრემიული გადახდის ნორმა; per diem ~ ხელფასის დღიური განაკვეთი; piece ~ ხელფასის სანარდო განაკვეთი; premium ~ პრემიის სიდიდე; probability ~ ალბათობის მაჩვენებელი; production ~ მწარმოებლურობა; გამომუშავების ნორმა; profit ~ მოგების ნორმა; proportional ~ პროპორციული ტარიფი; reduced ~ შეღავათიანი შემცირებული ტარიფი; revised ~ გადასინჯული მაჩვენებელი; saving ~ დანაზოგის ნორმა; standardized ~ სტანდარტიზებული კოეფიციენტი; stocking ~ მარაგის დონე; target ~ დაგეგმილი ნორმა; tariff ~ სატარიფო განაკვეთი; tax ~ საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთი; tight ~ მკაცრი ნორმა; total ~ საერთო კოეფიციენტი; transportation ~ სატრანსპორტო ტარიფი; uniform ~ of profit მოგების ერთიანი ნორმა; variable ~ ცვალებადი კურსი; variable service ~ მომსახურების ინტენსივობის ცვლადი; wage ხელფასის განაკვეთი; world market ~ მსოფლიო ბაზრის განაკვეთი

rated 1. ნომინალური; გაანგარიშებითი; 2. ვარგისი

ratification რატიფიკაცია; დამტკიცება; სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, რომელიც ხელმოწერილია ამ სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ; რატიფიკაცია ხელშეკრულებას ძალას [illegible]

ratify დამტკიცება, რატიფიცირება

rating 1. შეფასება, ღირებულების განსაზღვრა, რეიტინგი; 2. კატეგორიისათვის მიკუთვნება; 3. მარკირება; accuracy ~ სიზუსტის შეფასება; credit ~ კრედიტუნარიანობის შეფასება; employee ~ მუშაკთა ატესტაცია; financial ~ ფინანსური მდგომარეობის შეფასება; job ~ მუშაობის შეფასება; merit ~ 1. ხარისხის შეფასება; 2. მუშაკის საქმიანი თვისებების შეფასება; output ~ გამოსავალის დახასიათება; performance ~ მწარმოებლურობის დახასიათება; priority ~ პრიორიტეტის მინიჭება; quality ~ ხარისხის შეფასება; speed ~ მუშაობის ტემპის შეფასება; standard ~ სტანდარტული ნომინალი

ratio 1. შეფარდება; შეფარდებითი მაჩვენებელი; კოეფიციენტი; პროპორცია; წილი; 2. ნორმა; ~ of capital turnover კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი; ~ of reserves to liabilities რეზერვების შეფარდება ვალდებულებებთან; age ~ ასაკობრივი ჯგუფების რიცხვის შეფარდება; attendance ~ დასწრების კოეფიციენტი; availability ~ მზადყოფნის კოეფიციენტი; birth ~ შობადობის შეფარდებითი კოეფიციენტი; capacity ~ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი; capital ~ ხვედრითი კაპიტალის მაჩვენებელი; capital formation ~ კაპიტალდაბანდების შეფარდება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის თანხასთან; capital productivity ~ კაპიტალუკუგება; capital-labor ~ კაპიტალის ღირებულების თანხის შეფარდება მუშათა რაოდენობასთან; concentration ~ კონცენტრაციის მაჩვენებელი; cost-effectiveness ~ ხარჯების ეფექ-

ტურობის კოეფიციენტი; cost - reliability ~ საიმედოობის უზრუნველყოფის შედარებითი ღირებულება; cover ~ დაფარვის (უზრუნველყოფის) კოეფიციენტი; direct ~ პირდაპირ-პროპორციულობა; effectiveness ~ ეფექტურობის კოეფიციენტი; embodied labor ~s განივთებული შრომის თანაფარდობა; energy-output ~ პროდუქციის ენერგოტევადობა; financial and operative ~ ფინანსური და ოპერაციული კოეფიციენტი; fixed investment ~ ძირითად კაპიტალში დაბანდების წილი; gross profit ~ საერთო მოგების კოეფიციენტი; in-migration ~ იმიგრანტების რიცხვის შეფარდება მოსახლეობის საერთო რიცხვთან; intake ~ სასაქონლო-მატერიალურ მარაგში დაბანდების შეფარდება შემოსავლებთან; inverse ~ ინვერსიული დამოკიდებულება; labor-output ~ შრომატევადი; labor-population ~ მოსახლეობის რაოდენობის შეფარდება სამუშაო ძალის ოდენობასთთან; labor-saving ~ შრომითი რესურსების ეკონომიის კოეფიციენტი; loss ~ დანაკარგების კოეფიციენტი; maintenance cost ~ ტექნიკური მომსახურების შედარებითი ღირებულება; male-female ~ მამაკაცებისა და ქალების რაოდენობის თანაფარდობა; materials-output ~ პროდუქციის მასალატევადობა; net profit ~ რენტაბელობის მაჩვენებელი; nonworkers ~ უმუშევართა კოეფიციენტი; operating ~ ხარჯების კოეფიციენტი; out-migration ~ ემიგრირებულთა რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის საერთო ოდენობასთან; output-capital ~ კაპიტალუკუგება; output-input ~ მარგი ქმედების კოეფიციენტი; percentage ~ პროცენტული თანაფარდობა; price ~s ფასთა შეფარდება; price-cost ~ ფასთა შეფარდება; reciprocal ~ უკუშეფარდება; reserve ~ რეზერვული ნორმა; return ~ კაპიტალდაბანდების უკუგების კოეფიციენტი; saturation ~ გაჯერების (სიუხვის) კოეფიციენტი; saving ~ დაგროვების კოეფიციენტი; seasonal ~ სეზონური ცვლილების მაჩვენებელი; sex ~ სქესთა შეფარდება; shift-work ~ ცვლებში მომუშავეთა ხვედრითი წილი; utilization ~ დატვირთვის (გამოყენების) კოეფიციენტი; vacancy-unemployment ~ ვაკანსიისა და უმუშევრობის თანაფარდობა; variable-cost ~ ცვალებად ხარჯებთან შემოსავლების შეფარდება, work ~ დახარჯული შრომასთან სასარგებლო მუშაობის შეფარდება

rational რაციონალური; გონივრული, მიზანშეწონილი; ~ analysis რაციონალური ანალიზი; ~-comprehensive model რაციონალურ-ამომწურავი მეთოდი; გულისხმობს, რომ ადამიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაივლის შემდეგ საფეხურებს: 1) რაციონალური გადაწყვეტილების მიმღები პირი განასხვავებს მოცემულ პრობლემას სხვა პრობლემებისგან; 2) განიხილავს და პრიორიტეტების მიხედვით ალაგებს ფასეულობებს, მიზნებსა და ქვემიზნებს; 3) ადგენს ამ მიზნების მიღწევის ალტერნატიული საშუალებების სიას; 4) აფასებს თითოეული ალტერნატივიდან გამომდინარე შედეგებს (ხარჯსა და სარგებელს); 5) ადარებს თითოეულ ალტერნატივას სხვა ალტერნატივებს; 6) ირჩევს მოქმედების იმ კურსს, რომელიც მეორე საფეხურზე

განსაზღვრული ფასეულობების, მიზნებისა და ქვემიზნების მაქსიმალურად მიღწევის საშუალებას იძლევა

rationalism/rational-comprehensive decision რაციონალიზმი/რაციონალურ-ამომწურავი გადაწყვეტილების თეორია; ადამიანთა ეკონომიკური ქცევის თეორია, რომლის ტრანსფორმაციაც მოხდა გადაწყვეტილების მიღების თეორიად და წარმოადგენს სახელმწიფო მართვის, ბიუჯეტიების, პოლიტიკის შეფასების საფუძველს. ჩვეულებრივ, მოიცავს ხუთ საფეხურს: პრობლემის განსაზღვრა, ალტერნატიული გადაწყვეტილებები, ალტერნატიული შეფასება, პრიორიტეტის განსაზღვრა და გადაწყვეტილება ანუ არჩევანი

rationalization რაციონალიზაცია; სრულყოფა

rationalize გაუმჯობესება; რაციონალიზება

rationing 1. რაციონირება; ნორმირება; 2. ფონდირება; capital ~ ფინანსური სახსრების ლიმიტირება ინვესტირებისათვის; credit ~ კრედიტის რაციონირება; food ~ სურსათის ნორმირება

raw 1. ნედლი; 2. არაკვალიფიცირებული; ~ data დაუმუშავებელი მონაცემები; კვლევის შედეგები, რომლებიც ჯერ არ არის სტატისტიკურად აღწერილი და გაანალიზებული; ~ materials ნედლეული; მასალა, რომელიც გამოიყენება სხვა პროდუქტის საწარმოებლად

react 1. რეაგირება, ზემოქმედება; 2. წინააღმდეგობის გაწევა

reaction 1. რეაქცია; ზემოქმედება; გავლენა; რეაგირება; 2. წინააღმდეგობა

reactivate მოქმედების განახლება; რეკონსტრუქცია

reactivation მოქმედების განახლება; რეკონსტრუქცია; მწყობრში ჩაყენება; ~ of idle deposits არააქტიური დეპოზიტების ბრუნვაში ჩართვა

reactive foreign policy რეაქციული საგარეო პოლიტიკა

readiness მზადყოფნა; operational ~ 1. საექსპლუატაციო მზადყოფნა; 2. საბრძოლო მზადყოფნა

reading წაკითხვა (პარლამენტში)

readings საკითხები; პროცესი, რომელიც კანონპროექტმა უნდა გაიაროს ვიდრე კანონი გახდებოდეს

readjustment 1. გარდაქმნა, რეორგანიზაცია; 2. დარღვეული თანაფარდობის კორექტირება

ready მზა; მომზადებული; ~-made მზა ნაკეთობა

real 1. რეალური, მოქმედი, ნამდვილი; 2. უძრავი ქონება; ~ aggregate demand curve ერთობლივი მოთხოვნის რეალური მრუდი; უარყოფითი დამოკიდებულება რეალური საპროცენტო განაკვეთისა და წარმოებული პროდუქციის მოთხოვნის სიდიდეს შორის; ~ aggregate supply curve ერთობლივი მიწოდების რეალური მრუდი; დამოკიდებულება რეალური საპროცენტო განაკვეთის დონესა და ერთობლივი მიწოდების სიდიდეს შორის; ~ business cycle theory თეორია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური რხევები წარმოიშობა ეკონომიკაში რეალური ძვრების შედეგად ნომინალური სიდიდეების ცვლილების გარეშე; ~ exchange rate რეალური გადაცვლის კურსი; სხვადასხვა ქვეყნებს შორის საქონლის გაცვლის პროპორცია; ~ interest rate რეალური საპროცენტო განაკვეთი; მოგება დანაზოგებზე ან სესხების ხარჯებზე კორექტირებული ინფლა-

ციის მიხედვით; ~ union ნამდვილი კავშირი; სახელმწიფოებს შორის კავშირი ერთი მონარქიის გამგებლობის ქვეშ. წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ საკუთარ კონსტიტუციას, მაგრამ ამყარებენ საერთო ხელისუფლებას გარკვეულ სახელმწიფო ფუნქციებზე. მაგ., ავსტრია-უნგრეთი 1867 წლის კომპრომისის შედეგად. ავსტრიის იმპერატორი იყო აგრეთვე უნგრეთის მეფე. მოქმედებდა საერთო საგარეო საქმეთა, ომის და ფინანსთა სამინისტროები

realization 1. რეალიზაცია; განხორციელება, შესრულება; 2. რეალიზაცია, გაყიდვა; ~ of goods საქონლის გაყიდვა; value ~ ღირებულების რეალიზაცია

realize 1. განხორციელება; 2. რეალიზაცია; გაყიდვა, ფულად გადაქცევა

reallocation გადანაწილება (მაგ. თანხებისა, რესურსებისა)

realpolitik *(გერმ)* ძალის პოლიტიკა; მსოფლიო ლიდერების უპირველესი მიზანი მტრულ გარემოში სახელმწიფო უსაფრთხოების მოპოვებისა და შენარჩუნებისა ძალის ან ძალთა ბალანსის მეშვეობით

realtor უძრავი ქონების გაყიდვის აგენტი

reanimation რეანიმაცია; გაცოცხლება; სიცოცხლისაკენ შემობრუნება; აღდგენა

reapportionment პროპორციული განაწილება; ~ of costs ზედნადები ხარჯების პროპორციული განაწილება; overhead ~ ზედნადები ხარჯების პროპორციული განაწილება; direct ~ არაპირდაპირი ხარჯების პირდაპირი მიკუთვნება

reappraisal გადაანგარიშება

rear 1. გაზრდა; გაშენება; 2. აღზრდა

re-arm გადაიარაღება

rearrange 1. მოწესრიგება; 2. გადაკეთება; რეკონსტრუქცია; 3. გადაჯგუფება, გადაადგილება

rearrangement 1. გადაჯგუფება; გადაადგილება; 2. მოწესრიგება; 3. გარდაქმნა; გადაკეთება; რეკონსტრუქცია; 4. კვლავაწყობა

reasonable 1. კეთილგონივრული; მართალი; 2. დასაბუთებული; 3. მისაღები, შესაფერი

reauthorization რეავტორიზაცია, უტილიზაციის მონიტორინგისა და კონტროლის მეთოდი სამედიცინო მომსახურების საჭიროების შეფასებით პირველადი მომსახურების მიწოდებამდე

rebate 1. ფასდათმობა; დათმობა; შემცირება; 2. პროცენტის გამოქვითვა; deferred ~ გადავადებული ფასდათმობა; secret price ~ ფარული ფასდათმობა; tax ~ გადასახადის განაკვეთის შემცირება

rebound 1. დაცემა; დენა; 2. უკუეფექტი; უკუშედეგი; 3. უკუეფექტის მოხდენა, უკუშედეგის მიღება

rebuild აღდგენა, რეკონსტრუქცია; კაპიტალური რემონტი; გარდაქმნა; გადაკეთება; მოდერნიზაცია; equipment ~ მოწყობილობის კაპიტალური რემონტი

rebus sic stanibus საერთაშორისო სამართლის დოქტრინა, რომლის მიხედვით თუ ძირეულად შეიცვალა ხელშეკრულების დადებისას არსებული პირობები, სახელმწიფო თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან

recall გაუქმება; გამოხმობა (მაგ. ბრძანებისა, ხელშეკრულებისა);

გაბათილება; შეცვლა, ანულირება
recallable უკან დაბრუნებას დაქვემდებარებული
recapitulation 1. რეკაპიტულაცია; 2. დაჯამება
recede დაქვეითება; შემცირება
receipt 1. მიღება; 2. ხელწერილი, ქვითარი; 3. ამონაგები შემოსავალი; **annual ~** წლიური ამონაგები; **bank ~** ბანკის ქვითარი; **budget ~** საბიუჯეტო შემოსავალი; **compiled ~** ერთობლივი შემოსავალი; **daily ~** დღიური შემოსავალი; **government ~s** სახელმწიფო შემოსავლები; **gross ~s** ერთობლივი შემოსავლები (ამონაგები); **interim ~** დროებითი ხელწერილი; **proprietary ~s** ქონების შემოსავალი; **tax ~s** საგადასახადო შემოსავლები
receivable 1. მისაღებად ხელსაყრელი; 2. მიღებას დაექვემდებარებული; 3. *pl.* დებიტორული დავალიანება
receive 1. მიღება; 2. შეძენა (მაგ. გამოცდილებისა); 2. მიღება (მაგ. პარტიაში, კავშირში, ასოციაციაში)
received მიღებული, საყოველთაოდ აღიარებული
receiver მიმღები; **tax ~** გადასახადის ამკრეფი; **wholesale ~** ბითუმად მოვაჭრე
reception 1. მიღება; 2. აღქმა; 3. მიღება, შეხვედრა, დახვედრა
recession 1. შემცირება, კლება; 2. დაცემა, რეცესია; 3. დატოვება, უკან დახევა; **business ~** ბიზნესის დაქვეითება; **growth ~** ზრდის ტემპის დაცემა; **inflationary ~** ინფლაციური დაქვეითება; **inventory ~** მატერიალური მარაგის დაგროვების შემცირებით განპირობებული დაცემა
recession დაცემა; რეალური შემოსავლების ვარდნის ხანგრძლივი პერიოდი
recipient country რეციპიენტი ქვეყანა; ქვეყანა, რომელიც დახმარებას იღებს დონორისაგან
recipient მიმღები; **~ of dividend** დივიდენდის მიმღები; **~ of funds** ფულის მიმღები; **~ of grant** სუბსიდიის მიმღები; **~ of loan** სესხის მიმღები; **fixed-income ~** ფიქსირებული შემოსავლების მიმღები
reciprocal 1. ურთიერთდა; 2. ორმხრივი; 3. ეკვივალენტური, შესაბამისი, ტოლი, საპასუხო; 4. წინააღმდეგობრივი; დაპირისპირებული
reckon 1. გამოთვლა, თვლა; 2. ჩათვლა, ვარაუდი
reckoning ანგარიში, გამოთვლა
reclaim 1. რეკლამაციის წარდგენა; 2. მოთხოვნით მიღება; 3. გამოყენება, უტილიზება; 4. გასწორება; გადაკეთება; შეკეთება; აღდგენა
reclamation 1. რეკლამაცია; პრეტენზია; 2. გადაკეთება, შესწორება; 3. რეკლამაციის წარდგენა
recognition 1. ცნობა, აღიარება; ამოცნობა; 2. განსხვავება; გარჩევა; გამორკვევა; **~ de facto** ცნობა დეფაქტო; სახელმწიფოს მთავრობის მიერ დროებით ცნობა იმისა, რომ ერთი სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე; **~ of governments** მთავრობების ცნობა; ოფიციალური აქტი, როგორიცაა ელჩების გაცვლა, რომლის ძალითაც ხდება მთავრობის არსებობის ცნობა და მასთან ოფიციალური ურთიერთობების დამყარებისთვის მზადყოფნა; **~ of states** სახელმწიფოების ცნობა; პროცესი, რომლის დროსაც პოლიტიკური ერთეული ხდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და მას არსებული სახელმწიფოები ახალ წევრად სცნობენ

recoin მონეტის ხელახლა მოჭრა
recompense 1. კომპენსაცია; ანაზღაურება; 2. შრომის ანაზღაურება; 3. დაჯილდოება, ანაზღაურება; 4. მოგვარება, მოწესრიგება
recon 1. განხილვა, ჩათვლა, მოფიქრება; 2. გაქვითვა, ანგარიშის გასწორება; 3. აღრიცხვა
reconcile 1. შესაბამისობაში მოყვანა; შეთანხმება; 2. მოგვარება; დარეგულირება; 3. შეთანხმება; შერიგება
reconciliation 1. შეთანხმება; 2. მოგვარება, მოწესრიგება
reconsign ხელახალი ადრესირება
reconstruction 1. გადაკეთება; რეკონსტრუქცია; 2. აღდგენა; 3. გარდაქმნა
reconversion რეკონვერსია; სამხედრო მრეწველობის გადაკეთება ფართო მოხმარების საგნების საწარმოებლად, სამშვიდობო პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა
reconvert 1. რეკონვერსიის ჩატარება; 2. საწყის მდგომარეობაში დაბრუნება
record 1. ჩანაწერი, რეგისტრაცია; სიაში შეყვანა; 2. *pl.* სააღრიცხვო დოკუმენტაცია; 3. საბუღალტრო წიგნი; რეგისტრი; ~s of billings გამოწერილი ანგარიშების რეგისტრი; ~s of performance საქმიანობის შედეგების ანგარიში; ~ of work მუშაობის სტაჟი; accounting ~s საბუღალტრო ანგარიში; birth ~ შობადობის რეგისტრაცია; book ~s საბუღალტრო აღრიცხვა, ჩანაწერები საბუღალტრო წიგნში; book inventory ~s სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა საბუღალტრო წიგნში; budgetary ~ საბიუჯეტო მიმოხილვა; complete enterprise ~s მთლიანი სამეურნეო აღრიცხვა; consumption ~s მოხმარების აღრიცხვა; cost ~ ღირებულების რეგისტრი; credit ~ საკრედიტო ჩანაწერი; ~ date აღრიცხვის თარიღი; თარიღი, რომლის დროისთვისაც აქციონერი ოფიციალურად უნდა ფლობდეს აქციებს დივიდენდის მისაღებად; demographic ~ მოქალაქეთა მდგომარეობის ჩაწერის აქტები; expenditure ~s მარაგის ხარჯვის ნორმა; feed ~s საკვების ხარჯვის აღრიცხვა; historical ~s წინა წლების მონაცემები; individual ~s ინდივიდუალური აღრიცხვა; internal cost ~s თვითღირებულების შიგა-საფირმო რეგისტრი; interview ~ გამოკითხვის შედეგების ჩაწერა; inventory ~s სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა; materials consumption ~s მასალების მოხმარების დოკუმენტაცია; materials control ~ მასალების აღრიცხვის საკონტროლო კარტოთეკა; migration ~ მოსახლეობის მიგრაციული პროცესების აღრიცხვა; one-year ~s წლიური აღრიცხვა; plant ~s ძირითადი კაპიტალის აღრიცხვის რეგისტრი; production ~s 1. პროდუქტიულობის აღრიცხვა 2. საწარმოო აღრიცხვა; progress ~ მუშაობის მსვლელობის აღრიცხვა; purchase ~s შესყიდვების აღრიცხვა; quality ~ ხარისხის მაჩვენებლების აღრიცხვა; sales ~s სავაჭრო სტატის-ტიკა; stock ~s მარაგის აღრიცხვის წიგნი
recorder მაგნიტოფონი, ჩამწერი მოწყობილობა; რეგისტრატორი; data ~ მონაცემთა რეგისტრაცია; idle time ~ მოცდენების რეგისტრატორი; productive time ~ პროდუქტიული დროის რეგისტრატორი; productivity ~ მწარმოებლურობის რეგისტრატორი
recording ჩანაწერი; რეგისტრაცია

record-keeping აღრიცხვის წარმოება
recoup 1. ანაზღაურება, კომპენსაცია; უკუგება; 2. გამოქვითვა
recourse 1. მიმართვა; 2. რეგრესი
recover 1. აღდგენა; 2. გამოცოცხლება; 3. საჩივარი; ინკასირება; 4. ანაზღაურება; 5. ნარჩენების უტილიზაცია
recoverable 1. მრავალგზის გამოსაყენებელი; 2. აღდგენითი; 3. რაც შეიძლება იქნეს დაჯარიმებული ან ინკასირებული
recovery 1. ანაზღაურება (მაგ. ზარალისა); 2. აღდგენა (მაგ. ეკონომიკისა); 3. გამოცოცხლება (მაგ. საქმიანობისა); 4. გადახდევინება; ზღვევინება; 5. უტილიზაცია; ~ of price ფასის მომატება; business-led ~ სამომხმარებლო საქონლის უპირატესი ზრდით განპირობებული სამეურნეო აქტივობის გამოცოცხლება; consumer-led ~ სამომხმარებლო საქონლის უპირატესი; cost ~ წარმოების ხარჯების ანაზღაურება; fizzling ~ უმნიშვნელო გამოცოცხლება; full ~ ხარჯების მთლიანი ანაზღაურება; housing ~ საბინაო მშენებლობის გამოცოცხლება; materials ~ ნარჩენების უტილიზაცია; partial ~ ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება
recruitment აყვანა, დაქირავება, გადმობირება; პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება; სამუშაო კადრების დაკომპლექტება; მისაღები დაქირავებულების ძებნის, ლოკაციისა და დაქირავების პროცესი
rectification გასწორება, შესწორება
rectify შესწორება
recurrent განმეორებითი, პერიოდული
recycle 1. ციკლის გამეორება; 2. ნარჩენების გადამუშავება; კვლავდამუშავება
redeem 1. გამოსყიდვა; დაფარვა; დაბრუნება; 2. ბრუნვიდან ამოღება
redeemability გამოსყიდვის შესაძლებლობა
redeemable გამოსასყიდი, დასაფარი
redemption 1. გამოსყიდვა; დაფარვა; დაბრუნება; 2. მიმოქცევიდან ამოღება; ~ of bank notes ბანკნოტების მიმოქცევიდან ამოღება; ~ charge შესყიდვის ფასი; ~ of debt ვალის დაფარვა; ~ of loan სესხის დაფარვა; ~ of mortgage გირაოს გამოსყიდვა; ~ of stock აქციის გამოსყიდვა; prior ~ ადრეული გამოსყიდვა
redeployment გარდაქმნა; გადაადგილება; ~ of staff თანამშრომლების გადაადგილება
redesign ხელმეორედ შექმნა; გადაკეთება
redevelopment ძველის ხელახალი დაგეგმარება; economic ~ ეკონომიკის აღდგენა
rediscount თამასუქის ხელმეორედ აღრიცხვა
redistribution გადანაწილება; ხელახალი განაწილება; income ~ შემოსავლის გადანაწილება
redress გასწორება; ანაზღაურება
reduce 1. შემცირება; ფასის დაკლება; 2. გადაყვანა; დაყვანა
reduction შემცირება; დაკლება (ფასისა); დათმობა; ~ of capital stock ძირითადი კაპიტალის შემცირება; ~ of dividend დივიდენდის შემცირება; ~ of economic fluctuations ეკონომიკური რყევის შემცირება; ~ of interest პროცენტული განაკვეთის შემცირება; ~ of invoice ფაქტურის თანხის შემცირება; ~ of labor შრომის შემცირება; ~ of working day სამუშაო დღის შემცირება; across-the board ~ ხარჯების ყველა მუხლის თანაბრად

შემცირება; **arms ~** შეიარაღების შემცირება; **concealed price ~** ფასების ფარული შემცირება; **cost ~** წარმოების ხარჯების შემცირება; **~ in force** ძალის შემცირება; დასაქმებულთა გათავისუფლება ადგილების გაუქმებით **price ~** ფასის შემცირება; **rate ~** ტარიფის შემცირება; **tax ~** გადასახადის შემცირება; **variety ~** პროდუქციის ასორტიმენტის შემცირება; **waste ~** ნარჩენების შემცირება

reduction-in-force process სამუშაო ძალის შემცირების პროცესი

reductionism რედუქციონიზმი; ანალიტიკური მიდგომა, რომელიც იწვევს განმარტების ზედმეტად გამარტივებას და არასრულყოფილებას

redundancy 1. ჭარბი; ნაჭარბი; ზედმეტი; ნამეტი; 2. მუშახელის სიჭარბე

redundant ზედმეტი, მეტისმეტი, გადამეტებული

reengage გადაბირება

reequip აღჭურვილობის განახლება

reequipment გადაიარაღება, მოწყობილობის შეცვლა (განახლება)

reexport 1. რეექსპორტი, ადრე შემოტანილი საქონლის გატანა; 2. *pl.* რეექსპორტირებული საქონელი

refer 1. რეკომენდაცია, მითითება; მიმართვა; 2. გაგზავნა; მიმართვა

reference 1. დამოწმება, მითითება, მოხსენიება; 2. ცნობა; 3. განსახილველად გადაცემა; 4. უფლებამოსილება, კომპეტენცია; 5 რეკომენდაცია; **~ level** ფინანსური რესურსების ოდენობა, რაც საჭიროა არსებული პროგრამის გასაგრძელებლად მომდევნო ფისკალური წლის განმავლობაში

referendum რეფერენდუმი, საყოველთაო სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად; მექანიზი, რომელიც საშუალებას აძლევს ამომრჩეველებს გააკეთონ არჩევანი ქმედებათა ალტერნატიულ კურსებს შორის

referred მოხსენიებული;

refiner ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა

reflux უკუქცევა; უკან მოდენა; **~ of capital** კაპიტალის უკან მოდენა

reform 1. რეფორმა; გადაკეთება; გასწორება; შესწორება; 2. გარდაქმნა; 3. აღდგენა; კლავწარმოქმნა; **agrarian ~** აგრარული რეფორმა; **currency ~** სავალუტო რეფორმა; **land tenure ~** მიწათსარგებლობის რეფორმა; **petty ~s** უმნიშვნელო რეფორმა

reformism რეფორმიზმი; იდეა იმის შესახებ, რომ რევოლუცია და არსებული კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური წყობილების ძალით დამხობა საჭირო არ არის და რომ ცვლილება თანდათანობით და ძალმომრეობის გარეშე უნდა მოხდეს. რეფორმიზმის პრინციპია სოციალიზმისკენ ისეთი მშვიდობიანი მეთოდებით გადასვლა, როგორიცაა პარლამენტარული მეთოდები და პროფკავშირების შექმნა. რეფორმიზმის პრობლემები ერთ-ერთი მიზეზი იყო, რამაც სოციალისტური მოძრაობის გახლეჩა გამოიწვია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

refrigerate გაცივება; გაყინვა

refugee ლტოლვილი; პიროვნება, რომელიც თავის ქვეყანას ტოვებს ომის, კატასტროფის ან პოლიტიკური დევნის გამო; **political ~** პოლიტიკური თავშესაფრის მქონე პირი

refund 1. კვლავ დაფინანსება; 2.

ზარალის ანაზღაურება; 3. ვალის გადახდა; ანაზღაურება, ფულის უკან დაბრუნება; რეფინანსირება; **direct** ~ ხარჯების პირდაპირი ანაზღაურება; **rate** ~ ტარიფზე ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება; **tax** ~ გადასახადის უკან დაბრუნება

refunding რეფინანსირება; ძველი დავალიანების დაფარვა ახალი სესხის გამოშვებით; **advance** ~ წინასწარ რეფინანსირება; **bonds** ~ ძველი ობლიგაციის ახალი ობლიგაციებით შეცვლა; **debt** ~ დავალიანების რეფინანსირება

refusal 1. უარი; უარყოფა; 2. პირველად არჩევის უფლება; ~ **of acceptance** აქცეპტირებაზე უარის თქმა; **flat** ~ კატეგორიული უარი

refuse 1. უარის თქმა; უკუგდება; 2. ნარჩენები (წარმოებისა); **salable** ~ უტილიზებული ნარჩენები

regain 1. უკან მიღება; 2. ხელახლა მიღწევა

regard 1. გათვალისწინება; მხედველობაში მიღება; 2. განხილვა

regenerate 1. აღდგენა; რეგენერაცია; 2. გარდაქმნილი; გაუმჯობესებული

regime რეჟიმი

region 1. ქვეყანა; 2. ქვეყნის რაიონი; რეგიონი; ოლქი; **acceptance** ~ ჰიპოთეზის მიღების სფერო; **agricultural** ~ სასოფლო-სამეურნეო რაიონი; **arid** ~ მშრალი რაიონი; **census** ~ ტერიტორიულ-სტატისტიკური რაიონი; **confidence** ~ ნდობის სფერო; **constraint** ~ დასაშვები გადაწყვეტილების სფერო; **economic** ~ ეკონომიკური რაიონი; **feasible** ~ დასაშვებ გადაწყვეტილებათა სფერო; **sparsely populated** ~ ნაკლებად დასახლებული რაიონი

regional banks რეგიონალური ბანკები; ხალხისთვის სესხის მიმცემი ინსტიტუტები, რომლებსაც მთავრობა რეგიონალური ეკონომიკის განვითარების მიზნით ქმნის; ~ **hegemony** რეგიონალური ჰეგემონი; გარკვეულ რეგიონში მოქმედი პირი, რომელიც კანონებს აწესებს თავისი ზეგავლენის სფეროში

regionalism რეგიონალიზმი; კონცეფცია იმის შესახებ, რომ ქვეყნებს, რომლებიც გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარეობენ ან საერთო პრობლემები აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთთან თანამშრომლობა ერთ ორგანიზაციაში სამხედრო, პოლიტიკური და ფუნქციონალური საკითხების გადასაჭრელად

register ჩანაწერების წიგნი; ჟურნალი; სია; რეესტრი; რეგისტრირება; ~ **of shareholders** აქციონერთა სია; **acceptance** ~ აქცეპტირების ჟურნალი; **cash** ~ სალაროს წიგნი; **land** ~ მიწის აღწერა და შეფასება; კადასტრი; **loan** ~ ვადიანი სესხის ქრონოლოგიური აღრიცხვის ჟურნალი; **note** ~ თამასუქთა წერილი; **patent** ~ პატენტების რეგისტრი; **population** ~ მოსახლეობის აღწერის სისტემა; **trade** ~ სავაჭრო რეესტრი; **transaction** ~ ბრუნვის რეგისტრი; ოპერაციათა რეგისტრი

Register General მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ცენტრალური ბიუროს ხელმძღვანელი

registration 1. რეგისტრაცია, ჩანაწერი; 2. ჩაწერა; **civil** ~ მოსახლეობის აღწერა; **compulsory** ~ სავალდებულო რეგისტრაცია; **compulsory labor** ~ მუშების სავალდებულო რეგისტრაცია; **current** ~ მიმდინარე აღრიცხვა; **marriage** ~ ქორწინების რეგისტრა-

ცია; **sample** ~ შერჩევითი რეგისტრაცია

registry 1. რეგისტრაცია, ჩანაწერი; 2. ჩანაწერთა ჟურნალი, რეესტრი; 3. მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ჩაწერის განყოფილება

regress 1. რეგრესი; დაცემა (ეკონომიკურად); 2. დაბრუნება; უკუმოძრაობა

regression რეგრესია; **curvelinear** ~ მრუდხაზიანი რეგრესია; **linear** ~ წრფივი რეგრესია; **multiple** ~ მრავალმხრივი რეგრესია; **simple** ~ უბრალო რეგრესია

regular 1. რეგულარული; სისტემატური; ნორმალური; 2. ჩვეულებრივი; 3. მუდმივი; 4. კვალიფიცირებული; პროფესიული; 5. სწორი

regularizing 1. რეგულარიზაცია; 2. სტანდარტიზაცია (მაგ. ენისა)

regulate მოწესრიგება; კონტროლირება; რეგულირება

regulation 1. რეგულირება, მოწესრიგება; 2. წესი; მიწერილობა; ინსტრუქცია 3. ტექნიკური პირობები; ნორმები; 4. სტაბილიზაცია (პროცესის); 4. დადგენილება; განკარგულება; 5. დანიშნულება; მითითება; **allocation** ~ განაწილების რეგულირების წესი; **census** ~ აღწერის რეგულირების ინსტრუქცია; **currency** ~ s სავალუტო წესები; **economic** ~ ეკონომიკური რეგულირება; **equipment** ~ მოწყობილობის ექსპლუატაციის ინსტრუქცია; **government** ~ სახელმწიფო რეგულირება; **immigration** ~ ქვეყანაში შესვლის კანონი; **maintanance** ~ ტექნიკური მომსახურების ინსტრუქცია; **pollution control** ~ s კანონმდებლობა გარემოს დაცვის შესახებ; **price** ~ s ფასების დადგენის წესი; **procurement** ~ მიწერილობა შესყიდვების შესახებ; **public** ~ სახელმწიფო რეგულირება; **rate** ~ ტარიფების სახელმწიფო რეგულირება; **safety** ~ s ტექნიკური უსაფრთხოების წესები; **service** ~ s მომსახურების წესი; ექსპლუატაციის წესი; **state** ~ სახელმწიფო რეგულირება; **statutory wage** ~ s ხელფასის დონის რეგულირების კანონით დადგენილი წესი; **storage** ~ s შენახვის წესი; **technical** ~ s ტექნიკური პირობები; ტექნიკური ნორმები; **utility rate** ~ კომუნალური მეურნეობის სფეროს საწარმოთა მომსახურებისა და ტარიფების სახელმწიფო რეგულირება

regulations წესები; წესდება; ინსტრუქცია; **customs** ~ საბაჟო ინსტრუქციები; **hospital** ~ საავადმყოფოს განაწესი; **road** ~ საგზაო მოძრაობის წესები; **safety** ~ უსაფრთხოების წესები; **internal** ~ შინაგანაწესი; **financial** ~ ფინანსური რეგლამენტი

regulator რეგულატორი

regulatory agency მარეგულირებელი სააგენტო; სახელმწიფო ან ფედერალური სააგენტო, რომელიც უფლებამოსილია დაარეგულიროს ზოგიერთი სფეროების საქმიანობა

rehabilitate 1. შეკეთება; აღდგენა; 2. მუშაუნარიანობის აღდგენა

rehandle ხელმეორედ დამუშავება

reimburse დაბრუნება, ანაზღაურება, კომპენსაცია; დაფარვა

reimport რეიმპორტი; ადრე შემოტანილი საქონლის გატანა; ხელმეორე იმპორტი

reinforce გაძლიერება, განმტკიცება; ~ **attention** ყურადღების გაძლიერება

reinstatement 1. უწინდელ მდგომარეობაში აღდგენა; 2. უფლებებში

აღდგენა

reinsurance ხელმეორედ დაზღვევა

reinvest რეინვესტირება, ხელმეორედ დაბანდება

reissue 1. განმეორებით გამოცემა; კვლავ გამოცემა; 2. კვლავ გამოშვება

reject 1. წუნი, დაწუნებული ნაკეთობა; 2. გადახრა; ~ credit კრედიტზე უარის თქმა

rejection 1. დაწუნება; 2. უარი; goods ~ საქონლის დაწუნება, საქონელზე უარის თქმა; loan ~ სესხის მიცემაზე უარის თქმა

rejuvenation გაახალგაზრდავება; ~ of population მოსახლეობის გაახალგაზრდავება, დემოგრაფიული გაახალგაზრდავება

rekreditiv 1. *(გერმ.)* რეკრედიტივი, მთავრობის სიგელი დიპლომატიური წარმომადგენლის უკან გამოწვევის შესახებ; 2 საბუთი, რომელიც აუქმებს აკრედიტივს

relapse შემცირება; დაცემა

relation 1. დამოკიდებულება, ურთიერთობა, კავშირი; 2. ნათესავი; ~ of commodity and money საქონლის ურთიერთობა ფულთან; ~ of long standing ხანგრძლივი ურთიერთობა; ~ of producer and consumer ურთიერთობა მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის; ~ of supply and demand მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობა; business ~ საქმიანი ურთიერთობა; სავაჭრო კავშირი; commodity ~ s სასაქონლო ურთიერთობა; employer-employee ~ s ურთიერთობა დამქირავებელსა და დაქირავებულ სამუშაო ძალას შორის; exchange ~ გაცვლითი ურთიერთობა; გაცვლითი პროპორციები; feedback ~ s უკუკავშირთა ურთიერთობა; fiscal ~ s ფინანსური ურთიერთობა; functional ~ ფუნქციური თანაფარდობა; human ~ s 1. სოციალური ურთიერთობა საზოგადოებაში; 2. ურთიერთობა კოლექტივის წევრებს შორის; industrial ~ s კავშირი მსხვილ საწარმოებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის; interpersonal ~ s ურთიერთობა კოლექტივის წევრებს შორის; inverse ~ უკუდამოკიდებულება; უკუპროპორციულობა; line ~ s ჰორიზონტალური ურთიერთობანი (მაგ. საწარმოში ოსტატსა და საამქროს უფროსს შორის); money ~ ფულადი ურთიერთობა; power ~ ძალთა თანაფარდობა; production ~ s საწარმოო ურთიერთობა; public ~s 1. ფირმის ურთიერთობა ცალკეულ პირებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; 2. კომპანიის პრესტიჟისთვის საქმიანობა (ინფორმაცია, რეკლამა, პროპაგანდა); savings-income ~ დანაზოგების თანაფარდობა შემოსავალთან

relationship 1. ურთიერთობა, კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება; 2. გარემო, წრე; 3. ნათესაური ურთიერთობა; arm's length ~ კონკურენტული დამოკიდებულება გარიგების დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის; bank customer ~ ბანკის ურთიერთობა კლიენტთან; borrower-lender ~ ურთიერთობა მსესხებელსა და კრედიტორს შორის; cost-estimating ~ ხარჯების შეფასების ფორმულა; factor-factor ~ თანაფარდობა ფაქტორი-ფაქტორი; factor-product ~ თანაფარდობა ფაქტორი-პროდუქცია; kinship ~ ნათესაური ურთიერთობა; macroeconomic ~ მაკროეკონომიკური ურთიერთობა;

microeconomic ~ მიკროეკონომიკური ურთიერთობა; owner-tenant ~ ურთიერთობა მიწისმფლობელსა და მოიჯარეს შორის; to build ~ ურთიერთობის დამყარება; to maintain ~ ურთიერთობის შენარჩუნება; to shatter ~ ურთიერთობის შეწყვეტა

relative 1. შეფარდებითი რიცხვი, შეფარდებითი; 2. ნათესავი; 3. ფარდობითი, პირობითი; 4. შეფარდება; ~ power შეფარდებითი ძალა; ერთი სახელმწიფოს ძალა მეორესთან შედარებით; ~ strength ფარდობითი სიმტკიცე; აქციის ფასის ცვლილება ბოლო წლის მანძილზე საბაზრო ინდექსთან (S&P 500) შედარებით; price ~ შეფარდებითი ფასი

relativism რელატივიზმი; ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ჩვენს ცოდნას მხოლოდ შეფარდებითად მიიჩნევს და უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას

relax მოდუნება; შემცირება

release განთავისუფლება, გამოშვება, გაშვება; ნებართვა; ~ from liability პასუხისმგებლობის მოხსნა; ~ of capital კაპიტალის გამოთავისუფლება; factory ~ საქარხნო შეკვეთაგანაცხადი; product ~ პროდუქციის გამოშვება

relend ხელმეორედ გასესხება; სესხის მიღება

relevant რელევანტური; არსებითი, ფარული, მნიშვნელოვანი; ~ information არსებითი, მნიშვნელოვანი ინფორმაცია

reliability 1. საიმედოობა; უმტყუნობა; შეუფერხებლობა; 2. უტყუარობა; უეჭველობა; 3. უსაფრთხოობა (მაგ. მექანიზმის ქმედებისა); ~ of economic forecasting ეკონომიკური პროგნოზის საიმედოობა

relief 1. დახმარება (მაგ. უმუშევრობისას); 2. გადასახადებისგან განთავისუფლება; 3. დათმობა

religious patriotism რელიგიური პატრიოტიზმი; გარკვეული რელიგიისადმი უსაზღვრო ერთგულება. რელიგიურ პატრიოტებს სჯერათ, რომ მათი რელიგია გააერთიანებს მათ რეგიონს და საერთოდ, მთელ მსოფლიოს. ასეთმა ადამიანმა შეიძლება უარი თქვას თავის ეროვნებაზე რელიგიისთვის

relocation 1. გადაადგილება; 2. გადანაცვლება; 3. გადანაწილება (მაგ. რესურსებისა); 4. გადასახლება; დისლოკაციის შეცვლა, ახალ ბაზაზე გადასვლა

rely დაყრდნობა; დარწმუნებულობა

remark 1. შენიშვნა; 2. მითითება; 3. დაკვირვება

remigrant რემიგრანტი (მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებული პირი)

remigrate რემიგრირება

reminder შეხსენება; განმეორებითი წერილობითი შეტყობინება; ~ of due date ვადის გასვლის შეხსენება

remission 1. რემისია, საანგარიშო თანხის დამრგვალება შემცირების გზით; 2. შეღავათი; 3. განთავისუფლება; ~ of debt ვალის გადახდისგან განთავისუფლება; ~ of penalty ჯარიმისგან განთავისუფლება; ~ of tax გადასახადის გადახდისგან განთავისუფლება

remit 1. რემიტირება, გაგზავნა; 2. გადაცემა 3. გადახდა

remittance 1. რემიტირება, გაგზავნა; 2. ფულადი გზავნილება; mail payment ~ ფულადი გზავნილება ფოსტით

remnant ნარჩენი, ნაშთი

remote 1. შორეული; 2. დაშორებული; დისტანციური; 3. შორ მანძილზე

მოქმედი

removal 1. მოცილება; აცილება; 2. მოშორება; 3. შეცვლა; 4. გადაადგილება; 5. გადასვლა, შერევა 6. მოცილება, გამორიცხვა; ~ of barriers to international trade საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე ბარიერების მოხსნა

remove 1. გადატანა; გადაგზავნა; 2. გადაადგილება; 3. მოშორება; მოცილება; გამორიცხვა; 3. გადასვლა, გადასახლება; 4. მოშორება, განდევნა, გარიცხვა

remunerate დაჯილდოება; ანაზღაურება; კომპენსირება

remuneration დაჯილდოება; ანაზღაურება; კომპენსაცია; ~ in kind ნატურით გადახდა; ~ in money ფულადი სახით დაჯილდოება; ~ of labor შრომის ანაზღაურება; factor ~ საწარმოო ფაქტორის ანაზღაურება; gross ~ ბრუტო დაჯილდოება; net ~ ნეტო დაჯილდოება; რეალური ხელფასი

remunerative ხელსაყრელი; კარგად ანაზღაურებული; მოხერხებული

render 1. წარდგენა (მაგ. ანგარიშისა); 2. დახმარების აღმოჩენა, გაწევა; 3. თარგმნა; 4. გადმოცემა (სხვა სიტყვებით); 5. მიცემა, მიკუთვნება; აღმოჩენა; 6. გაკეთება; გარდაქმნა; 7. გამოხატვა; ფორმულირება; ~ assistance დახმარების აღმოჩენა; ~ marketable გაყიდვის უზრუნველყოფა; სასაქონლო სახის მიცემა

renegotiation გადახედვა, გადასინჯვა (კონტრაქტის ან ხელშეკრულების პირობებისა)

renew 1. განახლება, აღდგენა; რესტავრირება; ახლით შეცვლა; 2. გაგრძელება, (მაგ. მოქმედების ხანგრძლივობისა), პროლონგირება

renewal 1. აღდგენა; განახლება; 2. შევსება (მარაგის); urban ~ ქალაქების განახლება; ~ of bill თამასუქის პროლონგაცია; ~ of leases იჯარის განახლება

renovation 1. აღდგენა, რენოვაცია; 2. რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია; ძველი მოწყობილობის შეცვლა; გაუმჯობესება

rent 1. რენტა; იჯარის გადასახადი; ბინის გადასახადი; იჯარის აღება; 2. დაქირავება; გაქირავება; ~ in kind ნატურალური რენტა; რენტა პროდუქტებით; contract ~ კონტრაქტით გადახდილი მიწის რენტა; heavy ~ დიდი ქირა; imputed ~ პირობითად დარიცხული რენტა; land ~ მიწის რენტა; mining ~ რენტა საბადოდან; nominal ~ ნომინალური ან ძალიან მცირე ბინის ქირა; spatial ~ საუკეთესო ადგილმდებარეობის გამო მიღებული რენტა

rentable 1. შემოსავლიანი; რენტაბელური; 2. საარენდოდ გადაცემული, იჯარით გასაცემი

rental 1. იჯარის თანხა; 2. მოიჯარეთა სია; ~ price of capital კაპიტალის იჯარის ფასი; კაპიტალის ერთეულის იჯარის გადასახადი; pasture ~ გადასახადი საძოვრით სარგებლობისათვის; residential ~ ბინის გადასახადი

rente *ფრ.* რენტა; რენტის დოკუმენტაცია; სახელმწიფო ქაღალდები

renter არენდატორი, დამქირავებელი, მოიჯარე

rent-free იჯარის გადასახადისაგან თავისუფალი

renting არენდით გაცემა

reoperation გადაკეთება; შესწორება

reorder ხელმეორედ შეკვეთა

reordering შეკვეთის ხელმეორედ მიწოდება

reorganization 1. რეორგანიზაცია; გადაკეთება; 2. გაჯანსაღება (მაგ. დაწესებულებისა)

repair 1. შეკეთება, რემონტი; გამოსწორება; 2. *pl.* სარემონტო სამუშაოები

reparation 1. რეპარაცია; ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა უხდის გამარჯვებულს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად; 2. გამოსწორება 3. ანაზღაურება

repartition გადანაწილება

repatriable რეპატრიაციას დაქვემდებარებული

repatriant რეპატრიანტი; პირი, რომელიც ბრუნდება სამშობლოში რეპატრიაციის ძალით

repatriate რეპატრიანტი; სამშობლოში დაბრუნებული

repatriation რეპატრიაცია; ემიგრანტების, ტყვედ წაყვანილი პირების, ლტოლვილების დაბრუნება სამშობლოში

repay ფულის დაბრუნება; სესხის გადახდა; ანაზღაურება

repayable გადახდას დაქვემდებარებული

repayment გადახდა, დაფარვა; ანაზღაურება; ~ of debt ვალის დაფარვა; ~ of loan სესხის დაფარვა

repeat 1. განმეორება; 2. *pl.* დამატებითი, განმეორებითი შეკვეთები

repeated განმეორებადი; მრავალჯერადი

rephasing გადასინჯვა; თანხის შეცვლა ზრდის მიხედვით

replace 1. შეცვლა, შერევა; 2. დაბრუნება; 2. შევსება, აღდგენა

replacement 1. შეცვლა, გამოდევნა; 2. შეცვლილი მოწყობილობის ერთეული; ~ of fixed assets ძირითადი კაპიტალის განახლება; ~ of value ღირებულების ანაზღაურება; gross ~ მოსახლეობის მთლიანი კლავწარმოება; loss ~ დანაკარგების ანაზღაურება

replanning განმეორებითი დაგეგმვა; კლავდაგეგმვა

repledge ხელმეორედ დაგირავება

replenish შევსება (მარაგისა)

replenished შევსებული მარაგი

replicate 1. პასუხის გაცემა; რეპლიკა; 2. ასლის გადაღება; ტირაჟირება

reply 1. პასუხი; 2. პასუხის მიღება; პასუხის გაცემა

report 1. მოხსენიება; ანგარიში; შეტყობინება; ცნობება; 2. აქტი; მოხსენება; 3. ანგარიშის წარდგენა; მოხსენების გაკეთება; accounting ~ საბუღალტრო აღრიცხვა; annual ~ წლიური ანგარიში; audit ~ რევიზიის აქტი; cash ~ სალაროს ანგარიში; census ~ შეტყობინება აღწერის შედეგების შესახებ; consolidated ~ ნაერთი ანგარიში; contract status ~ ანგარიში ხელშეკრულების შესრულების მსვლელობაზე; credit ~ ანგარიში საკრედიტო ოპერაციებზე; credit agency ~ ცნობა კრედიტუნარიანობის შესახებ; current population ~ მოსახლეობის მიმდინარე გამოკვლევის ანგარიში; damage ~ ზარალის ანგარიში; expert's ~ ექსპერტის დასკვნა; factory failure ~ საწარმოს ანგარიში ჩავარდნებზე; factory inspection ~ საწარმოს კონტროლის ანგარიში; final ~ დასკვნითი ანგარიში; general ~ ნაერთი ანგარიში; industry ~ დარგობრივი ანგარიში; interim ~ შუალედური ანგარიში; labor ~ სამუშაო ძალის ანგარიში; management ~ ადმინისტრაციის ანგარიში; manufacturing ~ საწარმოო

საქმიანობის ანგარიში; **market** ~ ბაზრის მდგომარეობის მიმოხილვა; **operating** ~ ექსპლუატაციის ანგარიში; **operational** ~ ოპერაციული ანგარიში; **profit and loss** ~ მოგება-ზარალის ანგარიში; **program cost** ~ პროგრამის ხარჯთაღრიცხვის ანგარიში; **quality control** ~ ხარისხის კონტროლის ანგარიში; **quality deviation** ~ ხარისხის სტანდარტიდან გადახვევის ანგარიში; **research** ~ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში; **stock status** ~ მარაგის მდგომარეობის ანგარიში; **survey** ~ შემოწმების ანგარიში; **top management** ~ უმაღლესი ადმინისტრაციის მოხსენება; **travel expense** ~ სამივლინებო ხარჯების ანგარიში

reporting 1. ანგარიშიანობა; 2. ანგარიში; 3. რეპორტაჟი; 4. ანგარიშგება; **internal** ~ შიგა ანგარიში; **sales** ~ სავაჭრო ანგარიშგება

repose 1. დაყრდნობა, დაფუძნება; 2. დასვენება; 3. იმედის ქონა; 4. უფლების მინიჭება

repository სასაწყობო ნაგებობა

repossession საკუთრების აღდგენა

representation 1. წარმომადგენლობა; 2. გამოსახულება; **trade** ~ სავაჭრო წარმომადგენლობა

representative 1. წარმომადგენელი; 2. დამახასიათებელი, ტიპური; 3. უფლებამოსილი; **authorized** ~ სრულუფლებიანი წარმომადგენელი; **sales** ~ სავაჭრო აგენტი; **trade** ~ სავაჭრო წარმომადგენელი

repressalia *(ლათ.)* რეპრესალია; საერთაშორისო ურთიერთობებში: იძულებითი ზომა, რომელსაც ერთი სახელმწიფო მეორის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ მიმართავს

repression რეპრესია; სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული დამსჯელი ზომა

repricing სხვა ფასებში გადაანგარიშება

reprocess დამუშავება; გადამუშავება

reproduce კვლავწარმოება

reproducibility კვლავწარმოება; აღდგენადობა

reproduction 1. აღწარმოება; კვლავწარმოება; 2. აღდგენა; გენერაცია; 3. შობადობა; მოსახლეობის აღწარმოება; 4. გამრავლება; ~ **of capital** კაპიტალის კვლავწარმოება; ~ **of labor-power** სამუშაო ძალის კვლავწარმოება; ~ **of value** ღირებულების კვლავწარმოება; **controlled** ~ რეგულირებადი კვლავწარმოება; **natural** ~ ბუნებრივი ნაყოფიერება; **social** ~ საზოგადოებრივი კვლავწარმოება

reproductivity კვლავწარმოების უნარი

republic რესპუბლიკა; სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ირჩევენ განსაზღვრული ვადით; **constitutional** ~ კონსტიტუციური რესპუბლიკა; **democratic** ~ დემოკრატიული რესპუბლიკა

repudiate 1. ანულირება; არცნობა; 2. დაწუნება

repudiation 1. ანულირება, გაუქმება; 2. დაწუნება

repugnance შეუთავსებლობა; არათანმიმდევრულობა; წინააღმდეგობრიობა (კანონების ან ხელშეკრულების მუხლებისა)

reputation რეპუტაცია

requalification განმეორებითი კვალიფიკაცია; კვალიფიკაცია

request 1. შეკითხვა; 2. მოთხოვნა; განაცხადი; 3. შეკითხვის მიცემა; 4. მოთხოვნის წარდგენა; 5. მოთხ-

ოვნილება; 6. თხოვნა; **credit** ~ განაცხადი კრედიტის მისაღებად; **unfilled** ~ შეუსრულებელი განაცხადი

require 1. მოთხოვნის წაყენება; 2. ბრძანების გაცემა

requirement მოთხოვნა; მოთხოვნილება; პირობა; **annual** ~ წლიური მოთხოვნილება; **cash** ~ მოთხოვნა ნაღდი ფულით; **contractual** ~ ხელშეკრულების მოთხოვნები; **employment** ~ სამუშაო ძალის მოთხოვნა; **environment** ~ გარემოს დაცვის მოთხოვნები; **farm labor** ~ სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე; **fuel** ~ მოთხოვნა საწვავზე; **sales** ~ პროდუქციის მიწოდებაზე საჭირო შეკვეთების მოთხოვნა; **skill** ~ მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე; **transaction money** ~ გარიგების განხორციელებისთვის საჭირო თანხა

requisite საჭირო, აუცილებელი; მოთხოვნა

requisition 1. განაცხადი; მოთხოვნა; 2. მოთხოვნილება; 3. პირობა

resale ხელმეორედ გაყიდვა

rescheduling მუშაობის კალენდარული გეგმის გადასინჯვა

rescind შეცვლა, გაუქმება, ანულირება

rescission შეცვლა, გაუქმება, ანულირება

research 1. კვლევა; შესწავლა; 2. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; 3. კვლევის ჩატარება; ~ **and development** სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მუშაობა; გამოკვლევა და შემუშავება; **advanced** ~ პერსპექტიული კვლევა; **applied** ~ გამოყენებითი მეცნიერება; ~ **and development** კვლევა და განვითარება; სამეცნიერო საინჟინრო მოღვაწეობა, რომელსაც შედეგად მოაქვს ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტი ან წარმოების პროცესი; **basic** ~ ფუნდამენტური გამოკვლევა; **exploratory** ~ სამძებრო სამუშაოები; **industrial** ~ კვლევა მრეწველობის სფეროში; **market** ~ ბაზრის შესწავლა; **motivation** ~ მოტივაციური შესწავლა; **population** ~ მოსახლეობის შესწავლა; **quality** ~ ხარისხის კვლევა; **sales** ~ სავაჭრო კონიუნქტურის შესწავლა

researcher მკვლევარი

reservation 1. დაჯავშნა; დარეზერვება; 2. შენახვა; დატოვება; 3. წინასწარ შეკვეთა; 4. რეზერვაცია; უფლების დატოვება საკითხთან უკან დაბრუნების თაობაზე

reserve 1. მარაგი, რეზერვი; 2. *(ფინ.)* სარეზერვო ფონდი; 3. *(ბულ.)* გაუნაწილებელი მოგების ანგარიში; 4. დაჯავშნა; ~ **army of unemployment** უმუშევართა სარეზერვო არმია; ის შედგება უმუშევრებისგან, ადამიანებისგან, რომლებსაც თავიანთ უნართან შედარებით მდარე სამუშაო აქვთ, სამუშაო ძალისგან, რომელიც არ მუშაობს შესაფერისი სამუშაოს არქონის გამო და ფიზიკურად, გონებრივად ან ასაკობრივად უუნაროთაგან; ~ **ratio (requirement)** რეზერვის პროცენტი; ფედერალური სარეზერვო ბანკების რეზერვების ფარდობა დეპოზიტებისა და გამოშვებული ბანკნოტების ჯამთან; ~ **requirements** ცენტრალური ბანკების მიერ სხვა ბანკებისათვის დაწესებული დეპოზიტების დარეზერვების მინიმალური კოეფიციენტი; ~ **requisition control** სარეზერვო სასაქონლო მარაგების რევიზია; ~ **stock control**

სარეზერვო მარაგების კონტროლი; **bank** ~ ბანკის რეზერვი; **borrowed** ~ სესხის საშუალებით მიღებული რეზერვი; **cash** ~ სალაროს რეზერვი; **contingency** ~ რეზერვი გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად; **depreciation** ~ საამორტიზაციო რეზერვი (ფონდი); **development** ~ საწარმოს გაფართოების რეზერვი; **dividend and interest** ~ დივიდენდისა და პროცენტის გადახდის რეზერვი; **dolar** ~ დოლარის სარეზერვო ფონდი; **dormant labor** ~ პოტენციური შრომითი რეზერვები; **excess** ~ ჭარბი მარაგი; **external** ~ სავალუტო რეზერვი; **extraordinary** ~ საგანგებო ოპერაციათა რეზერვი; **Federal** ~ ფედერალური სარეზერვო სისტემა; აშშ-ს ცენტრალური ბანკი; **food** ~**s** სასურსათო მარაგი; **forage** ~ საკვების მარაგი; **funded** ~ მარაგი ფასიანი ქაღალდების სახით; **gold and foreign exchange** ~ ოქროსა და უცხოური ვალუტის მარაგი; **government** ~ სახელმწიფო რეზერვები; **legal minimum** ~ კანონით დადგენილი მინიმალური მარაგი; **liability** ~**s** პასუხისმგებლობის მარაგი; **liquidity** ~ სალიკვიდაციო აქტივების მარაგი; **naked** ~ სუფთა რეზერვი; **operating** ~ საექსპლუატაციო ხარჯების რეზერვი; **prescribed** ~ კანონით გათვალისწინებული მარაგი; **productive capacity** ~ საწარმოო სიმძლავრეების მარაგი; **recoverable** ~**s** სამრეწველო მარაგები; **renegotiation** ~ გადასინჯვის რეზერვი; **statutory** ~ კანონით დადგენილი მარაგი; **strategic** ~**s** სტრატეგიული მარაგი; **surplus** ~ ჭარბი მარაგი

reserved სათადარიგო; სარეზერვო; 2. თავშეკავებული

resettlement გადასახლება ახალ ადგილზე

reship გადატვირთვა; გადაგზავნა

reshipment გადატვირთვა; გადაგზავნა

reside ცხოვრება

residence 1. ადგილსამყოფელი; 2. ყოფნის ხანგრძლივობა; 3. ბინა; სახლი; საცხოვრებელი ადგილი

resident 1. მუდმივად მცხოვრები; მცხოვრები; 2. რეზიდენტი; 3. წარმომადგენელი

residential investment საბინაო მშენებლობის ინვესტიცია; ახალი სახლების შეძენა საცხოვრებლად ან იჯარაში გასაცემად

residual ნაშთი

residue ნაშთი

resignation თანამდებობიდან გადადგომა; თანამდებობაზე უარის თქმა; ~ **of the Cabinet** კაბინეტი გადადგომა

resilient მობილური, მოძრავი

resist წინააღმდეგობის გაწევა

resolution 1. რეზოლუცია; გადაწყვეტილება, დადგენილება, რომელიც მიღებულია კრებაზე, ყრილობაზე, კონფერენციასა და მისთ. რაიმე საკითხის განხილვის შედეგად; 2. თანამდებობის პირის წერილობითი დასკვნა, განკარგულება, წარწერილი საქმიან ქაღალდზე; 3. გადაწყვეტა (მაგ. პრობლემისა); 2. ამოხსნა; ~ **of disputes** კამათის გადაწყვეტა, დავის გადაწყვეტა; **amicable** ~ რომელიმე მზარისათვის მისაღები რეზოლუცია, სასიამოვნო რეზოლუცია

resonance რეზონანსი; გამოხმაურება, გამოძახილი

resort 1. თავშესაფარი; 2. მიმართვა

resource 1. მეთოდი, საშუალება; 2. ფულადი საშუალებანი; 3. რესურ-

სები; 4. *pl.* რესურსები; ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური ფასეულობები, რომლებიც ხელმისაწვდომია მიზნების მისაღწევად; **allocation of ~s** რესურსების განაწილება; **ample ~s** საკმარისი საშუალებანი; **credit ~s** კრედიტორული ფონდები; **exhaustible ~s** ამოწურული რეზერვები; **human ~s** ადამიანთა (შრომითი) რესურსები; **idle ~s** გამოუყენებელი რესურსები; **inanimate ~s** არასულიერი რესურსები; **labor ~s** შრომითი რესურსები; **logistic ~s** მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესურსები; **manpower ~s** შრომითი რესურსები; **mineral ~s** სასარგებლო წიაღისეულის რესურსები; **nonhuman productive ~s** საწარმოო რესურსები ადამიანთა რესურსების გამოკლებით; **pecuniary ~s** ფულადი რესურსები; **physical ~s** მატერიალური რესურსები; **productive ~s** საწარმოო რესურსები; **raw material ~s** ნედლეულის რესურსები; **reproducible ~s** აღდგენითი რესურსები; **scarce ~s** შეზღუდული (მწირი) რესურსები; **tight ~s** დეფიციტური რესურსები; **uncommitted ~s** თავისუფალი რესურსები; **untapped natural ~s** გამოუყენებელი ბუნებრივი რესურსები

respite გადავადება

respondent რესპონდენტი; გამოსაკითხი პირი, ვისაც შეკითხვებით მიმართავენ (სოციოლოგიაში); ცდის პირი (ფსიქოლოგიაში)

response 1. პასუხი; 2. რეაქცია; 3. სტატის. მახასიათებელი

responsibility 1. პასუხისმგებლობა; 2. ვალდებულება; 3. გადახდისუნარიანობა; **civil ~** მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა; **financial ~** გადახდისუნარიანობა; **management ~** ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

responsibility პასუხისმგებლობა

responsible 1. პასუხისმგებელი; 2. საიმედო, ნდობის ღირსი; 3. საპასუხისმგებლო, მნიშვნელოვანი; **equally ~** თანაბრად პასუხისმგებელი; **jointly ~** ერთობლივად პასუხისმგებელი

responsiveness რეაგირების უნარი; **~ to monatery policy** რეაქცია ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე

rest 1. ნარჩენი, სალდო; 2. სარეზერვო ფონდი; 3. დასვენება

restitution 1. ანაზღაურება; 2. რესტიტუცია

restock მარაგის შევსება

restoration აღდგენა

restore აღდგენა

restrain 1. შენელება; შეკავება: შეზღუდვა; 2. აკრძალვა

restraint 1. შემკავებლობა; შეზღუდულობა; 2. აკრძალვა; **~ of trade** ვაჭრობის შეზღუდვა; **budgetary ~** ბიუჯეტური ხარჯების შეზღუდვა; **credit ~** კრედიტის შეზღუდვა; **~ of trade** ვაჭრობის შეზღუდვა; **regulatory ~** რეგულირებული საქმიანობა

restrict შეზღუდვა

restricted შეზღუდული

restriction 1. შეზღუდვა; 2. შემზღუდავი ღონისძიებები; 3. დაბრკოლება; შეფერხება **~ of production** წარმოების შეზღუდვა; **ceiling ~s on lending** კრედიტის მაქსიმალური ზღვარი; **impose ~s** შეზღუდვის წარმოება; **ordering ~** შეკვეთის სიდიდის შეზღუდვა

restructure სტრუქტურის შეცვლა; გადაკეთება, გარდაქმნა

result 1. შედეგი, რეზულტატი, მაჩვენებელი; 2. დამთავრება; დასრულება **actual** ~ საკონტროლო შესწავლა; **arbitrary** ~ საარბიტრაჟო შედეგი; **assessed** ~ შეფარდებითი მაჩვენებელი; **experimental** ~ ექსპერიმენტული შედეგი; **favorable** ~ სასურველი შედეგი; **inspection** ~ შემოწმების შედეგი; **predicted** ~ პროგნოზირებადი შედეგი; **sampling** ~ შერჩევის შედეგი

results driven შედეგებით მართული

results-driven mission შედეგებით განსაზღვრული მისია

resume 1. შედეგების შეჯამება; რეზუმირება; 2. გაგრძელება; განახლება

resumption განახლება

retail 1. ცალობით გაყიდვა; 2. საცალო ვაჭრობა

retailer 1. ცალობით მოვაჭრე; 2. საცალო ვაჭრობის საწარმო

retailing ცალობით ვაჭრობა; **franchise** ~ საცალო ვაჭრობა სპეციალიზებული კონტრაქტების საფუძველზე

retailment საცალო ვაჭრობა

retaliate საპასუხო ღონისძიების მიღება

retaliation საპასუხო ღონისძიება; ~ **strategy** მოწინააღმდეგის ქმედებაზე საპასუხო რეაქციის გამოყენების სტრატეგია

retardation შენელება; **growth** ~ ზრდის ტემპის შენელება

retention 1. დაკავება; 2. დამახსოვრების უნარი

reticent შეზღუდული, შენელებული

retire 1. ბრუნვიდან ამოღება; გამოსყიდვა; დაფარვა; 2. პენსიაში გასვლა

retiree პენსიონერი, სამსახურიდან გადამდგარი

retirement 1. ბრუნვიდან ამოღება; გამოსყიდვა; დაფარვა; 2. დემონტაჟი; 3. გადადგომა; პენსიაში გასვლა; 4. სამსახურიდან გადადგომა; სამსახურიდან გადაყენება **physical disability** ~ მუშაობისათვის თავის დანებება ჯანმრთელობის გამო

retrace(ment) რეტრასმენტი; ფასის ცვლილება წინა მიმართულების საწინააღმდეგოდ

retraining გადამზადება (კადრებისა); **occupational** ~ კვალიფიკაციის შეცვლა

retrench ეკონომიის გაწევა; ჩამოჭრა; შემცირება (ხარჯისა)

retrenchment ეკონომია; შემცირება; ჩამოჭრა

retroactive legislation უკუსაწინააღმდეგო კანონმდებლობა; კანონს ცვლის ისე, რომ ჩადენილი უკანონო ქმედება ცხადდება კანონიერად. ასევე, უწინ კანონიერად ჩათვლილი ქმედება, შესაძლოა უკანონოდ გამოაცხადოს მთავრობამ და რეტროაქციულად მიიღოს დამსჯელი ზომა

return 1. დაბრუნება; ანაზღაურება; 2. *pl.* უკან დაბრუნებული საქონელი; 3. შემოსავალი; ამონაგები; მოგება; 4. ბრუნვა; ~ **of amount overpaid** შეცდომით გადარიცხული თანხის უკან დაბრუნება; ~ **of commission** გადახდილი საკომისიო დაჯილდოების უკან დაბრუნება; ~ **of drawback** გადახდილი ბაჟის უკან დაბრუნება; ~ **of premium** სადაზღვევო შენატანის უკან დაბრუნება; **annual** ~ წლიური შემოსავალი; **average** ~ საშუალო შემოსავალი; **average annual** ~ საშუალო წლიური შემოსავალი; **bank** ~ ბანკის ანგარიშგება; ბანკის ბალანსი; **budgeted** ~ ხარჯთაღრიცხვის შემოსავლიანობა; **census** ~ აღწერის შედეგები; **clearing house** ~

საანგარიშსწორებო პალატის წევრების პერიოდული ბალანსი; combined ~ ნაერთი ანგარიში; consolidated ~ ერთობლივი მოგება; constant ~ of scale მასშტაბის უცვლელი ეფექტი; differential ~ მოგების ნორმის სხვადასხვაობა; employer's ~ დამქირავებლის ამონაგები; ~ on equity უკუგება აქციაზე; estimated ~ სავარაუდო შემოსავალი; expected ~ მოსალოდნელი შემოსავალი; factor ~s წარმოების ფაქტორების შემოსავალი; fixed ~ მუდმივი მოგება; gross ~ მთლიანი შემოსავალი; increasing ~ of scale მასშტაბის ზრდადი ეფექტი; inflated corporate ~s კორპორაციის გაბერილი მოგება; interest ~ მოგება პროცენტის სახით; marginal ~ ზღვრული მოგება; net ~ per yield unit წმინდა მოგება ერთეულ პროდუქციაზე; ~ on assets უკუგება აქტივზე; მომგებიანობის ინდიკატორი; social ~ საზოგადოებრივი შემოსავალი; subcompetitive ~ მოგება საშუალო კონკურენტულ დონეზე დაბლა; supercompetitive ~ მოგება საშუალო კონკურენტულ დონეზე მაღლა; tax ~ საგადასახადო შემოსავალი

reusability ხელმეორედ გამოყენების უნარი

reuse ხელმეორედ გამოყენება

revaluation 1. რევალვაცია, ღირებულების მომატება; გადაფასება; 2. ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის საკანონმდებლო ზრდა (ფიქსირებული საგადამცვლელო კურსის დროს); ~ of assets აქტივების ღირებულების გადაფასება

revamp ხელმეორედ გამოყენება

reveal 1. გახსნა; მხილება; 2. ჩვენება; შემჩნევა

revenue 1. შემოსავალი; 2. *pl.* სახელმწიფო შემოსავალი; 3. შემოსავლის წყარო; aggregate gross ~ ერთობლივი მთლიანი შემოსავალი; average ~ per unit საშუალო მოგება წარმოებულ ერთეულ პროდუქტზე; budget ~ საბიუჯეტო შემოსავლები; earned ~ მიღებული შემოსავალი; excess baggage ~ ზედმეტ ტვირთზე ამონაგები; freight ~ ტვირთის გადაზიდვის ამონაგები; operating ~ ექსპლუატაციიდან ამონაგები; overall operating ~ შემოსავლები ძირითადი საქმიანობიდან; public ~s სახელმწიფო შემოსავლები; social ~s საზოგადოებრივი შემოსავლები; tax ~s საგადასახადო შემოსავლები; unearned ~ ავანსად მიღებული შემოსავალი; utility ~ კომუნალური წარმოების ამონაგები

reverification კვლავშემოწმება; პერიოდული შემოწმება

reverse უკუ; ~ discrimination უკუდისკრიმინაცია; დაცული კლასის არჩევითად უკეთესი მოპყრობა; ~ stock split აქციის უკუდანაწევრება; აქციების რაოდენობის პროპორციული შემცირება გარდა არააქციონერთა აქციების წილის ღირებულებისა

reversal 1. უკუმოძრაობა, მობრუნება; 2. შეცვლა, ანულირება; 3. ინვერსია

reverse 1. საწინააღმდეგო, უკუ; 2. მიმართულების სწრაფი შეცვლა; 3. ანულირება

reversibility უკუქცევადობა

review 1. განხილვა, ანალიზი; მიმოხილვა; გადასინჯვა; 2. შემოწმება; budgetary ~ საბიუჯეტო მიმოხილვა; continual ~ უწყვეტი მოქმედება; final

~ საბოლოო შემოწმება

revise 1. შემოწმება, გასინჯვა; შესწორება; 2. შემოწმება, რევიზია; 3. გადამუშავება

revision 1. გადასინჯვა; შემოწმება; რევიზია; 2. შესწორება; დაზუსტება

revisionist policy რევიზიონისტული პოლიტიკა; საგარეო პოლიტიკა, რომლის დროს სახელმწიფო ცდილობს შეცვალოს არსებული ტერიტორიული, იდეოლოგიური ან ძალთა დისტრიბუცია თავის სასარგებლოდ

revival 1. გამოცოცხლება; 2. ძალაში კვლავ შესვლა; 3. აღორძინება; ~ **of trade** ვაჭრობის გამოცოცხლება

revive გამოცოცხლება; აღდგენა

revocable შეცვლადი; შესაცვლელი კანონი; დასაბრუნებელი კანონი

revocation გაუქმება, ანულირება

revoke 1. შეცვლა; ანულირება; 2. გამოხმობა; გამოძახება

revolution 1. რევოლუცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში მომხდარი ძირფესვიანი გადატრიალება, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა გარდაქმნა; 2. ძირფესვიანი ცვლილება, გადატრიელება ცოდნის რაიმე დარგში, ტექნიკაში, ხელოვნებასა და სხვ.; 3. ნახტომისებური გადასვლა ერთი თვისობრივი მდგომარეობიდან მეორეში რაოდენობრივ ცვლილებათა თანდათანობითი დაგროვების შედეგად; **agricultural** ~ გადატრიალება მიწათმოქმედებაში; **commercial** ~ რევოლუცია საბაზრო სფეროში; **demographic** ~ დემოგრაფიული რევოლუცია; **industrial** ~ სამრეწველო რევოლუცია; **managerial** ~ მმართველობითი რევოლუცია

revolutionary violence რევოლუციური ძალმომრეობა; დიდმასშტაბიანი სტრატეგიული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილების მოსახდენად განხორციელებული ძალმომრეობა

reward ჯილდო; წახალისება, დაჯილდოება; **due** ~ სათანადო წახალისება; **extrinsic** ~ გარე წახალისება, გარე წაქეზება, გარე დაჯილდოება; **intrinsic** ~ შიგა დაჯილდოება; **monetary** ~ ფულადი დაჯილდოება

rewarding წამახალისებელი

rhetoric რიტორიკა; თანამედროვე მნიშვნელობით, აღნიშნავს „ხელოვნურ მჭერმეტყველებას" ნაცვლად სერიოზული მეცნიერული მსჯელობისა

rich 1. მდიდარი; 2. ძვირფასი; 3. ფასიანი

riches სიმდიდრე; სიუხვე


rider დამატებითი პუნქტი, დამატებითი სტატია (დოკუმენტში)

right 1. უფლება; 2. *pl.* უფლებები; 3. ნამდვილი ფაქტები; 4. სწორი; ნამდვილი; ~ **to work** შრომის უფლება; ~ **of coinage** ფულის მოჭრის უფლება; ~ **of issuing notes** ბანკნოტების ემისიის უფლება; ~ **of redemption** გამოსყიდვის უფლება; **dividend** ~**s** დივიდენდის მიღების უფლება; **operating** ~**s** ექსპლუატაციის უფლება; **proprietary** ~ საკუთრების უფლება; **tenant** ~ იჯარის უფლება

rights offering უფლებათა შეთვაზება; „უფლებათა" გადაცემა მიმდინარე აქციონერთათვის, დამატებითი აქციების შესასყიდად, ჩვეულებრივ, ფასდაკლებით

rigidity სიმკაცრე; **price** ~ არაელასტიკური ფასი

rigorous მკაცრი; ზუსტი
ring 1. რინგი; 2. საბირჟო წრე
rise 1. ამაღლება; მატება, ზრდა; 2. დანამატი; 3. წარმოშობა; დასაწყისი; ~ of stock აქციის კურსის ზრდა
risk 1. რისკი; რისკის გაწევა; 2. საშიშროება; ~ of currency depreciation ვალუტის გაუფასურების რისკი; ~ of error შეცდომის საშიშროება; ~ pool რისკის განაწილება; insurance ~ სადაზღვევო რისკი; actual ~ ფაქტობრივი რისკი; admissible ~ დასაშვები რისკი; assigned ~ რისკის დადგენილი დონე; buyer's ~ მომხმარებლის რისკი; constant ~ მუდმივი რისკი; contractor's ~ დამკვეთის რისკი; ფული, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული ხარჯებისათვის; producer's ~ მიმწოდებლის რისკი; standard ~ ნორმალური რისკი; ~ taking რისკზე წასვლა; tolerated ~ დასაშვები რისკი; variable ~ ცვლადი რისკი
rite წეს-ჩვეულება; წესი; რიტუალი
rival 1. კონკურენტი; მეტოქე; მოწინააღმდეგე; 2. კონკურენციის გაწევა
rivalry მეტოქეობა; კონკურენცია
road გზა
roadblock 1. პრობლემა; 2. სირთულე
role როლი; მორიგეობათა და აქტიურობათა ნაკრები, რომელიც გამიზნულია პიროვნებისთვის
roll 1. სია; უწყისი; 2. რულონი; 3. წინსვლა; supporting ~ დამხმარე უწყისი; utilization ~ ექსპლუატაციის ანგარიში
rollback შემცირებული საბაზრო ფასი
room 1. ოთახი; 2. სათავსი; 3. ადგილი; სივრცე
root 1. ფესვი; 2. მოსახლეობის ამოსავალი ერთიანობა
rotate შენაცვლება; მონაცვლეობა
rotation 1. მონაცვლეობა; პერიოდული განმეორება; 2. კაპიტალის ბრუნვა; stock ~ სასაქონლო მარაგის ბრუნვა
roughly უხეშად; მიახლოებით
round 1. ციკლი; 2. რაუნდი, ტური (მოლაპარაკებათა)
rounded-off დამრგვალებული
route 1. ნაკადურობა; 2. გზა; სელაგეზი, მარშრუტი, მიმართულება; marginal ~ წამგებიანი ხაზი; optimal ~ ოპტიმალური მარშრუტი
routine 1. დადგენილი პრაქტიკა; განსაზღვრული რეჟიმი; 2. მუშაობის ნორმალური რეჟიმი; გეგმითი სამუშაოების მიმდინარეობა; 3. რუტინა; 4. ყოველდღიური პროფილაქტიკა; ~ inspections რუტინული ინსპექციები; office ~ საქმის წარმოების წესები
row 1. რიგი, მწკრივი; 2. პწკარი
royalty 1. მიწის ქონების ან წიაღისეულის დამუშავების უფლება; 2. საიჯარო გადასახადი; 3. საავტორო ჰონორარი
rule 1. წესი; დადგენილება; დაწესება; 2. ძალაუფლება, ბატონობა, მართვა; ~ of The game თამაშის წესი; decision ~ გადაწყვეტილების მიღების წესი; disclosure ~ მონაცემების გამოქვეყნების აკრძალვის წესი; first-in-first-served ~ მომსახურების პრინციპი რიგითობის მიხედვით; ~ of law კანონის უზენაესობა; მოთხოვნა, რომ სახელმწიფოში ყველა სააგენტოს ძალაუფლება შემოსაზღვრული უნდა იყოს გარკვეული კანონით და რომ უზენაესი სასამართლოს დანიშნულებაა განსაზღვროს ის შემთხვევები,



რომლებიც კანონიერების ფარგლებს სცილდება; **operating ~** უწყვეტი მომსახურების წესი; **random ~** შემთხვევითი შერჩევის წესი; **team decision ~** კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების წესი

ruler გამგებელი; მმართველი

rules of warfare ომის წარმოების წესები; საერთაშორისო სამართლის მიერ განსაზღვრული პრინციპები, რომლებიც უნდა მართავდეს საომარ მდგომარეობაში მყოფი ყველა ქვეყნის ქმედებას

ruling 1. მმართველობა; ბატონობა; (მაგ. ფირმისა ბაზარზე); 2. არსებული; მიმდინარე

ruminate მოფიქრება; მოსაზრება (გეგმისა ან პროექტისა)

rummage 1. საბაჟ. შემოწმება საბაჟოში; 2. ჩხრეკა; განხილვა

run 1. გარბენა; რეისი, კურსირება; 2. სვლა, მუშაობა; 3. დინება; 5. სერია; პარტია; 6. საწარმოო ციკლი; 7. დროის მონაკვეთი; 8. გაძღოლა, მართვა, ექსპლუატირება; **large ~** დიდი პარტია; **nonstop ~** შეუჩერებელი მუშაობა; **production ~** საწარმოო პერიოდი; **short ~** მოკლევადიანი მუშაობა; მცირე პარტია; **variable size ~** სხვადასხვა ზომის პარტია

rundown შემცირება

running 1. რეისი; 2. მუშაობა; 3. მიმდინარე

rural სასოფლო; **~ exodus** ხალხის დიდი რაოდენობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში

ruralization აგრარიზაცია

rush 1. დაწოლა; სწრაფად შესრულება; 2. დიდი მოთხოვნა; **gold ~** ოქროს ციებ-ცხელება

sack *sl.* დათხოვნა

sacrifice ზარალი, დანაკლისი; **~ of waiting** მოცდით გამოწვეული ზარალი

safe 1. სეიფი; 2. უსაფრთხო; გარანტირებული

safeguard 1. შენახვის გარანტია; 2. უსაფრთხოება, წინდახედულობა

safety უსაფრთხოება; **~ needs** უსაფრთხოების მოთხოვნილებები; დაცვის, წესრიგის, შიშისგან თავისუფლების და ა.შ. მოთხოვნილებები. ჩართულია Maslow-ს მოთხოვნილებათა იერარქიაში

salability საქონლის გასაღების შესაძლებლობა

salable 1. გასავლიანი; 2. გასაყიდად ვარგისი; 3. შესაფერი; მისაღები

salaried human resourses შტატში მყოფი, მყარი ხელფასის მქონე ადამიანური რესურსები

salary 1. ანაზღაურება; 2. *pl.* ხელფასის ფონდი; **annual ~** წლიური ხელფასი; **basic ~** ძირითადი ხელფასი; **~ range** ხელფასის დიაპაზონი; განსხვავება ყველაზე მცირე („იატაკი") და ყველაზე მაღალ („ჰერი") ხელფასებს შორის; **regular ~** რეგულარული ხელფასი; **~ reform** ხელფასის რეფორმა; **stated ~** მყარი ხელფასი

sale 1. გაყიდვა, გასაღება; 2. ვაჭრობა; 3. ფასდაკლებული გაყიდვა; 4. საქონლის ბრუნვა; **~s charge** გაყიდვის ფასი; გადასახადი, რომელსაც იხდის საერთო ფონდი აქციათა შესყიდვისას; **account ~s** ანგარიში რეალიზაციის შესახებ; **annual ~s** გასაღების წლიური მოცულობა; **average ~**

გასაღების საშუალო მოცულობა; **block** ~ პარტიის გაყიდვა; **bulk** ~ საქონლის მთლიანი გაყიდვა; **cash** ~ ნაღდი ფულით გაყიდვა; **catalog** ~ შემცირებული ფასებით გაყიდვა; **clearance** ~s დღიური ბრუნვა; **daily** ~s გადავადებული გაყიდვა; **delayed** ~ ფასდაკლებით გაყიდვა; **gross** ~s გაყიდვის საერთო მოცულობა; **illicit** ~ დახლქვეშიდან გაყიდვა; **panic** ~s **of security** ~ ფასიანი ქაღალდების სასწრაფო გაყიდვა

salesman 1. გამყიდველი; 2. სავაჭრო აგენტი

salesmanship 1. ვაჭრობა; 2. გამყიდველის ხელოვნება

salvage 1. ქონების გადარჩენა; 2. ქონების გადარჩენის ხარჯები; 3. უვარგისი საქონლის რეალიზაცია; 4. წარმოების ნარჩენები

sample 1. ნიმუში, სინჯი; ნიმუშის შერჩევა; 2. შერჩევითი პარტია; **area** ~ ტერიტორიული შერჩევა; **assay** ~ ნიმუშის ანალიზისათვის შერჩევა; **balanced** ~ გათანაბრებული შერჩევა; **free** ~ უფასო ნიმუში; **item** ~ ნაკეთობის ნიმუში; **multipurpose** ~ მრავალმიზნიანი შერჩევა; **pilot** ~ საცდელი ნიმუში; **production** ~ სერიული ნიმუში; **quota** ~ პროპორციული შერჩევა; **random** ~ შემთხვევითი შერჩევა; **replicate** ~ განმეორებითი შერჩევა; **single** ~ ერთჯერადი შერჩევა; **survey** ~ გამოკვლევის შერჩევა; **urbanized** ~ ობიექტური შერჩევა

sampling 1. შერჩევითი მეთოდი; შერჩევითი გამოკვლევა; **area** ~ ტერიტორიული შერჩევა; **biased** ~ არაობიექტური შერჩევა; **cluster** ~ ჯგუფური შერჩევა; **duplicate** ~ განმეორებითი შერჩევა; **proportional** ~ პროპორციული შერჩევა; **random** ~ შემთხვევითი შერჩევა; **repeated** ~ განმეორებითი შერჩევა; **time** ~ დროში შერჩევა; **truncated** ~ შეკვეცილი შერჩევა

sanction 1. სანქცია; რატიფიკაცია; დამტკიცება; 2. აკრძალვა; აკრძალვითი ღონისძიებები; 3. *pl.* სანქციები (დიპლომატიური, ეკონომიკური, სოციალური)

satiety სისავსე

satisfaction დაკმაყოფილება; ~ **on wants** მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

satisfactory დამაკმაყოფილებელი

saturate გაჯერება (ბაზრისა)

saturation გაჯერებულობა; **demand** ~ მოთხოვნის გაჯერება

save 1. შენახვა, ეკონომია; 2. დაგროვება

saving ეკონომია, დაზოგვა; ეკონომიური, დამზოგი; დანაზოგი; **annual** ~ წლიური ეკონომია; **compulsory** ~ იძულებითი დაზოგვა; **cost** ~ წარმოების ხარჯების დაზოგვა; **domestic** ~ შიგა დანაზოგი; **excess** ~ ჭარბი დაგროვება; **forced** ~ იძულებითი დანაზოგი; **full employment** ~s დაზოგვა მთლიანი დასაქმების პირობებში; **gross** ~s ერთობლივი დანაზოგი; მთლიანი დაგროვება; **household** ~s ოჯახის დანაზოგი; **involuntary** ~s იძულებითი დაზოგვა; **net** ~s წმინდა დაგროვება; **personal** ~s პირადი დანაზოგი; **purpose** ~ მიზნობრივი დაზოგვა; **voluntary** ~s ნებაყოფილობითი დაზოგვა

scalar principle შკალარული პრინციპი; მის თანახმად ორგანიზაციაში ძალაუფლება და პასუხისმგებლობა სწორხაზობრივად, ვერტიკალური მიმართულებით უნდა მიედინებოდეს

ზემოთა საფეხურიდან ქვემოთ

scale 1. მასშტაბი; ზომა; 2. სკალა; 3. დონე, საფეხური; 4. *pl.* სასწორი; ~ of accumulation დაგროვების მასშტაბი; ~ of charges ანაბრების სკალა; ტარიფი; ~ of commissions საკომისიო დაჯილდოების სკალა; ~ of decrease შემცირების სკალა; ~ of increase ზრდის სკალა; ~ of living ცხოვრების დონე; ~ of payment ხელფასის განაკვეთების სკალა; ~ of prices ფასების სკალა; ~ of production წარმოების მასშტაბი; ~ of taxes საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთების სკალა; ~ of values ფასეულობათა სკალა; ~ of wages ხელფასის სკალა; automatic ~s ავტომატური სასწორი; chart ~ 1. დიაგრამის მასშტაბი; 2. დიაგრამის სკალა; daily ~ სადღეღამისო სკალა; efficient ~ ეფექტურობის მასშტაბი; industrial ~ საწარმოო მასშტაბი; performance rating ~ შრომის ინტენსიურობის შეფასების სკალა; preference ~ უპირატესობის მინიჭების სკალა; sliding ~ მცოცავი სკალა; time ~ დროის მასშტაბი; utility ~ სარგებლიანობის სკალა

scamp სწრაფად და უხარისხოდ მუშაობა

scan თაღლითობა; გაიძვერობა; ტყუილი

scant მწირი, შეზღუდული

scarce არასაკმარისი; მწირი; დეფიციტური

scarcity 1. ნაკლებობა; უკმარისობა; 2. იშვიათობა; 3. სიძვირე; 4. გაჭირვება; ~ of capital კაპიტალის უკმარისობა; ~ of labor სამუშაო ძალის უკმარისობა; ~ of money ფულის უკმარისობა; ~ of supplies არასაკმარისი მომარაგება; natural ~ies რესურსების შეზღუდულობა; temporary ~ დროებითი უკმარისობა

scatter 1. გაბნევა; გაფლანგვა; 2. პროექტის ჩაშლა; incoherent ~ უწესრიგო გაფანტვა; uniform ~ თანაბარი გაფანტვა

schedule 1. განრიგი; გრაფიკი; გრაფიკის შედგენა; 2. კალენდარული გეგმა, პროგრამა; 3. სქემა; სკალა; 4. რეჟიმი; consumption ~ მოხმარების გრაფიკი; cost ~ წარმოების ხარჯების ცხრილი; delivery ~ მიწოდების კალენდარული გეგმა, მიწოდების ვადები; demand ~ მოთხოვნის გრაფიკი; depreciation ~ ამორტიზაციის რეგლამენტი; feasible ~ მკაცრი გეგმა; detail ~ დეტალური კალენდარული გეგმა; feeding ~ კვების რეჟიმი; flat ~ რეალური გეგმა; flight ~ თვითმფრინავების ფრენის გრაფიკი; income tax ~ საშემოსავლო გადასახადის სკალა; job ~ ანკეტა; leave ~ შვებულებათა გრაფიკი; master ~ ძირითადი გრაფიკი; plant ~ საწარმოს მუშაობის გრაფიკი; rate ~ მუშაობის კალენდარული გეგმა; rolling ~ სატარიფო განაკვეთი; saving ~ მცოცავი კალენდარული გეგმა; supply ~ მიწოდების გრაფიკი; supporting ~ დამატებითი უწყისი; tax ~ საგადასახადო განაკვეთების სკალა; tentative ~ წინასწარი გრაფიკი; tight ~ მჭიდრო გრაფიკი; verification ~ შემოწმების განრიგი; work ~ მუშაობის კალენდარული გეგმა

scheduled დაგეგმილი; გათვალისწინებული; მოსალოდნელი

scheduling 1.განრიგის შედგენა; 2. კალენდარული გეგმა; inventory ~ მარაგის მოძრაობის დაგეგმვა; manpower ~ სამუშაო ძალის გამოყენების გრაფიკის შედგენა; replacement ~ მოწყობილობის შეცვ-

ლის გეგმის შედგენა; **short-term** ~ მოკლევადიანი კალენდარული გეგმა

scheme 1. გეგმა; პროგრამა; პროექტი; 2. სქემა; დიაგრამა; 3. სტრუქტურა, სისტემა; ~ **of payment** შრომის ანაზღაურების სისტემა; ~ **of society** საზოგადოების სტრუქტურა; ~ **of values** ფასეულობათა სისტემა; **arbitration** ~ არბიტრაჟის წესი; **bonus** ~ მოგებაში მონაწილეობის სქემა; **coding** ~ კოდირების სისტემა; **educational** ~ განათლების სისტემა; **farm capital grant** ~ სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდების სუბსიდირების პროგრამა; **incentive** ~ მატერიალური სტიმულირების სქემა; **materials allocation** ~ მატერიალური რესურსების სახელმწიფო განაწილების სისტემა; **optimization** ~ ოპტიმიზაციის სქემა; **registration** ~ რეგისტრაციის სისტემა; **reproduction** ~ კვლავწარმოების სქემა; **sampling** ~ შერჩევითი სქემა

schism გათიშვა; განხეთქილება

schismatic გამთიშველი; განხეთქილების ჩამომგდები

school სკოლა, სასწავლებელი; ~ **of economics** ეკონომიკური ფაკულტეტი; **correspondence** ~ დაუსწრებელი სკოლა; **general education** ~ საერთო-საგანმანათლებლო სკოლა; **grammar** ~ საშუალო კლასიკური სკოლა; საერთო-საგანმანათლებლო სკოლა; **high** ~ საშუალო სკოლა; **higher** ~ უმაღლესი სკოლა; **junior elementary** ~ დაწყებითი სკოლა; **residential** ~ სკოლა-ინტერნატი; **vocational** ~ საწარმოო-ტექნიკური სასწავლებელი

schooling განათლება; სწავლება სკოლაში; **popular** ~ სახალხო განათლება; **universal** ~ საყოველთაო განათლება

science მეცნიერება; **applied** ~ გამოყენებითი მეცნიერება; **exact** ~ ზუსტი მეცნიერება; **natural** ~ საბუნებისმეტყველო მეცნიერება; **pure** ~ წმინდა მეცნიერება; **social** ~ სოციოლოგია

scientist მეცნიერი

scope 1. ზღვარი; საზღვარი, ჩარჩო; 2. მასშტაბი; სფერო

score 1. ანგარიში; დავალიანება, ვალი 2. მოგება

scrap ჯართი; საწარმოო ნარჩენები (ლითონისა)

screen out applications სამუშაო ადგილზე განმცხადებელთა გაცხრილვა

scrip 1. დროებითი ხელწერილი ფულის მიღებაზე; 2. დროებითი სერტიფიკატი აქციის მფლობელობაზე; 3. საგარეო ვალის უზრუნველსაყოფი სახელმწიფო სუბიექტები

scrutineers დამკვირვებლები; "პარტიის აგენტები", რომლებიც იმყოფებიან ყველა საარჩევნო უბანში

scrutinize დაწვრილებითი განხილვა, შემოწმება, გამოკვლევა

scrutiny 1. გამოწვლილვით განხილვა; ანალიზი; 2. გამოკვლევა; შემოწმება

seal 1. დამტკიცება; საბოლოოდ გადაწყვეტა; 2. ბეჭედი; დამღა; პლომბი; შანთი; ლუქი; 3. ბეჭდის დასმა; 4. დასტურის ნიშანი; ~ **of company** კომპანიის ბეჭედი; **customs** ~ საბაჟოს ბეჭედი; საბაჟოს ლუქი

search 1. ძებნა; 2. გამოკვლევა; კვლევა; 3. ძებნის ჩატარება; 4. კვლევის ჩატარება; **direct** ~ უშუალო ძიება; **sequential** ~ თანმიმდევრული ძიება

season სეზონი; სეზონური; **forthcoming** ~ მომავალი სეზონი; **rush** ~ ჰარბი მოთხოვნების სეზონი

seasonal სეზონური

seasonality სეზონურობა

seclude პრივილეგიის ჩამორთმევა

second world მეორე სამყარო; ქვეყნების ჯგუფი, რომელთა ეკონომიკა ცენტრიდან იგეგმება. მაგ., ყოფილი სსრკ, აღმოსავლეთი ევროპა

secondary მეორეული; მეორეხარისხოვანი; ~ market მეორადი ბაზარი; სადაც შეიძლება უკვე მფლობელობაში არსებული აქციების ყიდვა ან გაყიდვა; ~ sector მეორადი სექტორი; ეკონომიკის ნაწილი, რომელიც ემყარება სამრეწველო წარმოებას; მაგალითად, რკინისა და ლითონის მრეწველობა ან ავტომობილთა წარმოება

secondhand გამოყენებული; ნახმარი

seconding მხარდაჭერა

secretary 1. მდივანი; 2. მინისტრი; company ~ ფირმის საქმეთა მწარმოებელი; ~ general გენერალური მდივანი

section განყოფილება; სექცია, ქვედანაყოფი; factory accounting ~ საწარმოს საბუღალტრო განყოფილება; work ~ საწარმოო ტერიტორია

sector 1. სექტორი; სფერო, დარგი; 2. ნაწილი; ფართობი; ~ of industry მრეწველობის სექტორი; agricultural ~ სასოფლო-სამეურნეო სექტორი; artisan ~ კუსტარული წარმოება; banking ~ საბანკო სექტორი; corporate ~ სამრეწველო კორპორაცია; crafts ~ ხელოსნური წარმოება; financial ~ ფინანსური სექტორი; lagging ~ ჩამორჩენილი დარგი; leading ~ მთავარი (წამყვანი) სექტორი; manufacturing ~ გადამამუშავებელი მრეწველობა; private ~ კერძო სექტორი; public ~ სახელმწიფო სექტორი; rural ~ სოფლის მოსახლეობა; subsistence ~ არასასაქონლო სექტორი; supply and marketing ~ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მარკეტინგის დარგები; tertiary ~ მომსახურების სექტორი; urban ~ ქალაქის მოსახლე-ობა

sectoral shift სტრუქტურული ძვრა; ეკონომიკის დარგობრივი ან რეგიონალური სტრუქტურის შეცვლა

secular 1. მუდმივად მოქმედი; ხანგრძლივი; 2. საუკუნებრივი (ციკლი)

secure 1. უზრუნველყოფა, გარანტირება; უზრუნველყოფილი, გარანტირებული; 2. დაზღვეული; 3. მიღება, მიცემა

secured 1. უზრუნველყოფილი, გარანტირებული; 2. რისკისგან დაზღვეული

security 1. უსაფრთხოება, საიმედოობა; დაცვა; 2. გარანტია, უზრუნველყოფა; გირაო; 3. თავდები; 4. *pl.* ფასიანი ქაღალდები; active ~ies ბაზარზე აქტიურად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდები; accrued interest ~ies ფასიანი ქაღალდები დაგროვებადი პროცენტული გადასახადები; ample ~ საკმაო უზრუნველყოფა; cash ~ ფულადი უზრუნველყოფა; convertible ~ ies კონვერტირებადი უზრუნველყოფა; foreign ~ies უცხოური ფასიანი ქაღალდები; high yielding ~ies მაღალშემოსავლიანი ფასიანი ქაღალდები; hot government ~ies ბოლო გამოშვების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; job ~ სამუშაო ადგილით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები; local ~ies ფასიანი ქაღალდები გამოშვებული ადგილობრივ ორგანოთა ხელისუფლების მიერ; municipal ~ies მუნიციპალიტეტის მიერ გამოწერილი ფასიანი ქაღალდები; national ~ies სახელმწიფო უშიშროება; nontaxable ~ies გადასახადისგან თავისუფალი ფასიანი

ქაღალდები; **off-board ~ies** გადასაცემი ფასიანი ქაღალდები; **public ~ies** სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები; **quoted ~ies** ფასიანი ქაღალდების კოტირება; **registered ~ies** ნივთიერი უზრუნველყოფა; **social ~** 1. სახელობითი ფასიანი ქაღალდები; 2. სოციალური უზრუნველყოფა; **state ~ies** სახელმწი-ფო ფასიანი ქაღალდები; **unlisted ~ies** ბირჟაზე დაუშვებელი ფასიანი ქაღალდები; **wildcat ~ies** ყალბი ფასიანი ქაღალდები

segment 1. წილი, ნაწილი; 2. სეგმენტი; 3. მონაკვეთი; **~ of industry** მრეწველობის დარგის ნაწილი; **~ of money market** სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილი; **sample ~** გამოკვლევისათვის შერჩეული მონაკვეთი

segmentation სეგმენტიზაცია

segregate გამოყოფა; განკერძოება; განცალკევება

segregation 1. გამოყოფა; იზოლაცია; 2. სეგრეგაცია

seigniorage 1. სახელმწიფოს შემოსავალი ფულის დამატებითი რაოდენობის გამოშვების შედეგად; 2. ინფლაციის გადასახადი

select შერჩევა, სელექცია

selection შერჩევა, გადარჩევა, სელექცია; **portfolio ~** პორტფელის აქტივების შერჩევა

selectively შერჩევითად

selectivity შერჩევითობა, სელექციურობა

selectorate სელექტორატი; ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კანდიდატთა შერჩევაში

self insurance თვითდაზღვევა; **~-actualization needs** თვითაქტუალიზაციის საჭიროებები

self interest პირადი ინტერესი, კერძო ინტერესი

self-contained ჩაკეტილი; იზოლირებული (მაგ. სისტემა); შემოფარგლული

self-control თვითრეგულირება

self-cost თვითღირებულება

self-determination თვითგამორკვევა

self-employed საკუთარი საქმით დაკავებული

self-financing თვითდაფინანსება

self-government თვითმმართველობა (პირის, ჯგუფისა ან დაწესებულებისა)

self-insurance თვითდაზღვევა

self-interest ეგოიზმი; პირადი ინტერესი

self-liquidation თვითდაფარვითი ლიკვიდაცია

self-managed team თვითმმართველი ჯგუფი

self-management თვითმმართველობა

self-purification თვითგაწმენდა

self-repayment თვითანაზღაურება

self-service თვითმომსახურება

self-sufficiency თვითდაკმაყოფილება; თვითანაზღაურება

sell გაყიდვა

seller 1. გამყიდველი; 2. გასაველიანი საქონელი; **bear ~** ფასის დაკლებაზე მოთამაშე სპეკულანტი; **bull ~** ფასის მომატებაზე მოთამაშე სპეკულანტი

selling გაყიდვა; **installment ~** განვადებით ვაჭრობა; **bulk ~** ბითუმად გაყიდვა; **distress ~** იძულებით გაყიდვა; **door-to-door ~** მიტანით ვაჭრობა; **installment ~** განვადებით ვაჭრობა; **reciprocal ~s** ორმხრივი ვაჭრობა; **~ short** მოკლე გაყიდვა; თუკი ინვესტორი ფიქრობს, რომ აქციის ფასი დაეცემა, მას შეუძლია ისესხოს აქცია ბროკერისაგან და გაყიდოს იგი

sell-off გაყიდვა (ფასდაკლებით)

semi-colonial ნახევრადკოლონიალური
semidurables საქონელი შეზღუდული მოხმარების ვადით
semifinished ნახევრადდამუშავებული, ნახევარფაბრიკატი
semi-official ოფიციოზური; ნახევრადოფიციალური
semipermanent თითქმის უცვლელი
semiproduct ნახევარფაბრიკატი, ნამზადი
semis ნახევარფაბრიკატი, ნამზადი
semiskilled არასაკმაოდ კვალიფიცირებული
senility დაძველება; მოხუცებულობა
senior უფროსი; ~ executive service უმაღლესი აღმასრულებელი სამსახური; ~ fellow ასპირანტი
seniority 1.შრომითი სტაჟი; ნამსახურების წლები; 2. უფროსობა
sensitive მგრძნობიარე, სწრაფი რეაგირების უნარის მქონე
sensitiveness მგრძნობიარობა; cross ~ of demand მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირება; market ~ ბაზრის სწრაფი რეაქციის უნარი, ბაზრის მგრძნობიარობა
sentence განაჩენი; criminal ~ სისხლის სამართლებრივი განაჩენი; death ~ სასიკვდილო განაჩენი; suspended ~ პირობითი განაჩენი; to carry out a ~ განაჩენის სისრულეში მოყვანა; to confirm a ~ განაჩენის ძალაში დატოვება; to reverse a ~ განაჩენის გაუქმება; to reverse a ~ on appeal განაჩენის გაუქმება სააპელაციო ინსტანციაში
sentiment განწყობა
separation გაყრა, გაყოფა
separatism 1. სეპარატიზმი, სწრაფვა გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ; 2. ეროვნულ უმცირესობათა სწრაფვა სახელმწიფოსგან გამოყოფისაკენ და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისაკენ
sequence თანმიმდევრობა; ~ of events მოვლენათა თანმიმდევრობა; ~ of moves სვლათა თანმიმდევრობა; ~ of operations ოპერაციათა თანმიმდევრობა; to reach ~ რეგულირების მიღწევა; ~ of positions პოზიციათა თანმიმდევრობა; time ~ დროში თანმიმდევრობა
sequential 1. თანმიმდევრული; 2. შედეგი
serialization სერიული წარმოების ორგანიზაცია
series 1. რიგი, თანმიმდევრობა; 2. სერია, პარტია; 3. ოფციონები; ერთი და იმავე კლასის ყველა ოფციონური კონტრაქტი, რომელთაც აქვთ მსგავსი სავაჭრო ერთეული, მოქმედების ვადა, და შესრულების ფასი; 4. აქციები, რომელთაც აქვთ საერთო ნიშნები; ~ of events მოვლენათა თანმიმდევრობა; ~ of prices ფასების რიგი; demand ~ მოთხოვნის სიდიდეთა თანმიმდევ-რობა; economic time ~ ეკონომიკური დროითი რიგი; ordered ~ მოწესრიგე-ბული რიგი; random ~ შემთხვევითი რიგი; smoothed ~ გასწორებული რიგი; statistical time ~ სტატისტიკური დროითი რიგი; temporal ~ დროითი რიგი; variational ~ ვარიაციული რიგი
servant მოსამსახურე; civil ~ სახელმწიფო მოსამსახურე; საჯარო მოხელე
serve მომსახურება, სამსახური
server 1. მომსახურების არხი; 2. მომსახურების დანადგარი
service 1. სამსახური; მუშაობა; საქმიანობა; 2. სერვისი, მომსახურება; 3. ექსპლუატაცია, მოვლა; 4. მუშაობის ვადა; 5. *pl.* სამსახურები, დაწესებულებები; advisory ~s საკონ-

სულტაციო სამსახური; **air-mail** ~ ავიაკომპანია; **bulk** ~ ჯგუფური მომსახურება; **civil** ~ სამოქალაქო სამსახური; **commuter** ~ საგარეუბნო სამგზავრო ტრანსპორტი; **consultation** ~ საკონსულტაციო სამსახური; **consumer** ~**s** სამომხმარებლო საქონელი; **current** ~ **of loan** სესხის პროცენტის გადახდა; **free-medical** ~ უფასო სამედიცინო მომსახურება; **government** ~**s** სახელმწიფო უწყებები და დაწესებულებები; **gratis** ~**s** უფასო მომსახურება; **health** ~ ჯანდაცვა; **home delivery** ~ საქონლის შინ მიტანა; **information** ~ საინფორმაციო სამსახური; **nonpassenger** ~ არასამგზავრო სატრანსპორტო ხაზი; **nonpreemptive** ~ უწყვეტი მომსახურება; **nonpreferential** ~ უპრიორიტეტო მომსახურება; **nonscheduling** ~ უგანრიგო მომსახურება; **pilotage** ~ ლოცმანის მომსახურება; **pipeline transportation** ~ მილსადენის მომსახურება; **postal** ~ საფოსტო კავშირი; **preemptive** ~ მომსახურება შეწყვეტით; **scheduled** ~ მომსახურება განრიგის მიხედვით; **single** ~ ერთჯერადი მომსახურება; **social** ~ სოციალური მომსახურება; **telephone** ~ სატელეფონო კავშირი; **trade-testing** ~ საგამოცდო-საკვალიფიკაციო სამსახური; **transatlantic passenger** ~ ტრანსატლანტიკური სამგზავრო მიმოსვლა; **transpacific passenger** ~ ტრანსწყნაროკეანური სამგზავრო მიმოსვლა; **trunk-line** ~ მაგისტრალური შეტყობინება; **watchman** ~ საყარაულო სამსახური; **water** ~ *pl.* წყალმომარაგება

serviceable ექსპლუატაციისთვის ვარგისი

service-oriented მომსახურებაზე ორიენტირებული

services მომსახურება; ქმედება, რომელიც არ აწარმოებს მატერიალურ პროდუქტს, არამედ აქვს მომსახურების ფორმა. ასეთ მომსახურებას შეიძლება უზრუნველყოფდეს კერძო ფირმა (მაგ., მანქანის შეკეთება, თმის შეჭრა) ან სახელმწიფო ორგანიზაცია (მაგ., განათლება)

session სესია; პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგ., პარლამენტი, სასამართლო და სხვ.

set 1. კომპლექტი; ნაკრები; ასორტიმენტი; პარტია; 2. რიგი, ჯგუფი, სერია; 3. მოწყობილობა; ~ **of bills** კანონპროექტთა კომპლექტი; ~ **of goods** საქონლის ნაკრები; ~ **of prices** ფასების სისტემა; ~ **of rules** წესების ნაკრები; ~ **of variables** ცვლადთა ერთიანობა; **choice** ~ ვარიანტთა ნაკრები; **exhaustive** ~ მთლიანი სიმრავლე; **extreme** ~ ექსტრემალური სიმრავლე; **information** ~ ინფორმაციული სიმრავლე; **permissible** ~ დასაშვები სიმრავლე; ~ **of prices** ფასების სისტემა; **priority** ~ პრიორიტეტების სისტემა; **production** ~ საწარმოო შესაძლებლობათა სიმრავლე; ~ **of samples** ნიმუშთა კოლექცია; **solution** ~ გადაწყვეტილებათა სიმრავლე; **universal** ~ უნივერსალური ერთობლიობა

setback რეგრესი; დაცემა; შემცირება; **crop** ~ მოუსავლიანობა; **production** ~ წარმოების დაცემა

setting 1. გარემოება; გარემოცვა; 2. დაწესება; **central** ~ **of prices** ცენტრალიზებული ფასჩამოყალიბება; **demographic** ~ დემოგრაფიული მდგომარეობა; **price** ~ ფასჩამოყალი-

ბება; rate ~ ნორმის დადგენა; social ~ სოციალური პირობები

settle 1. გადაწყვეტა; გარიგების დადება; რეგულირება; 2. გაანგარიშება; 3. დასახლება

settlement 1. გადაწყვეტა; გარიგება; რეგულირება 2. გადახდა; დაფარვა; ანგარიშსწორება 3. დასახლება; ~ of account ანგარიშის გადახდა; ~ of claims პრეტენზიის დარეგულირება; ~ date ანგარიშსწორების თარიღი; ~ of debts ვალის დაფარვა; cash ~ ნაღდი ფულით გადახდა; final ~ საბოლოო ანგარიშსწორება; monthly ~ ყოველთვიური ანგარიშსწორება; official ~ ოფიციალური ანგარიშსწორება; peace ~ მშვიდობის დამყარება (მაგ.,ერებს შორის); to stall ~ რეგულირების ბლოკირება, შეჩერება; urban ~ ქალაქის მოსახლეობა; wage ~ შეთანხმება ხელფასის განაკვეთზე

settler 1. ახალმოსახლე, ხიზანი; 2. გადამწყვეტი საბუთი

setup 1. სტრუქტურა, ორგანიზაცია, სისტემა; 2. დაქვეითება; სიტუაცია

severity სიმწვავე, სიმკაცრე; ~ of competition ძლიერი კონკურენცია

sexual harassment სექსუალური მაძიებლობა; არასასურველი სექსუალური ყურადღება, რომელიც სამუშაო გარემოს შეურაცხმყოფელად და დამაშინებლად აქცევს

shadow cabinet ჩრდილოვანი კაბინეტი

shaky არამდგრადი, მერყევი

sham მოჩვენებითი

share 1. წილი, ნაწილი; მონაწილეობა; 2. აქცია; ~ of capital კაპიტალის წილი; ~ of labor შრომის წილი; ~ of production accumulation საწარმოო დაგროვების წილი; ~ of profits მოგების წილი; employee ~ დაქირავებულ მუშათა წილი; ~ repurchase 1) წილის უკუშესყიდვა; პროგრამა, რომლის მიხედვითაც კორპორაცია უკან ყიდულობს თავის აქციებს ღია ბაზარზე; 2) *pl.* წილები; სერთიფიკატები, რომლებიც წარმოადგენენ კორპორაციის ან მსგავსი ორგანიზაციების მფლობელობას; ~ ownership საკუთრება აქციაზე; transferable ~s გასაყიდი ნებადართული აქციები

shareholder აქციონერი; ordinary ~ ჩვეულებრივ აქციათა მფლობელი; preference ~ პრივილიგირებულ აქციათა მფლობელი; registered ~ კომპანიის წიგნში რეგისტრირებული სახელობით აქციათა მფლობელი

sharing დანაწილება, გაყოფა; gain ~ მოგებაში მონაწილეობა

shark 1. საბაჟოს მოხელე; 2. გამომძალველი; 3. ზვიგენი

sheet ფურცელი; ცხრილი; უწყისი; annual balance ~ წლიური ბალანსი; bank balance ~ საბანკო ბალანსი; composite balance ~ ნაერთი ბალანსი

shelter პროტექცია; მფარველობა; დაფარვა

shift 1. გადაადგილება, გადალაგება; 2. სამუშაო ცვლა; rotating ~ მცოცავი ცვლის სისტემა; swing ~ ცვლის დამატებითი ბრიგადა

shiftman 1. ცვლის უფროსი; 2. ცვლაში მომუშავე

ship 1. გემი; 2. ჩატვირთვა

shipment 1. ჩატვირთვა, გადატვირთვა; 2. ტვირთი, პარტია

shipped გაგზავნილი, გადატვირთული

shipping 1. ჩატვირთვა; გაგზავნა; 2. ნაირსახეობა

shirk 1. პიროვნება რომელიც პასუხისმგებლობას თავს არიდებს; 2. *ამერ.* სხვაზე გადაბარება (ვალდე-

ბულების, პასუხისმგებლობის)
shock 1. შოკი (ეკონომიკური); 2. ძლიერი დარტყმა
shoeleather cost ინფლაციის დანახარჯი, რომელიც განპირობებუ-ლია რეალური ფულის მარაგის შემცირებით
shop 1.მაღაზია, დახლი; 2. საამქრო
short მოკლე; ~ position(options) მოკლე პოზიცია (ოფციონის); ~ position(stocks) მოკლე პოზიცია (აქციის) იქმნება, როცა პირი ყიდის აქციას, რომლის მფლობელიც ჯერ არ არის; ~ sale მოკლე გაყიდვა; აქციის გაყიდვა, რომელსაც გამყიდველი ჯერ არ ფლობს, მაგრამ საბოლოოდ უკუშეისყიდის
shortage 1. უკმარისობა; უქონლობა; დეფიციტი; 2. დეფიციტის დონე
shortage-category personnel დეფიციტური კატეგორიის კადრები
shortcoming 1. ნაკლი, ნაკლოვანება; 2. დეფიციტი; დეფექტი
short-range 1. ახლოქმედებისა; 2. ხანმოკლე
short-run მოკლევადიანი
short-term plans მოკლევადიანი გეგმები
shot მსროლელი
shutdown დახურვა (საწარმოსი); შეჩერება
side 1. ჯგუფი; მხარე; პარტია; 2. ასპექტი; ნიშან-თვისება 3. ნაწილი; ნახევარი; მხარე 4. ოლქი, რაიონი
siding სათადარიგო გზა (ხაზი); 2. რკინიგზის განშტოება
sign 1. ნიშანი, აღნიშვნა; 2. ხელმოწერა
signatory დოკუმენტზე ხელმომწერი პირი ან მხარე
signature ხელმოწერა; authorized ~ ოფიციალური პირის ხელისმოწერა
significance 1. მნიშვნელობა, აზრი; 2. აუცილებლობა
significant მნიშვნელოვანი, არსებითი
simplified structures გამარტივებული სტრუქტურები
simplify გაუბრალოება, გამარტივება
simulacrum ასლის ასლი, რომლის ორიგინალიც არ არსებობს
simulation მოდელირება; იმიტაცია, რეალური სიტუაციის მოდელის დამუშავებისა და ექსპერიმენტების ჩატარების პროცესი, რომლის მიზანია სიტუაციის რეალურად ცვალებადობის განსაზღვრა
simulator მოდელი; იმიტატორი
single 1. ცალკეული; ერთი; ~channel ერთარხიანი; ~purpose შეზღუდული დანიშნულების; ~stage ერთსტადიური, ერთსაფეხურიანი
site ადგილმდებარეობა
situation 1. მდგომარეობა; სიტუაცია; გარემოება; 2. ადგილი; სამსახური; სამუშაო
situational factors სიტუაციური ფაქტორები; ცვლადები, რომლებიც მხედველობაში მიიღებიან პოლიტიკის ფორმულირებისას. ესენია: 1) ზოგადი საერთაშორისო გარემო. 2) სახელმწიფოს შეფარდებითი ძალა. 3) მიღებულ გადაწყვეტილებაზე ან მის გატარებაზე სხვა სახელმწიფოების ქმედება ან რეაქცია
sizable მნიშვნელოვანი ზომის
size 1. ზომა; მოცულობა, სიდიდე; 2. ფორმატი; ~ of the work force სამუშაო ძალის მოცულობა
sizing 1. განზომილება, სიდიდის განსაზღვრა; 2. ზომების მიხედვით დახარისხება
sketch სქემა; სქემური გამოსახულება; ესკიზი; სქემატურად გამოსახვა
skewness ასიმეტრია, გადახრა

skill პრაქტიკული გამოცდილება, კვალიფიკაცია; ოსტატობა, ცოდნა; უნარ-ჩვევა; ~ **test** უნარის ტესტი; სისტემატური პროცედურა პიროვნების მიერ გარკვეული ამოცანის ან ფუნქციის შესრულების უნარის გასაზომად; ~ **transformation** უნარის ტრანსფორმაცია; გარდაქმნა, სახეცვლილება

skill-based pay უნარზე დამყარებული ანაზღაურება

skilled კვალიფიციური; ~ **work force** კვალიფიციური სამუშაო ძალა

skyrocketing 1. სარისკო სპეკულაცია; 2. აქციების ან ფასის სწრაფი ზრდა

slack 1. მოცდენა, უმოქმედობა; 2. დროის რეზერვი; 3. საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა; ~ **resources** სუსტი რესურსები

slander ცილისწამება, დაბრალება

slant 1. შანსი; შემთხვევა; 2. პოზიცია; დამოკიდებულება; შეხდულება

slave მონა

slaveholder მონათმფლობელი

slaveholding მონათმფლობელობა

slavery მონობა

slide დაქვეითება, შემცირება

sliding 1. მცოცავი; 2. დიფერენციალური

slippage ვადების გადატანა; განსხვავება გარიგების გათვლილ და რეალურ ხარჯებს შორის

slowdown დაცემა; შენელება; შემცირება

sluggishness ნელი განვითარება; მოდუნება

slump მკვეთრი ეკონომიკური დაცემა; კურსის დაცემა; კრიზისი; დეპრესია

slumpflation ეკონომიკური დაცემისა და ინფლაციის თანაქმედებითი გამოწვეული სიტუაცია

smallholder წვრილი მესაკუთრე

snowball სწრაფი ზრდა, სწრაფი მატება

social სოციალური; **theorist** სოციალური თეორეტიკოსი; ~ **factors** სოციალური ფაქტორები; ~ **penalties** სოციალური სასჯელი; ~ **cohesion** სოციალური შეთანხმებულობა; ერთიანობის ხარისხი ეროვნულ საზოგადოებაში. დამოკიდებულია ეკონომიკური, სოციალური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ძირითადი ფასეულობების გაზიარების ხარისხზე, საერთო ეროვნულ და იდეურ იმპულსებზე და სოციალური ორგანიზაციის ბუნებაზე; ~ **Darvinism** სოციალური დარვინიზმი; ჩარლზ დარვინისეული ბიოლოგიური კონცეფციების ეთიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში გადატანის შედეგად მიღებული იდეოლოგიები; ~ **development** სოციალური განვითარება, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის, საბინაო პირობებისა და მომსახურების გაუმჯობესების პროგრამებს; ~ **equity** სოციალური თანასწორობა; გულისხმობს, რომ სამართლიანად უნდა განაწილდეს სოციალური უზრუნველყოფა, მომსახურება და შესაძლებლობები და ამასთან ერთად, ადამიანებმა, რომლებიც მოკლებული არიან სარგებლისთვის ინდივიდუალური კონკურენციის შესაძლებლობას, კომპენსაცია უნდა მიიღონ. ეს ღირებულება განსაკუთრებით სწყალობს ადამიანთა ისეთ ჯგუფებს, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენენ. ამ ღირებულებისკენ აქტიურად ისწრაფვიან საკანონმდებლო ორგანოები და სასამართლოები;

~ **fund** სოციალური დახმარების სახელმწიფო ფონდი; ~ **needs** სოციალური მოთხოვნილებები; ადამიანის მოთხოვნილება, დაუკავშირდეს სხვა ადამიანებს და მიღებულ იქნეს მათ მიერ; ~ **safety net** სოციალური უზრუნველყოფის სისტემა

socialism სოციალიზმი

socialist democracy სოციალისტური დემოკრატია; უშვებს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ თანასწორობას უკლასო საზოგადოებაში; ~ **pluralism** სოციალისტური პლურალიზმი; ტერმინი, რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავს სოციალიზმის ფორმებს სხვადასხვა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა რომ სოციალისტური სისტემების უმრავლესობა ეყრდნობა მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, მათში განსხვავებულია ეროვნული პოლიტიკის პრიორიტეტები და ურთიერთდამოკიდებულება ინდივიდუალურ პირსა და სახელმწიფოს შორის

society 1. საზოგადოება; 2. გაერთიანება; კავშირი; ასოციაცია

socioeconomic სოციალურ-ეკონომიკური

software 1. დოკუმენტაცია; 2. პროგრამული უზრუნველყოფა

solution 1. გადაწყვეტა (საკითხის); ამოხსნა; 2. გადახდა (ვალის); შესრულება (ვალდებულებისა); 3. გადაწყვეტილება; **fair** ~ სამართლიანი გადაწყვეტილება; **optimal** ~ ოპტიმალური გადაწყვეტილება

solvable გადაწყვეტადი

solvency გადახდისუნარიანობა; კრედიტუნარიანობა

solvent გადახდისუნარიანი; კრედიტუნარიანი

sort 1. სორტი, ჯიში, სახეობა, კლასი; 2. ჯიშების მიხედვით დაყოფა

sound 1. კარგი ხარისხის; დაუზიანებელი; 2. დასაბუთებული, მართალი

source 1. წყარო; საწყისი; ფუძე; 2. წერილობითი წყარო

sovereign სუვერენი; უმაღლესი ძალაუფლების მფლობელი

sovereignty სუვერენიტეტი; **domestic** ~ შიგა სუვერენიტეტი; **full** ~ სრული სუვერენიტეტი; **legal** ~ სამართლებრივი სუვერენიტეტი; **limited** ~ შეზღუდული სუვერენიტეტი; **territorial** ~ ტერიტორიული სუვერენიტეტი

sovereignty-free actor სუვერენობისგან თავისუფალი მოქმედი პირი; არასახელმწიფოებრივი მოქმედი პირი, როგორიცაა მრავალეროვნული კორპორაციები, ქვეეროვნული მთავრობები, ეთნიკური ჯგუფები, ბიუროკრატიული სააგენტოები, პოლიტიკური პარტიები, ტრანსეროვნული საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა კოლექტივები, რომლებიც არ გულისხმობს სუბორდინაციულ იერარქიას სახელმწიფოსა და არასახელმწიფო პირებს შორის

space 1. სივრცე; ფართობი; 2. ინტერვალი

span 1. პერიოდი; ინტერვალი; ხანგრძლივობა; 2. შევსება (შუალედის); ~ **of control** კონტროლის არე; ~ **of management** მართვის ნორმა; ადამიანთა რაოდენობა, რომელიც ხელმძღვანელის უშუალო დაქვემდებარებაშია

spare 1. სათადარიგო; სარეზერვო; დამატებითი; 2. ფულის გადანახვა; ეკონომიურობა; ხელმომჭირნეობა; 3. დანდობა

special 1. სპეციალური დანიშნულების;

სპეციალური; 2. განსაკუთრებული; ~ committees სპეციალური კომიტეტები; იქმნება დროდადრო პოლიტიკის გარკვეულ სფეროში კონკრეტულ პრობლემებზე სამუშაოდ

special–purpose სპეციალური დანიშნულების; სპეციალიზებული

special-interest groups სპეციალური ინტერესის მქონე ჯგუფები; წარმოადგენენ კონკრეტულ სექტორებს. ასეთი ჯგუფები მოიცავს ბიზნესს, კერძო, შრომით და პროფესიულ ორგანიზაციებს

specialist სპეციალისტი

specialization 1.სპეციალიზაცია, რაიმე სპეციალობის მიღება, სპეციალობაში დახელოვნება; დასპეციალება. 2. სპეციალობათა მიხედვით დანაწილება

specialized division of labor შრომის სპეციალიზებული დანაწილება

special-purpose სპეციალიზებული; სპეციალური დანიშნულების

specialty 1. სპეციალობა, ძირითადი საქმიანობა; 2. განმასხვავებელი თვისება; განსაკუთრებულობა; ~ hospital სპეციალიზებული საავადმყოფო

specific 1. განსაკუთრებული; დამახასიათებელი; სპეციფიკური; 2. კერძო; 3. კონკრეტული; ზუსტი; 4. ხვედრითი

specification 1. სპეციფიკაცია; განსაზღვრა; 2. დეტალიზაცია; კონკრეტიზაცია; 3. დეტალი; 4. ინსტრუქცია; 5. საბუთი, რომელშიც ჩამოთვლილია დამზადებული ნაკეთობის, საქონლის ნაწილები, დეტალები, აგრეთვე მათი რაოდენობა, წონა, მასალა, ხარისხი და სხვ.

specified 1. განსაზღვრული; ზუსტად დადგენილი; მითითებული; 2. ნომინალური; 3. ტექნიკურ პირობებთან შესაბამისი; 4. გათვალისწინებული

specify 1. განსაზღვრა, დადგენა; 2. მოლაპარაკება, განპირობება

specimen ნიმუში

speculation ბირჟაზე თამაში; სპეკულაცია

speedup აჩქარება; ფორსირება (მაგ. ეკონომიკური პროცესისა)

spell 1. პერიოდი; დროის მონაკვეთი; 2. ცვლა; 3. შესვენება

spillover 1. სიჭარბე; 2. გადადება; გადართვა

spin-off თანმხლები შედეგი

split გახლეჩა; დანაწევრება

split-up ერთი კორპორაციის ორად ან მეტად გაყოფა

sponsor 1. სპონსორი, გარანტი, დამფინანსებელი; 2. შემკვეთი, ორგანიზატორი; მომწყობი

sponsorship სპონსორობა; მხარდაჭერა (ფინანსური)

spur 1. სტიმული; წაქეზება; 2. სტიმულირება; ფორსირება; აჩქარება

squander ფლანგვა, განიავება, ხარჯვა

squandering მფლანგველობა

squeeze 1. დაწოლა; იძულება; 2. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა

stability სტაბილურობა; მდგრადობა

stabilization policy სტაბილიზაციის პოლიტიკა, სახელმწიფო პოლიტიკა წარმოებისა და დასაქმების მოცულობის ბუნებრივ დონეზე შესანარჩუნებლად

stable mission მუდმივი მისია

staff 1. პერსონალი; თანამშრომლები; პირადი შემადგენლობა; 2. შტატი; 3. შტაბი; ~ authority ადმინისტრაციული უფლებამოსილება

staffer აპარატის თანამშრომელი; ფირმის თანამშრომელი

staffing 1. კადრებით დაკომპლექტება; ადამიანთა რესურსების დაგეგმვის ან მენეჯმენტის საკვანძო ელემენტი და ინტეგრალური მაკავშირებელი ორგანიზაციაში უნარიანი თანამშრომლების მოზიდვასა და პროგრამის მიზნების მიღწევას შორის; 2. შტატის შეკრება; საჭირო ადამიანების რესურსების უზრუნველყოფის პროცესი ორგანიზაციაში; ~ policy საკადრო პოლიტიკა

stage 1. სტადია; ეტაპი; საფეხური; 2. ციკლი; პერიოდი; ფაზა

stagflation სტაგფლაცია; ეკონომიკური დაცემა, რომელსაც თან ახლავს ინფლაცია

stagnation სტაგნაცია; უძრაობა, ინერტულობა

stake ნაწილი; წილი; მონაწილეობა

stakeholder დაინტერესებული პირი

stake-holder პირები ან ორგანიზაციები, რომლებზეც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოქმედებს სოციალური პროგრამის განხორციელება და შედეგები

standard 1. სტანდარტი, ნორმა, ნორმატივი; სტანდარტული, ტიპური, ნორმატიული; 2. ეტალონი, ნიმუში; ზომა, საზომი; 3. დონე; ~ costs ნორმატიული თვითღირებულება; ~ normal curve სტანდარტული ნორმალური მრუდი; ნორმალური მრუდი, რომლის საშუალო უდრის 0-ს, ხოლო სტანდარტული გადახრა 1-ს; ~ of living ცხოვრების სტანდარტი; მატერიალური კეთილდღეობის დონე. ჩვეულებრივ იზომება მოხმარებული საქონლის მომსახურების რაოდენობით; ~ operating procedure (SOP) სტანდარტული სამოქმედო პროცედურები; მოცემულ ერთ სიტუაციაში, ორგანიზაცია ავტომატურად პასუხობს მეორე რეაქციით. ეს ნიმუში ბიუროკრატიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია; consumption ~ მოხმარების დონე; environmental ~s გარემოს დაცვის ნორმები; gold ~ ოქროს სტანდარტი; ფულადი სისტემა, რომლის დროსაც ოქროს აქვს ფულის ფუნქცია; gold-exchange ~ ოქროს ვალუტის სტანდარტი; international ~ საერთაშორისო სტანდარტი; labor efficiency (labor performance, labor quantity) ~ შრომის ეფექტურობა; labor rate ~ ნორმატიული ხელფასი; legal ~ დაკანონებული სტანდარტი; monetary ~ ფულადი სტანდარტი; national ~ ეროვნული სტანდარტი; performance quality ~ მუშაობის ხარისხის სტანდარტი; production ~ 1. სამრეწველო სტანდარტი; 2. მუშაობის ხარისხის სტანდარტი; productivity ~ მწარმოებლურობის ნორმა; silver ~ ვერცხლის სტანდარტი; target ~ გეგმური ნორმა; time ~ დროის ნორმა; trading ~ სავაჭრო სტანდარტი

standardization 1. სტანდარტიზაცია; 2. დაეტალონება; 3. ნორმირება

standby სარეზერვო; სათადარიგო; დამხმარე

standing უფლებაუნარიანობა; რეპუტაცია; administrative ~ ადმინისტრაციული უფლება უნარიანობა; commercial ~ კომერციული უფლებაუნარიანობა; ~ committee მუდმივმოქმედი კომიტეტი; პერმანენტული ჯგუფი შესაბამისი პერმანენტული ფუნქციით (მაგ. ფინანსური); contractual ~ სახელშეკრულებო უფლებაუნარიანობა; legal ~ სამართლებრივი უფლებაუნარიანობა; ~ to prosecute and defend მოსარჩელედ

და მოპასუხედ ყოფნის უფლებაუნარიანობა; ~ to sue მოსარჩელეობის უფლება სასამართლოში

standstill 1. შეყოვნება, უძრაობა; 2. მოცდენა, გაჩერება

state 1. მდგომარეობა; 2. გადმოცემა; 3. გამოსახვა; 4. მტკიცება; 5. სახელმწიფო; სამართლებრივი და ფიზიკური ერთეული, რომელიც სამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: 1) სახელმწიფო მოქმედებს ტერიტორიულ ჩარჩოში; 2) სახელმწიფოს აქვს სუვერენიტეტი ან თავის ტერიტორიაზე წესრიგის შენარჩუნების ძალა; 3) სახელმწიფოს აქვს გარკვეული შიგა და საგარეო ლეგიტიმურობა; 6. *ამერ.* შტატი; ~ terrorism სახელმწიფო ტერორიზმი; ძალმომრეობის აქტები, რომელსაც მხარს უჭერს ან თავად ახორციელებს სახელმწიფო. ეს შეიძლება ასევე გაგებულ იქნას, როგორც საგარეო პოლიტიკის კურსი, რომლითაც სახელმწიფო თავის საზღვრებს გარეთ ცდილობს მიზნის მიღწევას

state-centric system სახელმწიფო ცენტრისტული სისტემა

statelessness უსახელმწიფოობა; ადამიანის მდგომარეობა, როდესაც არც ერთი სახელმწიფო თავის მოქალაქედ არ სცნობს

statement 1. განცხადება, შინაარსი; მტკიცება 2. ანგარიშგება, ანგარიში, ბალანსი

statism სტატიზმი; სახელმწიფოს აგენტების აქტიური და ექსტენსიური შეღწევა საზოგადოებასა და ეკონომიკაში

status 1. სტატუსი; საზოგადოებრივი მდგომარეობა; 2. საფინანსო მდგომარეობა; ~ quo policy სტატუს კვოს პოლიტიკა; ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია არსებული ტერიტორიული, იდეოლოგიური და ძალაუფლების განაწილების შენარჩუნება

statute სტატუტი; წესდება, დებულება მაგ., საერთაშორისო სამართლის სტატუტი; (პარლამენტის) საკანონმდებლო აქტი; დებულება

statutory 1. კანონის ძალის მქონე; კანონის საფუძველზე გამოცემული; 2. საკანონმდებლო; 3. კანონით დადგენილი

steadfast მყარი; მდგრადი

steady 1. საიმედო; უცვლელი; 2. მტკიცე; 3. სტაბილიზებული

steward მმართველი (მსხვილი მეურნეობისა, წარმოებისა); გამგებელი

sticky prices მოუქნელი ფასები; ~ wage model ხისტი ხელფასის მოდელი, რომელიც გამომდინარეობს ნომინალური ხელფასის ნელი ცვლილებიდან

stimulation 1. სტიმულაცია; 2. წახალისება

stock 1. მარაგი; მარაგის შექმნა; 2. ასორტიმენტი; 3. ინვენტარი; 4. ფონდი; 5. აქცია, სააქციონერო კაპიტალი; წილი კორპორაციის საკუთრებაში; 6. საწყობში შენახვა; ~ dividend აქციის დივიდენდი; სააქციონერო დივიდენდის გადახდა აქციის ფორმით; ~ exchange საფონდო ბირჟა; ~ market საფონდო ბირჟა; ~-out avoidance დანაზოგების ამოწურვის დაცვა; ნაწარმზე მოთხოვნის უეცარი ზრდის შემთხვევაში დანაზოგების არსებობის ერთ-ერთი მიზეზი

stockholder აქციონერი; აქციების მფლობელი

stop (-loss) order გაჩერების (დაკარგვის) ბრძანება; აქციის გაყიდვის

ბრძანება, როცა ფასი ეცემა გარკვეულ დონემდე; ~ loss დანაკარგთა შეწყვეტა; ~-loss insurance დაზღვევა დანაკარგებზე

store 1. მარაგი; დაგროვება; მომარაგება, შენახვა; 2. საწყობი; 3. უნივერსალური მაღაზია; ~ of value დანაზოგის საშუალება

stratarchy სტრატარქია; იერარქიული სტრუქტურა, რომელშიც კომუნიკაციისა და ძალაუფლების არხები დონეებს შორის და თვით დონეებს შიგნით მეტად სუსტია

strategic სტრატეგიული; ~ approach სტრატეგიული მიდგომა; ~ business planning ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმარება; ~ investment სტრატეგიული დაბანდება; ~ management სტრატეგიული მენეჯმენტი; კერძო სექტორში მენეჯმენტის კონსულტანტებისა და ექსპერტების მიერ შემოთავაზებული მართვის სტრატეგია. სტრატეგიული მენეჯმენტის ჯგუფი ახდენს ორგანიზაციის მისიის, ისტორიისა და ახლანდელი სტატუსის შეფასებას. შემდეგ აფასებს ორგანიზაციის სუსტ და ძლიერ მხარეებს, მხედველობაში იღებს გარემოს და განსაზღვრავს ორგანიზაციის შესაძლებლობებს და საფრთხეს. ანალიზის შედეგად ჯგუფი აყალიბებს სტრატეგიულ გეგმას და განსაზღვრავს მისი განხორციელების მიმდინარეობას; ~ materials სტრატეგიული მასალა; ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და დასრულებელი პროდუქტი, რომლებიც საჭიროა თანამედროვე ომში საბრძოლველად ან ჯანსაღი ეკონომიკისა თუ ცხოვრების შესანარჩუნებლად; ~ memorandum სტრატეგიული მემორანდუმი; მინისტრის პირადი განცხადება მისი უწყების მიზნების შესახებ; ~ planning სტრატეგიული დაგეგმვა; იმ ძირეული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ფორმულირების მცდელობა, რომლებიც მართავს ორგანიზაციას; ~ planning process სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი; ~ resources სტრატეგიული რესურსები

strategy 1. სტრატეგია, ომის მომზადებისა და წარმოების, დიდი სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება; 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის ხელოვნება; მიზნების მიღწევის საერთო, ყოველმხრივი გეგმა; —driven activities სტრატეგიით მართული მოქმედებები; growth ~ ზრდის სტრატეგია; სტრატეგია, რომლის დროსაც ყოველი წლის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები იზრდება წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით; limited-growth ~ შეზღუდული ზრდის სტრატეგია; ალტერნატიული სტრატეგია, რომელიც წინა მიღწევების დონისა და ინფლაციის გათვალისწინებით ისახავს მიზანს; retrenchment ~ შემცირების სტრატეგია; სტრატეგიის ალტერნატივა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მიღწეულ დონეზე უფრო ნაკლები მიზნების დასახვა ან მოღვაწეობის ზოგიერთი მიმართულების გამორიცხვა

stratification სტრატიფიკაცია; მოსახლეობის შემადგენელი ერთეულების დაჯგუფება ჰომოგენურ ჯგუფებად

street-level bureaucrats ქუჩის დონის ბიუროკრატები; მასწავლებლები, მოხელეები, სოციალური უზრუნველყოფის მუშაკები და სხვ., რომლებიც ახორციელებენ სამთავრობო პროგ-

რამებს

stress სტრესი, დაძაბულობა

strike price ფიქსირებული ფასი; ოფციონში დადგენილი წილობრივი ფასი, რომელზეც ოფციონის მფლობელმა შეიძლება იყიდოს (შესყიდვის ოფციონი), ან გაყიდოს (გაყიდვის ოფციონი) ძირითადი აქცია ოფციონური კონტრაქტის შესრულებამდე

structural სტრუქტურული; ~ **determinist** სტრუქტურული დეტერმინისტი; ის, ვისაც სჯერა, რომ საერთაშორისო სისტემას განსაზღვრავს ინდივიდუალური სახელმწიფოების ქცევა და სახელმწიფოთა ლიდერებს დიდი არჩევანის საშუალება არ გააჩნიათ; ~ **theory** სტრუქტურული თეორია; თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას, თუ რატომ არსებობენ ინტერესის მქონე ჯგუფები

structuralism სტრუქტურალიზმი, დოქტრინა, რომლის მიხედვითაც სისტემის ან ორგანიზაციის სტრუქტურა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი წევრების ინდივიდუალური ქცევა

structure სტრუქტურა, რისამე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება, აგებულება, აღნაგობა, წყობა; **adaptive** ~ ადაპტიური სტრუქტურა; ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გარემოს ცვლილებებზე მოქნილი რეაგირების საშუალებას იძლევა. მას ზოგჯერ ორგანულ სტრუქტურას უწოდებენ; **highly controlled** ~ მაღალკონტროლირებადი სტრუქტურა; **mechanistic** ~ მექანისტური სტრუქტურა

structurelessness უსტრუქტურობა; ფორმალური ხელმძღვანელობის, წესებისა და ინსტრუქციების სიმწირე

structurization სტრუქტურიზაცია; სტრუქტურების შექმნა

style 1. სახეობა; სორტი; სახესხვაობა; სახე; 2. ტიპი; მოდელი; სტილი (მაგ. მუშაობის)

subcontracting 1. ხელშეკრულების გაცემა; ქვემოიჯარეებთან კონტრაქტის გაფორმება 2. ქვესაიჯარო ხელშეკრულების შესრულება

subcontractor ქვემოიჯარე

subdivision ქვეგანყოფილება

subgroup ქვეჯგუფი

subgroupism პოლიტიკური მღელვარების დასაწყისისათვის დამახასიათებელი ენდემური მოვლენა, რომელიც გულისხმობს ქვეჯგუფების მეტ შეკავშირებულობას, ეფექტიანობის მთელი სისტემის დასუსტებას და შედეგად იწვევს დეცენტრალიზაციას. ეს ხდება, მაშინ, როცა ადამიანებს ანალიზის უნარი უმუშავდებათ და ეჭვქვეშ აყენებენ მათი ეროვნული სისტემის ლეგიტიმურობას. თავიანთ ლოიალობას ქვესისტემისკენ წარმართავენ ადამიანები

subjective responsibility სუბიექტური პასუხისმგებლობა; იგივე ფსიქოლოგიური პასუხისმგებლობა. ასეთ პასუხისმგებლობას ახასიათებს ყურადღების გამახვილება არა იმაზე, თუ რაზეა ადამიანი პასუხისმგებელი, არამედ ვის მიმართ და რის გამო გრძნობს პასუხისმგებლობას

subjectivism 1. სუბიექტივიზმი, შეხედულება, რომელის მიხედვით საზოგადოების განვითარებას განსაზღვრავს არა ობიექტური კანონზომიერებანი, არამედ სუბიექტური ფაქტორები; 2) პირადულობა, მიკერძოება, ობიექტურობის არქონა

submit 1. წარდგენა; (საბუთების) გადაცემა; განსახილველად წარდგენა;

2. დაქვემდებარება

subordination სუბოტდინაცია; დაქვემდებარება

subproblem ქერძო ამოცანა; ქვეპრობლემა

subsidy სუბსიდია; დოტაცია; ფულადი ასიგნება

substitution effect შეცვლის ეფექტი; გარკვეული საქონლის მოხმარების ცვლილება შედარებითი ფასის ცვლილების გამო

subunit ქვედანაყოფი

successful partnership წარმატებული პარტნიორული ურთიერთობები

succession planning თანმიმდევრული დაგეგმვა; პროცესი, რომლითაც მენეჯმენტი აფასებს ორგანიზაციას, შესასრულებელ საქმიანობასა და ვაკანტური თუ პერსპექტიული თანამდებობებისთვის შესაფერის არსებულ ადამიანურ რესურსებს

suffrage ხმის მიცემის უფლება; უფლება აირჩიო და იყო არჩეული

suggestion 1. წინადადება; რჩევა; 2. მითითება; 3.შთაგონება

summative evaluation ჯამური შეფასება; პროგრამის საბოლოო შეფასება, რომლის მიზანია განსაზღვროს შესრულდა თუ არა მიზნები და ამოცანები

summit 1. სამიტი; უმაღლესი დონე; 2. უმაღლესი წერტილი; ზემოთ; კულმინაციური პუნქტი; უმაღლესი დონე; ~ diplomacy სამიტის დიპლომატია; სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურების მიერ განხორციელებული დიპლომატია

sunset law სააგენტოს საკანონმდებლო უფლებამოსილება, რომელიც ავტომატურად შეწყდება, თუ დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ არ იქნა განახლებული

super elite სუპერ ელიტა; ელიტა, რომელიც იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე. ის არ არის ხალხის მიერ არჩეული და, ამდენად, არც ანგარიშვალდებულია მათ წინაშე

superintendant მმართველი; დირექტორი; ხელმძღვანელი; მენეჯერი

superior 1. უმაღლესი; საუკეთესო; აღმატებადი; 2. უფროსი, ზემდგომი; ~ performance საუკეთესო შესრულება

supersede 1. შეცვლა; 2. განთავისუფლება (სამუშაოდან)

supervise დაკვირვება; კონტროლირება; მართვა

supervision 1. ზედამხედველობა;. 2. დაკისრება; 3. კონტროლი; ინსპექტირება, შემოწმება

supervisor 1. ინსპექტორი; კონტროლიორი; ზედამხედველი; 2. საშუალო რგოლის ხელმძღვანელი, ფირმის ან ორგანიზაციის საკადრო საკითხების გადამწყვეტი პირი

supervisory მაკონტროლებელი; ზედამხედველი

supplement 1. ხელფასის დანამატი; 2. სოციალური ხარჯების ასანაზღაურებელი დანამატი

supplemental benefits დამატებითი შეღავათები

supplier მიმწოდებელი; მკვებავი

supply 1. მიწოდება; მომარაგება; 2. კვების წყარო; 3. *pl*. მარაგი

support staff დამხმარე შტატი, მოხელეთა, ტექნიკური და სხვა შტატი, აუცილებელი ორგანიზაციის ნორმალური მუშაობისათვის

supranationalism სუპრანაციონალიზმი; სახელმწიფოს მიღმა და მაღლა

supremacy clause უპირატესობის კლაუზულა; თუ ფედერალურ სისტემაში მთავრობის ორივე დონეს შეუძლია

საკანონმდებლო უფლების გატარება თანმხვედრი იურისდიქციის სფეროში, მაშინ უნდა ჩამოყალიბდეს საშუალება ისეთი პრეცენდენტის გადასაწყვეტად, როცა ფედერალური და პროვინციული კანონები კონფლიქტში მოდის ერთმანეთთან; ასეთ დებულებას ფედერალურ კონსტიტუციაში უპირატესობის კლაუზულა ეწოდება

supreme authority უზენაესი ხელისუფლება

surgicenter ქირურგიული ცენტრი; დამოუკიდებელი ან საავადმყოფოსთან არსებული საოპერაციო დაწესებულება, სადაც ტარდება ამბულატორული ქირურგიული დახმარება

surplus of applicants სამუშაო ადგილზე განმცხადებელთა სიჭარბე

survey 1. დათვალიერება; 2. მიმოხილვა; 3. ინსპექტირება, გამოკვლევა; შემოწმება; 4. გამოკვლევის ანგარიში

suspend 1. შეჩერება; შეკავება; 2. დამუხრუჭება; 3. დროებით მოცილება (მაგ. სამუშაოდან); განთავისუფლება

suspensive veto შეჩერების ვეტო; კანონის გარკვეული დროით შეჩერების შესაძლებლობა, მისი მთლიანად უარყოფის ნაცვლად

swing riding პარტიების თანაბარი ძალა, როცა მცირე ცვლილებამ ხალხის მხარდაჭერაში შეიძლება ერთი პარტიისკენ გადახაროს უპირატესობა და ამდენად მისი გამარჯვება გამოიწვიოს

symmetry სიმეტრია; ისეთ განაწილებათა მახასიათებელი, რომელშიც საშუალოს მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ერთმანეთს სრულად ემთხვევა

synchronic research სინქრონული გამოკვლევა; გამოკვლევა, როცა მოვლენას აკვირდებიან დროის ერთ მონაკვეთში და არ იყენებენ ინფორმაციას ამ მოვლენის განვითარების, ხანგრძლივი პერიოდის შემდგომი შედეგების ან ცვლილებების შესახებ

syndicalism სინდიკალიზმი; მე-19 ს.-ის ბოლოს და მე-20 ს.-ის დასაწყისში (საფრანგეთი, იტალია) მუშათა მოძრაობაში არსებული მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობას

synoptic policy making/planning პოლიტიკის სინოპტიკური შექმნა/დაგეგმვა; ყურადღებას ამახვილებს ანალიზის მნიშვნელობაზე

system სისტემა; 1. გარკვეული წესრიგი, რაც ეფუძნება რისამე ნაწილების გეგმაზომიერ განლაგებასა და ურთიერთკავშირს; 2. ერთობლიობა პრინციპებისა, რომლებიც რაიმე მოძღვრების საფუძველს წარმოადგენს; 3. რისამე მოწყობის, ორგანიზაციის ფორმა, წესი; 4. ორგანიზაციულად გაერთიანებულ წარმოებათა, დაწესებულებათა ერთობლიობა; ~ fragmentation სისტემის ფრაგმენტაცია; მთელი სისტემის დანაწევრება ქვესისტემებად დეცენტრალიზაციის გამო; administrative ~ ადმინისტრაციული სისტემა; flexible ~ მოქნილი სისტემა; incentive ~ სტიმულირების სისტემა; operating ~ ოპერაციული სისტემა; oversight ~ ზედამხედველობის სისტემა reward ~ კომპენსაციის სისტემა; sociotechnical ~ სოციოტექნიკური სისტემა; შედგება ადამიანებისა და

ტექნოლოგიური კომპონენტებისაგან; **support** ~ დახმარების სისტემა

systemic tension სისტემური დაძაბულობა; საერთაშორისო სისტემაში დაძაბულობის შექმნა, რაც ხდება სისტემის ყველა სახელმწიფოში საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცენტრალიზაციის გაზრდით

systems approach სისტემური მიდგომა; მთლიანის დანაწილება ლოგიკურ ნაწილებად

systems theory სისტემების თეორია; საფუძვლად უდევს იდეა, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს სისტემას, რომელიც გამოყოფილია გარემოსაგან

tactic ტაქტიკა; მიზნის მიღწევის მოკლევადიანი სტრატეგია, რომელიც, როგორც წესი, შემუშავდება შუალედური დონის ხელმძღვანელების დონეზე

tactical strategy ტაქტიკური სტრატეგია; შეიარაღებული ძალების გამოყენება ომში

tag 1. იარლიყი, ნიშანი, ეტიკეტი; 2. აღნიშვნა, დანიშვნა, მარკირება

take 1. აღება; მიღება; 2. დაქირავება; 3. ყიდვა; ამოღება; 4. დაკავება (თანამდებობისა); 5. მოგების მიღება; 6. დაპატიმრება, კონფისკაცია (კომერციულ სამართალში); 7. წინადადების მიღება გარიგებაზე; 8. შეთანხმება; შერწყმა (მაგ. კომპანიებისა); შეერთება; 9. კონტროლისა და მართვის დაქვემდებარება; 10. გადასახადები; გამოსაღებები; მოსაკრებლები; 11. მფლობელობაში მიღება; ~ **home pay** სუფთა ჯამაგირი, ხელფასი სხვადასხვა გადასახადის გამოკლებით; ~ **over** შეძენა; ~ **stock** ინვენტარის აღწერა; შეფასება; განხილვა

tangible assets მატერიალური აქტივები; ~ **property** მატერიალური საკუთრება

target მიზანი, ამოცანა; ~ **customers** პოტენციური მყიდველები; ~ **group** სამიზნე ჯგუფი; ჯგუფი, რომლისკენაც არის მიმართული პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სასარგებლო შედეგები; ~ **market** მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფი ბაზარზე; ~ **net income** სასურველი სუფთა შემოსავალი; ~ **pricing** მოგების მიღებისათვის აუცილებელი ფასის განსაზღვრის მეთოდი

tariff ტარიფი, ნიხრი; ბაჟი, გადასახადი; განაკვეთი; **alternative** ~ ალტერნატიული ტარიფი; **autonomous** ~ ავტონომიური ტარიფი; **basing** ~ მკაცრი ტარიფი; **compound** ~ შერჩეული ტარიფი; **conventional** ~ კონვენციური ტარიფი; **სახელშეკრულებო** ტარიფი; **custom** ~ საბაჟოს ტარიფი; **flexible** ~ მოქნილი ტარიფი; **foreign** ~ უცხო სახელმწიფოს საბაჟო ტარიფი; **maximum** ~ მაქსიმალური ტარიფი; **minimum** ~ მინიმალური ტარიფი; **mixed** ~ შერეული ტარიფი; **multilinear** ~ მრავალარხიანი ტარიფი; **prohibitive** ~ ამკრძალავი ტარიფი; **protection** ~ პროტექციული ტარიფი; ~**rate** სატარიფო განაკვეთი; **reduced** ~ შეღავათიანი ტარიფი; **revenue** ~ ფისკალური ტარიფი; **sliding-scale** ~ სატარიფო განაკვეთთა მცოცავი სკალა; **statutory** ~ კანონით დადგენილი ტარიფი; ~ **war** სატარიფო ომი, ქვეყნებს შორის კონკუ-

რენციის ფორმა, რომელიც გამოვლინდება სხვადასხვა სახის საბაჟო შესაკრებლის დისკრიმინაციაში

task 1. ამოცანა; დავალება; საქმე; 2. ვალდებულება; ~ **environment** ამოცანის გარემო; ორგანიზაციის გარე ფაქტორები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმძღვანელობისაგან გადაწყვეტილების მიღებისას, ორგანიზაციაში ის მოიცავს კლიენტებს ან მომხმარებლებს, კონკურენტებს, მიმწოდებლებს, მარეგულირებელ სააგენტოებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციის შემთხვევაში, კანონმდებლობას, რომელმაც დააფუძნა ის და რომელიც აფინანსებს; ~ **force** მიზნობრივი ჯგუფი, ამოცანის შემსრულებელი ძალები, რომლებიც შექმნილია სპეციფიური მოვლენების ან ზოგადი პოლიტიკის საკითხების გამოსაკვლევად და ანგარიშვალდებულია მთავრობასთან; ~ **group** ადამიანთა ჯგუფი, რომელიც მუშაობს საერთო პროექტზე ან დასმული ამოცანის გადაწყვეტაზე; ~ **interdependency** ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი მომსახურების, საქონლისა და ინფორმაციის მისაღებად, რაც აუცილებელია დასმული მიზნების მისაღწევად; ~ **orientation** ამოცანაზე ორიენტაცია; ~ **significance** ამოცანის მნიშვნელოვნება, ხარისხი, რომლითაც მოცემულმა სამუშაომ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობაზე; ~ **structure** ამოცანის სტრუქტურა; ~ **uncertainty** ამოცანის განუსაზღვრელობა; **key** ~ ძირითადი ამოცანა; **quality** ~ ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანა; **research** ~ კვლევის ამოცანა

tax 1. ბეგარა; გადასახადი; ბაჟი; ანაკრეფი; 2. *ამერ.* საწევრო შესატანი; გამოსაღები; მოსაკრებელი; ~ **abatement** საგადასახადო დათმობა; ~ **avoidance** კანონიერი საშუალებების გამოყენება გადასახადების შემცირებისათვის; ~ **credit** საგადასახადო დათმობა, გადასახადების გადახდის ვალდებულებების პირდაპირი შემცირება, რომელიც ჩვეულებრივ ხორციელდება ზოგიერთი საქმიანობის ან გადასახადის გადამხდელთა გარკვეული კატეგორიის წახალისების მიზნით; ~ **dodge** გადასახადების გამიზნულად გადაუხდელობა; ~ **eater** *sl.* სახელმწიფო კმაყოფაზე მცხოვრები პირი; ~ **evasion** შემოსავლების უკანონო დამალვა გადასახადების გადახდის თავის არიდების მიზნით; ~ **exemption** განთავისუფლება გადასახადისაგან; ~ **haven** გადასახადებისაგან თავის დაღწევის საშუალება, უცხო კორპორაციის მიერ მიღებული შეღავათები დაბალი გადასახადების მქონე ქვეყანაში; ~ **limit** საკანონმდებლო გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ამოსაღები გადასახადების ზედა ზღვარს; ~ **multiplier** საგადასახადო მულტიპლიკატორი, ერთობლივი შემოსავლის მოცულობის ცვლილება ერთ დოლარზე გადასახადის შეცვლის გამო; ~ **preference items** შემოსავალი პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმით; **progressive** ~ პროგრესული გადასახადი; ~ **ratables** საზოგადოებრივი შემოსავლები, რომლებიც აკლდება კერძო საკუთრებას გადასახადის განსაზღვრისას; ~ **rate** გადასახადის ნორმა; ~ **roll** ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გადასახადით დაბეგრილი

საკუთრების აღწერას; ~ shelter საგადასახადო თავშესაფარი, საშემოსავლო გადასახადებისგან თავის ქანონიერი არიდების გზები; ~shield საგადასახადო ფარი, ამორტიზაციის თანხა, რომელიც აკლდება შემოსავლებს და იცავს მის ნაწილს გადასახადებისაგან; accumulated - earnings ~გადასახადი გაუნაწილებელ მოგებაზე; assessed ~es პირდაპირი გადასახადი (ქონება-ზე); business ~ მეწარმის გადასახადი; commodity ~ პირდაპირი საქონლის გადასახადი; deferred ~გადავადებული გადასახადი; direct ~ პირდაპირი გადასახადი; dividends ~ დივიდენდის გადასახადი; double ~ ორმაგი გადასახადი; emergency ~ საგანგებო გადასახადი; employment ~ შენატანი უმუშევრობის სადაზღვევო ფონდში; excess profits ~ ზემოგების გადასახადი; excise ~ აქციზების გადასახადი; export ~ საექსპორტო გადასახადი; federal ~ ფედერალური გადასახადი; flat-rate ~პროპორციული გადასახადი; general property ~ გადასახადი ყველა სახის საკუთრებაზე; hidden~es გამოუცხადებელი გადასახადები; immovable property ~ გადასახადი უძრავ ქონებაზე; import ~ იმპორტის გადასახადი; import turnover ~ იმპორტული საქონელბრუნვის გადასახადი; income ~ საშემოსავლო გადასახადი; indirect ~არაპირდაპირი გადასახადი; inheritance ~ სამემკვიდრეო გადასახადი; interest equalization ~გადასახადი, რომელიც ათანაბრებს საპროცენტო განაკვეთს; intermediate ~es შუალედური გადასახადი; land ~ მიწის გადასახადი; local ~ ადგილობ-რივი გადასახადი; luxury ~ გადასახადი ფუფუნების საგნების გაყიდვაზე; matured ~ გადასახადი, რომლის გადახდის ვადა დადგა; municipal ~ მუნიციპალური გადასახადი; negative income ~ უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი (თანხის გადახდა ბიუჯეტიდან იმ პირთათვის, რომელთაც არა-საკმარისი შემოსავლები აქვთ); payroll ~ გადასახადი, ამოღებული გაცემული ხელფასიდან; personal property ~ გადასახადი კერძო ქონებაზე; property ~ 1. ქონებრივი გადასახადი; 2. *ინგლ.* გადასახადი უძრავ ქონებაზე; proportional ~ პროპორციული გადასახადი; real estate ~ გადასახადი მოძრავ ქონებაზე; regressive ~ რეგრესული გადასახადი; returnable ~ გადასახადი, რომელიც შეიძლება დაბრუნებულ იქნეს; salary ~საშემოსავლო გადასახადი ხელფასზე; social insurance ~ შენატანები სოციალური დაზღვევის ფონდში; state ~ ხელისუფლების მიერ ამოღებული გადასახადი; stock transfer ~ გადასახადი აქციების ტრანსფერტის ოპერაციებზე; stockholder's ~ გადასახადი აქციებიდან მიღებულ შემოსავლებზე; super ~ დამატებითი გადასახადი; transfer ~ გადასახადი ფულის საზღვარგარეთ გაგზავნაზე; turnover ~ ბრუნვის გადასახადი; undistributed profit ~ გადასახადი გაუნაწილებელ მოგებაზე; use ~ გადასახადი მოგებაზე; value-added ~დამატებული ღირებულების გადასახადი; wage ~ხელფასის საშემოსავლო გადასახადი

taxable income დასაბეგრი შემოსავალი

taxation 1. დაბეგვრა; გადასახადის გადახდევინება; 2. გადასახადის ოდენობა; 3. დაბეგვრიდან შემოსული მოგება

theocracy თეოკრატია; სამღვდელოების ან სხვა ჯგუფის მიერ განხორციელებული მართვა, რომელსაც ზედამხედველობას უწევს ეკლესიური ხელისუფლება

theory 1. თეორია; 2. იმ განსხვავებულ დებულებათა ერთობლიობა, რომელიც ქმნის რაიმე მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს; 3. ზოგადი, განყენებულ მსჯელობა

thin corporation კორპორაცია, რომელსაც მნიშვნელოვანი დავალიანება აქვს სააქციონერო კაპიტალის მოცულობასთან შედარებით; ~ **market** სუსტი ბაზარი, ბაზარი, რომელზეც შედარებით მცირე რაოდენობის წინადადებაა გაყიდვისა, ყიდვის თაობაზე ან ორივეზე ერთად

thing 1. საგანი; 2. ქონება; 3. ნივთი; ბარგი; 4. *pl.* გარემოება; ვითარება

think tank მრჩეველთა ჯგუფი ან ინსტიტუტი, რომელიც ატარებს კვლევას და იძლევა რეკომენდაციებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში

third მესამე; ~ **force** მესამე ძალა; ძალაუფლებისა და გავლენის სფერო მსოფლიო პოლიტიკაში, აშშ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ძალაუფლებისა და გავლენის სფეროს გარდა; ~ **market** მესამე ბაზარი, ბირჟაზე კოტირებული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ მონაწილეობენ საბირჟო ოპერაციებში; ~ **party** მესამე პარტია (მხარე) ადმინისტრაციული ან ინდივიდუალური კომპანია, რომელიც ურთიერთობს დამსაქმებლებთან, ავითარებს და კოორდინირებას უწევს სათვითდაზღვევო პროგრამებს, იხდის ქვითრებს და ეხმარება დასაქმებულს სადაზღვევო დანაკარგების შეწყვეტაში; ~ **payer** მესამე მხარის გადამხდელი; დაზღვევის გამტარებელი, რომელიც იხდის საავადმყოფოს ან სამედიცინო ანგარიშებს ავადმყოფის მაგიერ; ~ **sector** არასამთავრობო ორგანიზაციები; ~ **world** მესამე სამყარო; მოიცავს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს; ~ **world debt crisis** კრიზისი მესამე სამყაროს ვალის გამო; საერთაშორისო ეკონომიკის კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია მესამე სამყაროს დიდი დავალიანებით დასავლური კერძო ბანკების წინაშე და ამ ქვეყნების უუნარობით გადაიხადონ ვალი; ~ **world instability** მესამე სამყაროს არასტაბილურობა, მისი გამომწვევი ფაქტორებია: 1) დეკოლონიზატორული და განმათავისუფლებელი მოძრაობები. 2) სიღატაკე. 3) რევოლუციური აღმავლობები, სამხედრო გადატრიალებები, შიგა ბრძოლები ძალაუფლებისათვის; 4) სამხედრო ინტერესები

thrats მუქარები; შეკავების პოლიტიკის ერთ-ერთი მექანიზმი; ~ **of external validity** საფრთხე გარე სარწმუნოობის მიმართ; ფაქტორები, რომლებიც ზღუდავს გამოკვლევის შედეგების გამოყენებას იმ შემთხვევებისათვის, რომლებიც გამოკვლევაში არ იყო ჩართული. ეს ფაქტორებია: პროგრამის განსაკუთრებული მახასიათებლები, სელექციის გავლენა, ისტორიის გავლენა, ტესტების გავლენა, ექსპერიმენტის დიზაინის გავლენა; ~ **of internal validity** საფრთხე შიგა სარწმუნოობის მიმართ

threshold ზღვარი, მიჯნა, საზღვარი

thrive აყვავება; წარმატების მიღწევა

teleology ტელეოლოგია; იდეა, რომ მოვლენები უნდა აიხსნას იმ მიზნებით, რომლებსაც ისინი ემსახურებიან

temporal 1. დროებითი, ხანმოკლე; 2. დროითი; 3. *პოლიტ.* საერო, საქვეყნო (საქმეები, პრობლემები)

temporary employee დროებითი მუშაკი; ~ investments მოკლევადიანი ინვესტიციები; ~ work force დროებითი სამუშაო ძალა

tenancy 1. ფლობა (უძრავი ქონებისა); 2. ფლობა იჯარის საფუძველზე; 3. იჯარით აღებული ქონება

tenant 1. მფლობელი; 2. დამქირავებელი, მოიჯარე; 3. მცხოვრები

tend 1. მიმართვა, გაძღოლა; გარკვეული მიმართულებით მოქმედება; 2. მართვა, სათავეში ჩადგომა; 3. მიდრეკილების ქონა

tendency 1. მიმართულება, მიდრეკილება, ტენდენცია; მისწრაფება; 2. მიზანი; იდეა; 3. ტენდენციურობა

tender 1. წინადადება; განცხადება; განაცხადი; შეთავაზება; აუქციონი; განაცხადის შეტანა (საჯარო ვაჭრობაზე); ოფერტი; 2. *საგ. ეკ. ურთ.* ტენდერი (წერილობითი) წინადადება; 3. ფასის შეთავაზება

tenderer 1. კრედიტორი; აუქციონზე ხაზინის თამასუქების მყიდველი; 2. პირი, რომელიც სთავაზობს წინადადებას; საჯარო ვაჭრობის მონაწილე

tenure 1. თანამდებობაზე ყოფნა; 2. უფლებამოსილება; 3. *იურ.* ქონება; საკუთრება; ფლობა

term 1. ტერმინი; 2. ვადა; დრო, ხანგრძლივობა; პერიოდი; 3. პირობა (მოლაპარაკებისა, გადახდისა); ~ of acceptance მიღების ვადა; ~s of delivery მიწოდების პირობა; ~s of interest პროცენტის დარიცხვის პირობა; ~ of payment გადახდის ვადა; ~s of reference ტექნიკური დავალება; ~s of redemption გამოშვების პირობა; ~s of sale გაყიდვის პირობა; ~s of trade საგარეო ვაჭრობის პირობები; ~ of validity ხელშეკრულების მოქმედების ვადა; acceptable ~s მისაღები პირობები; concessionary ~s შეღავათიანი პირობა; credit ~ კრედიტის (სესხის) პირობა; discount ~ დისკონტირების პირობები; easy ~s შეღავათიანი პირობები; exclusionary ~s ამკრძალავი პირობები; income ~ შემოსავლების ინდექსი; insurance ~s and conditions დაზღვევის პირობები; lending ~s კრედიტის გაცემის პირობები; license ~ ნებართვის ან პატენტის მოქმედების ვადა; long ~ გრძელი ვადა; short ~ მოკლე ვადა; soft ~s შეღავათიანი პირობები; unacceptable ~s მიუღებელი პირობები; usual ~s ჩვეულებრივი პირობები; ~ policy ჩვეულებრივი დაზღვევის პოლისი, რომლის მოქმედების ვადა 1 წელს აღემატება

terminal 1. ტერმინალი; ბოლო სადგური; საბოლოო პუნქტი, 2. უკანასკნელი; ~ market სასწრაფო ბირჟა, ბაზარი, რომელზეც აწარმოე-ბენ ოპერაციებს უფლებამოსილებით (ფიუჩერსებით); ~ positions თანამდებობები ორგანიზაციებში, რომლებიც არ იძლევა შემდგომი წინსვლის საშუალებებს

termination 1. ბოლო; დამთავრება; შეწყვეტა, დასრულება; ვადის გასვლა; 2. შეზღუდვა; ~ pay გადახდა წყვეტისათვის, კონტრაქტის შეწყვეტისათვის

terms of aid დახმარების პირობები; ფინანსური დახმარების სახეობა, რომელსაც გაიღებს დონორი და

ის პირობები, რომლებითაც ხდება დახმარება; ~ of trade ვაჭრობის პირობები; ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნის მიერ ექსპორტისთვის მიღებულ ფასებსა და იმპორტისთვის გადახდილ ფასებს შორის

territorial departmentalization განყოფილებებად დაყოფა ტერიტორიული ნიშნით

territory screening ტერიტორიის სკანირება, მყიდველთა ან პოტენციურ კლიენტთა ჩამონათვალის შემოწმება მარკეტინგული მიზნით

terrorism ტერორიზმი; ფართო გაგებით, პოლიტიკურად მოტივირებული ძალმომრეობის ან მუქარის გამოყენება. ის მოიცავს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკას, საიდუმლო სამსახურების მიერ ჩადენილ ძალმომრეობის ფარულ აქტებს და ა. შ.

tertiary care მესამეული ჯანდაცვა; ქვესპეციალიზებული (ვიწრო სპეციალიზაციის) ჯანდაცვა, რომელიც მოითხოვს უნივერსიტეტის ფილიალის ან კლინიკური საავადმყოფოს ფართო დიაგნოსტიკურ და კლინიკურ საშუალებებს; ~ group მესამეული ჯგუფები; ყველა ადამიანი მიეკუთვნება რამდენიმე ასეთ ჯგუფს საზოგადოებრივ - ეკონომიური მდგომარეობიდან, რელიგიურობიდან, ეროვნებიდან, რასიდან გამომდინარე; ~ sector მესამე სექტორი; ეკონომიკის ნაწილი, რომელიც ეფუძნება მომსახურებას: დაზღვევა, საბანკო საქმე, ტურიზმი და კომუნიკაციები

test 1. ტესტი; გამოცდა, შემოწმება; გამოცდის ჩატარება, შემოწმების ჩატარება; 2. გამოკვლევა, ანალიზი; გამოკვლევის ჩატარება; 3. კრიტერიუმი; ~ independence დამოუკიდებლობის კრიტერიუმი; ~ of randomness შემთხვევითობის კრიტერიუმი; ~ of validity საიმედოობის კრიტერიუმი; approximate ~ მიახლოებითი კრიტერიუმი; assessment ~ შეფასებითი გამოცდა; conditional ~ პირობითი კრიტერიუმი; convergence ~ შესაბამისობის კრიტერიუმი; credit ~ საკრედიტო რისკის შეფასება; day-to-day ~ ყოველდღიური შემოწმება; economy ~ ეკონომიკურობის შეფასება; efficiency ~ მწარმოებლურობის გამოცდა; evaluation ~ შეფასებითი გამოცდა; exact ~ ზუსტი კრიტერიუმი; exploratory ~ საძიებო კვლევა; fixed assets ~ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელი; formal ~ ოფიციალური გამოცდა; informal ~ არაფორმალური შემოწმება; objective ~ ობიექტური კრიტერიუმი; odd ~ შერჩევითი გამოცდა; optimality ~ ოპტიმალურობის კრიტერიუმი; optimum ~ ოპტიმალური კრიტერიუმი; performance ~ 1. ფუნქციონირების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმი; 2. გამოცდა სამუშაო მახასიათებლის დასადგენად; proof ~ საკონტროლო გამოცდა; qualitative ~ 1) ხარისხობრივი კრიტერიუმი; 2) გამოცდა, რომელიც იძლევა ხარისხობრივ მაჩვენებელს; quantitative ~ 1) რაოდენობრივი კრიტერიუმი; 2) გამოცდა, რომელიც იძლევა რაოდენობრივ მაჩვენებელს; rank ~ რანგთა კრიტერიუმი; sequential ~ თანმიმდევრული კრიტერიუმი; serial ~ სერიული კრიტერიუმი

texture 1. ტექსტურა, აღნაგობა, სტრუქტურა; 2. ქსოვილის აღნაგობა

textureless უსტრუქტურო, ამორფული, გადაგვარებული აღნაგობის

taxbase საგადასახადო ბაზა; მთლიანი ფულადი ფონდი, რომელიც ექვემდებარება გადასახადების გადახდას

tax-collector გადასახადების ამკრეფი

tax-deferred annuity (tax-sheltered annuity) საპენსიო დანაზოგების სისტემა, რომელიც ვრცელდება მასწავლებლებსა და არაკომერციული ორგანიზაციების თანამშრომლებზე. ისინი იბეგრებიან მხოლოდ პენსიის გადახდისას

taxing დაბეგვრა; გადახდევინება

taxless გადასახადისაგან თავისუფალი

taxonomy ტაქსონომია; სახელმწიფოების კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით, როგორც დემოკრატიული, სოციალისტური ან ფაშისტური

taxpayer გადასახადის გადამხდელი

team 1. გუნდი; ბრიგადა; ჯგუფი; 2. მუშა ჯგუფი; ~ building გუნდის შექმნა; ჩამოყალიბება; ~ membership გუნდის წევრობა

teamwork ბრიგადული ან საარტელო სამუშაო; გუნდური მუშაობა; კოლექტიური მუშაობა

technical ტექნიკური; ~ assistance ტექნიკური დახმარება; ტექნიკური უნარების სწავლება ან გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში; ~ change ტექნიკური ცვლილება; პროცესი, რომლის მეშვეობითაც იცვლება წარმოების მეთოდები მოგების გაზრდისა და კაპიტალის დაგროვების მიზნით; ~ cooperation ტექნიკური თანამშრომლობა; ხალხის თრეინინგი ან სწავლება მათი ცოდნის, უნარის და ტექნიკური შესაძლებლობების ამაღლების მიზნით; ~ efficiency ტექნიკური ეფექტურობა, სიტუაცია, რომლის დროსაც შეუძლებელია ერთი პროდუქტის ნაკლები მოცულობის გამოყენება სხვა პროდუქტის მეტი მოცულობის გამოყენების გარეშე იმავე მოცულობის პროდუქციის მისაღებად; ~ level ტექნიკური დონე; ~ position ბაზრის მდგომარეობა, ტერმინი, რომელიც გამოიყენება ბაზარზე მოქმედი სხვადასხვა შიგა ფაქტორების დასახასიათებლად; ~ strategy ტექნიკური სტრატეგია; სპეციფიური იარაღის და კონტრაარაღის ურთიერთმიმართება

techniques 1. ტექნიკა; უნარი; 2. ტექნიკური საშუალება; მეთოდი; მეთოდიკა

technological ტექნოლოგიური; ~ assessment ტექნოლოგიური შეფასება; საზოგადოებაზე ტექნოლოგიის ზემოქმედების შეფასება; ~ forces ტექნოლოგიური ძალები; ~ forecasting ტექნოლოგიური პროგნოზი, ტექნოლოგიის ცვლილებებისა და მისი ორგანიზაციებსა და საზოგადოებაზე გავლენის შეფასების პროგნოზირება; ~ revolution ტექნოლოგიური რევოლუცია; ~ unemployment ტექნოლოგიური უმუშევრობა, უმუშევრობა, გამოწვეული ტექნოლოგიური სიახლეებით; ~ ly induced stress ტექნოლოგიით გამოწვეული სტრესი

technology ტექნოლოგია; ორგანიზაციის თეორიის ასპექტში, შეეხება პროცესს, რომლის მეშვეობით ორგანიზაცია ახდენს შესასვლელის (რესურსის) გარდაქმნას გამოსასვლელად (პროდუქციად); ~ transfer ტექნოლოგიის გადატანა; ტექნიკური ცოდნის გადატანა ერთი მომხმარებლიდან მეორეზე, იმ მიზნით, რომ უკანასკნელმა ის გარკვეული პრაქტიკული დანიშნულებით გამოიყენოს; ~based designs ტექნოლოგიაზე დამყარებული დიზაინი

ticket 1. ბილეთი; 2. ეტიკეტი, იარლიყი; იარლიყის ან ეტიკეტის მიკვრა; 3. მოწმობა, ქვითარი

tie 1. ვალდებულება; მოვალეობა; 2. *pl* .კავშირი; ურთიერთობა; 3. შეკავშირება; გადასკვნა; 4. პირობებით შეზღუდვა

tied aid მიბმული დახმარება; სესხები და გრანტები, რომელსაც აძლევენ განვითარებად ქვეყნებს იმ პირობით, რომ რეციპიენტი ფონდებს გამოიყენებს დონორი ქვეყნისაგან საქონლისა და მომსახურების საყიდლად

tight 1. არასაკმარისი; შეზღუდული; 2. მჭიდრო; დაძაბული; ~ credit კრედიტის ნაკლებობა; ძვირი კრედიტი; ~money ძნელი ფული, კრედიტის ხისტი პირობები; კრედიტის შეზღუდულობა

time 1. დრო; მომენტი; დროის პერიოდი; ვადა; დროის ხანგრძლივობა; 2. სამუშაო დრო; ტაქტი; პერიოდი; 3. დროის მონიშვნა; ქრონირება; 4. სიჩქარე; ტემპი; რიტმი; ~ bargain შეთანხმება დროზე, ვადიანი შეთანხმება; ~ discount დროითი დისკონტირება, რეკლამის გადასახადის შემცირება სარეკლამო განცხადების გამოჩენის სიხშირის მიხედვით; ~lags დროში ჩამორჩენა; ნებისმიერი ფისკალური პოლიტიკის ეფექტურობა დამოკიდებულია პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებულ დროში ჩამორჩენაზე. დროში ჩამორჩენის ორი კატეგორია არსებობს: შიგა ჩამორჩენა და გარეთა ჩამორჩენა. შიგა ჩამორჩენის სამი ქვეკატეგორია გამოიყოფა: 1) აღიარების ჩამორჩენა – დრო, ცვლილების საჭიროებასა და ამ საჭიროების აღქმას შორის. 2) საკანონმდებლო ჩამორჩენა - დრო, რომელიც საჭიროა, რომ პარლამენტმა (ან შესაბამისმა ორგანომ) დაამტკიცოს შეთავაზებული წინადადება. 3) ადმინისტრაციული ჩამორჩენა - დრო, რომელიც საჭიროა ახალი დაბეგვრის განრიგის შედგენის ან ტენდერის გამოსაცხადებლად; ~ loan სასწრაფო კრედიტი; ~ management დროის მართვა; ~ proved დროში გამოცდილი; საიმედო; ~ sequential design დროში თანმიმდევრობითი დიზაინი; კვაზიექსპერიმენტული დიზაინი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის სუბიექტებს აკვირდებიან სხვადასხვა დროში; ~ standard დროითი სტანდარტი; ~value დროის ღირებულება; პრემიის ნაწილი, დაეფუძნებული დროის მოცულობაზე, რომელიც რჩება ოფციონური კონტრაქტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე. ძირითადი კომპონენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ოფციონის ღირებულებას, შეიძლება შეიცვალონ დროთა განმავლობაში; ~-adjusted rate of return მოგების ნორმა, კორექტირებული დროის მიხედვით; ~ event analyses კონტროლის მეთოდები, რომლებიც საშუალებას აძლევს მენეჯერს თვალი მიადევნოს და შეაფასოს დროითი დანახარჯები; active ~ მუშაობის ხანგრძლივობა; allowed ~ დასაშვები დრო; average ~საშუალო ხანგრძლივობა; critical ~ზღვრული დრო; dead ~ 1) მოცდენის დრო; 2) დაყოვნების დრო; full ~ მუშაობის სრული დრო; guarantee ~ გარანტირებული სამუშაო დრო; idle ~ 1. მოცდენის დრო, მოცდენა; 2. თავისუფალი დრო; უმოქმედობის დრო; initial ~ დროის ათვლის მომენტი; in-service ~ ექსპლუატაციის ხანგრძლივობა;

leisure ~ თავისუფალი დრო; **lie** ~ მოცდენის დრო; **life** ~ მომსახურების ხანგრძლივობა; **lost** ~ მოცდენის დრო; **part** ~ არასრული სამუშაო დღე; **payback** ~ უკუგების ვადა; **personal** ~ დრო პირადი საჭიროებისათვის; **productive** ~ სასარგებლო დრო; **random** ~ შემთხვევითი დრო; **real** ~ ნამდვილი დრო; **reasonable** ~ მისაღები დრო; **spare** ~ თავისუფალი დრო; **start** ~ საწყისი მომენტი;

time-consuming დროის შთანმთქმელი; ~ **methodology** დროის შთანმთქმელი მეთოდოლოგია

timed დროში დაგეგმილი; გათვლილი

time-dependent დროზე დამოკიდებული

time-expired საგარანტიო დროში ნამუშევარი

time-independent დროზე დამოუკიდებელი

time-keeping ქრონომეტრირება

timeproof ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადით

time-proved დროში შემოწმებული; დროით შემოწმებული

time-table განრიგი; გრაფიკი; დროითი დიაგრამა

time-taking შრომატევადი

time-work დროებითი სამუშაო; საათობრივი სამუშაო

timing 1. დროის დაგეგმვა; დროის ინტერვალის განაწილება; 2 განრიგის შედგენა; 3. დასინქრონება; ქრონირება

token 1. ნიშანი; სიმბოლო; 2. ნიშანთვისება, განმასხვავებელი ნიშანი; 3. ტალონი, კუპონი, ჟეტონი; 4. საჩუქარი, სუვენირი; ~ **money** ნომინალური ფულადი ერთეულები; დასახურდავებელი ფული; ~ **of value** ღირებულების ნიშანი

tolerance 1. ამტანობა; ტოლერანტობა; 2. დაშვება; დასაშვები გადახრა

toll 1. ბაჟი; 2. გადასახადი; გადასახადის დაწესების უფლება; 3. დამატებითი გადასახადი მომსახურებისათვის; 4. გადასახადი, რომელიც დაწესებულია საზოგადოებრივი ობიექტებისა და მომსახურების გამოყენებისათვის

tool 1. ხერხი; მეთოდი; 2. მექანიზმი; 3. ინსტრუმენტი; 4. *pl.* შრომის იარაღები

top 1.უმაღლესი; უმაღლესი საფეხური; 2. გადამეტება; ~ **credit** მზა კრედიტი; ~ **leader** მაღალი რანგის ლიდერი, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი; ~ **leadership** მაღალი რანგის ხელმძღვანელობა; ~ **management** უმაღლესი მენეჯმენტი; უმაღლესი დონის ხელმძღვანელობა ადმინისტრაციული იერარქიის მიხედვით; ~ **out** პროდუქციაზე ან ნაკეთობაზე მაქსიმალური მოთხოვნის პერიოდი, რომლის შემდეგ მოთხოვნა მცირდება; ~ **priority** უმაღლესი პრიორიტეტი; ~ **secret** სრულიად საიდუმლოდ (გრიფი ხელმძღვანელობის საბუთებზე); ~-**down approach** მიდგომა, მიმართული ზევიდან ქვევით, სტრატეგიული მიდგომა, რომლის თანახმადაც ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება ორგანიზაციის უმაღლეს დონეზე და გადაეცემა ქვედა დონეებს; ~-**down control** მართვა ზედა საფეხურიდან ქვემოთ, ზედამხედველობა

tory syndrome ტორის სინდრომი; თითქმის მუდმივი ოპოზიცია, რომელსაც ცვლის ხელისუფლებაში ყოფნის ხანმოკლე პერიოდები; ამ დროს მთავრობის წევრების უმრავ-

ლესობის ოპოზიციური მენტალიტეტი იწვევს დამარცხებას და ოპოზიციის როლში გადასვლას

toryism ტორიზმი; საზოგადოებრივი წესრიგისა და კოლექტიური ფასეულობების ინდივიდუალურ უფლებებზე წინ დაყენება

total 1. ჯამი; მთლიანი თანხა; შედეგი; 2. მთლიანი; საერთო; 3. სრული, აბსოლუტური; 4. .ტოტალური; ~ cost საერთო ღირებულება; ~ debt საერთო დავალიანება; ~ factor productivity წარმოების საერთო ფაქტორი; წარმოების ტექნოლოგიური დონის მაჩვენებელი; ~ fixed costs კომპანიის ფიქსირებული დანახარჯების საერთო თანხა; ~ loss სრული დანაკარგი; ~ quality management (TQM) მენეჯმენტის სახე რომელიც მოითხოვს შეიცვალოს რწმენა, ქცევა და ყველაფერი, რაც ორგანიზაციის კულტურას ქმნის. მისი მიზანია ტრადიციული იერარქიული ორგანიზაციის უგულვებელყოფა და „გუნდის" ატმოსფეროს შექმნა; ~ revenue შემოსავლების საერთო თანხა; ~ variable costs ცვლადი დანახარჯების საერთო თანხა; ~ war ტოტალური ომი; ეროვნული ხელისუფლების დამყარების მიზნით ყველა შესაძლო მეთოდებით წარმოებული ომი. გულისხმობს: 1) მთელი მოსახლეობის მონაწილეობას. 2) სამოქალაქო მოსახლეობის ტერორს. 3) თანამედროვე, დამანგრეველი იარაღის გამოყენებას. 4) ქვეყნების უმეტესობის მონაწილეობას. 5) ომის წარმოების საერთაშორისო წესების დარღვევას. 6) მასობრივ ემოციურ ერთგულებას ეროვნულ და იდეოლოგიურ იდეალებთან. 7) უპირობოდ დანებებას. 8) დამარცხებული სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციას გამარჯვებულთა დიქტატურის მიხედვით

totality ნაკრები; ერთობლიობა; სიმრავლე; (მაგ. მოთხოვნილებებისა)

totalize დაჯამება; შეჯამება

trace 1. კვალი; ტრასა; 2. ჩანაწერი მოვლენების თანმიმდევრობის შესახებ

traceable costs ხარჯები, რომელთა მიხედვით შეიძლება პასუხისმგებელი პირის ან ქვედანაყოფის დადგენა და რომლებიც დაეწერება ამ პირს ან ქვედანაყოფს

trade 1. ვაჭრობა; 2. საქმიანობა; პროფესია, ხელობა; 3. გარიგება; გაცვლა; 4. საქონელბრუნვა; ~ date ვაჭრობის თარიღი; როდესაც ხდება ვაჭრობა; ~ deficit სავაჭრო დეფიციტი; ~ discount სავაჭრო ფასდათმობა; სავაჭრო დისკონტი; ~ name სავაჭრო ფირმის დასახელება; ~ off გარიგება, მორიგება, კომპრომისი; შეთანხმება; ალტერნატივა; ~ range ვაჭრობის დიაპაზონი; განსხვავება ვაჭრობის მაღალ და დაბალ ფასებს შორის დროის მონაკვეთში; ~ reference ცნობა კრედიტუნარიანობის შესახებ; ~ unions პროფკავშირები; მშრომელთა დაჯგუფება დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მშრომელთა მდგომარეობა და გაიზარდოს ხელფასი; balanced ~ ნეტო ბალანსი, სავაჭრო ბალანსი, რომლის დროსაც იმპორტისა და ექსპორტის ღირებულებები ერთმანეთის ტოლია; barter ~ ბარტერული ვაჭრობა; bilateral ~ ორმხრივი ვაჭრობა; ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის; cash ~ ნაღდი ფულით ვაჭრობა; direct

transit ~ პირდაპირი სატრანზიტო ვაჭრობა; distributive ~ საცალო და საბითუმო ვაჭრობა; domestic ~ შიგა ვაჭრობა; external ~ 1) საგარეო ვაჭრობა; 2) რეექსპორტი; fair ~ ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა; foreign ~ საგარეო ვაჭრობა; free ~ თავისუფალი ვაჭრობა; general ~ საერთო ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობა; home ~ შიგა ვაჭრობა; inland ~ შიგა ვაჭრობა; interior ~ შიგა ვაჭრობა; intermediate ~ საშუამავლო ვაჭრობა; internal ~ შიგა ვაჭრობა; interregional ~ რეგიონთაშორისო ვაჭრობა; land ~ სახმელეთო ვაჭრობა; oversea ~ *ინგლ.* საგარეო ვაჭრობა; profitable ~ ხელსაყრელი ვაჭრობა; retail ~ საცალო ვაჭრობა; triangular ~ სამ ქვეყანას შორის ვაჭრობა, რომლის დროსაც ცდილობენ ყველა მონაწილისათვის სასიკეთო სავაჭრო ბალანსის მიღწევას; multilateral ~ მრავალმხრივი ვაჭრობა; wholesale ~ საბითუმო ვაჭრობა

trademark სასაქონლო ნიშანი; სავაჭრო ნიშანი; საფაბრიკო (საქარხნო) მარკა (ნიშანი)

tradeoff 1. კომპრომისი; 2. ალტერნატივა;

trader 1. ვაჭარი; 2. ბირჟის მაკლერი, სპეკულანტი; 3. სავაჭრო გემი

trading 1. ვაჭრობა; 2. გარიგება; ~ area გასაღების ბაზარი; ~ difference რეალიზაციის ხარჯები; ~ down ვაჭრობა უფრო დაბალ დონეზე; ~ post სავაჭრო პოსტი, ბირჟის სავაჭრო დარბაზში მრავალ სავაჭრო წერტილთაგან ერთ-ერთი, რომელშიც იყიდება მსგავსი მახასიათებლების მქონე აქციები; ~ stamp ყიდვის დამადასტურებელი ბეჭედი; ~ up ვაჭრობა უფრო მაღალ დონეზე

traditional ტრადიციული; ~ approach to administration theory ტრადიციული მიდგომა ადმინისტრაციული თეორიის მიმართ; ადმინისტრაციის მიზანია დაგეგმოს ურთიერთობები სამუშაოს, ადამიანებს და სამუშაო ადგილებს შორის; დაამყაროს ორგანიზაციული ურთიერთობები შესაბამისი ხელისუფლების პასუხისმგებლობით, რათა განხორციელდეს საქმიანობის მართვა, ადმინისტრაციის ეფექტიანობა (სასურველი ორგანიზაციული მიზნების მიღწევა) და ეფექტურობა (მიზნების მიღწევა უდანაკარგოდ); ~ authority ტრადიციული ხელისუფლება; ეფუძნება წეს-ჩვეულებებსა და ისტორიას. ხშირად გადადის მემკვიდრეობით, მაგ., სამეფო დინასტიაში; ~ corporation ტრადიციული კორპორაცია, კორპორაცია, რომელიც ემსახურება აქციონერების ინტერესებს და აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი - მაქსიმალური მოგების მიღება; ~ indemnity plans ტრადიციული საკომპენსაციო გეგმა

traditionalism ტრდიციებისადმი ერთგულება, ტრადიციონალიზმი; საერთაშორისო ურთიერთობებში, ყურადღებას ამახვილებს ისეთი დისციპლინების შესწავლაზე, როგორიცაა დიპლომატიის ისტორია, საერთაშორისო სამართალი და ფილოსოფია. ტრადიციონალისტები სკეპტიკურად უყურებენ ბიჰევიორისტულ შეხედულებებს და მისდევენ მკაცრ სამეცნიერო სტანდარტებს, რომელიც გულისხმობს ფორმალური ჰიპოთეზის ტესტირებას და სტატისტიკური ანალიზის გამოყენებას

trained ნასწავლი; მომზადებული; ნავარჯიშევი

training 1. სწავლება, შესწავლა; მომზადება; 2. ვარჯიში; 3. თრეინინგი; გარკვეული საქმის შესასრულებლად საჭირო ცოდნის მიღება და უნარის გამომუშავება; **blitz ~** ბლიცთრეინინგი, პროფესიული მომზადების მოკლე კურსი, რომლის მიზანია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდა; **cold storage ~** თანამშრომელთა პროფესიული მომზადების ფორმა თანამდებობებისათვის, რომლებიც მათ შეიძლება დაიკავონ გარკვეული დროის შემდეგ

trait theory of leadership ფიზიკური, გონებრივი და პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებიც განაპირობებს ხელმძღვანელის მიერ სამუშაოს წარმატებით შესრულებას

transaction 1. საქმე; საქმის წარმოება; 2. გარიგება, გარიგების დადება; 3. ოპერაცია (სავაჭრო); 4. შრომები; ოქმი (სამეცნიერო დაწესებულების ან საზოგადოებისა); **accounting ~** ბუღალტრული ოპერაცია; **banking ~** საბანკო გარიგება; **basic ~s** ძირითადი ოპერაციები; **business ~** საქმიანი ოპერაცია; **cash ~** გარიგება ნაღდ ფულზე; **clearing ~s** კლირინგული ოპერაცია; **credit ~** კრედიტორული გარიგება; **discount ~s** დისკონტირების ოპერაცია; **exchange ~s** სავალუტო ოპერაციები; **external ~** საგარეო ოპერაცია; **intergovernmental (financial) ~s** ფინანსური ოპერაციები სამთავრობო უწყებებს შორის; **interregional ~** რაიონთაშორისი ოპერაცია; **issuing ~s** საემისიო ოპერაციები; **market ~s** საბაზრო გარიგებანი; **monetary ~** ფულადი გარიგება; **stock exchange ~** საფონდო ოპერაცია

transarmament სამხედრო უსაფრთხოების ურთიერთმუქარის ფორმებიდან თავდაცვის არაპროვოკაციულ მდგომარეობაზე გადასვლა. ამ იდეას საფუძვლად უდევს პრინციპი, რომ ჩვენ სახიფათო სამყაროში ვცხოვრობთ და საჭიროა რაიმე სახის თავდაცვა, კერძოდ, არაპროვოკაციული თავდაცვა მშვიდობის ძიების ნორმატიულ კონტექსტში

transfer 1. ტრანსფერტი, გადაცემა (მაგ. მონაცემებისა, საკუთრებისა და ა.შ.); დათმობა; 2. გადაგზავნა (ფულისა); გადარიცხვა, გაგზავნა (თანხისა); 3. გადატანა, ტრანსპორტირება (ტვირთისა, ფულისა); 4. გადაადგილება, გადასვლა; **~ of balance** *ბურ.* სალდოს გადატანა; **~ of experience** გამოცდილების გაზიარება; **~ of ownership** საკუთრების უფლების გადაცემა; **~ of portfolio** *ბურ.* პორტფელის გადაცემა; **~ of power** ენერგიის გადაცემა; **~ of value** ღირებულების გადატანა; **~ agent** აგენტი, რომელიც აწარმოებს რეგისტრირებული აქციონერების ჩაწერას; **bank ~** საბანკო გზავნილება; **capital ~** კაპიტალის გადაადგილება; **cash ~** ფულადი გზავნილება; **~ costs** 1) ტრანსპორტირების ხარჯები; 2) საოპერაციო ხარჯები; **interbank ~ of funds** ფულის ბანკთაშორისი გაგზავნა; **mail ~** საფოსტო გზავნილება; **money ~** ფულადი გზავნილება; **~ payments** უსასყიდლო სახელმწიფო გზავნილები მოქალაქეებისათვის, მაგალითად სოციალური საკითხების მოსაგვარებლად; **~ price** ტრანსფერტის ხარჯები; **social ~** სოციალური გადასახადი; **~ tax** ფასიანი ქა-

ღალდების გაყიდვაზე ან გადაცემაზე დაწესებული გადასახადი; **unilateral ~s** ცალმხრივი გზავნილები

transferee ტრანსფერტის მიმღები

transference 1. გადაცემა, გადატანა; 2. გზავნილება

transform ტრანსფორმირება; გარდაქმნა; შეცვლა

transformation curve ტრანსფორმაციული მრუდი; წარმოადგენს ორი სხვადასხვა საქონლის იმ რაოდენობათა ჰიპოთეტურ გამოსახულებას, რომელთა მიღებაც შეიძლება ერთი პროდუქციის საწარმოებელი რესურსების გადატანით მეორე პროდუქციის წარმოებაზე. მას ხანდახან წარმოების შესაძლებლობებს ან წარმოების ზღვარს უწოდებენ

transformation/system transformation ტრანსფორმაცია/ სისტემის ტრანსფორმაცია; ერთი სისტემის ფუნდამენტალური ცვლილება. მაგ., მრავალპოლარული სისტემის ბიპოლარულ სისტემად გარდაქმნა ან პირიქითს

transgovernmental სხვადასხვა სახელმწიფოების შიგა ერთეულების ერთმანეთთან კავშირი; ის შეიძლება მოიცავდეს ამ სახელმწიფოთა ბიუროკრატიულ და სხვა ოფიციალურად მოქმედი პირების კოალიციებსაც

transient 1. გადასვლა, გადაადგილება; გარდამავალი; დროებითი; ტრანზიტული; 2. ცვლადი; ცვალებადი; 3. დროებითი მაცხოვრებელი

transitory income დროებითი შემოსავალი, რომელიც არ იგეგმება მომავალში

transnational government relations ტრანსნაციონალური სამთავრობო ურთიერთობები; კონტრაქტები, კოალიციები, ურთიერთქმედებანი სახელმწიფო საზღვრებს მიღმა, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობის საგარეო პოლიტიკის ორგანოებს. ტრანსნაციონალური ურთიერთობები მოიცავს ურთიერთქმედებას კერძო აქტიორთა შორის, როგორიცაა ინდივიდუალური პირები, კორპორაციები, პროფკავშირები, სპორტული ლიგები და მომსახურების კლუბები; **~ organization** ტრანსნაციონალური ორგანიზაცია; ორგანიზატორები, რომლებიც არც სახელმწიფო ხელისუფლების ზემოთ იმყოფებიან და არც მას ექვემდებარებიან. ასეთ ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ნაკლებ იერარქიულია ვიდრე ქვეჯგუფებსა და სახელმწიფოებში

transparency გამჭვირვალობა

transparent გამჭვირვალე

treasury 1. ხაზინა; 2. *pl. ინგლ.* ხაზინის თამასუქი; **~ bill** მოკლევადიანი სახაზინო თამასუქი; **~ certificates** სახაზინო სერთიფიკატები; **~ deposit** სახაზინო დეპოზიტები; **~ Investment Growth Receipt** ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო სერთიფიკატი; **~ obligations** სახაზინო ვალდებულებები; **~ stock** საკუთარი აქციები პორტფელში (რომელიმე კორპორაციის აქციები, რომლებიც შეძენილია ამავე კორპორაციის მიერ)

treat 1. მიმართვა; მოქცევა; 2. მოლაპარაკება; 3. გამდიდრება (მაგ. მადნეულისა)

treatment effect გავლენა ქცევაზე, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის მანიპულაციას იწვევს

treaty 1. ხელშეკრულება; კონვენცია; 2. ზავი; 3. მოლაპარაკება; სუვერენულ სახელმწიფოებს შორის დადებული ფორმალური შეთანხმება, რომელიც აწესებს, განსაზღვრავს ან ცვლის მათ უფლებებსა და მოვალეობებს; ~ ratification ხელშეკრულების რატიფიკაცია; აქტი, რომლის მეშვეობით სახელმწიფო ოფიციალურად ადასტურებს ხელშეკრულების პირობებს

trend 1. ტენდენცია; მოძრაობა; საერთო მიმართულება; 2. რომელიმე მიმართულებით ცვლილება; ~ analysis ტენდენციის მიმდინარეობის ანალიზი; მომავალი მოვლენების დაპროექტება, დაფუძნებული წარსულ მოვლენებზე; ~ forecast ტენდენციის პროგნოზი; ~ study ტენდენციის შესწავლა; გრძივი გამოკვლევის სახეობა, რომელშიც ხდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოცემული თვისების მონიტორინგი დროის განმავლობაში. ამის მაგალითია, გალუპის გამოკითხვების სერია, რომელიც აჩვენებს ამომრჩეველთა დამოკიდებულებას პოლიტიკური კანდიდატების მიმართ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში; current ~ თანამედროვე ტენდენცია; demographic ~ დემოგრაფიული ტენდენცია; downward ~ შემცირების ტენდენცია; economic ~ ეკონომიკური განვითარების ტენდენცია; employment ~ დასაქმების ტენდენცია; general ~ საერთო ტენდენცია; quality ~ ხარისხის ცვლილების ტენდენცია; short-term ~ მოკლევადიანი ტენდენცია

trial 1. სასამართლო ძიება; მსვლელობა; პროცესი, სასამართლო; გარჩევა; 2. გამოცდა, ცდა; ~ and error pricing ფასის განსაზღვრა ცდისა და შეცდომის მეთოდით; ~ balance საცდელი (წინასწარი) ბალანსი; ~ by combat ღვთის სასამართლო; jury ~ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო; ~ period გამოსაცდელი პერიოდი; speedy ~ სწრაფი სასამართლო; to bring to ~ სასამართლოში მიცემა

triangular politics სამკუთხოვანი პოლიტიკა; აღნიშნავს ჩინეთის ადგილს ცივი ომის პერიოდში და საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის აღმოცენებას

tribunal ტრიბუნალი; სასამართლო; arbitration ~ საარბიტრაჟო სასამართლო; სამედიატორო სასამართლო

trickle-down ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულირება ორგანიზაციებს შორის ფედერალური რესურსების განაწილების გზით

tri-level conferences სამი დონის კონფერენციები; ასეთი კომიტეტი მოიცავს ფედერალური მთავრობის, პროვინციისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს

tripolarity სამპოლარულობა; საერთაშორისო სისტემა, რომელიც მოიცავს დაახლოებით თანაბარი პოტენციალის მქონე სამ სახელმწიფოს

trouble 1. სიძნელე, ძნელბედობა; 2. დაზიანებულობა (მაგ. მოწყობილობისა); 3. შეფერხება; 4. საწარმოო პროცესების დარღვევა

trough წარმოების, ფასების დაცემის ყველაზე დაბალი წერტილი, ეკონომიკური აქტიურობის უდაბლესი მაჩვენებელი

true ჭეშმარიტი; ზუსტი; ნამდვილი

trust 1. ტრესტი, კონცერნი; 2. ზედამხედველობა; ნდობა; მინდობილობა;

3. კრედიტი; კრედიტის მიცემა; ~ agreement (trust instrument) შეთანხმება ნდობის მიხედვით; ~ company ტრასტული კომპანია; ~ corporate ბანკის ქვედანაყოფი, რომელიც დაკავებულია ნდობის საკითხებითა და კორპორაციების ინტერესებით; ~ fund საშუალებანი, რომლებიც ინახება ნდობით აღჭურვილი პირის მიერ სხვა პირის ინტერესებისამებრ; federal ~ funds ფედერალური ტრასტული ფონდები

trustee ზედამხედველი; ნდობით აღჭურვილი პირი

trusteeship ზედამხედველობა; მფარველობა

tuition reimbursement სწავლების ანაზღაურება; კოლეჯში სწავლების საფასური

turn 1. ბრუნვა; ბრუნვაში გაშვება; 2. ცვლილება, ცვალებადობა; 3. რიგი, თანმიმდევრობა; 4. მოქმედების მცირე პერიოდი; 5. სამუშაო ცვლა

turnover 1. ბრუნვა; 2. საქონელბრუნვა; 3. დენადობა (მაგ. კადრებისა); 4. მიგრაციის საერთო მოცულობა; 5. ბაზრები; ნავაჭრი აქციების მოცულობა; ~ of capital კაპიტალბრუნვა; ~ of staff კადრების დენადობა; annual ~ წლიური ბრუნვა; cash ~ ნაღდი ფულის ბრუნვა; export ~ ექსპორტის ბრუნვა; foreign trade ~ საგარეო ვაჭრობის ბრუნვა; freight ~ ტვირთბრუნვა; goods ~ საქონელბრუნვა; import ~ იმპორტის ბრუნვა; labor ~ სამუშაო ძალის დენადობა; national labor ~ სამუშაო ძალის დენადობა; ~ ratio ბრუნვადობის ნორმა; ბრუნვადობის კოეფიციენტი; retail ~ საცალო საქონელბრუნვა; total ~ საერთო ბრუნვა

tutelage 1. მეურვეობა, მზრუნველობა, ზრუნვა; 2. ზრუნვის ქვეშ ყოფნა; 3. არასრულწლოვანება, მცირეწლოვანება

tutor 1. მეურვე; 2. დამრიგებელი

tutorage მზრუნველობა, ზრუნვა, მეურვეობა

twinning დაძმობილება; სხვადასხვა ქვეყნის ორი მუნიციპალიტეტის დაკავშირება ურთიერთდახმარებისა და კულტურული გაცვლების მიზნით

two-factor theory of motivation მოტივაციის ორფაქტორიანი თეორია; მუშათა მოტივაციაზე გავლენას ახდენს ორი ფაქტორი: „მოტივატორები" და „ჰიგიენის ფაქტორები". "ჰიგიენის ფაქტორები" სამუშაოს ის ასპექტებია, რომელთა არასაკმარისი ოდენობაც იწვევს სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობას, თუმცა ისინი თავად კმაყოფილების მაღალი დონის გამომწვევნი არ არიან. ესენია: კომპანიის პოლიტიკა და ადმინისტრაცია, ზედამხედველობა, პიროვნებებს შორის ურთიერთობები, სამუშაო პირობები, ხელფასი, სტატუსი და უსაფრთხოება. ამრიგად, „ჰიგიენის ფაქტორები" მხოლოდ აფერხებენ უკმაყოფილების წარმოშობას. მოტივატორები კი იწვევენ სამუშაოთი დაკმაყოფილების მაღალ ხარისხს. ესენია: მიღწევა, აღიარება, თვით სამუშაო, პასუხისმგებლობა, ზრდა და წინსვლა

two-party system ორპარტიული სისტემა; ასეთ სისტემებში ორი მთავარი პოლიტიკური პარტია დომინირებს საარჩევნო პროცესის დროს

two-tailed test ორპასუხიანი ტესტი

type 1. ტიპი; ტიპიური ნიმუში; 2. ჯიში, კატეგორია, სერია, კლასი; 3. სიმბოლო; შრიფტი; 4. საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვა; 5. სახესხვაობა;

სახეობა; 6. ოფციონის კლასიფიკაცია, როგორც ყიდვის ან გაყიდვის ოფციონი; ~ I error პირველი ტიპის შეცდომა; ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფა მაშინ, როცა ის სწორია; ~ II error მეორე ტიპის შეცდომა; როცა ნულოვან ჰიპოთეზას არ უარყოფენ, თუმცა ის მცდარია

typical ტიპიური; ტიპობრივი; დამახასიათებელი

typology ტიპოლოგია; საგნების ან მოვლენების კლასიფიკაცია მათი საერთო ნიშან-თვისებების მიხედვით

tyranny ტირანია; თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა

U

ultimate 1. საბოლოო შედეგი; 2. ძირითადი პრინციპი; 3. მაქსიმალური; 4. კრიზისული; კრიტიკული; ზღვრული; ~ consumer საბოლოო მომხმარებელი

ultimatum 1. ულტიმატუმი, *საერთ. სამართალში*: კატეგორიული მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობას მოსდევს დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა ან ძალის გამოყენება; 2. მოთხოვნა, რასაც თან ახლავს მუქარა

ultra vires არაკონსტიტუციური; დელეგირებული ძალაუფლების მიღმა

umpire სუპერარბიტრი; უმაღლესი არბიტრი; სამედიატორო სასამართლოს მოსამართლე; third party ~ მესამე არბიტრი

unacceptable 1. მიუღებელი; 2. არასასურველი

unaccepted არააქცეპტირებული; მიუღებელი

unadjusted 1. დაურეგულირებელი; მოუწესრიგებელი; 2. შეუსწორებელი, არაკორექტირებული; ~ rate of return მოგების ან რენტაბელობის არაკორექტირებული ნორმა

unaffected შეუცვლელი, ზემოქმედების არმქონე, დამოუკიდებელი

unaffiliated union დამოუკიდებელი პროფკავშირი

unanimity ერთსულოვნება; კენჭისყრის პროცედურა საერთაშორისო ორგანოებში

unanticipated გაუთვალისწინებელი

unapplied გამოუყენებელი; გამოუსადეგარი

unappropriated profits გაუნაწილებელი მოგება

unascertained დაუდგენელი; არაიდენტიფიცირებული

unauthorized ნებადაურთველი, არაუფლებამოსილი; ~ strike არასანქციონირებული გაფიცვა

unbalanced დაუბალანსებელი; გაუთანაბრებელი; ~ growth გაუწონასწორებელი, დაუბალანსებელი ზრდა

unbundle დაყოფა, დანაწილება

uncertain არამდგრადი; არასაიმედო; ~ budget climate არამდგრადი საბიუჯეტო კლიმატი; ~ environment განუსაზღვრელი, არასაიმედო, ცვლადი გარემო პირობები

uncertainty 1. დაურწმუნებლობა, ყოყმანი; 2. ცვალებადობა; 3. შეუცნობლობა, განუსაზღვრელობა; environmental ~ გარე განუსაზღვრელობა

unclassified 1. არასაიდუმლო (დოკუმენტი); 2. არაკლასიფიცირებული; განსაზღვრულ კატეგორიას მიუკუთვნებელი

uncompensated care არაკომპენსირე-

ბული დახმარება
unconditional უპირობო; ~ grants უპირობო გრანტები; ფედერალურ სისტემაში ფედერალური მთავრობის მიერ რეგიონალური მთავრობისათვის გადაცემული თანხები, რომელთა გამოყენება პროვინციულ მთავრობას შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ. ფედერალური მთავრობა მოითხოვს თანხების გახარჯვის ანგარიშებს; ~ surrender უპირობო დანებება (კაპიტულაცია); საომარ მოქმედებათა შეწყვეტა პირობების შეთანხმების გარეშე
unconfirmed დაუმტკიცებელი
unconstitutional არაკონსტიტუციური; როცა მთავრობის მოქმედება კონსტიტუციის მიერ მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებს სცილდება
uncontrollable factors მენეჯერის პირდაპირი კონტროლის მიღმა დარჩენილი ფაქტორები
unconventional war უპირობო ომი; ასეთი ომებია პარტიზანული ბრძოლები, ტერიტორიული დაბომბვები, ეკონომიკური ბოიკოტები და ცივი ომის პერიოდში სუპერსახელმწიფოების მიერ განხორციელებული ფარული ქმედებები
unconvertible თავისუფალ გაცვლას დაუქვემდებარებელი
uncovered დაუფარავი, არაუზრუნველყოფილი; ~ call ღია ყიდვა; ყიდვის ოპციონის მოკლე პოზიცია, როდესაც ოფციონის მფლობელი არ ფლობს ოფციონური კონტრაქტით წარმოდგენილი ძირითადი აქციის წილს; ~ put ღია გაყიდვა
uncustomed საბაჟო გადასახადით დაუბეგრავი; გადაუხდელი ბაჟი
undated დაუთარიღებელი.
undeclared income აღურიცხავი შემოსავალი
under development ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ჩამორჩენა მოწინავე ქვეყნების სტანდარტებთან მიმართებაში
underactivity არასაკმაო ეკონომყოფი; ~ security ძირითადი ფასიანი ქაღალდი
undermaintenance მოწყობილობის არასაკმარისი მომსახურება და რემონტი
undernourishment არასაკმარისი კვება
underpaid დაბალი ანაზღაურების მქონე
underpayment შრომის დაბალი ანაზღაურება
underperformance of economy დაბალი ეკონომიკური აქტივობა
underpopulated ნაკლებდასახლებული
underpricing ფასის დანიშვნა, რომელიც ვერ ფარავს ღირებულებას
underproduce არასაკმარისი პროდუქციის გამოშვება
underproductivity არასაკმარისი მწარმოებლურობა
underrate ნამდვილ ფასთან შედარებით ნაკლები ფასის დადება
underruning დაუტვირთაობა
undersaving არასაკმარისი დანაზოგი
undersell დაბალი ფასით გაყიდვა
understaffed დაუკომპლექტებელი (შტატებით)
understate შემცირება
understock საქონლით არასაკმარისი მომარაგება; საქონლის არასაკმარისი მარაგი
undertaking 1. საწარმო; საქმე 2. ვალდებულება; გარანტია; ~ of wide scope მსხვილი საწარმო; agricultural ~ სასოფლო-სამეურნეო საწარმო; industrial ~ ინდუსტრიული საწარმო;

joint ~ ერთობლივი საწარმო; private ~ კერძო საწარმო; public ~ სახელმწიფო საწარმო

undertime არასრული სამუშაო დრო

underutilization არასრული გამოყენება; არასრული დატვირთვა; ~ of capacity საწარმოო სიმძლავრეების არასრული გამოყენება

underwrite 1. ხელმოწერა; 2. დაზღვევაზე აყვანა; 3. მოთავსების გარანტია (ფასიანი ქაღალდების)

underwriter 1. თავმდები გარანტი; დამზღვევი; 2. მოიჯარე, გარანტი (ფასიანი ქაღალდების მოთავსებისას)

underwriting 1. დამოწმება; ხელმოწერა; 2. დაზღვევაზე აყვანა; 3. გარანტირებული მოთავსება

undigested ჭარბი, გაუყიდავი (ფასიანი ქაღალდები); ~ securities არარეალიზებული ფასიანი ქაღალდები

undistributed profit გაუნაწილებელი მოგება

undo 1. ანულირება, მოსპობა; გაუქმება; 2. დაშლა, დემონტირება

undoubted 1. უდავო, უეჭველი; 2. ნამდვილი, დედნისეული

undue 1.არათანადროული; უადგილო; შეუსაბამო; არასწორი; არადანიშნულებითი; 2. მეტისმეტი, ზომაგადასული; გადაუვადებელი

undurable არახანგრძლივი მოხმარების

unearned არაშრომითი, უშრომელი, მუქთა; ~ income არასაწარმოო შემოსავალი; ~ revenue შემოსავალი, მიღებული ავანსით

uneconomic არაეკონომიკური; არარენტაბელური; არასახელმწიფო

unefficient 1. არაეფექტიანი; უშედეგო; არაპროდუქტიული; 2. არაეფექტური; არამწარმოებლური

unemployed 1. დაუსაქმებელი, გამოუყენებელი; 2. უმუშევარი; ~ on benefit უმუშევარი, რომელიც იღებს დახმარებას; ~ resources გამოუყენებელი რესურსები; ზოგ ბაზარზე კოორდინაციის პრობლემას წარმოადგენს რესურსების გამოუყენებლობა. მაგ., შრომის, საცხოვრებლისა და კაპიტალის გამოუყენებლობა; the ~ უმუშევრები; inactive ~ უმუშევარი, რომელსაც არ გააჩნია შემოსაელის წყარო; partially ~ ნაწილობრივ (ნახევრად)უმუშევარი; registered ~ რეგისტრირებული უმუშევარი

unemployment უმუშევრობა, დაუსაქმებლობა; casual ~ დროებითი უმუშევრობა; chronic ~ ქრონიკული უმუშევრობა; concealed ~ ფარული უმუშევრობა; cyclical ~ ციკლური უმუშევრობა; ~ compensation უმუშევრობის კომპენსაცია; cyclical ~ ციკლური უმუშევრობა; 1) უმუშევრობა, რომელიც დაკავშირებულია მოკლევადიან ეკონომიკურ მოვლენებთან; 2) უმუშევრობის ფაქტობრივი დონის გადახრა რეალურისაგან; deficient-demand ~ უმუშევრობა გამოწვეული არასაკმარისი მოთხოვნით; disguised ~ ფარული უმუშევრობა; fluctuating ~ არამდგრადი უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია დროებითი, ხშირად ნებაყოფლობითი ეკონომიკური კორექტივებით; frictional ~ ფრიქციული უმუშევრობა (დროებითი უმუშევრობა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლასთან დაკავშირებით); general ~ საერთო ხასიათის უმუშევრობა; hidden ~ ფარული უმუშევრობა; involuntary ~ იძულებითი უმუშევრობა; ~ insurance (UI) უმუშევრობის დაზღვევა; სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნ-

ველყოფს მომუშავის სათანადო შემოსავალს სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში; **mass ~** მასობრივი უმუშევრობა; **nonstructured ~** არასტრუქტურული უმუშევრობა (გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის დაქვეითებით); **~ rate** უმუშევრობის დონე; სამუშაო ძალაში იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც არ მუშაობენ, მაგრამ აქტიურად ეძებენ სამუშაოს; **technological ~** ტექნოლოგიური უმუშევრობა (გამოწვეული ახალი ტექნიკის დანერგვით); **~ types** უმუშევრობის ტიპები; მაგ., სეზონური ან ციკლური უმუშევრობა; **voluntary ~** ნებაყოფლობითი უმუშევრობა; **wait ~** მოცდის უმუშევრობა, რომელიც დაბალი ხელფასისა და შეზღუდული სამუშაო ადგილების შედეგია

unencumbered გადასახადისაგან თავისუფალი; დაუბანდებელი

unequal incomes არათანაბარი შემოსავლები; მისი ფაქტორებია: უნარი, მემკვიდრეობა, ადამიანების დაგროვილი კაპიტალი, სამუშაო ძალისხმევა და უბრალოდ იღბალი

unfavorable არახელსაყრელი (მაგ.პირობები)

unfit უვარგისი, შეუსაბამო

unfluctuating ურყევი, მტკიცე (მაგ. ვალუტის კურსი)

ungraded 1. დაუხარისხებელი; არაკლასიფიცირებული; არასტანდარტული; 2. დაბალხარისხიანი

unicameral legislature ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანო

unicameralism უნიკამერალიზმი; ერთპალატიანობა; პრინციპი, რომლის თანახმად საკანონმდებლო ორგანოები ერთპალატიანი უნდა იყოს

unification 1. უნიფიკაცია; 2. გაერთიანება

uniformity ერთსახეობა; ერთგვაროვნება

unilateral ცალმხრივი (დეკლარაცია, ხელშეკრულება); **~ disarmament** ცალმხრივი განიარაღება; განიარაღების პროტაგონისტთა სტრატეგია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკებების ჩიხიდან გამოყვანის მიზნით, საჭიროა მხარემ აიღოს ცალმხრივი განიარაღების ინიციატივა; **~ strategy** ცალმხრივი სტრატეგია, მიდგომა ორგანიზაციის განვითარებისადმი, რომელიც გამორიცხავს თანამშრომელთა მონაწილეობას; **~ transfers** ცალმხრივი გადარიცხვები

unilateralism უნილატერალიზმი; პოლიტიკა, რომლის დროსაც სახელმწიფო მთლიანად დამოკიდებულია საკუთარ რესურსებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული ინტერესების გატარებისას. უნილატერალიზმმა შეიძლება მიიღოს შემდეგი ფორმები: 1) იზოლაციონიზმი ან ნეოიზოლაციონიზმი 2) ნეიტრალიტეტი 3) საერთაშორისო პოლიტიკაში მონაწილეობა მხოლოდ საკუთარ პოტენციალზე დაყრდნობით 4) მიუმხრობლობა

union 1. გაერთიანება, კავშირი; 2. პროფესიული კავშირი, ტრედუნიონი, გაერთიანება, ლეგალურად დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს დასაქმებულთა ჯგუფს და აწარმოებს მოლაპარაკებებს დასაქმებულთა კომპენსაციებისა და სამუშაო პირობების შესახებ; **~ rate** ხელფასის განაკვეთი, დამოწმებული კოლექტიური შრომით ხელშეკრულე-

ბაში; ~ security clauses პროფკავშირების ინტერესების დამცავი დებულებანი

unique 1. უნიკალური; განსაკუთრებული; ერთადერთი; 2. ცალსახა; სპეციფიკური; 3. ერთმნიშვნელოვანი; 4. ნაკეთობა

unit 1. ერთეული; მთლიანი; 2. ზომის ერთეული; 3. ორგანიზებული ერთეული, ქვეგანყოფილება; 4. აგრეგატი; სექცია; ბლოკი; კვანძი; კომპლექტი; 5. ფასიანი ქაღალდების პარტია; absolute ~ *სტატ.* აბსოლუტური ერთეული; accountability ~ პასუხისმგებლობის ერთეული; administrative ~ ადმინისტრაციული ერთეული; ~ of analysis ანალიზის ერთეული; ის, რაც შეისწავლება; ~ rule პოლიტიკური პარტიების ან სახელმწიფო პარტიული ორგანიზაციების მეთოდი, რომელიც მოითხოვს იმას, რომ სახელმწიფო დელეგატებმა კენჭი იყარონ ბლოკებად და არა ინდივიდუალურად; business ~ სამეურნეო ერთეული; capital ~ კაპიტალის ელემენტი; control ~ კონტროლის ერთეული; controlling ~ კონტროლის ორგანო; conventional ~ პირობითი ერთეული; ~ cost წარმოების ხვედრითი ხარჯები; ~ differentiation ერთეულის დიფერენციაცია; დაყოფა; დანაწევრება ერთმანეთისგან განსხვავებულ ნაწილებად; discardable ~ ნაკეთობა, რომელიც ექვემდებარება ჩამოწერას; effective ~ ვარგისი ნაკეთობა; end product ~ საბოლოო ნაკეთობა; European currency ~ ევროპის სავალუტო ერთეული (ეკიუ); ~ labor cost შრომის ანაზღაურების ხვედრითი ხარჯები; marginal ~s პროდუქციის ზღვრული ერთეული (რომელიც განსაზღვრავს საბაზრო ფასს); monetary ~ ფულის ერთეული; ვალუტის ერთეული; observation ~ სტატისტიკური დაკვირვების ერთეული; organizational ~ ორგანიზაციული ერთეული, ქვედანაყოფი; statistical ~ სტატისტიკური აღრიცხვის ერთეული; training ~ სასწავლო ცენტრი

unitarism in job design theories უნიტარიზმი სამუშაოს დიზაინის თეორიებში; სამუშაო ისე უნდა იქნას აგებული, რომ მუშაკს გაუჩნდეს უკეთ მუშაობის მოტივაცია. ფოკუსს წარმოადგენს ინდივიდუალური პირი და ჯგუფი, ხოლო უფრო ფართო ორგანიზაცია უგულებელყოფილია. ასევე უგულებელყოფილია პროფკავშირის და თანამშრომლის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხი

unitary 1. ერთიანი; ერთდროულად გამოყენებული; ერთდროულად მიღებული; 2. უნიტარული, გაერთიანებული ტენდენციის მქონე; ბევრ რეალისტურ თეორიაში სახელმწიფო განხილულია, როგორც უნიტარული მხარე; ~ elasticity ერთეულის ელასტიკურობა; ~ system უნიტარული სისტემა; უნიტარული მთავრობისთვის დამახასიათებელია ერთსაფეხურიანი მთავრობა. არ არსებობს დამოუკიდებლად მოქმედი რეგიონალური ან ადგილობრივი მთავრობები. ეროვნული მთავრობა ახდენს გარკვეული ძალაუფლების დელეგირებას ადგილობრივ ორგანოებში. დელეგირება ხორციელდება დადგენილი კანონის მეშვეობით. ასეთი მთავრობის მაგალითებია ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები

unite გაერთიანება, შეერთება

United States Employment Service (USES) აშშ დასაქმების სამსახური

units highly controlled from the top ზემოდან მართული ერთეულები

unity of command ერთმმართველობა; ორგანიზაციის აგების პრინციპი, რომლის თანახმადაც ქვეშევრდომმა უფლებამოსილება უნდა მიიღოს მხოლოდ ერთი ხელმძღვანელისაგან და მხოლოდ მის მიმართ უნდა იყოს პასუხისმგებელი

univariate analysis უნივარიაციული ანალიზი; ერთი ცვლადის ანალიზი აღწერის მიზნით

universal საყოველთაო; უნივერსალური; ~ law უნივერსალური კანონი

unlawful არაკანონიერი, აკრძალული

unlimited არალიმიტირებული; შეუზღუდავი

unliquidated 1. გადაუხდელი; არალიკვიდირებული; 2. შეუფასებელი; შეჯამებით დაუდგენელი

unmanageable უმართავი; კონტროლს დაუქვემდებარებელი

unmanufactured დაუმუშავებელი; ნედლი

unmarketable არასაბაზრო, ბაზრისათვის შეუფერებელი

unmerchantable ვაჭრობისათვის უვარგისი

unobtrusive measures ჩუმი აღრიცხვები; აღრიცხვები ან დაკვირვებანი, რომლებიც გამოიყენება ქცევის შესწავლისას, როცა სუბიექტებმა არ იციან, რომ მათ აღრიცხავენ ან აკვირდებიან

unpaid balance დაუფარავი ნაშთი

unpaid dividend გადაუხდელი დივიდენდი

unplaced გაუყიდავი (საქონელი); მოუთავსებელი (სესხი)

unpledged დაუგირავებელი

unpopular არაპოპულარული, რაც არ სარგებლობს მოთხოვნით

unproductive არამწარმოებლური; არაპროდუქტიული, არაშემოსავლიანი

unprofitable არარენტაბელური, გამოუსადეგარი

unqualified არაკვალიფიციური; შეუფერებელი

unrealizable 1. არარეალიზებადი; 2. განუხორციელებელი

unrealized profit არარეალიზებული მოგება

unreasonable უგუნური; დაუსაბუთებელი; უსაფუძვლო; ძალიან მაღალი (ფასი)

unresponsive ურეაქციო

unsecured არაუზრუნველყოფილი; ~ debt ვალი, უსაფუძვლო დავალიანება; ~ loan არაუზრუნველყოფილი სესხი

unskilled არაკვალიფიციური (მუშა)

unskilled worker არაკვალიფიციური მუშაკი

unsound უხარისხო

unstable არამდგრადი; მერყევი; არასტაბილური; ცვალებადი; ~ market არასტაბილური ბაზარი, არამდგრადი ბაზარი

unsuccessful უშედეგო, ფუჭი

untied aid უპირობო დახმარება; სესხები და გრანტები, რომელთაც აძლევენ განვითარებად ქვეყანას ისე, რომ არ მოითხოვენ საქონლისა და მომსახურების შესყიდვას დონორი ქვეყნისაგან

update 1. მოდერნიზება; სრულყოფა; განახლება; 2. კორექტირება; შეცვლა ახალი მონაცემების მიხედვით

updating 1. განახლება; ახალი მონაცემებით შეცვლა, კორექტირება; 2. მოდერნიზაცია

upgrade 1. ამაღლება, გაუმჯობესება;

2. უფრო მაღალ კატეგორიაზე გადაყვანა

upgrading 1. კვალიფიკაციის ან თანრიგის ამაღლება; 2. მოდერნიზება; ხარისხის ამაღლება

ups and downs აღმასვლები და ჩავარდნები (მაგ. წარმოებაში, ბიზნესში)

up-to-date უახლესი; თანამედროვე

up-to-sample ნიმუშთან შესაბამისი

upwards communication ზემოთ მიმართული კომუნიკაცია; კომუნიკაციის სახეობა, როცა ინფორმაცია დაბალი საფეხურიდან მაღლა მიემართება

urbanization ურბანიზაცია; მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრის პროცესი

urgency 1. უკიდურესი აუცილებლობა; 2. სისწრაფე, გადაუდებლობა; 3. დაჟინებულობა

usable 1. გამოყენებადი; ხმარებადი; 2. პრაქტიკული; ხელსაყრელი

usage 1. მოხმარება; 2. გამოყენება; 3. ჩვევა

usance 1. *ეკონ.* დასაქმება; 2. *ფინანს.* პროცენტები ან შემოსავალი; 3. *ფინანს.* დროის პერიოდი, რომელიც განკუთვნილია საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად

use 1. გამოყენება; ხმარება; სარგებლობა; 2. სარგებელი; ხეირი; 3. მიზანი; დანიშნულება; 4. სარგებლობის უფლება; 5. საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენება; **civil** ~ სამოქალაქო გამოყენების; ~ **tax** გარკვეული საგნის გამოყენების გადასახადი

used ნახმარი, ძველი, გამოყენებული

useful 1. სასარგებლო, ვარგისი; 2. მოსახერხებელი

useless უსარგებლო; გამოუყენებელი; ~ **quality** ზედმეტი ხარისხი, ფუჭი ხარისხი

user 1. მომხმარებელი; 2. აბონენტი; ~ **expectation** მომხმარებლის მოლოდინი; ~ **fees** მომხმარებელთა გადასახადები; გადასახადები, რომელთა გადახდასაც აკისრებენ მომსახურების მომხმარებელს. მაგ., სატრანზიტო გადასახადები ან წყლის გადასახადები

user მომხმარებელი; **chief** ~ მთავარი მომხმარებელი; **end** ~ საბოლოო მომხმარებელი; **institutional** ~**s** მომხმარებელი დაწესებულებები

user-oriented მომხმარებელზე ორიენტირებული, სამომხმარებლო

usucapio უზუკაპია; საკუთრების უფლების მოპოვება ფლობის ხანგრძლივობის გამო

usurer მევახშე

usury მევახშეობა; მევახშის პროცენტი

utilitarianism უტილიტარიზმი; ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ქცევის ზნეობრიობის კრიტერიუმად მის სარგებლიანობას თვლის. უტილიტარიზმის ფუძემდებელია ჯერემი ბენტამი

utility 1. სარგებლიანობა; პრაქტიკულობა; 2. მომგებიანობა; 3. *pl.* კომუნალური მომსახურება; 4. უნივერსალური დანიშნულების, საერთო; **absolute** ~ აბსოლუტური სარგებლიანობა; **aggregate** ~ სარგებლიანობის აგრეგირებული ფუნქცია; **cardinal** ~ რაოდენობრივი სარგებლიანობა; **cumulative** ~ ერთობლივი სარგებლიანობა; **decreasing (diminishing)** ~ შემცირებადი სარგებლიანობა; **diminishing marginal** ~ შემცირებადი ზღვრული სარგებლიანობა; **expected** ~ მოსალოდნელი სარგებლიანობა; **incommensurable** ~ განუზომელი სარგებლიანობა; **incremental** ~ მატე-

ბადი სარგებლიანობა; **marginal ~** ზღვრული (მარჟინალური) სარგებლიანობა; **marginal ~ of money** ფულის ზღვრული სარგებლიანობა; **optimum ~** ოპტიმალური სარგებლიანობა; **public ~ies** 1) კომუნალური ნაგებობა, კომუნალური საწარმო; 2) კომუნალური მომსახურება; **sampling ~** შერჩევითი სარგებლიანობა; **social ~** საზოგადოებრივი სარგებლიანობა; **total ~** ერთობლივი სარგებლიანობა; **transportation ~ies** საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტი

utilization 1. გამოყენება; 2. მოხმარება; **~ of budget** ბიუჯეტის გამოყენება; **~ focused evaluation** უტილიზაციაზე მიმართული შეფასება; **~ of cash** ნაღდი ფულის გამოყენება; **full capacity ~** საწარმოო სიმძლავრეების სრული გამოყენება; **land ~** მიწის გამოყენება; **~ rate or occupacy rate** დაკავებულობის ან უტილიზაციის კოეფიციენტი; სტაციონარულ ჯანდაცვით საშუალებებში გამოყენებული საზომი, რომელიც განისაზღვრება მისაწვდომ საწოლდღეთა გაყოფით ავადმყოფდღეებზე; **~ review (UR)** გამოყენების განხილვა; ცნობილი აგრეთვე, როგორც უტილიზაციის მართვა ან კონტროლი, წარმოადგენს პაციენტთა მიერ სამედიცინო მომსახურების გამოყენებისა და ამ მომსახურების სისწორისა (მართებულობის) და ხარისხის განხილვის და კონტროლის საშუალებებს

utopianism 1. უტოპიზმი; სერ თომას მორის (1475-1535) მიერ აღწერილი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა წიგნში „უტოპია"; 2. განუხორციელებლობა



vacancy 1. ვაკანსია; დაუკავებელი თანამდებობა; 2. თავისუფალი ნაგებობა; **to fill a ~** თანამდებობის დაკავება; **job ~** დაუკავებელი სამუშაო ადგილი

vacant 1. ვაკანტური; დაუკავებელი, თავისუფალი; 2. გამოუყენებელი

valid 1. მოქმედი; ნამდვილი; ძალის მქონე; კანონიერი; 2. დასაბუთებული, სარწმუნო

validate 1. დამტკიცება; რატიფიცირება; ლეგალიზაცია; 2. სისწორის შემოწმება

validity 1. საფუძვლიანობა; სინამდვილე; 2. კანონიერება, დასაბუთებულობა

valorization 1. ფასის დადგენა (მაგ. სახელმწიფო ორგანოს სანქციით); 2. ვალორიზაცია; სახელმწიფოს ქმედებები, მიმართული საქონლის ან მომსახურების ფასის გაზრდისაკენ

valorize 1. ფასის დადგენა; შეფასება; 2. რევალვირება

valuable 1. ფასის მქონე; ფასიანი; 2. *pl.* ფასეულობები; ძვირფასეულობა

valuation 1. შეფასება; ღირებულების განსაზღვრა; 2. ტაქსაცია; 3. ნორმა; 4. ნორმირება

value 1. ღირებულება; 2. ფასეულობა; ფასი; შეფასება; 3. სიდიდე; 4. ვალუტა; 5. *pl.* ფასეულობები; რწმენა, რომლიც გავლენას ახდენს ადამიანთა ჯგუფის ან ორგანიზაციის ხელმისაწვდომ საშუალებებსა და მიზნებს შორის არჩევანის გაკეთებაზე; **actual ~** ნამდვილი ღირებულება; **—added tax** დამატებული ღირებულების გადასახადი; **annual ~** წლიური ღირებულება; **~ approach**

მიდგომა მორალურ-ეთიკური შეფასებების გათვალისწინებით; assessed ~ შეფასებითი ღირებულება; average ~ 1) საშუალო მნიშვნელობა; 2) საშუალო ღირებულება; aggregate ~ ერთობლივი ღირებულება; asset ~ ნომინალური ღირებულება; cost ~ თვითღირებულება; ~ of benefits საერთო ეკონომიკური ეფექტი ფულად გამოსახულებაში; cash ~ ფულადი ღირებულება; critical ~ კრიტიკული მნიშვნელობა; ~ of commodity სასაქონლო ღირებულება; ~ of currency ვალუტის ღირებულება; ~ engineering ეკონომიკური გათვლა; initial ~ საწყისი მნიშვნელობა; ~ in use საქონლის ფასეულობა იმ პირისათვის, რომელიც მას იყენებს; ~ of imports იმპორტის ღირებულება; imputed ~ პირობითად დარიცხული ღირებულება, ბაზარზე გაყიდვას დაუქვემდებარებელი და საბაზრო ღირებულების არმქონე საქონლისა და მომსახურების ღირებულებითი შეფასება; loan ~ სესხის ღირებულება; ~ of money ფულის ღირებულება; set ~ მოცემული მნიშვნელობა; surplus ~ დამატებითი ღირებულება; time ~ დროის ნორმა; true ~ ნამდვილი მნიშვნელობა; ნამდვილი ღირებულება

variabililty ცვალებადობა, არამუდმივობა; ~ of demand მოთხოვნის ცვალებადობა; observed ~ დაკვირვებადი ცვალებადობა

variable 1. ცვლადი; არამდგრადი, ცვალებადი (სიდიდე); 2. რაოდენობრივი ნიშანი; ~ annuity პენსიის გადახდის კონტრაქტი. პენსიონერის მთელი ცხოვრების მანძილზე, რომელიც იცვლება შენატანებზე დამოკიდებულებით; ~ budget ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შესაძლო ცვლილებებს; ~ cost ცვალებადი, მერყევი, არამუდმივი საფასური; ~ cost ცვალებადი ხარჯი, რომელიც უცვლელია პროდუქციის ერთეულზე გათვლისას, მაგრამ პირდაპირპროპორციულად იცვლება მოცულობის ან წარმოების შეცვლისას; ~ expenses ცვალებადი ხარჯები, რომლებიც იცვლება საწარმოს წარმოების მოცულობისა და მისი საწარმოო სიმძლავრესთან დამოკიდებულებით; ~ inspection გადახრების კონტროლი; ~ reward ცვალებადი ანაზღაურება, არამუდმივი ანაზღაურება; additional ~ დამატებითი ცვლადი; concomitant ~ თანმხლები ცვლადი; continuous ~ უწყვეტი ცვლადი; controlled ~ რეგულირებადი ცვლადი; dependent ~ დამოკიდებული ცვლადი; endogenous ~ ენდოგენური ცვლადი; exogenous ~ ეგზოგენური ცვლადი; ეკონომიკურ მოდელში წინასწარ მოცემული ცვლადი, რომელიც არ არის დამოკიდებული მოდელის ამოხსნაზე; key ~ გადამწყვეტი ცვლადი; numerical ~ რიცხვითი ცვლადი; planning ~ გეგმური მაჩვენებელი; predetermined ~ წინასწარ განსაზღვრული ცვლადი; time ~ დროის ფუნქცია, დროზე დამოკიდებული სიდიდე;

variance 1. გადახრა (ნორმიდან) განსხვავება; შეუსაბამობა; 2. დისპერსია; საშუალო გადახრა; 3. გაფანტვა

variation ცვლილება; მერყეობა; გადახრა

variety 1. სხვადასხვაობა; 2. რიგი, სიმრავლე; 3. ნაირსახეობა, სახეობა; მრავალფეროვნება

vary 1. შეცვლა; გამოცვლა; ვარირება; 2. გადახრა; სხვაობა

velocity სიჩქარე, სისწრაფე; ~ of circulation მიმოქცევის სისწრაფე; ~

of currency ნაღდი ფულის მიმოქცევის სისწრაფე; ~ of money ფულის მიმოქცევის სისწრაფე; ~ of turnover ბრუნვის სისწრაფე; income ~ შემოსავლების მიმოქცევის სისწრაფე; price ~ ფასების ცვლილების სისწრაფე

vend ვაჭრობა

vendor მწარმოებელი, ბითუმად მოვაჭრე ან იმპორტიორი, ვისგანაც იძენენ საქონელს

venture 1. რისკის მქონე საწარმო, სარისკო წარმოება; 2. სპეკულაციის ობიექტი; ~ capital საქმეში ჩადებული კაპიტალი; სარისკო კაპიტალი; ~ capital funds საინვესტიციო ფონდები რისკის მაღალი ხარისხით; ~ capitalist მეწარმე, რომელიც მიდის რისკზე

verbal communication სიტყვიერი, ვერბალური კომუნიკაცია

verification 1. კონტროლი; შემოწმება; სინამდვილის დადგენა; ვერიფიკაცია; 2. რეგისტრაციის სისწორის შემოწმება; 3. რისამე ჭეშმარიტების შემოწმება, რისამე სინამდვილის დადგენა. ეს ცნება გამოიყენება შეიარაღების კონტროლის სფეროში. გულისხმობს ინსპექციას იმის დასადასტურებლად, რომ მხარე არ არღვევს შეიარაღების კონტროლის შეთანხმებას ან ხელშეკრულებას

verify 1. შემოწმება; კონტროლირება; 2. დამტკიცება; 3. დადასტურება; დამოწმება

vertical ვერტიკალური; ~ differentiation ვერტიკალური დიფერენციაცია; ~ division of labor შრომის ვერტიკალური დანაწილება; ~ integration ვერტიკალური ინტეგრაცია; მინერალური რესურსების უმეტესობის, როგორიცაა ნავთობი, ქალა, თუთია, ნიკელი და ალუმინი, წარმოებასა და გაყიდვას აკონტროლებს ოლიგოპოლია, ანუ ვერტიკალურად ინტეგრირებული მრავალეროვნული კორპორაციები, რომლებიც ამ რესურსების მთავარი მწარმოებლებიც არიან და მთავარი მომხმარებლებიც. დიდი საწარმოები ვერტიკალური ინტეგრაციისკენ ისწრაფვიან, რათა თავიდან აიცილონ წარმოებასთან დაკავშირებული რისკები; ~ merger ორგანიზაციების ვერტიკალური გაერთიანება; ~ proliferation ვერტიკალური გავრცელება; ბირთვულ სახელმწიფოებში ბირთვული იარაღის მარაგების გაზრდა და მათი მოთავსება ბირთვული სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. ბირთვული იარაღი შეიძლება მოთავსებულ იქნას უცხოეთში განლაგებულ ბაზებში, საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიის გარეთ პატრულირებენ; ~ promotion ვერტიკალური წინსვლა სამსახურში; ~ specialization ვერტიკალური სპეციალიზაცია; ~ strain ვერტიკალური კონკურენცია

vest 1. შემოსვა; აღჭურვა (უფლებით); 2. ვალდებულებების დადება; 3. ინვესტირება

veto ვეტო, აკრძალვა, უარის თქმა; ~ power ვეტოს დადების უფლება

viability სიცოცხლისუნარიანობა

viable სიცოცხლისუნარიანი

vice 1. ვიცე; მოადგილე; 2. მოვალეობის შემსრულებელი

vice-agent რწმუნებული; ნდობით აღჭურვილი პირი; ვიცე-აგენტი

vice-chairman ვიცე-თავმჯდომარე; თავმჯდომარის მოადგილე

vice-president ვიცე-პრეზიდენტი; პრეზიდენტის მოადგილე

video in-service training ვიდეოსაშუალებებით სამუშაო ადგილზე თრეი-

ნინგი, კვალიფიკაციის ამაღლება
viewpoint შეხედულება; თვალსაზრისი
violate დარღვევა; გადამეტება; გადაჭარბება
virtual ვირტუალური, შესაძლებელი
virtue 1. კარგი ხარისხის; 2. უპირატესობა
visa ვიზა; **business ~** ვიზა საქმიანი მოგზაურობისთვის; **confirmation of a ~** ვიზის დადასტურება; **consular ~** საკონსულო ვიზა; **entry ~** შესვლის ვიზა; **exempt ~** პრივილეგირებული ვიზა; **exit ~** გასვლის ვიზა; **export ~** ექსპორტის (გატანის) ვიზა; **extension of a ~** ვიზის გაგრძელება; **import ~** იმპორტის (შესვლის) ვიზა; **issuance of a ~** ვიზის გაცემა; **multiple entry ~** მრავალჯერადი ვიზა; **ordinary ~** ჩვეულებრივი ვიზა; **permanent ~** მუდმივი ვიზა; **receipt of a ~** ვიზის მიღება; **to apply for a ~** ვიზის მოთხოვნა; **to extend a ~** ვიზის გაგრძელება; **to issue a ~** ვიზის გაცემა; **to receive a ~** ვიზის მიღება; **to support a ~ application** ვიზის მოთხოვნაზე მხარდაჭერა; **tourist ~** ტურისტული ვიზა; **transit ~** სატრანზიტო ვიზა
visible შესამჩნევი
vision statement ხედვის ფორმულირება
vital 1. მეტად საჭირო; უმთავრესი; 2. სასიცოცხლო; 3. ენერგიული; ცოცხალი; **~ resource** სასიცოცხლო რესურსი
vitality სიცოცხლისუნარიანობა
viticulture მევენახეობა
vocabulary 1. სიტყვიერი მარაგი; ლექსიკა; ლექსიკონი; 2. ნომენკლატურა; ტერმინოლოგია
vocation 1. პროფესია; 2. საქმიანობა; 3. მისწრაფება
vocational პროფესიული
void ანულირება, ძალადაკარგულად გამოცხადება; გაუქმება, ძალადაკარგული
volatility ცვალებადობა, არამუდმივობა
volume მოცულობა; სიდიდე; ტევადობა
voluntarism 1. ვოლუნტარიზმი; ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც ყოველივე არსებულის, მთელი სინამდვილის განვითარების საფუძველს ნებისყოფა წარმოადგენს. 2) თვითნებური, სუბიექტივისტური გადაწყვეტილებანი, რომლებიც უგულებელყოფენ ობიექტურად არსებულ პირობებსა და კანონზომიერებებს
voluntary 1. ნებაყოფლობითი; 2. უსასყიდლო (მაგ., მუშაობა); 3. ექსპრომტი; იმპროვიზაცია; **~ health organization** ჯანდაცვის ნებაყოფილობითი ორგანიზაცია
vote 1. ხმის მიცემა; გადაწყვეტა; დამტკიცება; 2. ხმის უფლება; 3. საარჩევნო ბიულეტენი
voter ამომრჩეველი, არჩევნების მონაწილე
voters' lists ამომრჩეველთა სიები
voting 1. ხმის მიცემა; ბალოტირება; 2. აქციონერების საერთო კრებაში მონაწილეობა; **~ right** ხმის მიცემის უფლება
vouch 1. მტკიცება; განცხადება; 2. დამტკიცება; დანართის ჩვენება; 3. თავდებობა
voucher 1. *ფინ.* ვაუჩერი; საპრივატიზაციო ბარათი; 2. გარანტია; 3. თავდები; მოწმე; მოწმობა (წერილობითი); 4. თავდებობა; **~ check** ვაუჩერის ჩეკი
Vroom-Yetton mode ვრუმ-ეტონის მოდელი; ლიდერობის ნორმატიული მოდელი, რომელიც ყურადღება ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უნდა

მიიღოს გადაწყვეტილება ლიდერმა. ამ მოდელის თანახმად გამოიყოფა გადაწყვეტილების მიღების ხუთი სტილი. ორი ავტოკრატიული: ა) 1. გადაწყვეტილება მიიღება ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე. ა) 2. ლიდერი ინფორმაციას იღებს ქვეშევრდომებისაგან და თავად წყვეტს პრობლემას. ორი კონსულტაციური: ბ) 1. ლიდერი პრობლემას უზიარებს ინდივიდუალურად შესაბამის ქვეშევრდომებს და მათი შეხედულებებისა და აზრების საფუძველზე თავად იღებს გადაწყვეტილებას. ბ) 2. ლიდერი პრობლემას უზიარებს ქვეშევრდომებს ჯგუფურად და შემდეგ თავად იღებს გადაწყვეტილებას. ერთი ჯგუფური: გ) 1. ლიდერი პრობლემას უზიარებს ქვეშევრდომებს ჯგუფურად, ერთად მსჯელობენ ალტერნატიულ ვარიანტებზე და ამ გზით მიდიან გადაწყვეტილების მიღებამდე

vulnerable მოწყვლადი; მგრძნობიარე

W

wage 1. ჯამაგირი; 2. ხელფასი; 3. *pl.* ხელფასის ფონდი; actual ~ რეალური ჯამაგირი; average ~ საშუალო ჯამაგირი; basic ~ ძირითადი ჯამაგირი; ~ bracket (range) ჯამაგირის ცვლილების დიაპაზონი მოცემული სპეციალობისათვის; ~ compression ჯამაგირის განაკვეთების „დაახლოება"; ~ control ჯამაგირის განაკვეთის რეგულირება; ~ curve ჯამაგირის მრუდი; day ~s დღიური ჯამაგირი; efficiency ~s სანარდო ჯამაგირი; fixed ~ მყარი განაკვეთი; ~ floor კანონით დადგენილი მინიმალური ჯამაგირი; ~ freeze ჯამაგირის გაყინვა; hourly ~ საათობრივი ჯამაგირი; ~ incentive plan ჯამაგირის წამახალისებელი სისტემა; monthly ~s ყოველთვიური ჯამაგირი; nominal ~s ნომინალური ჯამაგირი; ~ rate ჯამაგირის სატარიფო სისტემა; real ~s რეალური ჯამაგირი; ~ rigidity ჯამაგირის სიმკვრივე, გაუფასურებული ჯამაგირი, რომელიც შრომის ბირჟაზე ვერ ათანაბრებს მოთხოვნებსა და წინადადებებს; ~ scale ჯამაგირის შკალა, სატარიფო ბადე; set ~ მყარი განაკვეთი, მყარი ჯამაგირი; ~ stabilization ჯამაგირის სტაბილიზაცია; terminal ~ დახმარება სამსახურიდან გადადგომისას; weekly ~s ანაზღაურება კვირების მიხედვით

wage-earner მოსამსახურე

want 1. საჭიროება, აუცილებლობა; 2. *pl.* მოთხოვნილება; 2. უქმარისობა, არქონა

wanted for cash ნაღდზე გადასახდელად; საბაზრო ტიკერზე ასახული განცხადება, რომელიც მიანიშნებს, რომ ბიდერი გადაიხდის ნაღდ ფულს იმავე დღის ანგარიშსწორებით სპეციფიური აქციების ბლოკში

warehouse 1. საწყობი; 2. დიდი საცალო მაღაზია; საბითუმო მაღაზია

warfare 1. კონფლიქტი; ბრძოლა; შეჯახება; 2. ომი; საომარი მოქმედება

warfighting strategy საომარი სტრატეგია; შეტევის მუქარის გამოყენება შეკავების მიზნით

warrant 1. გარანტია; თავდებობა; 2. მინდობილობა; 3. ხელწერილი; მოწმობა; 4. პატენტი; 5. ბრძანება; 6. ფასიანი ქაღალდი, რომლის ფასი ასახავს ძირითადი აქციის ფასს

warrantable 1. კანონიერი; დასაშვები; 2. საიმედო; დადებითი; მისაღები

warranty გარანტია; guaranteed ~ უზრუნველყოფილი გარანტია; implied ~ ნაგულისხმევი გარანტია; long-term ~ ხანგრძლივი გარანტია; product ~ ნაწარმის ხარისხის გარანტია; short-time ~ ხანმოკლე გარანტია

wastage 1. დანაკარგი, ზარალი; 2. საწარმოო ნარჩენები; 3. ცვეთა; 4. არამწარმოებლური ხარჯები

waste 1. გაფლანგვა; ზედმეტი ხარჯი; 2. არარეალიზებული ნარჩენები; 3. *pl.* ფეკალური წყალი; დამაბინძურებელი ნივთიერებები; 4. უსარგებლო; domestic ~ საოჯახო ნარჩენები

wasteful მფლანგველური; არაეკონომიკური

wasting asset დაკარგული აქტივი

watch list ზედამხედველობის სია; აქციათა სია, რომლებიც შერჩეულია ბროკერაჟის, ან სარეგულაციო ორგანიზაციის მიერ სამეთვალყურეოდ

watchdog agencies მაკონტროლებელი სააგენტოები; კანონმდებლობით შექმნილი სააგენტოები, რომელთა დანიშნულებაა მთავრობას დაეხმარონ ბიუროკრატიული ქცევის კონტროლსა და ზედამხედველობაში. ასეთებია: ომბუდსმენი, მთავარი აუდიტორი, კომისიები და საგანგებო ჯგუფები

waterworks წყალმომარაგების სისტემა; წყალსაწმენდი სადგური

way 1. გზა; გეზი; 2. მხარე, მიმართულება; 3. მეთოდი, საშუალება; 4. ჩვეულება; ~s and means გზები და საშუალებანი

weak market სუსტი ბაზარი, სადაც კლებადი ფასები და მყიდველზე მეტი გამყიდველია

wealth 1. სიმდიდრე; სიუხვე; კეთილდღეობა; 2. მატერიალური ფასეულობა; human ~ ადამიანისეული კაპიტალის ფორმის სიდიდე; national ~ ეროვნული სიმდიდრე; net ~ წმინდა აქტივები

wear 1. ცვეთა; 2. გაცვეთა

welfare 1. კეთილდღეობა; სიუხვე; 2. ქველმოქმედება; ~ state მთავრობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო კანონმდებლობის მეშვეობით კისრულობს პასუხისმგებლობას ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ყველა წევრის კეთილდღეობის დაცვას; ~ economics კეთილდღეობის ეკონომიკა, ეკონომიკური თეორია, რომელიც სწავლობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციის პრინციპებს; general ~ საყოველთაო კეთილდღეობა; social ~ სოციალური უზრუნველყოფა

well-handled 1. კარგად ორგანიზებული; 2. უნარიანად მართვადი

wellness programs კეთილდღეობის პროგრამები; დამქირავებლის ან გაერთიანების მიერ დაფინანსებული ობიექტებისა და საქმიანობის ფართო სპექტრი, რომელიც მიმართულია დაქირავებულთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებისაკენ

well-thought-out strategy კარგად გააზრებული სტრატეგია

well-to-do შეძლებული, მდიდარი

white paper თეთრი დოკუმენტი; წერილობითი დოკუმენტი სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ. ჩვეულებრივ წარმოადგენს გარკვეულ კურსს ან ქმედების განმარტებას და დაცვას

white-collar „თეთრი საყელო", მოსამსახურე, საოფისე მუშაკი, რომლიც არ არის დაკავებული ფიზიკური შრომით

wholesale საბითუმო ვაჭრობა; ~ price საბითუმო ფასი; ~ price index საბითუმო ფასების ინდექსი

wholesaler ბითუმად მოვაჭრე; მებითუმე; საბითუმო საწარმო

win მოგება; გამარჯვება; 2. გამარჯვების მოპოვება; —lose issue მოგება-წაგების საკითხი; —win issue მოგება-მოგების საკითხი; to ~ a contract კონტრაქტის დადება

windfall profit მოულოდნელი მსხვილი მოგება

winding up კომპანიის ლიკვიდაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით

withdraw 1. გამოხმობა, გამოძახება, ამოღება; შეწყვეტა; ანულირება; 2. ანგარიშიდან თანხის მოხსნა

withdrawal plan გამოძახების გეგმა; საერთო ფონდის ავტომატური პერიოდული გამოსყიდვის დაარსებისა და ინვესტორის უშუალო ინფორმირების შესაძლებლობა

withhold 1. უარის თქმა; 2. დაკავება, გამოქვითვა

within-grade pay adjustment რანგის შიგა ანაზღაურების დარეგულირება

women in development დონორის მიერ განხორციელებული სტრატეგია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამამ მოიცვას ქალებიც

work 1. შრომა; მუშაობა; სამუშაო; ქმედება; 2. სამუშაო დავალება; სამუშაოს მოცულობა; 3. მუშაობის ადგილი; 4. ნაკეთობა, პროდუქცია ნაშრომი; 5. *pl.* ქარხანა; ~ demographics სამუშაო ძალის დემოგრაფია; ~ assignment სამუშაო დანიშნულება; ~ design სამუშაოს შექმნა; ~ diversity სამუშაო ძალის მრავალფეროვნება, სამუშაო ძალის მრავალსახეობა; ~ ethic სამუშაო ეთიკა; საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარგებლიანობის რწმენა; ~ flow სამუშაო ნაკადი; საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის ოპერაციების თანმიმდევრობა; ~ force სამუშაო ძალა; ~ group სამუშაო ჯგუფი; ზოგიერთი ფუნქციის შესრულებისა და ამოცანების გადასაწყვეტად შექმნილი თანამშრომელთა ფორმალური ჯგუფი; ~ measurement შრომის ნორმირება; ~ opportunities სამუშაოს შესაძლებლობები, პერსპექტივები; ~ overload მუშაობით გადატვირთვა; სიტუაცია, რომლის დროსაც ხდება თანამშრომლის შრომის რაოდენობრივი ან თვისობრივი გადატვირთვა; ~ simplification სამუშაოს გამარტივება; ~ stoppage სამუშაოს შეჩერება; სამუშაოს შეწყვეტა კანონიერი თუ არაკანონიერი გაფიცვის გამო; ~ title სამუშაოს სახელწოდება; საწარმოო ქმედების, პროცესის ან ოპერაციის განმასხვავებელი, განმსაზღვრელი, მაგრამ არაოფიციალური დასახელება; casual ~ შემთხვევითი სამუშაო; creative ~ შემოქმედებითი სამუშაო; extra ~ დამატებითი სამუშაო; federal ~ ფედერალური სამუშაო ძალა; full-time ~ მთლიანი სამუშაო დღე; mental ~ გონებრივი შრომა; part-time ~ არასრული დასაქმება; permanent ~ მუდმივი სამუშაო; public ~ საზოგადოებრივი სამუშაო; seasonal ~ სეზონური სამუშაო; short-time ~ შემცირებული სამუშაო დროით მუშაობა; subsidiary ~s დამხმარე სამუშაოები; temporary ~ დროებითი სამუშაო; ~ underload

არასაკმარისი დატვირთვა; სიტუაცია, რომლის დროსაც თანამშრომელი ასრულებს მცირე მოცულობის სამუშაოს ან მისი უნარ-ჩვევები აღემატება მოცემული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს

worker 1. მუშა; 2. მუშაკი; 3. თანამშრომელი; **blue-collar** ~ საწარმოს მუშა; **handicraft** ~ მეწარმე; **office** ~ მოსამსახურე; **salary** ~ შტატიანი მოსამსახურე; **white-collar** ~ საფინანსო ან საინჟინრო ტექნიკური მუშაკი

working capital საბრუნავი საშუალებები; ~ **turnover** კაპიტალის ბრუნვა

workplaces სამუშაო ადგილები

World Bank მსოფლიო ბანკი

world interest rate მსოფლიო საპროცენტო განაკვეთი, საპროცენტო განაკვეთი მსოფლიო საფინანსო ბაზარზე

writ აქტი; აკრძალვა; ორდერი; სასამართლო უწყება; სასამართლო განკარგულება; ~ **of arrest** განკარგულება დაპატიმრების შესახებ; ~ **of execution** აღსრულების ფურცელი; ~ **of seizure of cargo** ტვირთის კონფისკაციის აქტი



x axis X ღერძი; განაწილების ჰორიზონტალური ღერძი ან აბცისა

xenophobia ჭენოფობია; ყოველგვარი უცხოურის სიძულვილი



y axis ღერძი; განაწილების ვერტიკალური ღერძი ანუ ორდინატა

year წელი; ~ **of account** სააღრიცხვო წელი; **base** ~ საბაზისო წელი; **budget** ~ საბიუჯეტო წელი; **current** ~ მიმდინარე წელი; **financial (fiscal)** ~ ფინანსური წელი; **insurance** ~ სადაზღვევო წელი

yea-saying პასუხების სისტემა, რომელშიც პირი მხოლოდ დადებით პასუხს იძლევა

yield 1. მოსავალი; 2. შემოსავალი; 3. შემოსავალი; აქციაზე დივიდენდის ფორმით გადახდილი უკუგების საპროცენტო განაკვეთი, ან ობლიგაციისა და თამასუქის საპროცენტო განაკვეთი; ~ **to call** ყიდვაზე შემოსავალი; **current** ~ მიმდინარე შემოსავალი; **effective** ~ რეალური შემოსავალი; **interest** ~ საპროცენტო შემოსავალი; **marginal** ~ ზღვრული შემოსავალი; **a poor** ~ მწირი შემოსავალი



